

652
9000



ISSN 0134 3459

საქართველოს
ისტორია

2
2000

60 - რევაზ მიშველაძე - 60

3 უ ლ ო ც ა ვ თ !



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარის - ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა № 7

ქ. ბათუმი

1999 წლის 8 თებერვალი

მწერალ რევაზ მიშველაძისათვის მემედ აბაშიძის
სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ

ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში შეტანილი
მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი
მოღვაწეობისათვის მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფესორ *რევაზ ავქსენტის ძე მიშველაძეს* მიენიჭოს მემედ აბაშიძის
სახელობის სახელმწიფო პრემია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე -
ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური

ასლან აბაშიძე

იჭყოფყოფა აჭარა

დაარსებულია 1958 წელს

რა მუშენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, კვირვასი გეღით...
ქალაქი - ჩვენი ქვეყნის უანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გათუხი

თეგერვალი, №-2
2000

საქართველოს მფარველთა კავშირისა და აჭარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
შერნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

სარედაქციო საბჭო: ვურაბ გორგილაძე (რედაქტორი),
ანდორ კულბა (განყოფილების გამგე), ბენრიბა ქუთათელაძე
(პასუხისმგებელი მდივანი), ხათუნა შუშანიძე (მხატვრული რედაქტორი),
ტასო ცხიშიძე (ტექნიკური რედაქტორი)

საკონსულტაციო საბჭო: ვახტანგ ახვლედიანი, ნური
ვერუაძე, შოთა გოიძე, ღვინთა თელორაძე, ოტია იოსელიანი,
ღვინთა გვამელური, ალექსანდრე სამსონია, რამაზ სურგანიძე,
თამაზ წიგნწივაძე, ამირან ხაბაში, ზრილონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი

რედაქციის მისამართი: მელიქიშვილის ქ. №21
ტელ: 7-03-64

პროფ. პოეზია

რეპეზ მიხეილაძე

გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ რეპეზ მიხეილაძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ლიტერატურული აქარის“ რედაქცია სულითა და გულით ულაცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ბატონ რეპეზს და უსურვებს ხარგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს.

უნდო

ნოველა

აღმოსავლეთი ღრუბლის გრძელ ქარავანს დაეფარა.

მზე არ ჩანდა, მაგრამ ნარინჯისფრად შეღებილ ცას ეტყობოდა, რომ მნათობი უკვე ამოსულიყო და მაღლა-მაღლა მიიწევდა.

მსხლის ტოტებში შაში შეფრთხილდა.

ერთხანს უყურა აივანზე გადმომდგარ, პერანგისამარა, ქარბორბალაში მოყოლილი პურის ყანასავით თმამიმოწოლილ ქალს და გაფრინდა.

ამ ქალის სანახავად რომ არ შეიწუხებდა შაში თავს, აშკარაა, მაგრამ, რისთვის მოფრინდა ამ დილადრიან, რა უნდოდა უიმედოდ მკვახე, ქვამწვანე მსხალზე ჩემთვის გაუჩვენევი დარჩა.

- რაღა დღეს მეიღრუბლა მაინცდამაინც, - ჩაილაპარაკა ქალმა და ფეხის თითით ქუსლი მოიჭაბა.

- ვის ელაპარაკები? - გაეპასუხა ცოლს კანცელარიის ყოფილი მრჩეველი პეპია ტყაბლაძე, რომელიც საწოლზე წამომჯდარიყო და გუშინწინდელ „ახალ თაობას“ კითხულობდა.

- რაღა დღეს მეიღრუბლა თქვა, მზის დაბნელების დღეს.

- რავა?

- ვერ დავინახავთ, მეტი რაი.

- ნუ სულელობ რაღაცას. მეტი არა აქვს საქმე ამერიკას, ნამდვილ მზის დაბნელებას გაჩვენებს აქანა. მაინც ვერ შევამჩნევდით ვერაფერს.

ცოლს არ უკითხავს, რა შუაშია ამერიკა მზის დაბნელებასთანო. იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ფოსტლებში წაპყო ფეხი და თავისი ოთახისკენ გაფშლატუნდა.

პეპიამ პიჟამოს შარვალი ამოიცვა და სარკეს დააჩერდა.

თვალის უბეები ორი თითით ჩამოჭაჩა და რაკი დარწმუნდა, რომ ფსკერიდან წამოსული სიწითლე არ გამოქრალიყო, სამი დღის წინათ ექიმის გამოწერილი „ოფტალი“ ერთხანს ატრიალა ხელში. მერე უწვრილესი ასოებით დაბეჭდილ „მოხმარების წესში“ გაახვია და ფანჯრიდან ბაღში მოისროლა.

- არ იციან, არაფერი არ იციან, ამ მკვდარძაღვლებმა.

უჭრა გამოსწია, ქალაღი ამოიღო, შუაზე გახია და დიდი ასოებით დააწერა: „კეთილო... ლიფტში შესვლის დროს გაიხსენე, რომ ღორი არა ხარ!“

ჭიკარტი მოძებნა, სადარბაზოში გამოვიდა და ლიფტის ლილას თითი დააჭირა. კარს ფეხი დაუხვედრა და ქალაღი მარჯვენა მხარეს გააკრა.

ასეთ წარწერას იგი ყოველდღე აკრავდა ლიფტში და ყურადღებიანი მეზობლები ყოველდღე ხსნიდნენ.

როგორც ჩანს, მეზობლებს არ სურდათ, ზედმეტი ლოზუნგით დაემძიმებინათ ცხოვრება.

თორმეტს აღარაფერი აკლდა, ქუჩაში რომ გამოვიდა.

საქართველოს
წიგნიერება
ბიბლიოთეკა

ცხელოდა.

ცხვირსახოცი ამოიღო, ორმხრივ განასკვა და თავზე დაიხურა.

ერთხანს უცადა ტროლეიბუსს.

სამარშრუტო ტაქსების აბეზარ დგომა-თხოვნას ვერ გაუძლო და მძღოლის გვერდით მოკალათდა.

- არის რამე?

- ვერ გავიგე? - საყლოში ცხვირსახოციჩაფენილმა მძღოლმა ზარმაცად გამოხედა.

- არის მუშაობა?

- პურის ფული... მეტი არაფერი... ბევრი ვართ ნამეტანი.

- რაღა დააქციეს, რაღა დეიფანეს ქვეყანა თბლზე.

დანიელ ჭონქაძის პარკთან გააჩერებინა.

ფილარმონიის კიბეებთან ლატარიის გამყიდველი ბლადა: ყოველი მესამე ბილეთი მომგებიანია, იყიდეთ და აუცილებლად გაგიმართლებთ.

„ისე აშენდა შენი პატრონი“ - გადიქრა პეპიამ.

ჯერ შორიდან დააკვირდა პარკში „სკამიეკებზე“ ხუთ-ხუთად განაწილებულთ. ყოველთვის ასე იქცეოდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვისთან მოუწევდა დაჯდომა. აქ დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა.

ძველი ჭონქაძელები აღარ ჩანდნენ.

პარკი ახლებს დაეპყროთ.

პეპიას ახალგაზრდებთან კამათი არ უყვარდა. ეგონა, პარკის ახალუბლები ცოტა არ იყოს თამამად, თავდაჯერებულად და ოდნავ დაციწვითაც ელაპარაკებოდნენ.

- ბატონ პეპიას ვკითხოთ, - მოესმა ნაცნობი ხმა და ნაძვის ძირას, ხის მწვანე საგარძელში, სამ თანამეინახესთან მჯდომმა ხუტა ფარცვანიამ ხელიც დაუქნია.

ხუტა ცხოველთა და ფრინველთა ფიტულების დამზადების სპეციალისტი იყო და ამით ირჩენდა თავს. ამ ბოლო

დროს ხალხს ფიტულებისთვის რომ არ ცხელოდა, ხუტამ ახალი საქმე წამოიწყო: ფიტულების მოძრავი გამოფენის პატენტი აიღო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფიტული“ დაირქვა.

წამოწყებას ჯერჯერობით არა უშავდა. სკოლებში და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში საფიტულგამოფენო ათ თეთრს არ იშურებდნენ. ეგ იყო, ახალფეხადგმულ ფირმაში საგადასახადო ინსპექცია არ ასვენებდა.

მივიდა და შემოთავაზებულ ადგილზე, განაპირას ჩამოჯდა.

- ბატონო ხუტა, ახლანდელი „ბორჯომი“ „ბორჯომია“? - აშკარა იყო, ხუტას ყოფილი მრჩეველის მოსვლამდე დიდხანს ეკამათა ამ პრობლემაზე და პეპიაც, ღმერთო შეგცოდნე, თავისი პოზიციის გასამაგრებლად ეხმო.

- გადამიშენე იქით - მშვიდად თქვა პეპიამ.

- ესეც მე ვარ? - ხუტა წელში გაიმართა.

- ასე ხომ არ შეიძლება, - ცხარობდა სათვალთან, წითური კაცი, - მე არ გუარგყოფ, ფალსიფიცირებულიც არის ცოტა.

- რას გეტყვი, ბიძია, იცი? ნამდვილი „ბორჯომი“ გათავდა, გამეილია. აღარ ამოდის მიწიდან... რა გაცინებს, ლიკანში რომ ამოდრიოდა სანატორიუმში, რვა წელიწადია, ისიც აღარაა ნამდვილი. შეზავებულია ხელოვნურად. ნამდვილ „ბორჯომს“ შენ ვინ დაგაღვივებ, რაცხა ხუტას ლიტრს ასხამენ და მსოფლიოს პრეზიდენტებს ვერ ოუდის. დანარჩენ „ბორჯომს“ ეგერ ასხამენ ე, ჩემი სახლის გვერდით გარაჟში. სოდა, კრანის წყალი, გაზი და მისი ჯანი.

- ასეც არ შეიძლება, - ხმა გაეზარა წითურს - არ უარყვყოფ, ფალსიფიცირებაც არის...

- ისე, რომ იცოდნე, ამბობენ ნამდვილ „ბორჯომს“ დეგუსტაციის დროს

ხელოვნურმა აგობაო. მე გეტყვი ერთს, ჩვენ, ვინც ვზივართ აქანა, შეიძლება, არცერთს არ დაგვიღვია ნამდვილი „ბორჯომი“.

- რაც უნდა თქვა, ახლა, არჩევანი მაინც არის, - მცირე პაუზის მერე დაიწყო ხუტამ.

- რაის არჩევანი? - ჰკითხა პეპიამ.

- იყიდება, არის საქონელი. არ გახსოვს? ტელევიზორს, დუბლიონკას და კოსტუმს ცეკა რომ ანაწილებდა?

- დუბლიონკას კი არა, ჩეხურ ლუდს და ტარანასაც ცეკა არიგებდა, მერე რაი?

- რაი და ამ დემოკრატიაში, თუ ფული გაქვს, რაღაც-რაღაცეების შოვნის საშუალება მოგვცა, რათ უნდა ლაპარაკი.

- კილო კაი, ფული რომ არა გვაქვს და ვერ ვყიდულობთ.

პეპიას ამ ნათქვამმა ოთხივე ერთნაირად დაინტერესა.

- ნახე, რა შემოდის. არ კითხულობ გაზეთებს? „E“ რასაც აწერია, არ დააკაროთ პირობა. შემოიარე ყველა მაღაზია-ჩხურა და თუ იპოვი რამეს, „E“ რომ არ ეწეროს. პავიდლო პავიდლოა? წებოსაგან და ნაძვის გირჩისაგან აკეთებენ აგერ ა, თურქეთში, ძეხვი ავიღოთ, თუ გინდა; დაგავწყდა, ამ ორი თვის წინ მტკვარი რომ ვერ იტევდა, იმდენი ძეხვი რომ გადაყარეს და გაანადგურეს? რა ყოფილა-ნახერზი, ანწლის საღებავი, ჩაწოლილი შავი პური და მუხუდოს ნარჩენი... ა, ბატონო, ესეც შენი ძეხვი. ყველაფერ ამას საწამლავ „E-27“-ს უმატებდნენ, რომ არ გაფუჭებულიყო. ახლა კარაქი ნახე, რისგან აკეთებენ, თუ იცი? ყვითელი ტყეშისაგან, მკვანხე ხურმისაგან და კოპიტის ფიცრებიდან. იყიდე და ჭამე, კაი დახლი დაგიდგება. ე ნაირნაირი შოკოლადები რომ შემოაქვთ, ზოგს ბელგიური, ზოგს გერმანული და ზოგს თურქული რომ აწერია, აყალო მიწისაგან, ცელოფნის პარკებიდან და საზამთროს კანებიდან

ამზადებენ თურმე. ცოტა შაქარსაც ჰე ურევენ ისე, ფასონათ, დაეანებოთ საქმელს თავი; ტუფოს რომ ყიდულობთ, თქვენ გგონიათ, ტყავი ან რეზინია მართლა? ბლის ქერქისაგან, მდოგვისაგან და მუყოს ნარჩენებისგან არი გაკეთებული.

- ჰეც იმიტომაა ორ კვირაში რომ პირს დააღებს - ჩაუროთ, როგორც იქნა, ხუტამ.

- ქსოვილი? ნაირნაირი ქსოვილი რომ ჰყრია. ბაბუაჩემი შარშან მოკვდა ასი წლის და 1921 წელს ჰოლანდიაში ნაყიდი დრაფის პალტო ეცვა. არც გამოხუნებულა, არც გაცრეცილა. იყიდი ახლა კოსტუმს და ორ კვირაში გადაგისკდება მუხლზე.

- ამბობენ, მკვდრებისთვის შეკერილს გვიგზავნიან, იმიტომაა ასე იაფიო, - თქვა ხუტამ ისეთი ინტონაციით, რომ მთლად არ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში.

- შენ იხუმრე და დღეს რომ შალს ეძახიან, ხომ იცი, რისგან ქსოვს ამერიკა: კაპროლაქტამის ძაფის, ყავის ხმელი ფოთლების, ცხვრის ჩლიქების და მესამეხარისხოვანი სამშენებლო ცემენტის შეზავებით გაკეთებული ძაფისაგან.

- კაპროლაქტამი რაკი ურევია, სიმაგრით არა უშავს.

- სიმაგრით არა უშავს, მარა სამოთხ წელიწადში კიბოს აჩენს.

- რაის კიბოს? - იკითხა ვიდაცამ.

- შენთვის სულერთი არაა? მოგიძებნის სუსტ ადგილს; ან კუჭის, ან ელენთის, ან პროსტატის, თუ გერადერი მოგიხერხა, ყურის კიბოს დაგმართებს, - უკამათოდ თქვა პეპიამ.

- შეიძლება, მზის დაბნელებას მიწისძვრა მოყვესო, - თქვა და, რატომღაც, დაამთქნარა ხუტას მარჯვნივ მჯდომმა, მსუქანმა, სუფთად გაპარსულმა ბიჭმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

- მოყვება, რატომაც არ მოყვება, ნოტა გოუგზავნე რუსს, რაღა გაბედე ჩემი

საზღვრის დარღვევა-თქვა და ნახავ, ვარესს გიზამს.

- არ დაარღვია, არ გადმოყარა თუშეთში ბომბები?

- მერე... კაი ერთი, თუ ძმა ხარ... რომელ საზღვარზე მელაპარაკები... შენ არ მიეცი ოცდახუთი წლით შენი ტერიტორია ბაზებად? თავის ბაზაზე, ვაზიანში, რომ ჯდება რუსის „ისტრიბიტელი“ ყოველდღე, მაშინ რატომ არ იძახი, საზღვარი დამირღვიათქვა? შეშეშალა და გადმომიცივვდა რამდენიმე ბომბი ჩემს ტერიტორიაზეო... ჰო, ჰო, რა დააღე პირი, თავის ტერიტორიად გთვლის. ან საზღვარი ვინ მოგვცა, რას ვმაიმუნობთ. რომელი საზღვარი გვაქვს, მითხარი ერთი, გამაგრებული? ჩვენ იმ თვითმფრინავების ჩამოგდება კი არა, სურათის გადაღებაც ვერ შეგძელით და ვმარჩიელობთ ახლა; რაკი რუსეთის მიმართულებით გაფრინდნენ, ალბათ, რუსების თვითმფრინავები იყვნენო. გაიგეთ, ერთხელ და სამუდამოდ; ჩვენ მესაზღვრე კი არ გვყავს, ჩვენ მებაჟე გვყავს და რავარც ახლა ირკვევა, თურმე, ამხელა ქვეყანაში, მებაჟეც ვერ გვიპოვია, კაცი და მანქანა რომ წესიერად გაჩხრიკოს, ამიტომ ინგლისელს უნდა დოვუძახოთ თურმე, ჩამოდი და შენ გაგვიწიე მებაჟეობა, ჩემს თავს არ ვენდობიო, ესაა საქმე?

კარგა ხანს ხუთივენი ჩუმად იყვნენ.

მოჭადრაკეთა სახლის სახურავზე ეშული ჭრიჭინობელა ერთგულად ებრძოდა აგვისტოს ხვატს.

- აბა... ნამდვილად იცი, რუსი აკეთებს ამ მიწისძვრებს? - სხვისი ხმით იკითხა სათვლიანმა მწითურმა.

- არა, ბიჭო, მე ვაკეთებ, - პეპია ამას რომ ამბობდა, მაღლა, მამადავითზე, სატელეფზიო ანძის თავზე ანთებულ ერთადერთ წითელ ნათურას გაჰყურებდა.

... პეპია ტყაბლაძეს 1999 წლის 11 აგვისტოს, ზუსტად სამ საათზე, როცა მზის ნაწილობრივ დაბნელებამდე სულ რაღაც ნახევარი საათი რჩებოდა, ჭონჭბის პარკიდან დაბრუნებულს, თავის სადარბაზოსთან აგური დაეცა თავზე.

აგური, როგორც შემდეგ გაირკვა, მეოთხე სართულზე მცხოვრებ შერვაშიძეს აივნიდან ჩამოცურდა. აგური დაიმსხვრა (კიდევ კარგი), მაგრამ არც პეპიას დაღვომია კაი დღე.

როცა სასწრაფოში მიჰყავდათ, პეპიამ თავი ასწია და ამოილაპარაკა:

- აგურიც არ გვივარგა.

- რა თქვა? - ჰკითხა სასწრაფოს ახალგაზრდა ექიმმა, შუბლაძემ, პეპიას დაწვდახოკილ თანამეცხედრეს.

- აგურიც არ გვივარგაო, - განზე გაიხედა ტყაბლაძის მეშულემ.

„ესე იგი, გადარჩება“, გაიფიქრა ექიმმა.

თქმით არაფერი უთქვამს.

ქუჩა თითქმის ცარიელი იყო.

გაჭვარტლულმინებმომარჯვებული მოქალაქენი თავიანთ ორ-სამოთახიანი ულოჯო ბინების აივნებზე გადმომდგარიყვნენ და სახეზე უჩვეულო მოლოდინში გარეული სევდაც ეხატათ.

ნაძვის ათი გირჩა

ერთმა უმნიშვნელო შემთხვევამ შეიძლება ადამიანის ცხოვრება მთლიანად შეცვალოს და არა მარტო იმ ერთი კაცის, მისი შთამომავლობის ცხოვრებაც.

თვითნასწავლი ხეზემჭრელი ვალიკო სალდაძე მონღოლეთში ხის მხატვრული დამუშავების ოსტატთა ფორუმზე

მიიწვიეს.

ხის ცივად დამუშავება ვალიკოს დიდი ხნის დაწყებული როდი ჰქონდა, როცა ეს ამბავი მოხდა. აქვე საიდუმლოდ გაგიშვლთ, რომ ხეზე ჭრა მისი მოწოდება სრულიადაც არ იყო და არც უყვარდა ეს საქმე მაინცდამაინც.

სამსახური (პროფესიით გვირაბ-გამყვანი ინჟინერი გახლდათ) რაკი ვერ იშოვა (ვის უნდა ახალი გვირაბი, რაც გაყვანილია, ნეტა ისიც არ გაეყვანათ, წვალბის მეტი რა მოუტანა მშრომელ მოსახლეობას), ვილაცამ ურჩია, ხეზე ჭრას მოკიდე ხელი, უსაქმობას მაინც სჯობია და ერთ-ორ კაპიკსაც იშოვო.

ხეზე ცოტნე დადიანის (?) ბარელიეფურ გამოსახულებებს ჭრიდა და ჰყიდოდა. ვალიკოს მიერ ხეზე ამოგვირისტებული ცოტნე წელსზემოთ მიშველი იყო, თორემ სხვათრივ ძალიან ჰგავდა დავით აღმაშენებელს. პროფილით მჯდარ ცოტნეს უზარმაზარი დაკუნთული ზურგი მოუჩანდა და ზურგზე დაკვირვებული თვალი შავ წერტილებად ბუზებსაც შეამჩნევდა. მყიდველთაგან, ვინც ცოტნეს გმირობის ამბავი იცოდა, სწორედ ის ეძებდა ბუზებს ეროვნული გმირის ზურგზე და როცა ვალიკო თითოთ უჩვენებდა, „ბუზია, აბა, რა არის ესო“, დარცხვენილი მომხმარებელი თავის მაღალ პენსიაზე მორჩენილ ლარნახევარს არ ზოგავდა უკვდავი ცოტნეს ხეპორტრეტის შესაძენად. ისე, თავის ნაჭრელ-ნამუშევრების შორიახლო მდგარი ხეოსტატი, თუ ინციატივა მყიდველიდან არ მოდიოდა, ბუზებზე ყურადღებას საერთოდ არ ამახვილებდა.

ეპოქა იყო ისეთი, რომ ადამიანები თავიანთი ჰეროიკული წარსულის ეროვნულ ორიენტირებს ებლაუტებოდნენ და სწორედ ამიტომ, ვალიკო სალდაძის ხენამუშევარს შედარებით უკეთესი მაზანდა ჰქონდა, ვიდრე სხვა ხეზემჭრელების ძნელად აღსაქმელ, ნახევრად-სექსუალურ ხესიუეეტებს.

ჩანს, ხეჩუქურთმის რომელიღაც უცხოელმა სპეციალისტმა შეიძინა ვალიკოს ნახელავი. ხეხელოვნების საზღვარგაღმელი მცოდნე დაინტერესდა ცოტნე დადიანის იერსახის სალდაძისეული ინტერპრეტაციით („ინტერპრეტაცია“ მე არ დამაბრალოთ, ხელოვნებათმცოდნეთა

ტერმინი გახლავთ, ავტორი) და აი, შედეგიც, ხის ცივად დამუშავების თვითნასწავლ ოსტატთა ფორუმზე მონღოლეთში მიემგზავრება ხეოსტატი ვალიკო სალდაძე.

ცალკე ნოველის თემაა, როგორ ჩამოისპონსორა მთელი ქალაქი და რა სიმწარით (დამცირებითაც) შეაქუჩა ვალიკომ ფორუმზე წასასვლელი ფული. ამიტომ ამ საკითხს სხვა, ცალკე ნოველაში შევხვები და აქ მკითხველს არ გადავლი.

გამგზავრების წინა დღეს ვალიკოს ვილაცამ დაურეკა: მეო, არასამეურნეო ანგარიშზე მოქმედი, გიტარაზე დაკვრის მოყვარულთა წრის მასწავლებელი, საბანაძე ვარო. მე თქვენ არ მიცნობთ, და, გულახდილად რომ გითხრათ, არც მე გიცნობთ თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ ხეზე ნაჭრელობა ძალიან მიყვარს და ამ საქმის ოსტატებს უდიდეს პატივს ვცემო. თქვენი გვარი, აგერ გაზეთში ამოვიკითხე, თუ ძმა ხარ, არ გაგიკვირდეს ჩემი თხოვნა, მონღოლეთი ძველი ქვეყანაა, თუ ჩავივარდეს მომენტი, გაიკითხე, ეგება იციან რამე ხალხური წამალი პროსტატის სამკურნალოდ. შარდის შეკავებას რომ ეძახიან, ის მკლავს, აღარა ვარ კაცი პირდაპირ. თუ მოჰყვებს სადმე ლაპარაკს იკითხე, თუ არა და, შენ კარგად იყავი. მიიწერე სადმე წვრილად ჩემი ტელეფონი - 37-7-070, აგრემც ღმერთი გიშველის. გვარი, ქე გითხარი, საბანაძე ვარო.

კი ბატონო, სპეციალურად ვიკითხავ და, თუ რამე იციან, ჩამოსვლისთანავე დაგირეკავთო; აბა რას ეტყოდა შარდის შეკავებით შეწუხებულ ადამიანს ზრდილობიანი იმერელი, ხის მხატვრული დამუშავების თვითნასწავლ ხელოვანთა მსოფლიო ფორუმის მონაწილე - ვალიკო სალდაძე.

სამ დღეს გაგრძელდა ულან-ბატორში ფორუმი.

მესამე დღეს ფორუმის ასივე მონაწილე ხის დამუშავების კონკურსის ლაურეატებად გამოაცხადეს. ყველას

მონღოლურ და ჩინურ (?) ენებზე შეესებული დიპლომები გადასცეს, ბოლოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის დონეზე მიღება-ბანკეტი გაუმართეს, თითო მონღოლური ხალათი ჩამოურიგეს და თავაზიანმა მასპინძლებმა, როგორც ეს ყველა მსოფლიო ფორუმზე ხდება, აეროპორტშიც გამოაცილეს.

თვითმფრინავი თბილისის თავზე რომ დაეშვა, შუალამე გადასული იყო.

რუსთვე (თებერვალი) იწურებოდა.

საქართველოს დედაქალაქი სრულიად არაკონსპირაციული მოსაზრებით ჩამუჭებული-ჩაბნელებული გახლდათ.

ვალეკო ილუმინატორის შუქზე უბის წიგნაკს ათვლიერებდა და საბანადის ვვარს რომ წააწყდა, ელდა ეცა.

დავიწყნოდა გიტარის მოყვარულთ წრის დამსახურებული მასწავლებლის თხოვნა.

აწი რაღა ეშველება ამ საქმეს, რას იტყვის შარდშეკავებული კაცი, რა წარმოდგენა ექნება მას ჩემზე კერძოდ და ზის ცივად დამუშავების თვითნასწავლ ისტატებზე საერთოდ.

და ვალეკო სალდამე ხელოვანთა პრესტიჟის გადასარჩენად სიცრუეს მიმართა:

შველით, ხალხური მედიცინის საშუალებათა დაახლოვებით ნახევარი არ შველის ავადმყოფს. მოდი, რამე იოლადგასაკეთებელ და უფლებელ წამალს მოვიფიქრებო, ვითომ მონღოლეთში მასწავლესო.

მეორე დღეს ტელეფონით მსოფლიო ფორუმის ლაურეატმა სიხარულისაგან აცახცახებულ საბანადეს შარდის შეკავებისაგან ადამიანის განმკურნავი უძველესი და უებრო „მონღოლური“ წამალი უკარნახა:

- ათი ცალი ნაძვის გირჩი, ნახევარი კილო გათლილი კარტოფილი, ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი სამ ლიტრ წყალზე უნდა ადუღოთ ერთი საათის განმავლობაში. რომ გაცივდება, ღვინის

ჭიქით უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ, დღეში სამჯერ.

- გაწურავად? - ბოდიშ-ბოდიშ ჰკითხა მეგობარმა.

- გაწურავზე ვთქვი მე რამე? გაწურვა რომ საჭირო ყოფილიყო, არ მეტყოდნენ, მე, იქ, მონღოლეთის სახალხო მედიცინის ცენტრის შარდგაშვების განყოფილებაში?

- რამდენ ხანს უნდა ვსვა ეს ნაყინი, პატივცემულო? - რცხვენოდა შეკითხვის, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა საბანადეს.

- ორ თვეს. ოღონდ ამ ორ თვეს ღვინო არ უნდა დალიო, ფეხით უნდა იარო, გრძელი ნიფხავი უნდა ჩაიცვა და ქონიანი არ უნდა ჭამო, - რა ადვილი ყოფილა ხალხური მედიცინის ქურუმობაო, გაიფიქრა თავისივე ტყუილით კმაყოფილმა ხეზემჭრელმა და, როგორც ვატყობ, პირველად მაშინ გაკრთა მის მაძიებელ გონებაში ცუდლუტური ფიქრი: ხეზე ჭრა-კაწვრის უძნელესი საქმისთვის თავი გაენებებინა და დარჩენილი სიცოცხლე სახალხო ექიმის კეთილშობილური მოღვაწეობისათვის შეეწირა.

მერე, დამწყები ისტორიკოსის საყვარელი ფრაზით რომ ვთქვა, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

ერთ უქარო საღამოს ვალეკოს გიტარის კერის მასწავლებელი საბანადე ესტუმრა და აუწყა:

მეო, სასიკვდილოდ მქონდა თავი გადადებულიო. გითხრა სიმართლე, ისე სხვათაშორის დაგაბარე, თორემ იმედი უკვე გადაწურული მქონდა, გულში ვამბობდი, ეგებ არც არსებობს მონღოლეთში საერთოდ შარდის შეკავება მეთქი. შემოვლილი მქონდა მანამდე მთელი საქართველო. არ დამიტოვებია, თუ სადმე იყო ექიმი და ექიმბაში. ვერაფერ მიშველა. არ დავმალავ, შენ რომ რეცეპტი მიკარნახე, თავიდან ტყუილი მეგონა. ალბათ, დაავიწყდა მონღოლეთში ეკითხა ვინმესთვის ან ეუხერხულა, რა ვიცი, კაცნი

ვართ, და თვითმფრინავში თუ მოიფიქრა ეს უბრალო რეცეპტი-მეთქი. ერთი თვის მერე, ჩემს თავს გავუწყარი, იმხელა კაცი ტყუილს როგორ იკადრებდა მეთქი, ერთი სიტყვით დავიწყე სმა, როგორც დამარიგე.

ორი თვე ვსვი და სასწაული მოხდა, ასე მგონია, ახლად დავიბადე. თექვსმეტი წლის ბიჭვით ვფსამ, ბოდიში თქვენთან მომიტხოვია. ჩემი გადამრჩენელი თქვენ ხართ. თქვენს პატივისცემას ვერ გადავიხდი. ერთი შეკითხვა მაქვს; ბევრია ასე ჩემსავით გაქირვებული და გამოუშვა თქვენთან? კაი ხალხია, უპატივცემულოდ არ დაგტოვებენ.

ბოლო წინადადებას გაჭრა. ცდუნება დიდი იყო, მაგრამ საუბედუროდ ხეზემქერელს მონღოლური რეცეპტი უკვე აღარ ახსოვდა. გამოსავალი მაინც იპოვა, საწერ-კალამი მოიმარჯვა და ყოფილ პაციენტს ჰკითხა:

- რამდენიმე რეცეპტი ჩამაწერინეს მონღოლეთში, თქვენ რომელი გითხარით?

- ათი ცალი ნაძვის გირჩი, ნახევარი კილო გათლილი კარტოფილი და ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი უნდა ადუღო ერთი საათით.

- რამდენ წყალზე?

- სამ ლიტრზე.

- კარტოფილი ძველი თუ ახალი?

- ეგ არ გითქვამთ. ისე მე ძველს ვხმარობდი.

- რამდენი უნდა დალიოთ-მეთქი?

- ღვინის ჭიქით, ღღეში სამჯერ - აქ საბანადემ მონღოლური წამლის ოსტატს, ცოტა არ იყოს საეჭვოდ გახედა.

ვალიკომ ყველაფერი დაწვრილებით ჩაიწერა და გამომშვიდობებისას გიტარის სპეციალისტს წაჩარად, შეთქმულებით უთხრა:

- ვინც ძალიან გთხოვს, გამოუშვი, ისე, ბევრი მაწუხებს უკვე და ჩემს მთავარ საქმეს (ხეზე ჭრას გულისხმობდა) ვცდები.

რაკი ფინალის ბილიკზე გაიყვანე, აწი თავადაც მიხვდება პატივცემული მკითხველი, რომ შარდის შეკავების

წინააღმდეგ ბრძოლის „მონღოლური“ მეთოდი თბილისში უაღრესად პოპულარული გახდა. ვალიკო სალდაძის სახლთან რიგი არ წყდებოდა. გაზეთებში ცნობა-ცნობაზე იბეჭდებოდა იმის შესახებ, რომ ქართველმა თვითნასწავლმა ექიმმა სტაჟირება მონღოლეთის სახალხო მედიცინის ცენტრში გაიარა და ქართულ-მონღოლური მკურნალობის მეთოდთა შერწყმით შექმნა მსოფლიოში უნიკალური სისტემა შარდსასქესო გზების და წინამდებარე ჭირკვალის ანთების მკურნალობისა. სალდაძემ მიღების საათები დააწესა, ხოლო გასამრჯელოს, ტყუილს ვერ ვიტყვი, თვითონ არ ეუბნებოდა პაციენტს, რამდენიც გიღირთ და რა საშუალებაც გაქვთ, იმდენი დატოვეთო. საერთოდ ნუ ჩქარობთ გადახდას, წაბრძანდით, იმკურნალეთ, თუ გიშველათ ჩემმა წამალმა და მერე თუ გაგახსენდით, მინახულეთ. თუ არ მინახულვით, შემდეგი ტელეფონით მაინც შემეტყუბინეთო.

ეს უკანასკნელი ფრაზა-დანამუსება უფრო ჭრიდა. დიეტას და ფეხით სიარულს (ვერც გრძელ ნიფხავს გამოვრიცხავთ) თავისი გაჰქონდა. ორ თვეში ყელაზე მომჭირნე მფსმელიც კი ცოტაოდენ შევბას მაინც გრძნობდა. ვინ იცის, იქნებ გირჩ-კარტოფილ-ასკილის ნახარშიც რაღაცაში ეხმარებოდა. მერე რა, რომ ეს „უეზბარი რეცეპტი“ ხეოს-ტატმა თვითმფრინავში სახელდახელოდ მოიფიქრა. განა გენიალური აღმოჩენებიც ზოგჯერ ასე ნაუცბათევად, შემთხვევით არ კეთდება და ზოგჯერ, ვალიკო სალდაძეზე უფრო უბრალო ადამიანების მიერ?

გავიდა სამი შინაარსიანი წელი. ვალიკოს სახელი და დიდება თვითონ-თვემდე იზრდებოდა. პროკურატურის, რადიო-ტელევიზიის და არასექსუალური გაზეთების მუშაკებს თვითნასწავლი ექიმი უფასოდ მკურნალობდა. სამაგიეროდ, ჟურნალისტები თვითონვე სცემდნენ

გამანადგურებელ პასუხს მოშურნე მეცნიერ-სპეციალისტის - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის (დოქტორები არაპროფესიონალურ კამათში არ ებმებიან. სახალხო მედიცინის წარმომადგენელთა მიღწევებზე ისინი დიდსულოვნად, მაგრამ ცოტა არ იყოს, ირონიულად ილიმებიან) გამოხდომებს სათაურით „ექვს იწვევს“. ვალიკოს დამცველ ჟურნალისტებს წერა დოცენტებზე უკეთესად ეხერხებოდათ, ხოლო მოწინააღმდეგის გასაბიჯრუებლად რკინის არგუმენტები ჰქონდათ: ალაპარაკებდნენ ორსამ განკურნებულს. მე შენ გეტყვი და გულისამაყულებელი ლაპარაკი არ იციან მორჩენილებმა. კაცი გვდებოდიო. შარდი კატეტრით გამოქონდაო. არ დამიტოვებია, თუ სადმე იყო გამოჩენილი უროლოგ-პროფესორიო. ორჯერ საქველმოქმედო საზოგადოება „პედაგოგის“ დასპონსორებით საზღვარგარეთის კლინიკებშიც ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. რაც სალდაძის წამლის სმი დავიწყე თითქოსდა, ახლად დავიბადეო. ებრძვით ყველას, ახალბედა ავადმყოფსაც და იმასაც, ვისაც ასე, ჩემსავით, თქვენი წონა ფული გაქვთ გადაყრილი წამლებშიო, მიაკითხეთ ბატონ ვალიკოს, არ გადადოთ ეს საქმეო.

ზემოთ, დაახლოებით ოცდასამი სტრიქონის წინ, ნოველის ავტორს უნდა ეთქვა, რომ ვალიკომ ქურთის ქალი („ლაბორანტს“ ეძახდა) დაიქირავა და წამალს ამზადებინებდა. მზა წამალი ფსიქოლოგიურად მომზადებულ ავადმყოფზე მაგიურად მოქმედებდა. რაც შეეხება ქურთის ქალს, პატრიოტ სალდაძეს, იგი ეროვნული ნიშნის მიხედვით არ შეურჩევია. უბრალოდ, ქურთი ქალბატონი ნაკლებად პრეტენზიული იყო და გასამრჩელოსაც მოკრძალებულს ჯერდებოდა.

სახელგანთქმულ სახალხო მკურნალს ხეზე ჭრა თითქმის მიავიწყდა. ხელოვნებას

ველარ სწყალობდა. არ გამბილობთ და ხანდახან მინის ხუფის ქვეშ დაღაგებულ ხეზემკვეთ ხელსაწყოებს რომ გადახედავდა, მისდაუნებურად გაიფიქრებდა: რა სულელი ვიყავი, რაზე ვიგლეჯავდი თითებს, იმას დევქცა ოჯახი, ვინც მე ხეზე ჭრა მირჩია, ვის უნდა ცოტნე დადიანი ახლაო. რა დრო მაქვს გაცდენილი. მომეცია თავიდან ექიმობისთვის ხელი. რამდენი ავადმყოფი მეყოლებოდა აქამდე მორჩენილიო.

სამი წლის თავზე ვალიკო სალდაძემ ისევ მიიღო მონღოლეთიდან მიწვევა. გულუბრყვილო მკითხველის გაოცებული სახე დამანახა ნეტავ, როცა შეიტყობს, რომ ულან-ბატორის ბიენალზე სალდაძეს როგორც მკურნალს კი არა, კვლავ როგორც ხეზე ჭრის ოსტატს უხმობდნენ.

საერთოდ ასე ხდება. ერთხელ რომ მოხვდები მსოფლიო ფორუმზე, თუ პირველ მოწვევაზე რამე არ დააშავე, გიწვევენ და გიწვევენ ყოველ მესამე წელიწადს, თანაც ყოველ სიმპოზიუმზე ლაურეატის წოდებით, სიგელით და სამახსოვრო საჩუქრით გაცილდოვებენ. ხომ წაგვიკითხავთ, მავანი და მავანი გახლავთ პირველი, მეორე და მესამე მსოფლიო ფესტივალების ლაურეატიო.

გრიალით ჩაიარა ამჯერადაც ხეზემჭრელთა მსოფლიო ბიენალემ. ცოტნე დადიანის ხებარიელიეფზე ისევ იმ მონღოლმა ხეხელოვნებამცოდნემ ილაპარაკა და, როგორ დავუჯარგავ, ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა, თითქოს პირველად ხედავდა.

ლაურეატის დიპლომები და ულამაზესი მონღურ-ტიბეტური კიმონო რომ მოახუროს, ვალიკო სალდაძემ ფორუმის ავტორიტეტულ ჟიურის მაღლობა გადაუხადა ქართული სახეზემჭრელო სკოლის მიღწევათა ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

ოფიციალურ ბანკეტამდე სამი საათი რჩებოდა. ახალბედა ლაურეატები

საყიდლებზე გაიქც-გამოიქცნენ, ვალიკო სასტუმროს ფოიეში ყავას შეექცეოდა. იცოდა სალდაძემ, რომ მონღოლეთში კი არა, ალექსანდრიის ბაზარზეც არ იპოვება ისეთი რამ ისნის და ლილოს ბაზრობაზე რომ ვერ იშოვი.

სანამ ყავის ფინჯანს ლამბაქზე გადააბირკვავებდა, ხეზე ჭრის ფესტივალის ორგზის ლაურეატმა თარჯიმანს პკითხა:

- რა მაგის პასუხია და აქ, ულან-ბატორში სახალხო მედიცინის ცენტრი თუ არისო.

მერე როგორიო, გაუღიმა თავაზიანმა მასპინძელმა, მონღოლური სახალხო მედიცინა მსოფლიოში ცნობილიაო.

თუ არ შეწუხდები და შორს არ არის, იქნებ წამიყვანო. მეგობარმა შარდის შეკალების ხალხური წამალი დამაბარა და იქნებ გავუგოვო.

წავიდნენ.

ულან-ბატორში უდაბნოს თბილი, მაგრამ ქვიშაგარეული ქარი ქროდა.

ზეგნებიდან ქარს მშობლიური, ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი იურტების და ცხვრის სუნი მოჰქონდა.

ხალხური მედიცინის ცენტრი სართულნახევრიან, უფანჯრო გრძელ შენობაში გახლდათ მოთავსებული.

თქვენ აქ დამელოდეთო, თარჯიმანმა და ყვითლად განათებულ დერეფანში გაუჩინარდა...

ვალიკო დოლის მსგავს მონღოლურ სკამზე ჩამოჯდა.

ირგვლივ ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და პუტუნებდნენ. სახალხო მკურნალებიც და ავადმყოფებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

თარჯიმანი ჩქარა დაბრუნდა. ცოტა არ იყოს დარცხვენილი ჩანდა.

როგორც იქნა მივაკვლიე შარდ-გაშვების განყოფილებასო. სამწუხაროდ, კონსულტაცია-რეცეპტი ფასიანი ყოფილაო.

რაზეა ლაპარაკიო, ვალიკომ, ფული

მაქვს, გადავიხდი, გამიძეხიო.

ორიოდე წუთის შემდეგ გრძელ-ხალათიანი, ჩალმიანი, თხისწვერება მონღოლის წინ იდგნენ.

ვიცი, ვიციო, სიტყვა შეაწყვეტინა დამხედურმა, ამ კაცმა (თარჯიმანზე ანიშნა) ყველაფერი მითხრაო. თქვენ რომ უძველესი და უნიკალური რეცეპტი გჭირდებათ, 150 დრაჰკანი ღირსო, გნებავთ, დოლარით გადამიხადეთო.

ვალიკოს, რა თქმა უნდა, ეძვირა, მაგრამ უკან ხომ არ დაიხედდა.

ფული გადაიხადა და კუთხეში დოლ-სკამზე ჩამოჯდა.

მონღოლური სახალხო მედიცინის ლომმა უზარმაზარი წიგნი გადმოიღო და დიდხანს, ბუტბუტით, წვერტუჩის ცანცარ-ცმატუნით წერდა.

ბოლოს, როგორც იქნა მორჩა წერას, ქაღალდი მრგვალად დაახვია, აბრეშუმის ძაფით შეკრა და ვალიკოს გაუწოდა.

სტუმარმა ხელი ღონივრად ჩამოართვა და მადლობის ნიშნად ქართლის დედის გამოსახულებიანი მედალიონი აჩუქა.

სასტუმროში რომ მობრუნდნენ ვალიკო სალდაძემ ძვირფასი რეცეპტი გაშალა.

ტექსტი რასაკვირველია მონღოლური იყო.

თარჯიმანს სთხოვა, ეთარგმნა და კალამი მოიმარჯვა.

„ათი ცალი ნაძვის გირჩი, ნახევარი კილო გათლილი კარტოფილი“...

სალდაძეს ცივმა ოფლმა დაასხა.

„ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი სამ ლიტრ წყალზე უნდა ადუღო ერთი საათის განმავლობაში“.

- განაგრძობდა თარჯიმანი - რატომ არ იწერთ?

- ვიცი, ვიცი. რომ გაცივდება ღვინის ჭიქით უნდა დალიო ჭამის შემდეგ სამეგრ - მიუფო ვალიკომ და მწარედ გაუღიმა.

სოფი უბეჟაძე სვდა...

ამერიკელ მამაკაცთა უმეტესობას თავზე თმა ღრმად მოხუცობამდე უნარჩუნდებოდა. აქ ლაპარაკია ძირითადად თეთრკანიანებზე, თორემ ზანგებს თმა საერთოდ არ სცვივათ. ყოველ შემთხვევაში ამ ნოველის საკმაოდ ნაგაფ ავტორს მელოტი ზანგი ჯერ არ შეხვედრია. უფრო მეტიც, დადგენილია, რომ ამერიკელი მამაკაცები (ისევე თეთრკანიანებზეა ლაპარაკი) თმას ჩვეულებრივად მარჯვნიდან მარცხნივ ივარცხნიან. ზანგის თვითნაბადი, ხუჭუჭა თმა კი, მოგვხსენებთ, ვარცხნას საერთოდ არ ემორჩილება.

ეს, ჩვენ, ზოგიერთის აზრით, ნოველისათვის სრულიად ზედმეტი შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რომ მკითხველისათვის აშკარად და დაუფარავად გვეთქვას (თუმცა გამოვრიცხავ რომ თვითონაც სცოდნოდა), ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრს, ქრისტიანულ დემოკრატიული პარტიის წევრს, ყოფილ სენატორის ჯორჯ ოპარუზს ჭერა, თვინიერი თმა მარცხნიდან მარჯვნივ ჰქონდა გადავარცხნილი და თუმცა ამას ჩასაგნებული ცნობისმოყვარე ჟურნალისტების გარდა თითქმის ვერავინ ამჩნევდა, მინისტრი გულის სიღრმეში ამაყობდა კიდევ თავისი ორიგინალური ვარცხნილობით.

დილის თერთმეტი საათი იყო.

ვაშინგტონს უღრუბლო, ბაციფერი ცა დაჰყურებდა...

ენერგეტიკის სამინისტროს ორსართულნახევრიანი, აგურიმიტა-ციისგან ნაგები სახლის შესასვლელთან ორი უზარმაზარი პოლიციელი ბოლთას სცემდა.

პოლიციელები თითქმის არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ვაშინგტონის

„ვოტ სტარის“ („თეთრი ვარსკვლავი“) ქუჩაზე საქმიანი მოწყნელობა სუფევდა.

მინისტრის კაბინეტში მაგიდას ორნი უსხდნენ.

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ფირმა „ჩინჯის“ მენეჯერი ხმელ-ხმელი, მაღალკბილება, ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი მაიკლ ბრაუნი სანამ ამ კაბინეტის ზღრუბლს გადმოა-ბიჯებდა, მთელი ორი დღე ამაოდ იმტვრევდა თავს იმის გამოსაცნობად, თუ რისთვის დაბარეს იგი მთავრობაში საერთოდ და ენერგეტიკის სამინისტროში კერძოდ.

- საქართველო თუ გაგიგონიათ, სერ? გეოგრაფიის მასწავლებელივით აჯახა მინისტრმა მოსულს, იმის შემდეგ, რაც ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობა მიიკითხ-მოიკითხეს და გაზაფხულის წვიმებზეც საკმაოდ ისაუბრეს.

- თუ არ ვცდები, სადღაც რუსეთში უნდა იყოს, - მიუგო ბრაუნმა, თუმცა მთლად კარგად არ იყო დარწმუნებული, საქართველო შუაგულ რუსეთში იყო, თუ ცენტრალური აზიის მეზობლად, სადღაც ყაზახეთსა და თურქმენეთს შორის.

- მართალი ხართ, პოსტსაბჭოური ქვეყანაა. კავკასიაში მდებარეობს, - მინისტრმა ჯერ კიდევ დაუშლელი საბჭოთა კავშირის რუკაზე კავკასია შემოხაზა.

მაიკლი კიდევ უფრო დაიბნა. რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა შორეულ საქართველოს მასთან, ენერგოლოგიების გამართვაზე დასაპეცებული ფირმა „ჩინჯის“ მენეჯერთან.

- თქვენ, როგორც მითხრეს, დაბალგანვითარებულ ქვეყნებთან მუშაობის გამოცდილება გაქვთ, - განაგრძო მინისტრმა.

- თითქმის არავითარი, სერ. ეგ არის,

შარშან სამი თვით ტანძანიაში გახლდით.

- აი, რა მისტერ ბრაუნ, სახელმწიფო დავალებაა - საქართველოში უნდა წაბრძანდეთ.

- მე ხომ სახელმწიფო მოხელე არა ვარ, სერ.

- მაგრამ ამერიკის მოქალაქე ხართ და სამშობლოს ინტერესები თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს.

- მერე და რა უნდა ვაკეთო საქართველოში?

- ნუ ჩქარობთ, კარგად დამიგდეთ ყური.

რუსეთის იმპერიის დანგრევა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა. სახსრებმოშლილი ძირსგართხმული ურჩხული წამოდგომას ცდილობს. ახლა მთავარია, უკანსაენელი საყრდენებიც გამოვაცალოთ. ამ თვალსაზრისით კავკასია, კავკასიაში კი საქართველო, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია. რვა წელია ეცდილობთ საქართველოს გადმოხრებას, უამრავი ფულიც დავხარჯეთ დახმარების სახით, მაგრამ ხალხის ნდობა ბოლომდე მაინც ვერ მოვიპოვეთ. ესეც არ იყოს, რუსოფილური ძალებიც აშკარად მოქმედებენ და ჭერჭერობით საკმაო გავლენაც აქვთ. ახლა გადაწყვეტით ისეთ სფეროებზე გავიდეთ, ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა რომა აქვთ. მათ შორის უპირველესია ელექტროგანათება. მოგეხსენება, საქართველოს მთავრობის, უჭკუო დილეტანტური საქმიანობის გამო ქვეყანა ღრმა კრიზისში მოიცვა. ილაჭგაწყვეტილი ქართველები ყველაფერს ჰყდიან. მათ შორის თბილისის (თბილისი კი მოსახლეობით ლამის ნახევარი საქართველოა) ენერგოსისტემასაც, რომელსაც „თელასი“ ჰქვია. თქვენმა ფირმამ უნდა შეისყიდოს „თელასი“, დანარჩენი ტექნიკის საქმეა.

- ჯერ ერთი, ჩემს ფირმას საამისო სახსრები არ გააჩნია და მეორეც, მაპატიეთ სერ, მთლად კარგად როდი მესმის ჩემი ფუნქცია.

- გიმეორებთ, ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებაა და, შესაბამისად, ფულად დახმარებასაც ჩვენ გავიწევთ. ჩაზვალთ საქართველოში, შეისყიდით „თელასი“. გამართავთ ელექტროსისტემას. ფულის საქმე არ არის? გააჩაზაზხებთ საქართველოს დედაქალაქს. მუდმივად, ოცდაოთხი საათით მისცემთ დენს თბილისს და ეს იქნება ყველაზე თვალსაჩინო პროპაგანდა ჩვენ სასარგებლოდ. მოქალაქენი სამუდამოდ ირწმუნებენ ამერიკის ძალას. დაინახვენ რა, რისი მიცემა შეგვიძლია ჩვენ მათთვის, ერთბაშად ზურგს შეაქცევენ ვახტანგ გოგუაძეს და ამერიკისკენ შემობრუნდებიან. ამით, გარწმუნებთ, ისტორიულ საქმეს გავაკეთებთ, რუსის ზიშტიო დამონებული კავკასიიდან იმპერიამ ფეხი რომ სამუდამოდ ამოიკვეთოს.

მაიკლს სურდა რამდენიმე ორგანიზაციული ხასიათის შეკითხვა მიეცა მინისტრისათვის, მაგრამ მასში გაიღვიძა დიდი ხნის წინათ ამერიკის სამოქალაქო ომის მონაწილე მისი დიდი პაპის - ძია სემის სისხლმა, წამოდგა და მასპინძელს თანხმობის ნიშნად ისე პათეტიურად ჩამოართვა ხელი, როგორც ერთ ღროს აღმირალმა ნელსონმა ბრიტანეთის მეფეს.

•

თბილისი ამერიკული კომპანია „ჩეინჯის“ მენეჯერს საკმაოზე მეტად მზიარულ, და, რაც მისთვის სრულიად მოულოდნელი გახლდათ, არც თუ ღარიბ ქალაქად მოეჩვენა.

ქუჩებში ფეშენებლური, ულტრა-მოდური მანქანები დაჰქროდნენ და მაღალფეხება, შვლისთვალება, ულამაზესი გოგონები დააბიჯებდნენ.

მალაზიები გაჭედილი იყო მოქალაქეებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ თბილისი მჭიდვარე სავაჭრო ცხოვრებით ცხოვრობდა.

რესტორნებში წყნარად ისხდნენ სუფრის ტრადიციული რიტუალისაგან გათანგულ-გადაღლილი, თვალმუცისხლიანებული, საშუალოდ ასკილოიანი, ღიბოსანი მამაკაცები და ოხვრა-კვნესით სვამდნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის სადღეგრძელოს.

თელასის დირექტორთან მოლაპარაკება ნელა, მაგრამ დრამატულად მიმდინარეობდა.

მასპინძლები აღიარებდნენ, რომ „თელასის“ გაყიდვა მათ საბედისწერო უსახსრობამ გადააწყვეტინათ და სხვა გზა რომ ჰქონოდათ ამას არ ჩაიდნდნენ. ასევე არ მალავდნენ, რომ დღე დღეზე შეიძლებოდა ბნელში მსხდომი ადამიანების რისხვა დასტეხოდათ თავს, მაგრამ მენეჯერს უცნაურ პირობას უდებდნენ: კი ბატონო, გვიყიდვინვენ ინვენტარ-შტატებიანად, მაგრამ თვითმართველობას ნუ წაგვართმევ და კონტროლის უფლება დავგიტოვებო.

მაიკლს თავიდან ეგონა თარჯიმანი ვერ მითარგმნის, ალბათ, სწორად, თორემ ასეთი სულელები როგორ იქნებიან, ფული მე გადავუხადო და უფროს-გამკარგულებლად თვითონვე დარჩენო.

ბოლოს ორკვირიანი ვაჭრობა-დებატების შემდეგ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

მაიკლ ბრაუნმა ოცდახუთ მილიონ დოლარად შეიძინა „თელასი“ თავისი ყოველ ოცმეტრში ანაბეთქებგადაბმული კაბელებით, სამკერ დამწვარ-შერემონტებული ტრანსფორმატორებით, გაურკვეველი პროფესიის მონტიორ-დისპლეერებით, გადახდისუუნარო, მაგრამ ამაყი მომხმარებლებით და ტროლეი-

ბუსების კაბელებზე დაკიდებული, ფანჯრებიდან გამოსხივებული უთვალავი მავთულით ჩიკაგოს ცნობილი ხანძრის მსგავსი სტიქიის დაბადების უკიდვანო საშუალებას რომ იძლეოდა.

გადაიხადა „ჩეინჯმა“ ოცდახუთი მილიონი „თელასში“ და პრესკონფერენციაზე კომპანიის შეფმა ამაყად განაცხადა, ჩვენი ფირმა გარანტიას გაძლევთ, ძვირფასო თბილისელებო, რომ ელექტროგანათების მხრივ შეფერხება ამიერიდან აღარ გექნებათ, ვინძლო სხვა პრობლემები მოიგვაროთ და ენერგო-პრობლემა გადაჭრილად ჩათვალეთ.

ვარდისფერტუჩება ჟურნალისტი გოგონას შეკითხვაზე, რა მოგებას ხედავთ, თბილისის გასანათლებლად თავი რომ გაიგიჟეთ, რისი იმედი გაქვთო, მაიკლი ცოტა არ იყოს შეცბა, მაგრამ ამერიკული თავდაჯერებით უპასუხა: ჩვენ დოლარებს ჰაერში როდი ფვანტავთ, საქართველოს დემოკრატიული მომავლისადმი მოწიწებას რომ თავი გავანებოთ, ამ ქვეყნას დიდი ენერგომომავალი აქვს, ასე ყველაფერი აწონ-დაწონილი გვაქვს; რასაც ჩავდებთ, უახლოეს მომავალში ერთი-ორად ამოვიღებთო.

პრესკონფერენციიდან გამოსულმა ბრაუნმა თვალი ჰკიდა ქუჩის განაპირას მდგომ დემონსტრანტ ქალებს. პირველი პრეზიდენტის მომხრეებს ფაქტიური (მაგრამ უკანონო) ხელისუფლების გადადგომა-დაპატიმრების უწყინარი ლოზუნგები (სხვა დროსაც რომ რამდენჯერმე იხილა ამერიკელმა) ახალი ტრანსპარანტიტ გაემდიდრებინათ: „ამერიკავ, ხელები შორს „თელასისაგან!“

სანამ მაიკლი თავის მანქანამდე მიაღწევდა, დემონსტრანტთა სიახლოვეს სამი შავადგაკრიალებული რაფი-მერსედესი გაჩერდა. მანქანებიდან მეხანძრეთა ტემპით გადმოხტარი

პოლიციელები ქორებივით დააცხრნენ ქალებს და თავ-კისერზე რეზინის ხელკეტების ზაპუნ-ბაზუნით მანქანებში შერეკეს, რათა ჭიუტი მემამოხენი გაურკვეველი მიმართულებით წაეყვანათ და ყაყჩო-გვირილებით მოჩითულ ველზე გაეშვათ დასამშვიდებელ-გასანაზებლად.

დემონსტრანტები სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ პოლიციელთა უპრეტენზიო სამსახურზე, შთამბეჭდავი ხმით ჰკიოდნენ, მანქანის საფხურს გაფშვილ ფეხებს აბჯენდნენ და წყველა-კრულვას უთვლიდნენ არამართო კანონიერ პრეზიდენტის ხელმოფხუტას, არამედ მისი რეჟიმის, უმოწყალო დამცველთა.

ამერიკელი ენერგომენეჯერი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა, რაკილა თბილისის ყველა სასტუმრო რუხის ჭარის მიერ აფხაზეთიდან გამოძევებულ ქართველებს ჰქონდათ დაკავებული.

ლტოლვილებს ყოველდღიურად ატყუებდნენ, ცოტაც მოითმინეთ და როგორც ღირსეულად გამოიქეცით, ისე ამაყად და ღირსეულად დაგაბრუნებთ აფხაზეთში.

მაიკლს უყვირდა, რომ სამასი ათასი ლტოლვილიდან ერთი კაცის გარდა ყველა ტყუვდებოდა. იმ ერთ, ჭიუტ კაცს კი ხელისუფლება ადვილად უვლიდა. ხან „შემთხვევით“ ხელს მოსტეხავდნენ. ხან ზეთის საღებავს დაასხამდნენ თავზე. პოლიციას რასაკვირველია, შეძლო ურჩი ლტოლვილისათვის აკვარელის საღებავიც დაესხა თმებზე, მაგრამ ზეთის საღებავს ამ შემთხვევაში ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ძნელი მოსაშორებელი იყო და სანამ თავის ქალარა თმას ბუნებრივ ფერს დაუბრუნებდა, „ბუნტის თავი“ მორიგი აქციისთვის ვერ მოიცლიდა.

მოტყუებულ-გაცრუებული ლტოლვილები დაღლილი თვალებით იმზირებოდნენ გაპარტახებული

სასტუმროების აივნებიდან. მათი რიცხვი დღითი-დღე მცირდებოდა, მაგრამ მაინც გაცილებით ნელი ტემპით იზოცებოდნენ, ვიდრე ხელისუფლება მოელოდა.

მაიკლი საღამოობით ტელევიზორს უყურებდა. ქართული არ იცოდა და კაცმა რომ თქვას, არც ჭირდებოდა ტელევიზორის ყურებისას. გვიან ღამემდე დედაქალაქის ცისფერ ეკრანზე “ბედნიერი ქართველების” ყურებად პირგახეულ, ღიმილით ამოვსებულ სახეებს და გაუთავებელ ცეკვა-თამაშს უჩვენებდნენ.

ერთხელ კედლებდაბზარულ, უღამაზეს თეატრში ეთნოგრაფიული სპექტაკლი ნახა. სპექტაკლი ფაფახ-ხანჯლებიანი, რომელიდაც ველური ტომის ცხოვრებას ასახავდა. პიესა, ალბათ, ათი საუკუნის წინანდელ ამბავს ეხებოდა, რადგანაც სცენაზე კაციქამიები დაშლივინებდნენ. მხარზე შესმული ერთი ღამაზი გოგო კბილთაღრჭენით გაჰყავ-გამოჰყავდათ სცენაზე და თუ სადმე სამი-ოთხი მწყემს-ველური ერთმანეთს წააწყდებოდა, ჯერ მგლებივით გაქვავდებოდნენ, მერე თითო ნაბიჯით უკან დაიხევდნენ, ავად დაუკვივლებდნენ ერთმანეთს და ყელის გამოსალაღრავად დაერეოდნენ.

კიდევ კარგი, დღევანდელი ქართველები წინაპრებს რომ აღარ ჰგავნაო, შვებით ამოისუნთქა მაიკლ ბრაუნმა, როცა სპექტაკლი დამთავრდა. თუმცა დაძინებით იმ ღამეს ცუდად ეძინა. დროდადრო ხანჯლების ტრიალი და სპექტაკლის ავტორის აზრით, ალბათ, ვაჟკაცური, სინამდვილეში კი ადამიანთა პაპუასური ღრიალი წამოაგდებდა საწოლიდან.

მაიკლი რომელიდაც ეროვნული გმირის ქუჩაზე სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა მეორე სართულზე. თუ უშუქობას და უთბილწყლობას

მხედველობაში არ მივიღებთ, ბინას არა უშავდა რა, ოღონდ ეგ იყო, დიასახლისი, მაიკლის სურვილის საწინააღმდეგოდ, ყოველ საღამოს მოდიოდა, კარებს უბოდიშოდ, დაუკაკუნებლად გააღებდა, გაზქურასა და ონკანებს შეამოწმებდა და, რაც ყველაზე დამამცირებელი იყო, დანა-ჩანგალ-თეფშ-ფინჯანს გულმოდგინედ ითვლიდა. აქაოდა ოკეანისგაღმელმა სტუმარმა ხელს ზომ არ გააყოლა.

ძილის წინ მაიკლი იაპონური ტიპის ტრანზისტორით ამერიკის ახალ ამბებს ისმენდა, იგი ამაყობდა, რომ მის ხალხს ქართველებივით შუქლუკმა არ ჰქონდა ყოველდღიურ სადარბეზლად ჭკეული, რომ ამოდენა სუპერგვეყანა მონიკას უსუფთავეს საწმერთულს ჩაჰკვირ-ჩასჭიქინებოდა და მთავარ პრობლემად ექცია ამერიკის კოხტა პრეზიდენტის ის სრულიად ბუნებრივი გატაცება, რასაც შეიძლება ბილ კლინტონის იმპიჩმენტიც კი მოჰყოლოდა.

მონიკა კი ამასობაში გრძელ, დაწვრილებით ინტერვიუებს იძლეოდა პრეზიდენტის სხეულის ნაწილთა პარამეტრების, მისი გამოცდილების შესაბამისად მტკაველით ჩვენებითაც კი, გამოდიოდა სექსით დაინტერესებული მოქალაქეების მიტინგებზე და პრეზიდენტის ერთგულ ცოლზე უფრო მხიარულ-ბედნიერი ჩანდა.

„თელას“ ოცდახუთი მილიონი რომ გადაუხადა, მაიკლმა საკვყნოდ გამოაცხადა, საახალწლოდ თბილისს „შუქი წამითაც არ შეუწყდებოა, მაგრამ ვაშინგტონში ენერგეტიკის მინისტრს უჩვენეს ხელოვნური თანამგზავრიდან ახალი წლის ღამეს გადაღებული კადრები; თბილისის ერთი მეცხრედი (ვაკე, საბურთალოს მონაკვეთი, კრწანისის რეზიდენცია) განათებული იყო, ზოლო ქალაქის დანარჩენ ნაწილს დინოზავრების

შავი ჩრდილი გადაჰფენოდა.

- რა მოხდა, სერ? რატომ ვერ განათდით?! - საახალწლო მილოცვას მოაყოლა მინისტრმა.

ეს შეკითხვა უფრო საყვედურს ჰგავდა და მაიკლმა ამოიოხრა, ეს დალოცვლები თბილისს იქედან უკეთ ზედავენო.

გავარდა-გამოვარდა მენეჯერი და „თბილსრესს“ მიაღდა.

„თბილსრესმა“ მშვიდად მიუგო, დილაღე ჩვენ არ მივეცით „თელასს“ დენი, რადგანაც „თელასს“ თბილსრესის ვალი აქვსო. გადაიხადოს და მივეცემო.

რამდენი აქვს ვალიო, სათვალე დაეცვარა მაიკლს.

ბეგრი არაა, სულ ასორმოცდაათი მილიონიო, უპასუხეს.

თავზარდაცემულმა მაიკლმა ვაშინგტონში დარეკა.

გადაიხადეთ, ფულს ფაქსით ზვალვო მიიღებთო, დაამიდეს.

მართლაც მეორე დღესვე ჩამოვიდა 150 მილიონი დოლარი და მაიკლმა „თელასის“ ვალი გაასწორა.

თბილისი ნაახალწლევსაც ბნელში იჭდა.

მაიკლი „თბილსრესს“ მიაღდა.

მართალია ვალი გავისტუმრეთ, მაგრამ მეცხრე და მეათე ბლოკები დაიწვა და აღდგენის საშუალება არა გვაქვსო.

რა ექნა აბა, მე ზომ თბილისელებს ამერიკული, ჩენტლმენური პირობა მივეციო.

კაი ერთი თუ ძმა ხარ, რა დროს ჩენტლმენობააო, მშვიდად მიუგეს „თბილსრესში“ ბრაუნს.

როდის შეაკეთებთო, იკითხა სისხლგამშრალმა მენეჯერმა.

როცა ფული გვექნებაო, უპასუხეს.

ეს ყოველივე ამერიკის წინააღმდეგ მიმართული დივერსია ზომ არ არისო? ხმა ჩაუწყდა მაიკლს.

არაო, დამშვიდეს.

რამდენი უნდა რემონტისო?

ორმოცდაათი მილიონი დოლარიო.

მაიკლმა ამერიკას დამატებით ორმოცდაათი მილიონი რომ მოსთხოვა, ენერგეტიკის მინისტრმა ჯორჯ ჰაიუსმა კბილებში გამოსცრა - ეშმაკმა დალაზ-როს, ამდენ ხარჯად არც უღირს ამერიკას ეს პატარა, ჭირვეული საქართველოო, მაგრამ ფულის გაგზავნის განკარგულება მაინც გასცა.

დაყარეს ამერიკული დოლარები „თბილსრესს“, შეაკეთეს და გაუშვეს მეცხრე-მეათე ბლოკები.

რომ ეგონა მაიკლს, ახლა კი ოცდაოთხი საათით გავანათე დედაქალაქიო, თქვენ არ მომიკვდით, თბილისის ერთი მერვედი (ვაკის, საბურთალოს ნაწილის, სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიის და კრწანისის რეზიდენციის გარდა) ისევ საიმედოდ იყო ჩაბნელებული.

რა მოხდაო?! შეჰბღავლა მთელი ღამის უძინარმა მაიკლმა „თბილსრესს“.

იმდენ ენერგიას ვერ ვიმუშავებთ, რომ მთელი თბილისის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთო, აცნობეს.

რაკი ასეა, იმპორტს მივმართავ, თურქეთის, ან სპარსეთის დენს შევიძენო, უკანასკნელ ხავსს ჩაებლაუქა მაიკლი.

ელექტროენერგიის იმპორტზე საქართველოს სათხოვნიერებების სამინისტრომ ამერიკელ მენეჯერს პატრიოტული მოსაზრებით უარი უთხრა - ჩვენ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვართ და რა გვჭირს, ღმერთო კი მომკალი, ენგურჭესის პატრონებს, უწყლო თურქეთ-სპარსეთისგან დენის საყიდო.

მაიკლმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და რუსეთ-თურქეთისაგან იმდენი ელექტროენერგია შეისყიდა, რომ მარტო

თბილისს კი არა რუსთავს, მცხეთას და გარდაზნის ქართულ ნახევარსაც გაანათებდა.

როცა იმპორტული დენისათვის ამერიკამ დამატებით 50 მილიონი დოლარი გადმორიცხა, ენერგეტიკის მინისტრმა მაიკლი სასტიკად გააფრთხილა - მეტს კაპიკს ვეღარ მიიღებთ სერ, სამინისტრო გაკოტრების მიჯნაზეა, შეიძლება ორივეს პასუხი გვაგებინონ ამერიკის ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვისათვისო.

მაიკლს თურმე კიდევ ერთი ჯოჯოხეთის კარი უნდა გაეგლო.

თბილისის ერთ მეშვიდედზე ისევ ბნელოდა.

გაცოფებამდე ცოტა აკლდა ამერიკელს. იგი თავისი „ჩიპით“ სადისპეტჩეროდან სადისპეტჩეროში გარბოდა.

როცა კარებში მაიკლი გამოჩნდებოდა, ჩართავდნენ შუქს, გავიდოდა და გამორთავდნენ.

ბოლოს ერთმა მთვრალმა დისპეტჩერმა აუხსნა: ეს თბილისია, ზატონო, ლოს-ანჯელესი არ არის. ჩვენ დისპეტჩერები ვართ. თუ მთელს ქალაქს დინი ერთბაშად მიგვცით, ზომ შეგვჭამა მოწყენილობამ და ზომ დაგვეხოცა ცოლ-შვილი შიმშილით.

გამოვრთავთ სინათლეს, მოვა კაცი და შეგვეხვეწება, სიღერძი მყავს გარდაცვლილი, პანაშვიდებს ნუ ჩამიშლით, ნუ დამლუპავთო კაცსო. ჩვენ ჯერ სიღერძის გარდაცვალების მიზეზს გამოვკითხავთ, მერე კი დაუშვებლად ვეტყვით, სასიცოცხლო ობიექტებს გამოვრთავთ და შენს სახლს გავანათებთ, ამისთვის კი ამდენი და ამდენი უნდა გადაგვიხადო. თუ გადაგვიხდის, ექნება შუქი თუ იძუნწებს, მოუწევს ბნელში სიღერძის ტირილი. თქვენ კი გვეუბნებით

დენი დღედაღამ არ გამოართოთო. ხომ ვიქცევით ჭოტებად, ხომ დაგვრია ხელი სევდამ. მტერი იჭდა რვა საათს „უგამარჯობოდ“ და უსტუმროდ.

თარგიმანმა დაახლოებით აუხსნა მთვრალი დისპეტჩერის ნათქვამი, მაგრამ მეორე დღეს მაიკლმა ვაშინგტონს ვერაფრით გააგებინა, რა ხდებოდა საქართველოს დედაქალაქში.

- არ მესმის... რაო?! დენი აქვს და საკუთარ ქალაქს არ ანათებენ?... რას ბოდავთ, რა სიდედრი... სიდედრს სახლში რა უნდა... თქვენ სიცხე ხომ არა გაქვთ! - ჩაჰყვიროდა ყურმილს მინისტრი.

ბოლოს ერთბაშად გაიშმა, „შუბლზე ოფლი შეიწმინდა და ფირმა „ჩეინჯის“ პრეზიდენტს კატეგორიულად უბრძანა:

- მიატოვეთ ყველაფერი და ზვალვ დაბრუნდით ვაშინგტონში. მისის ოლბრაიტს ყველაფერს მე თვითონ ავუხსნი!

•

თვითმფრინავი ბეტონის ბილიკს რომ მოწყდა და მარჯვნივ შებრუნდა, მაიკლ ბრაუნმა ილუმინატორიდან ქალაქს ჩახედა.

თბილისი კვლავ ალაგ-ალაგ იყო განათებული და, კაცმა რომ თქვას, გორგასლის ქალაქს თითქოს უხდებოდა კიდევ ნაწილ-ნაწილ განათება.

მაიკლმა ამოიხვნეშა და მალა, ღილაკს, საიდნაც სინათლის ჩქერი პირდაპირ შუბლზე ურტყამდა, ცერა თითი მიაკირა.

საქსუალური მოთხრობა

მარტის მეორე კვირაა.

ოდენ ტყემალი, სულსწრაფი და მოუთმენელი ტყემალი ირთვება ისე თეთრად, რომ ხეთა ჩონჩხების ფონზე კირშეფრქვეული გეგონებათ.

ცისფრად შეღებილ ჭიშკართან მოკლესახელობიანი ხალათმოსხმული მკერდსავსე და მკლავსავსე, თმახშირი ქალი საქმიანობს.

უკან, აგურის სვეტებიანი ოდის ქვეშ, დაბალკისერა, მელოტი, ოთხკუთხედი კაცი შემას ჩეხავს.

იქვე, კორკიმელთან, ბერეტიან-პლაშიანი, მსხვიანაწნავა გოგო შეაყურება ლეკვს ეთამაშება. მოკიდებს დრუნჩ-ლაშებზე ხელს, დაქაჩავს და თავს ცხვირ-პირს მიუახლოვებს რაღაცნაირად, ვნებიანად. ისე ღონივრად მოიმწყდევს ლეკვის თავდრუნჩს ხელში, რომ ლეკვს ტკივა და წკმუტუნს იწყებს.

- მომშორდი ახლა, წაი, ყურშია მოსასპობო, - ეტყვის ქალი და ნაზად

გასწევს ლეკვის თავს განზე. მაგრამ ყურში წასვლას არ აპირებს, ისევ მობრუნდება და შეაჩერდება გოგოს. ეტყობა, ქუჩაში ხეტიანს ბერეტიანის მიერ სველ დრუნჩზე ხელის მოთათუნება და თუნდაც ტკივილიანი მომუქვა ურჩევნია.

- წაი ახლა, წაი თქვა, გაილახები, ყურშია სულელი.

ისლისთმება, მკერდსავსე ქალმა შარშანდელი ქაცი მიახვეტა და ლეკვთან მოთამაშეს შეხედა.

- შენ სამსახური არ გაქვს, გოგო, დღეის? წამევიდა შუადღე.

- სამსახური თვარა, ბევრს ვაკეთებთ იქნა. მაინც პირველი მივალ.

- რაში გაძლევენ ხელფასს.

- ხელფასს თვარა... თერთმეტი ლარი მაქვს და მეოთხე თვეა, არ ამიღია ისიც.

- ან იმ თერთმეტ ლარს რაში გაძლევენ. ტყვილად ზიხართ.

- რასაც მაძლევენ, იმისას ქე ვმუშაობ. ვარესი ეკუთვნის ამ მთავრობას.

- წადი, გოგო, წადი, ნუ დაახიე მაგ ლეკვს ყურები.

გოგომ ღიმილით ამოიხედა.

- ისე, შენ, ზაირა, ქე გამოგიზაფხულებია. არ გეშინია გაცივების?

- გაცივების კი არა, მცხელა შე ქალო.

- მე, აბა, ხელათ ვიცი გაცივება. მოკლესახელობით რომ გამევიდე ასე, შენსავით, მღვდელი ზიარებას ვერ მომისწრებს.

- გაინძერი პატარა და არ შეგცივდება.

- განძრევა მაკლია? შენ ახლა ადექი და მე ერთი პირი ბაზარი შევიარე უკვე.

- ვერ ააგდებ შენს კაცს ზეზე? ვერ წავა ბაზარში? წვევ მუშაობით იკლავდეს თავს.

- იმას ახლა ძინავს. არც გოუგია მეველი, წვეველი...

- შენი სახლში მაინც არი.

- ზვარათერი მოუწერია?

- გაგიგონია? ჟორჟოლიანის ბიჭს რომ დააბარა, კარგად ვარო, იმის მერე არ ვიცი არაფერი.

- ფულს მაინც გიგზავნის, რაც მთავარია.

- რა ფულს გიგზავნის, თუ და ხარ. მაგდენს აქნა ვერ გააკეთებდა? რა ჯანდაბა უნდა რუსეთში.

- კიჭოია ხო დაგიტოვა შეშის დამჩეხავად, რაღა გინდა მეტი. შეხედე, რავარი მონღოლებით ჩეხავს.

- კიჭოია მაგან კი არ დამიტოვა, მე მევიყვანე ბაზრიდან, მოდი, კვირაში ერთხელ დამიჩეხე შეშა, წყალი მომიზიდე და საჭმელს გაჭმევ, მე ვუთხარი.

- მერე ხო დადის, ხო გიჯერებს.

- ჩეხვა ქე იცის, ვირივითაა, მარა დოუბნია გამჩენმა ჭკუა, დეიკარგება ოცი დღე და მერე გამოჩნდება ახალ მთვარესავით.

- ე ბროლივით წვივ-მკერდი რომ

გამოფინე ამ გამოზაფხულზე, ასე შილიფად რომ ოუვლ-ჩოუვლი კიჭოიას, არ გეშინია? შეხედე, რავა იყურება.

- გაღაშენდი იქით, რავარი თქმა იცი, შე მოსასპობო. კიჭოია მაკლია ახლა.

- ნახე, რავა მორგევიტა აქვს კისერი.

- შენ რო იცოდე, რა არი, ნაკლები რო იქნება ადამიანიშვილი. ცოტა ლენჩი როა, ამიტომ კაცი თუა, კი არ მგონია. რავარც კაცს, კი არ ვუყურებ, ხომ იცი შენ. ხანდახან წყალი ამეიტანე ორი ვედრით თქვა, რო ვეტყვი, სანამ წყალს ამეიტანდეს, გვეხდი საგარიო ტანსაცმელს და ხალათს მევისხამ. ღილის შეკვრაც ქე მავიწყდება ქვევით, ხანდახან. დგას მუნჯივით და მიყურებს.

- არ გეუბნება არაფერს?

- მეტყვის და ქე დევმზობა ის ვედრო თავზე. ხანდახან ამეიხენეშებს, ეგაა და ეგ.

- ჰოდა, მაგ ამოხენეშაა საშიში, მითქვია მე შენთვის.

- დეილუპე საცბა. შენ გაგირიგებ, თუ გინდა.

- მე რათ მინდა. ერთი მაგნაირი ძონძი ქე მიგდია სახლში. შენ გაირიგე. შენ გიჩეხავს შეშას, მე კი არა. ისე რას ვტიჭრობდი ამასწინათ, ხო იცი შენ?

- რას?

- ქალთან თუ იქნება, ნეტავი, კიჭოია ნამყოფი.

- რა ვიცი. მაგი მაღარდე ახლა.

- იქნება, იქნება. მოძებნიდა ვინცხას მისნაირ უბედურს.

- შეიძლება არცაა, შენ რომ იცოდე.

- მაგი იმნაირ თვალეში იხედება, არ შეიძლება არ ენახოს ქალი, მე შენ გელაპარაკები, ე, ნახე რავარი შემოგხედა?

- მე კი არა, შენ გიყურებს.

- ნუ ისაწყლებ თავს, იცი შენ, ვისაც უყურებს კიჭოია დამშეული თვალეებით.

- წადი ახლა, წაი შენს გზაზე.

- წავალ მარა, შენ მეგეცა კიჭოიას ცოდვა.

- გაგიხმა ენა ძირში. კიჭოიას თუ გეიმეტებ ჩემთვის თვარა.

- კიჭოია უძახე შენ. ნახე, რავარი ქშინავს და რავა ბუღასავით აქვს კისერი.

- შენ მისპე მაინცდამაინც, რავარი ენა გაქვს, წაი ახლა, წაი.

ბერეტიანი მეზობლის ქალი ნელა, ტანის რხევით გაუყუა ნინოშვილის ქუჩას.

ისლისთმება ქალმა ჭიშკარი დაკეტა და შემობრუნდა. ცოცხი და აჭანდაზი კიბესთან მიაგდო.

- კიჭო!

კიჭომ მალლა შემართული ნაჯახი დაუშვა.

- ცოტა მსხვილად დაჩხვითქვა, რამდენჯერ გითხარი. ხელათ იწვება წვრილად დაჩხილი. რომ მორჩები მაგას, ეიტანე ზევით და ფეხთან დააწვე... გესმის შენ? რას მომჩერებიხარ, კიჭოია თვალდასავსებო... სარი ხვარ გადაყლაპე... რამდენჯერ გითხარი, არ მიყვარს მასე მომტერებათქვა... არ გესმის შენ, კიჭოია? გეილახები იცოდე, კიჭოია... მაგას უყურე, მაგას, თვარა დეირტყამ ნაჯახს ფეხზე... რომ მორჩები, ამეიტანე შეშა ზევით და დააწვე ფეხთან. არა, არა, ღღეს ვერ ხარ ჭკუაზე, იყოს ქვევით და მე ევითან... რავა გამოგაღენჩა გამჩენმა... კიჭოია... რა ჭირი გეცა ღღეს. რას მომჩერებიხარ შე... შე... შე არავასახარებელო, კიჭოია...



პატანგ ჯავახაძე

* * *

მიყვარს საფერავი და
საფერავები,
მაგრამ კაცი არ მიყვარს -
საფერებელი.
ქალი გამიგონია -
საფერებელი
ანუ ფერებ-ფერებით
გადმოსაბირებელი.
ახლა აღსარებას ვიტყვი
აღმსარებელი,
ვიდრე ჩაივლიდეს ჩემი
მატარებელი,
ერთი სადღეგრძელო დამრჩა
დასაზეპირებელი:
საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი ბებერი!
საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი ბებერი!
საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი ბებერი!

* * *

კრინები გყვანან ნაღდები, არც ბანებია სუსტები,
მაინც კარგად ვერ ვიძღვრეთ ეს ერთი - „ნუ გარუხდები!“
ჯვლაზე ომახიანად ჩვენს შორის ამ მელოდიას
პაჭკორიების მემკვიდრე - მღეროდა ჩვენი ოტია.
და თუმცა ყოველ მელომანს ვადიდებთ პატრიოტივით,
ეს ერთი ვერ მოვიხელთეთ, ეს უკუღმართი მოტივი.
ვერც მოვიხელთებთ - ჰიმნივით აღმავალ ტერასებიანს,
ვიდრე რუსული ბასები - ბაზები გვებაზრებიან.

სხვა საქართველო

მღერის ტელე საკაბელო,
კენესის გული მოალერსე,
რაც არ უნდა გადათელონ,
მაინც წამოდგება ზეზე:
„ეს არ არის საქართველო!“
„საქართველო არის ესე!“

დ ე დ ა ს

გამიადვილე დარდები, მომიგერიე სევდები,
 როგორც კი დამავიწყდები, მაშინვე გამახსენდები.
 სადაც შენ დამავიწყდები, მეორედ იქ არ გაივლი,
 შენი ხმა წამომეწევა გურული კილოკავივით.
 სადაც შენ დამავიწყდები, იქ ვეღარავინ წამიყვანს,
 როცა შენ გამახსენდები, მიწაზე უფრო ცა მიყვარს.
 მოვდივარ, მოვედევნები ნაზარეთელს და გოლგოთელს
 და ისე მომიხარია, თითქოს წამალი მომქონდეს.
 ჩვენ ვერც მაგია გაგვითმავს, ვერც მაგიური რიტხვები:
 სიკვდილს არ დავიწყებია, მე როგორ დამავიწყდები?!

* * *

მზის ამოსვლას და
 მზის ჩასვლას
 თვალს ვერ მოწვევითავს ვერავინ,
 მოუხელთებელ ჰორიზონტს შეფერავს სხვა საფერავი.
 ისე ჩადის და ამოდის, ზღვა ფეხქვეშ ისე ეგება,
 უნდა გაჩუმდე, ბრალია ალტაცება და შექება.
 ისეთი სანახავია, თვალებს უყენებს შუქურებს,
 მორიგეობით ანცვიფრებს კოლორადოს და კოლხიდას,
 მაგრამ განარჩევს: ვინა ხარ, ანუ საიდან უყურებ -
 ვერსაღის სასახლიდან თუ ბიძია თომას ქოხიდან.

პ ა ო ლ ო

ოცდაჩვიდმეტში გარდაიცვალა?
 ვინ დააცალა გარდაცვალება!
 ვერ დაითირეს გარდაცვალება
 პატარძელის პატარძალებმა.

ცრემლი დამალეს მეკუბოვეთაც,
 ჩაქრა ვარსკვლავთა ჭალი ჩახჩახა...
 დიახ, დაასწრო ჭალათს პოეტმა:
 გაუჩმახა და გაუჩმახა!

* * *

მტკვარი მოარშიყვა, რიონია ერთგული,
 კიდეც - თხემით ტერფამდის ერთგულია ენგური.
 თვალი გარეთ გაუბრის იორსა და ალაზანს,
 ხელს არ აკლებს ჭოროხიც, არვის ეტყვის არასა.
 საყვედური არ ეთქმით ლიახებს და არაგვებს, -
 რომელია მართალი? შენ რა გალაპარაკებს?
 წყალნი წავლენ, წაშლიან გუშინდელს და წინანდელს,
 გამოუდევ სიმართლეს, გადაგიჭრის სინათლეს.
 სამად სამი სიტყვა მიყვარს ერთი რუსი პოეტის
 (წყალნი წავლენ!): პოეტი მართალია ყოველთვის!

* * *

ვერვინ იტყვის გადაჭრით,
 გადავრჩით თუ ვერ გადავრჩით.
 ვერ ვიტყვით დაბეჯითებით,
 რას ჭიკჭიკებენ ჩიტები.
 სიცოცხლე ბეწვის ხილია,
 ბეწვზე და თოვზე ჰკიდია,
 და თუკი ველარ გადავრჩით,

ალბათ იმ თოვსაც გადავჭრით...
 თოვლი რომ გადაიყვარა
 გახანგრძლივებულ ზამთარში,
 გალაკტიონმა იყვირა:
 -გადავრჩით,
 ძამიკო,
 გადავრჩით!

* * *

ზუსტად ცხრამეტ წელიწადს ჩემს ფანჯრებთან რიონი
 შრიალებდა, სარკმელთან ვერცხლის ფაფარიანი
 მერანოვით მელოდა, მე კი გამოვეპარე
 და ქურდივით მტკვრისპირა ჭადრებს ამოვეფარე.
 მაინც ბრწყინავს შორიდან შინდისფერი კრამიტი,
 აღვირივით მეწვეა უკან ჩემი ცხრამეტი,
 და ფერადი სიზმარი ისე გამიჯახირდა,
 არ გამოდის იაფად გაყიდული სახლიდან
 ცხრაჯერ გამოვბრუნდები, ცხრაჯერ მიმატრიალებს,
 ახლა ჩემი რიონი სხვის ფანჯრებთან შრიალებს.

ისევ ქუთაისი

ო, გეომეტრია,
 ტრიგონომეტრია! -
 მერჩია რიონის ლოდები მეორია.
 მერჩია რითმების გალოგარიტმება,
 როდესაც განგაში ატეხეს რითმებმა.
 მერჩია ორივე შაირის ალგებრა,
 რომელიც ნისიად მასწავლა განგებამ.
 ცხოვრებაც უფრორე მარტივებს მასწავლის,
 ტაძარშიც მარტივებს ქადაგებს ქადაგი,
 ნაღდია, ნაღდია აქსიომასავით -
 ძალიან, ძალიან ქართული ქალაქი.

* * *

მავანმა სახლი გაყიდა, მავანმა სული გაყიდა,
 ვინ უნდა ამოგვათრიოს ნეტავი ამ ტალახიდან?
 როდესაც მივეპარები შამპანურსა და კონიაკს,
 ჩემი - ტალახში ჩაფლული - შინ მიტანილი მგონია.
 და როცა გამოვფხიზლდები, აღარ დავეძებ პატრიოტს:
 ჩვენი - ტალახში ჩაფლული - ჩვენ უნდა ამოგვათრიოთ!

აღმოსავლური

მე არ მირჩევნია შირაზს შემახია,
 და მაინც შემახის ღვინით ვარ მთვრალი:
 როგორც კი ამურმა ზურგი შემაქცია,
 ბახუსმა მაშინვე ჩამიკრა თვალი.

ლ ა მ ე

ღმერთმა უნდა მაპატიოს და მემკვიდრემ დამიმადლოს -
 ერთადერთი გულისა და ორადორი ხელის პატრონს.
 შეგიძლია! - მაქეზებენ. რა თქმა უნდა, შემიძლია;
 თუკი კარტებს ჩამიწოებენ და გასაღებს შემიცვლიან.
 მაგრამ როგორ შემერგება მოპარული გამარჯვება,
 თუკი გამოფხიზლებული სული ვეღარ გადარჩება?!
 ეჭვმა გამოფხიზლებულმა, თუმცა ბევრი იფათურა,
 ვერ დაამხო ღუმელის და ვარსკვლავების დიქტატურა:
 გარინდებულ სვეტიცხოველს და მწვერვალებს ახოვანებს -
 ოთხიოდე არაგვი და სიყვარული ახმოვანებს.

* * *

- აბრაგი აღიკვეცაო! - უკვირთ და მე არ მიკვირს:
 ბოლოს და ბოლოს ყველა გზა ეკლესიაში მიდის!

* * *

ვახლავარ! ასი ცხენოსნით ჩემს სახლიკაცებს ვახლავარ!
 მაშინ რას მემართლებოდით, გასალახავი ახლა ვარ,
 როცა ამდენი ცოდვა და როცა ამდენი ცდუნება
 ზურგზე მკიდია და გული თქვენსავით მედიდგულება
 მაგრამ სადაა პატრონი, ან კიდევ, შე უპატრონო,
 ამდენს რა გალაპარაკებს, ჯერ მოძღვარს უნდა ადროვო,
 და გზა იპოვნო - გამრიგე ყოვლისა ანუ ყოველთა,
 რომელიც აუცილებლად მიგიყვანს სვეტიცხოველთან.

* * *


იყო მაღალი ღენდი -
 ქალების პრეზიდენტი.
 მაგრამ აფეთქდა ღენთი,
 დაკარგა დივიდენდი
 და გახდა რეზიდენტი

ქალების პრეზიდენტი,
 მას შემდეგ კარვის ქალებს
 გულები უკანკალებს
 და მისტირიან ღღესაც
 ტელეფონიან კარვებს.



უცნობი ავტორი

ელისაბედ ორბელიანი



გოგი ბიქელაძე

დრო

* * *

ისე უსირცხვილოდ მაქებს, მირჩევნია მაგინებდეს,
 რუსთველიც ვერ გაამართლებს, დალოცვილო, მაგ იმედებს.
 ამდენს სუფრაც ვერ აიტანს, სადღეგრძელოც ვერ აიტანს,
 როცა კრიმანჭული ებრძვის ვარადას და ვარაიდას.
 ნახევარიც ზედმეტია და ნახევრის ნახევარიც,
 გვიან გამომჟღავნდებიან ნახატი და ნახელავი.
 ადრე გამომჟღავნდებიან სახიფათო ავანსები,
 ვერ გავბედავ და ფორტუნას მე ვერ გავეთამაშები.
 დამანებე თავი, თორემ თუკი ველარ შეგაგონებ,
 გურულივით ავფეთქდები და კახურად შეგავგინებ.

* * *

თუმცა ცისქვეშ ტრილიონი ტონა ცრემლი დაიღვარა,
 მაგრამ მაინც სიყვარული ვერვინ ვერ გადაიყვარა.
 გული ცემით დაიღალა, შუბლი წლებით დაიღარა,
 ბევრმა დილა დაიღამა, ბევრმა ტყვიაც დაიხალა,
 და თუმცალა ცრემლზე უფრო მეტი სისხლი დაიღვარა,-
 სიყვარული? სიყვარული ვერვინ ვერ გადაიყვარა.

* * *

ალბათ ღმერთი შემინდობს, კიდევ გამამხნევებს:
 დედაჩემის ხელები - მონა ლიზას ხელებს
 მივამსგავსე, შემპარავს ველარ ვამჩნევ ღიმილს,
 ველარც ექო მაფხიზლებს მკვახე შეძახილის
 ვერც ხიდს ვხედავ პატარას, ვერც დიდს ვხედავ ღელეს,
 მხოლოდ თითებს და თითებს, - ხელებს, ხელებს, ხელებს...
 ვაკვირდები -
 თანდათან გადიდებულ ღეტალს
 და ჯოკონდაც -
 თანდათან ემსგავსება ღელას.





ზურაბ ჳირცხალაოშვილი

მხიარული სონეტი

ხომ შეიძლება გამითენდეს ისეთი დილა,
ბედნიერების იმ წუთიდან დავიწყო ათვლა,
ჩემს ღარიბ სახლში, ისე, როგორც ადრე და წინათ,
ცრემლივით სუფთა სიხარული მიმქონდეს მართლა?

დილას, ახლა რომ აღტაცებით სარკმლიდან ვუმზერ,
მკერდს არ ეფინოს მწუხარების თეთრი იარა,
ერთი დღით მაინც არ ვიფიქრო მარილზე, პურზე,
და ამ ქუჩებში უდარდელად მახეტილა.

ან მეგობრებთან მაჭეიფა ნოეს დუქანში,
დამალოცვინა ნაღდი კაცის მაღლი და ჯიში,
დიდება უფალს, არვინ მიხმობს ხელმწიფის ნავში,
და არც ნავიდან გადმოვარდნის მაწვალებს შიში.

თუკი ეს ნატვრაც ჩამითვალეს გაკიცხვის ღირსად,
ალარც მეუფეს ზედაშე და... არც მსახურთ მისთა.

ერთგულუბნის სონეტი

საშინელია სიღარიბე და უსასობა,
როს ნაღვლიანი მარტოობის ამარა რჩები,
საშინელია მზის დაისტან მწუხარედ ჭკნობა,
როცა დღე კვდება და, გგონია, თვითონაც კვდება.

საშინელია, როს ვადაში გატყდება ხმალი,
ზურგის ჩვენება დუშმანისთვის უფრორე საშიშ,
როს ვერაგულად მოგატყუებს ღამაში ქალი
და დრო ბრიყულად შემოგაფრქვევს სახეში ჰაშიშს.

საშინელია უდაბნოში ყოფნა ეჟულად,
და უფრო მძლავრი, ტკივილამდე მკაცრი და მძლავრი,
როცა არავის არ უყვარხარ გამორჩეულად,
როცა ვერავის ვერ მიაწვდენ განწირულ ძახილს.

გვედრი უფალო, გამგებელი შენა ხარ ქვეყნის,
მაცოცხლე სხვისთვის და ნუ მომკლავ მხოლოდლა ჩემთვის!

გოგლას სონეტი ანუ აპოლონის სახლი

შენი ნებაა, გარდამოხსენ ფარდები ბარემ,
გულს ნეტარება აგრძნობინე და სულს სიცხოველე,
მაგრამ, გახსოვდეს, იმპერიას ვერ ჩაიბარებ,
თუ გადაწყვეტი, აპოლონის სახლში იცხოვრო.

შენი ნებაა, საით გადგამ ახლა ნაბიჯებს,
იქნებ ზეცა გსურს? მწვერვალების ზენარ იქროლო,
მაგრამ, გახსოვდეს, ატამანად არვინ აგირჩევს,
თუ გადაწყვეტი აპოლონოს სახლში იცხოვრო.

შენი ნებაა, რას მიართმევ უფალს პატაკად,
ხორცი ატკბო თუ უცოდველი სული აცხოვრო,
მაგრამ, გახსოვდეს, შეიქმნები ღარიბ-ღატაკად,
თუ გადაწყვეტი აპოლონის სახლში იცხოვრო.

რაზან აგრეა, - აპოლონის სახლი აქ არი,
მეოცნებეთა და ღარიბთა თავშესაფარი...

წასვლის სონეტი

კაცთა ცოდვისთვის ნუთუ მე ვზღავ განაჩენს ღვთისას,
არც ერთი სიტყვა ნუგეშისა, არც ერთი ფერი,
ვარ უდაბნოში გახიზნული ჯავილის დერი,
სიყვარული რომ ენატრება, ვით ნამი ცისა.

ვინ დაინახა ჩემს მზერაში სევდის აღმური?
მაღალ რეგისტრში აღებული არც ერთი ნოტი,
ვარ ცივ ღარნაკში ჩაჩურთული ალუბლის ტოტი,
ყოველ დილით რომ ეზმანება მზე მეწამული.

არც ამალღება ზეციური, არც ნათლის სვეტი,
იქნებ აღარ ხარ განმკითხავი მთისა და ბარის?
პალატს სევდისას ვერ ვუპოვე იმედის კარი,
ჩემი ობოლი სინანული ღამის ბინდს ელტვის.

ნუთუ ასეთი მარტივია არსობა კაცთა?
მიგდივარ, რადგან აზრი არ აქვს ყოყმანს და დაცდას.

წინა დღის სონეტი

კადნიერება ღმერთის ტახტზე ღმერთივით აღის,
 დიდი ხანია აქ ბუღბუღი ჭინჭარს უგალობს,
 დიდება ამდენ მოთმინებას შენსას, უფალო,
 ნეტავ რომელ მთას გადაეგო რწმენა და მადლი.

ნეტა სადამდე შეიფარებს სახლი-კედელი
 ამდენ ცრუ მეფეს, ცრუ პატრიოტს ახლოდ მოისარს,
 ერთი მერცხალი ან გაზაფხულს როგორ მოიყვანს,
 ნუთუ ხსნა არ სჩანს, ან ტაძარი განსაწმენდელი.

ალბათ ამალამც ატირდება სარკმლებთან ქარი,
 ალბათ ამალამც, როგორც გუშინ, წვიმას აპირებს,
 აღარ ახსოვხარ მას, ვისთვისაც თავი გასწირე,
 რა შეიცვალა, ღმერთის ძეო, გოლგოთით, ჯვარით.

კარიკარ დადის უზნეობა ზღვარგადასული,
 ქვეყნის დაქცევის წინა დღეა და დასასრული...

საჟდის სონეტი

თითქოსდა არაფერია, ისე ანათებს მზე,
 ეს ჩემი სადარდებელი რაში ანალელებს სხვას,
 თითქოს არც რამე მომხდარა, მოწმენდილია ცა,
 მე რომ გოგონა მომწონდა, ასაფლავებენ ღღეს...

ცრემლები არ ჩამოწყდება ლურჯად შებურვილ მთებს,
 თავს არ მოიკლავს ქვეყანა, არეინ ჩამორეკს ზარს,
 მე რომ გოგონა მიყვარდა, მიჰყვება სულ სხვა გზას,
 მე რომ გოგონა მომწონდა, ასაფლავებენ ღღეს...

განა რაიმე აღელვებს გზისპირს ყვავილის ღერს,
 თითქოსდა არაფერია, არაფერია სულ...
 სამოთხეს განუმზადებენ მის უსათნოეს სულს,
 მე რომ გოგონა მომწონდა, ასაფლავებენ ღღეს...

გზი მოწყვნილი უსაზღვროდ, სევდის სტრიქონებს ვწერ:
 მე რომ გოგონა მომწონდა, სასაფლაოზე წევს...

სინანულის სონეტი

მზერას მინამავს სინანულის პატარა წვეთი,
 საკუთარ თავის უნებურად ვიქეც პილატედ,
 ბედისწერაა, თუ არ იყავ მართლაც ისეთი,
 მე რომ ოდესღაც უცნაურად აგიკვიატე...

ვინ განიკითხავს, მტკვარს ერთვი თუ მისისიპს ერთვი,
 ვის სარცელთან გადმოკიდებ ვნების ბაირალს,
 ნუთუ არასდროს არ ყოფილხარ მართლაც ისეთი,
 მე რომ ფიქრებში ჩამოგძვრწე უფლისნაირად?

ცა შემოდგომის ბოლო ფოთოლს მიაფარფატებს,
 ღმერთმა ინებოს, ბედნიერად გასრულდეს ფრენა...
 გთხოვ მომიტევეო, თუ იმნაირ სურვილით გხატე,
 რაიც არასდროს არ ყოფილხარ და მომეჩვენა!..

განა უფალმა არ უწყოდა სხვა გზა და სხვა ხსნა?
 ჩემივე ნებით განვიმზადე ცრემლი და ჯვარცმა.



ანა ღუნდუა

უმოკლესი გზა



ღია თანჯრიდან
ჩანდა, თუ
როგორ აფართა-
ტებდნენ პაწია
ფრთებს ბელუ-
რები. გარეთ

მაისის თბილი ქარი ჯრუდ გუგუნებდა. დაბის მცხოვრებნი ამ ქარის გუგუნში თითქოს ფეხშეწყობილად დადიოდნენ. „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე - თურმე ესეც გმირობაა ღიდი“... ვილაც რადიოში ნონეშვილის ლექსს კითხულობდა. ვითომ შენ ზეა და მოკიდებული ყველაფერი და არაკაცობისაკენ თვით ცხოვრება არ გიბძვებო. კორუპცია, კორუპცია... დაგჩხავიან, თუ ადამიანურად ცხოვრობ. რატომ გაუჩნდათ ადამიანებს ნეგატიური დამოკიდებულება მდიდრებისადმი? „პარლამენტარებო, დაანებეთ თავი ხალხის ძარცვას“... დავამტრე ამ რადიოს. მაინც რას უნდა ნიშნავდეს წუხანდელი სიზმარი?! ...მან, ლევან ლეჟავამ, ფარული აღტაცებით შეათვალიერა მოსული, რომელიც ისე არტისტულად უახლოვდებოდა მას, გეგონებოდა გედების ცეკვას ასრულებსო. მზე უკვე ამოფორთხებულიყო და მისი სხივები უხვად მიმოფანტულიყო განიერ კაბინეტში. ქალს სევდიანი თვალები ჰქონდა. არაფერს დავიშურებდი, რომ შემეძლოს მისი თვალებიდან ეს სევდა გაეაქრო, გაიფიქრა. ქალი ნაცნობს არ

„მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი,
როცა ვარ შეწუხებული“.
ვაჟა ფშაველა

ჰგავდა. მაღალქუსლებიან ტუფლებზე მდგარი უდაოდ იმაზე მაღალი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. უცნობის ასე მოულოდნელი შემოქრა გულუბრიყვოლო ჩუქჩასაც კი გააკვირვებდა.

- იცით, მდივანი არ მიშვებდა - ქალმა თვალები მიაბრიალა ლევანს.

- როგორ გაბედა! გინდა დავსაჯო?

- არა, არა! როგორ გეკადრებათ!

- მე კი არა, თქვენ როგორ გეკადრებათ, ამოდენა სილამაზე ასე უეცრად რომ მომაფრქვეთ და არც კი ვიცი მოძალადისგან როგორ დავიცვა თავი.

- დაცვას გამოუძახეთ.

- არც უმაგისობა იქნება.

ლილას თითი დააჭირა. კაბინეტში ჯიშინ ცხენივით მაღალ ფეხებზე მდგარი მდივანი შემოცქრილად.

- ყაფა - უთხრა ლევანმა.

მდივანი როგორც სწრაფად შემოცქრილდა, ასევე სწრაფად გაცქრილდა...

- მე ახლა თქვენ ჭიქაში ჩაგიხედავთ - უთხრა ქალმა.

- თქვენ ძილში მთვარე ციდან გელაპარაკება. უკიდვანაო შენი ფიქრთა სამანი, როცა მთვარეს შესცქერი. იცი შენ, რომ ის ძველთაძველი ცა ღამით თავზე რომ დაგცქერის, ასევე დასცქეროდა შენს სვედამწარებულ ერს, დავითის ერს, თამარის ერს, ილიას ერს. ეს მთვარე დაჰყურებს ახლა მაკედონიის ზეცას და

საუკუნეების ლაბირინთებიდან მოხმობილი, იაზონისაგან მიტოვებული მედეას მწარე ჭკითინი გვანცას მთებს სწვდება. ეს ჭკითინი სიყვარულთან ერთად სიძულვილითაა გაჯერებული. ეს შენზე არ მოქმედებს. ისევე როგორც, არ მოქმედებს შენი საქმიანობის შედეგი, რომელსაც ხალხის გაძვალტყავება და გამათხოვრება მოჰყვა, იმ უბრალო მიზეზით, რასაც საბაჟოს გვერდის ავლით სიგარეტის თუ ნავთობ-პროდუქტების შემოტანა ჰქვია. ამის გამო კი იძულებული ხართ იცრუოთ სასტიკად, ცინიკურად, ურცხვად.

- და მერე თქვენ ფიქრობთ, რომ ეს თვითმიზანია?

- ბა, რაა?!

- ალბათ ახირება მხოლოდ.

- თუ მასეა იცოდეთ, რომ თქვენი ახირება ძალიან ძვირი უჯდება ხალხს, ერს... თუმცა ერიც სადღაა, იგი ბრბოდ ჩამოქვეითდა. თეთრ ხიდთან პროტესორი იდგა თურმე და წინდებს ჰყიდდა. როცა გარდაცვლილა, გაუყვითათ და საქმელის ნამცეცი ვერ უპოვიათ კუჭში. ვინ იცის, რამდენი დღის ნაშიმშილარი შეეგება

სიკვდილს. ერისათვის საამაყო ადამიანებს რომ სიკვდილის პირას მიიყვანს, ის ერი სიცოცხლის ღირსი არ არის... თუ გაჭირვებული არ გებრალება, მაშინ ადამიანიც არ ხარ. საქართველოში მიწისძვრამ რომ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაშინ ფერეიდანელმა ქართველებმა გლოვის ნიშნად ორმოც დღეს წვერი მოუშვეს თურმე...

მოჩვენება თუ სიზმარი გაქრა და ლევანს ცუდ ხასიათზე გამოეღვიძა.

ცისკრის ვარსკვლავი განთიადს ეგებებოდა და ნავახშიში მთვარე ცაცხვის ფოთლებში იცრიცებოდა. მიდიოდა დღეები ლევან ლეჟავას ცხოვრებაში და ეს დღეები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. თითქოს უარყოფითი ბიოგენები ჩაურთესო, გაჭირვებულებისკენ გახედვა არ უნდოდა. სიბრალულის გრძნობა სრულიად ატროფირებული ჰქონდა. საქართველოში კი მრავალი დრამა „თამაშდებოდა“. მცირდებოდა შობადობა, ქართველები ტოვებდნენ სამშობლოს და უცხოეთში მიდიოდნენ სამუშაოდ. „ფულის წველა“ პრივილიგებული კასტის მიერ კვლავ გრძელდებოდა.

* * *

ერთ დღეს ლეჟავების ოჯახი საშინელმა ამბავმა შეძრა. სკოლიდან მათი ვაჟი, თერთმეტი წლის ლუკა, არ დაბრუნებულა. მთელი დაბა ფეხზე დადგა. რატომღაც მიიჩნიეს, რომ ბავშვს ფულის გულისათვის გაიტაცებდნენ. ლევან ლეჟავას წინ შავი აჩრდილი აღიმართა. მას უკვე თავი ყველაზე უბედურ და წყალწაღებულ ადამიანად მიაჩნდა. ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მისმა ბიზნესმა, მაგრამ თუ იგი მის შვილს მოსწვდებოდა არ ეგონა. მისი პირველი ნაბიჯები ჯართით დაიწყო. შემდგომ ნაბიჯს ტყის მასივების

განადგურება და თურქეთში ავეჯის წარმოების აღორძინება მოჰყვა. რა დროს შემეძლო შეჩერება? ეგებ სილატაკის მიზეზი ჩემი და ჩემნაირების მოქმედება კი არაა, არამედ სახელმწიფო აპარატის შენახვაა, წელიწადში ორას ოთხმოცი მილიონი ლარი რომ უჯდებათო. არა ვარ მართალი. სარაჯიშვილს და სხვა მეცენატებს ჯიბეში ჩავისვამდი იმდენი ფული მქონდა, მაგრამ სათნოების სახლისკენ ერთხელაც არ გამიხედავს. ახლა უნდა ველოდო, თუ როდის დამირეკავენ და რა მოთხოვნებს წამომიყენებენ. ღმერთო, ოღონდ შვილი ცოცხალი

დამიბრუნე და სათნოების სასახლეს ავაშენებ, საბავშვო ბაღსაც, ეკლესიასაც.

დიდმა უბედურებამ სასო წარკვეთა. როცა ნათელი აზრი დაებადა და მიზანი გაუჩნდა, იმედი მიეცა. თითქოს უამი დაუდგა სამყაროს გაცნობიერების. ამის სურვილი რატომ გაუჩნდა ექსტრემალურ სიტუაციაში და ადრე არა, ეს ვერ გაერკვია. თითქოს ღვთის საუფლოში ჩაიმუხლაო, ყველა გაჭირვებული შეებრალა. იმდენად შეებრალა, რომ მზად იყო მათი საცოდაობით ეტირა. „უმოკლესი გზა აზიისკენ - დიდი აბრეშუმის გზა“... არა! - წამოიძახა. ეს უმოკლესი გზაც ვერ გვიშველის. ვერც ბაქო-ჯეიხანის გაზსადენი თუ ერთმანეთის შებრალების გრძნობა უკუუვადეთ, თუ ერთმანეთის სატყვიარი არ გვეტყინა, თუ უაზრო ამბიციებს გადავყვებით. ყველაზე უმოკლესი გზა ადამიანის გულამდგა.

* * *

ლონგაცილილი და სულგაცარიელებული ფანჯარას მისჩერებოდა. მის განაცრისფრებულ სახეში უიმედობასა და სასოწარკვეთილებას ამოიკითხავდი. ქვესკნელის კარებს რომ იცავდა ის ცერებერი, სამთავიანი გველი, თუ დაიცავდა ჩემს სახლს, თორემ უბედურება მაინც არ ამცდებოდაო - გაიფიქრა. ხალხი ჩემი სიმდიდრით ძალიან გაღიზიანებული იყო... ფუჟ ქიდილში როგორ გაფრინდა დრო. ამ შავი დღისათვის შევქმენი ყველაფერი ამ რვა წლის განმავლობაში?! ის დრო კი დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა... ამას როგორ ვიკადრებ, იმას როგორ ვაკადრებ... მე უმალ მივხვდი, ქვად უნდა ვქცევულიყავ, რომ იმ გაჭირვებისათვის გამეძლო, რაც საბაზრო ეკონომიკამ მოგვითანა.

უკვე არაფერი აინტერესებდა ამ ქვეყნად. მწუხარე ჭმუნვისმომგვრელი

რატომღაც ხელი გულთან მიიტანა, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებდა თავს. ოცი წლის რომ ვიყო ყველაფერს ადვილად გადავიტანდიო - ფიქრობდა. ორმოცდაათ წელს მიახლოებულს თავი მხოლოდ თავდაღმართში მიმავალად წარმოედგინა. ერთი გაჭირვებული მხატვრის სიტყვები მოაგონდა: ბიზნესში მთავარია პატიოსნება, პატიოსნება და პატიოსნება; როგორც მხატვრობაში შტრიხი, ტონი და ფერი.

ახლა მომაგონდა, როცა პატიოსნებას დიდი ხანია უაზრო ვეტო დავადე. დანტეს ჯოჯოხეთში მექრთამეები, მოღალატეები და მატყუარები არიან მხოლოდო. ეს მუდამ მახსოვდა. როგორ შეუმჩნევლად ეპარება ადამიანს უბედურება. მეწყრივით მისი შეჩერება შეუძლებელია.

ყოფა სიცოცხლის ხალისს უკარგავდა. ნათელი აზრების მოკრეფას ლამობდა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ეპოვა. ეგებ საზარელი სიზმარია და რომ გამოვადვიებ ყველაფერი გაქრებო. ოღონდ შვილს ნუ მომიკლავენ და რაც მაქვს, სიმწრით ნაშოვნე მაქვს, მისით არ მოსულა ის, ყველაფერზე ხელს ავიღებ, ცხოვრებას თავიდან დავიწყებ, სოფელში წავალ, თოხს დავიკავებ ხელში... ახლა მოაგონდა, რომ სოფელში მოხუცი დედა ჰყავდა მიტოვებული. ვაი დედა, რა დღეში ვარ!.. დისკოსავით დატრიალდა აწმყო და წარსული. ახლა იმ წუთს შენატროდა სოფელ ნიგორზღვაში, უმწიკვლო ბავშვი ფეხშიშველი რომ დარბოდა და თავი ათასი ლამაზი ოცნებით ჰქონდა საგე. ამომავალი მზის სხივი ეფერება ალბათ ახლა ჩემს ოდა - სახლს. დედაჩემი უკვე ამდგარი იქნება. ადრე ადგომა უყვარდა

დედას... - დედა, დედა! მე ბედნიერი მხოლოდ შენს სიახლოვეს ვიყავი. დიდი ხანია უშფოთველი ძილი სანატრელი გამიხდა... ადექი ლევანა, საქონელია გასადენი სატურიაზე... ნეტავ იმ დროს! მერე სტუდენტობა, პროფესორის ოჯახთან დამოყვრება... დიდი ბიზნესი და ნიგორზღვა სულ დამავიწყდა. არა, კი არ დამავიწყდა, არ მცალოდა. ერთხელ დედასთან მობილურის გაგზავნაც გადასწყვიტა, მაგრამ მერიმ დასცინა: კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარის იქ გაგზავნა, სადაც თხის პეტელი ისმის მხოლოდ, სასაცილოა პირდაპირო... წყაროს ჩხრიალიც ხომ ისმის?... წარსულზე ფიქრმა გული შეუქანა. ლამაზი ოცნებებით გასხივოსნებულ გულს ატარებდა იქ, სოფელში. ფულმა გამიუხეშა სული. მე ახლა ტოტზე შემომჭდარი ბუღბუღის გალობის მოსმენასაც ვერ შევძლებ. აღმაფრენას ვერ გამოვხატავ თბილ ქვეყნებში მიმავალი გაბაწრული ფრინველების ხილვისას. „ცეცხლი ჭამა პარლამენტარების ღრანქებმა და ნავთი დააფულა“... ამას რომ რადიოთი მოისმენენ რა ხასიათზე დადგები! „შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან. სკვაზნიაკის არ ეშინიათ ნეტავი?“... ეგებ ეშინიათ კიდეც, მაგრამ რა ქნან... დამწეული ადამიანი მგელივითაა. იღმეულებს, მეტი რა შეუძლია. თითქოს მთელი ცხოვრება იდეალური მამაკაცის სახე ატარა და დღეს ამ იდეალისაგან არაფერი არ დარჩა. ამოდენა უბედურება დაატყდა. თვალში ცრემლები უშრება. ახსოვს, ერთ დღეს მწარედ იტირა, როცა მეზობლის ბიჭმა ჩიტს ბუდე დაუნგრია და ცოცხალი ბარტყები მიწაში დამარცხა. აღარ ახსოვს ბოლოს როდის იტირა ან რა იყო სატირალი. რაზე უნდა მეტირა... კიბეს სულ მალლა და მალლა აყვავდი. სატირალის მეტი რა იყო. ოღონდ, მე ვერ დავინახე. სატირლად იავარქმნილი

რუსთაველი კმაროდა... ის „სცენა“ მე არ მომიწყვია. არც ხელი შევიშლია. შემძლო კი... არ მოინდომე, არავინ არ მოინდომეთ, თორემ შეძლებდით. რაღაც ხომ უნდა გაგვეთვინათ, რომ ცხვარი უფსკრულში არ გადაჩეხილიყო; საცოდავი ცხვარი, ღმერთის უარყოფელი და ღმერთის უარყოფილი. ეს სამოცდაათი წლის „გონიერების“ შედეგი იყო. არ არის ღმერთი. ღმერთი ეს ჩვენ ვართ... ლაპარაკობდნენ რაიკომის მდივნები, ცეკას მდივნები და კაცობრიობის ყველა უბედურების მდივნები. გავა დრო და ისინი საფურაფე ხორბლის შემოტანაზე მოაწერენ ხელს, რომ მერე ის ხალხს აჭამონ; მე ამ საქმეში არ გავრეულვარ... არც იმათში საზღვარგარეთიდან შემოსული სესხები კერძო სტრუქტურებში რომ დაბანდეს და წარმოებას არც ერთი ცენტი არ მოახმარეს. ძარცვის გრანდიოზულ პროცესს დიდი თანამდებობის პირები არა თუ შეეპარძოლა, არამედ თავად აღმოჩნდნენ მონაწილე ქვეყნის ძარცვაში. მე მათში ნუ გამრევთ. მათ დატოვეს ხალხი ჰუმანიტარული დახმარების იმედზე... ადამიანები ალბათ აქლემი ეგონათ, კვარტალში ერთხელ ჭამა რომ გაუფნით.

იგი მტანჯველ ფიქრებს უსასოო მართიობაში ჩაეგდო. არც არავისი იმედი ჰქონდა, თვით ღმერთისაც, რადგან თავადვე მან უარყო ღმერთი და მორალური უფლება არ ჰქონოდა, რომ მისთვის დღეს დახმარება ეთხოვა. წავალ და სადმე დავიკარგებო გაიფიქრა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, რადგან იცოდა, რომ სადაც არ უნდა დაკარგულიყო თავისი ჯაჭრი თან გაჰყვებოდა, გაჰყვებოდა, რათა დაეტანჯა და საბოლოოდ გაენადგურებინა იგი.

ლარიბი ნათესავების თვალეებში შეხედვის მრცხვენოდა. რაც არ უნდა

ამტკიცო, სიმამრისაგან მაქვს ეს სიმდიდრეო, არავინ დაგიჭერებს. კიდევაც ბევრი ფული რომ ჰქონოდა ჩემს სიმამრს, ან პროფესორს ბევრ ფულს ვინ მიაშავებდა, იმასაც სხვებივით გაუბონდებოდა. „გაყლიფეს, შეჭამეს ქვეყანა მაფიოზებმა“... სწორია მას მედია, რას ერჩი...

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ზაფხულის თეთრი ბინდი უახლოვდებოდა ფანჯარას.

ცარგვალზე ნისლები ისხდნენ, რომელშიც ლიმნისფერი ცაბცახა ბურთი გახვეულიყო. მკრთალი ცის კიდური საადროდ ემზადებოდა. ეზოში მაისის ვარდები ყვოდნენ. ლურჯ აუზში ლუკა

გაწოლილიყო და თვალები დაეხუჭა. ლევანი მანსარდიანი სახლის მესამე სართულის აივანზე იდგა და შვილის ცქერით იჭედან ტკებოდა. რატომღაც ახლა მოაგონდა, როდის ანიჭებდა განუსაზღვრელ სიხარულს ყვავილების გაშლა... გულში კვლავ მოუშუშებელი ჭრილობა დარჩენოდა და სირცხვილიანი ტკივილი სივრცისოდენა იმის გამო, რომ შვილის სიცოცხლე მაღალ ფეხებზე შემდგარი, ხუთსართულიანი, სასტუმრო დაუჭდა...

შეასრულებს თუ არა დანაპირებს, ამაზე არაფერი ვიცი, თორემ თქვენზე უკეთესს ვის გაგახარებდი ჩემო უღალატო მკითხველო!



ოზა ოსეფაიშვილი

თბილისი

ჩაგიხუტებ და ჩურჩულით გეტყვი:
ფიალა უკვე სევდით ამევსო,
ო, რა რიგ მტკივა მე განშორება
თბილისო, ჩემო უსაყვარლესო.

შენ ჩემი სიყრმის ჟრუანტელი ხარ,
დედის რძესავით მათობდნი გულში.
დღეს მონატრების ჟინი მახელებს,
თითქოს ხანჭალი ჩამართყეს გულში.

შენი ყოველი კუთხე-კუნჭული
შემომივლია დღისით და ღამით
ვიგონებ მწარედ, ვიგონებ ნაზად
წარსულის დღეებს, საესეს სიამით.

დრო-ჟამის ბრუნვას არად ვაგდებდი,
ახალგაზრდული მიჩქეფდა სისხლი.
ახლა ვინა ვარ, ახლა რაღა ვარ...
ამნაირ ყოფას რა თავში ვიხლი.

* * *

მე შენი სახლის აივანს ვხედავ,
ვხედავ, როგორ რწყავ სათუთ ყვავილებს
და შენი სუნთქვის გადმონაქროლი
თითქოს მხურვალე მკერდზე მაგრილებს.

თვალების ჩერო ხელით დაფარე,
გულმოჭიკიკე დაფრთხნენ ჩიტები,
თითქოს მანიშნე, რომ გვიანია
და სევდით ნულარ დავიჩითები.

ვერ გავეჭეცი ბავშვურ სიანცეს,
პატარა სარკით სხივებს გიგზავნი.
იქნებ იგრძნო, რომ სიყვარულია
ჩემი ტანჯული გულის მიზანი.

მე შენს აივანს მაინც შევხედავ,
გთხოვ, არ მოაკლო ყვავილებს წყალი,
რადგან არ მინდა გულმა იხილოს
შენს გარდა ქვეყნად ვინმე სხვა ქალი.

ე ნ ა

ენამ მასწავლა სიტყვები,
ენამ შემძინა ცოდნა,
ენით დავთესე სიკეთე,
ენით დამედო ცოდვა.

ენამ მესროლა ტყვია,
ენამ მომწმინდა სისხლი,
ენით დავკოდე გული,
ენით ქვას თავში ვიხლი.

ენამ მაცდუნა შენმა,
ენამ დამასვა დღი,
ენით დავწყნარდი ბევრჯერ,
ენით ვარ ასე ლალი.

ენამ დამადო ვალი,
ენამ ჩატეხა ზიდი,
ენით ვარ ასე შლეგი,
ენით გაგზდები მშვიდი.

ბივი პროზიმა

* * *

ნიაბორი ხარ, ნაკურთხი
ლურჯი მთისა და ტყის,
ან კალმახი ხარ ჩაქუხის,
ან ვარსკვლავი ხარ ცის...

ეს შენი სუნთქვა ჩამესმა,
თუ ველის სიო ქრის.
შენთან გავტეხდი ლამესა,
არ გაღირსებდი ძილს.

მარგალიტი ხარ - ობოლი,
ვის დაეკარგე, ვის?
სიცოცხლის გადასახედზე
ამოხდომა ხარ მზის.

ჩემი ლექსების რითმაში
თეთრი ხოხობი ზის...
თავი მგონია სიზმარში,
შენ ხომ არა ხარ ის.

* * *

დამფარფატებს თოვლის ფიფქი,
სულში წარსულს ფრთას ურწევს...
ასე თოვდა, ჩემი ფიქრი
შენს წამწამზე გასულ წელს...

და ეს ფიფქი, რომ კანკალებს,
რომ შრიალებს, ციმციმებს,
შენთან ყოფნას მომაგონებს,
შენი გულის სიცივეს!

მოდი, კარგო...

მოდი, კარგო, მომაცილე სევდა გულზე მოთოვლილი,
თორემ ლამის მომწყდეს გული შემოდგომის ფოთოლივით.

ნისლაურას ფრთები დატყდა

ირმის რქებით გაკაწრული.

მზეს ჩაუქრა კელაბტარი

ირმებს მიაქვთ გაბაწრული...

ჰაუ! ჰაუ! სად ხარ, სადა! გეძებ ლექსის საკარცხულით,

მთაში ვკვირი ირემივით, - მკერდზე მწვდება სატაცური...

ბიჰვარვარ ისევ?

გახსოვს? - აეტობუსს მიეყვდით ფრენით,
ზღვა შრიალებდა, მზე ენთო ცარგვალს,
ჩაველ ბათუმში, ღიმილი შენი
და ნაჩუქარი ყვავილი ჩამყა.

... კვლავ ვნახე წარსულ ფიქრთა ამხსნელი,
ფიქრთა ფერადი ფიფქის მთოვარი,
არვინ ჰყოლოდა წყლის დამსხმელი
და დამჭენარიყო ტკბილსახსოვარი.

ის ვარდი, შენი სულივით სუფთა,
წყლიან ვაზაში ჩაფინე ფარჩად,
მატკობდა მისი სათუთი სუნთქვა,
წამოველი და ის მარტო დარჩა.

აღბათ მეგობრად მაინც მიგაჩნდა
ვარდი რომ უძღვენ პოეტს მზის ნაჭრად...
და ვფიქრობ: შენში ის ნაზი განცდა
ნუთუ ნაჩუქარ ვარდივით დაჰყნა?!

ფრთხი იასამანის

61

ჩემს გულს ტრფობით ვინ ახურებს,
თუ არ შენი ზღვაური?

გუშინ ისევ ვინახულე
ბაღი მაზინჯაურის.

და შენს ეშხზე შევაცალე
ბაღს ფრთა იასამანის...

ჩვენს სიყვარულს, გენაცვალე,
ვინ დაუღო სამანი?

შენი ღიმი ერთხელ ანცად
მარეხსაც რომ ენატრა,
ია-იას მოეტაცნა,
მკერდზე ენთო კელაპტრად...

ათრთოლებდა ქარი არყებს,
ქარი გიჟი, ზღვის ქარი...

ყვავილებში შენი სახე
ენთო, როგორც ცისკარი!

გიგონებდი ჩემს ლალ მერცხალს,
სხვაგან იყავ, იქ არა...
უცებ გული ტალღად მექცა,
სული მექცა ზღვის ქარად!

კვლავ ოცნება მოკეკლუცი,
მომესალმა ფრთასრული...
აღიმართე ჩემს წინ, უცებ,
ჩემი თეთრი ასული.

და ბაღს ერთად შევაცალეთ
ფრთები იასამანის...
ჩვენს სიყვარულს, გენაცვალე,
ვინ დაუღო სამანი?!

პატარა ხარ

დაქრიხარ და დაბობოქრობ,
ვით ფირუზში მზე მწველი,
პატარა ხარ, მაგრამ ოქრო
ლექსში დასახვეწელი.

ლექსს მზის სხივი შეჭედია,
რითმამ სიმი დაგრიხა
ყველა ერთად ბეჭედია -
შენ ამ ბეჭდის თვალი ხარ!

თმა გიშერმა დაგიტალხა,
მზემ სხივები დაგფინა,
პატარა ხარ, ჩემი არ ხარ,
სულში მაინც დაფრინავ!

შოთა ანანიძე

* * *

ვერცხლის წყალივით ძირს მოხრიალებს
ძეწნის ტოტიდან ნამის წვეთები,
დაუვარცხნიათ მინდვრის ბალახებს
ნამში გასვრილი თმები ზღვისფერი.
მაღალ მთებიდან მზე ამოგორდა, -
ცეცხლმოდებული წითელი ბურთი,
ორთქლი ამოსდის ხასხასა კორდებს,
ისე ვით კვამლი ანთებულ ბუხრებს.
ყავილის გულში კამკამებს ნამი,
და შიგ ფუტკარი დაეძებს ნექტარს,
ასეთი დილა ტკბილი და წყნარი
გათენდებოდეს ყოველ დღეს ნეტავ.

გაფრენილა სამოცი

ლ. ანანიძეს

როგორც ჩუმად გაფრენილა სამოცი,
გულის კოვზით ტვირთივით რომ ატარე,
დრო მიფრინავს.
შენ კი დროს არ ჩამორჩი
და ურიგებ მარგალიტებს პატარებს.
კვლავ ელიან მოჭიკჭიკე მერცხლები
გულში ჩამწვდომ შენს ელვარე სტრიქონებს,
როგორც ბუმბულს ბუდისათვის ჩიტები, -
ისე შენი ლექსი ანცებს მიჰქონდნენ.
ნუ ჩაქრება შენი ფიქრთა სანთელი,
სიტყვა წმინდა - ღამე თეთრად ნათევი,
ასე, ლევან, კვლავ სამოცი დაეცე,
არ მოაკლო თიხა ლექსის საკეცეს.

გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახში

ცას გაუხდია პერანგი ნისლის,
დგას სადღეოფლოდ ენძელა მთებზე,
ფუტკართა გუნდი სკაში დაშლილი
მკვდარ ღებს მინდვრისკენ მიასვენებენ
დამლაგებელი ძიძა ფუტკრები
კარგ დიასახლისს მოგვაგონებენ,

ვერ ნახავ მტვერის ნამცეცს - კუთხეშიც,
 ისე ლამაზად ასუფთავებენ.
 დედას ფუტკრები დასდევნ უკან,
 ვით თამარ მეფეს მისი ამაღა,
 ქურდმა მალულად შემოპარულმა
 არ დაჰკრას მშობელს ნემსი პრიალა.
 ყარაულები დგანან საფრენთან,
 ქვეყნის საზღვართან ვით მესაზღვრენი,
 ყოველი ზვრელი გადაიკეტა,
 ვერსაიდან ვერ შემოვა მტერი
 - წყალი და ქეო! წყალი და ქეო!
 არაფერი არ დარჩეს საეჭვო,
 - ბრძანებს ბატონი დედა უფროსი,
 და განუწყვეტლად არის ფუსფუსი.
 ასე გრძელდება მთელი დღე-ღამე,
 ვისღა სცალია ძილისთვის ახლა,
 ფიჭები ისე დააპრიალეს,
 გაუხარდება სულს მისი ნახვა.
 ცას გაუხდია პერანგი ნისლის,
 დგას სადედოფლოდ ენძელა მთებზე,
 ფუტკართა გუნდი სკაში დაშლილი
 მკვდარ დებს მინდვრისკენ მიაცილებენ.

მარტი

კაპრიზ ქალივით ჭირვეულობს მარტი
 და იქაჩება აბეზარ ბავშვივით,
 ხან ლამაზია მისი განთიადი,
 ხან ქარბუქია მგლებივით აშლილი.
 ვის უბრაზდება?
 ვის ერჩის არ ვიცი,
 ზამთრის დროში ხომ არ უნდა გადასვლა?
 გაზაფხული სურს, მეტს ვეღარ დაიცდის, -
 გული უსკდება ბაღში იასამანს.

თარგმანი

გაბრიელ ბარსია მარკესი

ჩვიდვები მოწამლული ინგლისელი

პირველი, რაც შეამჩნია სენიორა პრუდენსია ლინერომ ნეაპოლის ნავსადგურში შესვლისას, ის იყო, რომ აქაც რიოაჩას პორტის სუნი ტრიალებდა. ეს აღმოჩენა, რა თქმა უნდა, არავისთვის გაუმხელია, და ალბათ ვერც ვერავინ გაუგებდა იტალიელებით დახუნძლულ ხომალდზე, რომლებიც ომის შემდეგ პირველად ბრუნდებოდნენ სამშობლოში ბუენოს აირესიდან. ასე იყო თუ ისე, სახლსა და თავისიანებს მოწყვეტილმა, 62 წლის სენიორა პრუდენსია ლინერომ, თვრამეტდღიანი მგზავრობის შემდეგ თავი ნაკლებად მარტოსულად იგრძნო და შიშის გრძნობაც გაუჩნდა.

სანაპიროს კონტურები ჯერ კიდევ გაშთენიისას გამოიკვეთა. ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, მიწაზე გადასვლის მოლოდინით გულაფანცქალებული მგზავრები ჩვეულებრივზე ადრე გამოეფინენ გემბანზე. მთელი მგზავრობის მანძილზე მხოლოდ ეს კვირა დღე ჰგავდა ნამდვილს. სენიორა პრუდენსია ლინერო რამდენიმე მგზავრთან ერთად დაესწრო წირვას. წინა დღეებისაგან განსხვავებით, როცა მსუბუქი ძაძვებით დადიოდა, ხმელეთზე გადასვლის წინ უხეში ტილოს მუქი ტუნიკა ჩაცევა, წელზე სან ფრანცისკოს ორდენის ქამარი შემოერთა, ფეხზე კი უხეში ტყავის სანდლები ემოსა, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არ ჰგავდა პილიგრიმისას, რომ ახალი იყო. ამით წინასწარ ასრულებდა ღვთის წინაშე დადებულ აღთქმას: სიკვდილამდე არ გაეხადა ეს სამოსი, თუკი რომში ჩასვლა და პაპის ნახვა ელირსებოდა. წირვის დასასრულს სულიწმინდას დაუნთო სანთელი, რომლის დახმარებითაც

გადაიტანა კარიბის ქარიშხალი და სათითაოდ ილოცა თავის ცხრა ვაჟისა და თოთხმეტი შვილიშვი-ლისათვის, რომლებიც რიოაჩას ქარიან ღამეში მას ხედავდნენ სიზმრად.

გემბანზე ასულს უჩვეულო სურათი დახვდა. საცეკვაო დარბაზი ბარგით იყო ჩახერგილი, ჩემოდნებსა და ფუთებს შორის ანტილიის ზღაპრულ ბაზრობებზე შეძენილი სუვენირები სჭარბობდა, ბუფეტის დახლზე შემოდგმულ მავთულის გალიაში კი პერნამპოკოელი მაკაა იჯდა. აგვისტოს დასაწყისის ნათელი დღე იბადებოდა, ომის შემდგომი პერიოდის ტიპური კვირა დღე და უზარმაზარი გემი მძიმედ, ავადმყოფური ხვნეშით მიიწევდა წინ გამჭირვალე წყალში. პორიზონტზე ის იყო იკვეთებოდა ანჟუსი პერცოგთა პირქუში სასახლე, მაგრამ მგზავრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მშობლიურ ადგილებს ხედავდნენ და ხმელთაშუა ზღვის აუზის დიალექტზე მოყაყენები სხვადასხვა მიმართულებით იშვერდნენ თითებს. სენიორა პრუდენსია ლინერომ, რომელიც მგზავრობისას ყველა მათგანს დაუმეგობრდა და სანამ მშობლები საცეკვაო დარბაზებში ერთობოდნენ, მათ ბავშვებს უჯდა, ერთხელ კი თვით ბოცმანს დაუკერა აწყვეტილი ღილი, უცებ უტხოოდ იგრძნო თავი, უკვალოდ გამჭრალიყო ის თანაზიარობის სული და ადამიანური სითბო, რაც აგრერიგად დაეხმარა ტროპიკულ სიცხეში პირველი დღების ნოსტალგიის დაძლევაში. მოგზაურობისას დადებული სამუდამო სიყვარულის ფიცი აღარავის ახსოვდა ნავსადგურის დანახვაზე. სენიორა პრუდენსია ლინერო იტალიელთა

ცვალებად ხასიათს არ იცნობდა და მათ მეტამორფოზაში საკუთარი თავი დაადანაშაულა, რადგან ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც უცხო ქალაქში მიდიოდა, მაშინ როცა დანარჩენები შინ ბრუნდებოდნენ, ალბათ ყოველი მგზავრობის დასასრულს ასე ხდებოდა, ფიქრობდა და წყლის სიღრმეში გადაშლილ, უსასრულო სამყაროს ჩაშტერებოდა. უცებ, მის გვერდით მდგომმა ლამაზმა გოგონამ შიშით შეჰკივლა.

Mamma mia, - იყვირა და ხელი გაიშვირა, - იქით გაიხედეთ.

წყალს დამხრჩვალ მიჰქონდა. სენიორა პრუდენსია ლინერომ დაინახა პირალმა მოტივტივე, ხანშისესული, მელოტი, სანდომიანი მამაკაცი, რომლის გახელილ, მხიარულ თვალებს გამთენიის ცისფერი ედოთ. ეტიკეტის მიხედვით ეცვა: ფარჩის ჟილეტი და ლაკის ფეხსაცმელი. ფრანკის ლილკილოში კი გარდენია გაეჩარა. მარჯვენა ხელში სასაჩუქრო ქაღალდში

გახვეული ოთკუთხედი კოლოფი ეჭირა, რომლის ლენტი სიკვდილის წინ საიმედოდ ჩაებლუჯა ხელში.

- ალბათ, ქორწილიდან ჩავარდა წყალში, - აღნიშნა ერთ-ერთმა ოფიცერმა, - ზაფხულობით ამ წლებში ხშირია მსგავსი შემთხვევები.

დიდხანს არ უდარდათ. ის იყო ნავსადგურში შედიოდნენ და მგზავრთა ყურადღება სხვა, უფრო სასიამოვნო მოვლენებს მიეპყრო, მაგრამ სენიორა პრუდენსია ლინერომ ვერაფრით მოიშორა საბრალო დამხრჩვალზე ფიქრი, რომლის ფრანკის კალთები წყალმცენარეებივით ტივტივებდნენ წყალში. ნავსადგურის შესასვლელთან დანჯღრეული ბუქსირი შეეგებათ და მოხერხებულად წაიყვანა თოქამბული გემი უპატრონოდ დაჟირლ, ომში დასახიჩრებულ, დაჟანგულ სამხედრო კატარებს შორის. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ნაპირს, წყალი ზეთივით მდორე ხდებოდა და ისეთი ხვატი იდგა, რიოაჩაში რომ იცის შუადღის ორ



საათზე. გემბანიდან უკვე კარგად ჩანდა დღის თერთმეტი საათის მზის სხივებში გახვეული ქალაქის ქიმერული სასახლეები და ბორცვებზე მჭიდროდ გაშენებული ფერადი ბარაკები. უცებ წყლის სიღრმიდან აუტანელი სიმყრალე ამოვარდა და სენიორა პრუდენსია ლინერომ საკუთარი პატიოს დამპალ კიბორჩხალათა სუნი იცნო.

სანამ გემი ღუზას ჩაუშვებდა, მგზავრები ხელების ქნევითა და ჟრიაშულით ესალმებოდნენ ნავსადგურში შეკრებილ ახლობლებს. მათი უმეტესობა არც თუ ახალგაზრდა, ლამაზმკერდიანი, სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები იყვნენ, ლამაზი, მრავალრიცხოვანი ბავშვებითა და გადაუშენებელი ჭიშის, დაბალი, მზრუნველი ქმრებით, რომლებიც ცოლების შემდეგ კითხულობდნენ გაზეთებს და სიცხის მიუხედავად კოსტიუმებში იხრჩობოდნენ.

დამხვდურებში ერთი უნუგეშო გამოჩენილები, დაჩაჩანაკებული, ზოოპარკის ლაბადაში გახვეული ბერიკაცივით, რომელსაც ჭიბეებიდან ორივე ხელით ამოჰყავდა პატარა წიწილები და ხალხში უშვებდა. ნავსადგური წუთში აივსო მოწიწინე არსებებით, რომელთა უმეტესობა მხოლოდ სასწაულის წყალობით გადაურჩა ბრბოს ქუსლებს, თვით ჯაღოქარს პირადმა დაედო ქუდი მიწაზე წყალობის მოლოდინში, თუმცა ერთი მონეტაც კი არავის გაუმეტებია.

ამ საოცარი სპექტაკლით მოხიბლულმა სენიორა პრუდენსია ლინერომ, მის საპატივცემულოდ მოწყობილს რომ ჰგავდა, რადგან სხვა არავინ უყურებდა, ვერც შეამჩნია, როდის გადეს ბოგირი და მოზღვაგებულმა მასამ მეკობრეთა ყოყინით როგორ აიღო გემი. ხმაურითა და ხალხში ავარდნილი მწარე ხახვის ოხშივარით შეწუხებულ სენიორა პრუდენსია ლინეროს მტვირთავთა მუჯლუგუნებიც მოხვდა, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ბარჯის

ჩატანაში, და მოეჩვენა, რომ ნავსადგურის წიწილებივით უსახელო სიკვდილი ელოდა. მაშინ კუთხეებში ბრინჯაოს სალტებ-მიხატულ ხის ჩემოდანზე ჩამოვარდა და ცდუნებათა წინააღმდეგ მიმართული ლოცვა წამოიწყო. სწორედ იქ მიაგნო ბოცმანმა, როცა კატაკლიზმებმა ჩაიარა და ცარიელ სალონში მის მეტი აღარავინ დარჩა.

- ამ დროს აქ ყოფნა აღარ შეიძლება,
- საკმაოდ თავაზიანად აუხსნა ბოცმანმა,
- იქნებ რაიმეში დაგეხმაროთ?
- კონსულს უნდა დავეუცადო, -
უპასუხა ქალმა.

ასეც იყო. გემის გასვლამდე ორი დღით ადრე, მისმა უფროსმა ვაჟმა დეპეშა გაუგზავნა თავის მეგობარ კონსულს ნეაპოლში, სთხოვდა ნავსადგურში დახვედროდა, დედამისს და რომში გამგზავრებაში დახმარებოდა, იქვე მისწერა გემის სახელი, ჩასვლის დრო და აუხსნა, რომ ქალს სან ფრანცისკოს ორდენის ტუნიკა ეცმებოდა, სენიორა პრუდენსია ლინერომ ისე დამაჯერებლად აუხსნა ჯვლაფერი, რომ ბოცმანმა ნება დართო ცოტა ხანს კიდევ დაეცადა, თუმცა ეკიპაჟის წევრები სკამებს მაგიდებზე აწყობდნენ და იატაკს სველი ტილოთი აპრიალებდნენ. ჩემოდანი რომ არ დაესველებინათ, რამდენჯერმე შეუცვალეს ადგილი. ქალი ლოცვის შეუწყტლად გადადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში, სანამ საერთოდ არ გააბრძანეს გარეთ და მავშელ ნაგებს შორის არ დასვეს თავიარა მზის ქვეშ. შუადღის ორი საათისათვის სწორედ იქ მიაგნო ბოცმანმა მონანიეს სკაფანდარში ოფლად გაღვრილ სენიორა პრუდენსია ლინეროს, უიმედოდ რომ ლოცულობდა შეშინებული და დამწუხრებული ძლივს იკავებდა ცრემლებს.

- ლოცვა არაფერს გიშველით, -
უთხრა ბოცმანმა ამჯერად არც თუ თავაზიანად, - ავვისტოში ღმერთიც კი
შვებულებაში მიდის.

აუხსნა, რომ ამ სეზონზე ნახევარი

იტალია პლაჟებს იყო მოდებული. კონსული შეიძლება არც იყო შევებულიაში, მაგრამ ორშაბათამდე ნამდვილად არ გამოჩნდებოდა სამსახურში, ამიტომ, ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა სასტუმროში ღამის გათევა და მეორე დღეს საკონსულოში დარეკვა, რომლის ნომერი აუცილებლად ეწერებოდა სატელეფონო ცნობარში. სენიორა პრუდენსია ლინერო იძულებული იყო დათანხმებოდა. ბოცმანმა საბაჟოში გაატარა, ფულის გადახურდავებაში დაეხმარა, ტაქსი ჩასვა და მძღოლი გააფრთხილა წესიერ სასტუმროში მიეყვანა. დანჯღრეული ტაქსი, კატაფალკის ნაწილებით აწყობილს რომ ჰგავდა, ძლივს მიჯაფაცბდა უკაცრიელ ქუჩებში. უცებ სენიორა პრუდენსია ლინეროს მოეჩვენა, რომ თვითონ და მძღოლი ერთადერთი ცოცხალი არსებები იყვნენ შუა ქუჩაში მავთულზე ჩამოკიდებულ მოჩვენებებს შორის და გაიფიქრა: კაცი, რომელიც ამდენს და ასე გატაცებით ლაპარაკობს, ალბათ არაფერს დაუშვებს საბრალო ქალს, რომელმაც ოკეანის საშიშროებანი არად ჩააგდო, ოღონდ პაპი ენახათ.

ქუჩების ლაბირინთის ბოლოში ისევ გამოჩნდა ზღვა. ტაქსმა ჯაფჯაყით განაგრძო გზა მცხუნვარე, ცარიელი პლაჟის გასწვრივ, სადაც უამრავი პატარა, ჭეტელა ფერებად შეღებილი სასტუმრო ჩამწყკრივებულიყო. მაგრამ არც ერთთან არ შეჩერებულა, სანამ პალმებიან და მწვანესკამებიან პარკში ჩაფლულ შენობას არ მიაღწა. მძღოლმა ჩემოდანი ჩრდილში დადო და დაეჭვებული სენიორა პრუდენსია ლინერო დაარწმუნა, რომ ნეაპოლის საუკეთესო სასტუმროში იმყოფებოდნენ.

სანდომიანმა და თავაზიანმა მოსამსახურე ბიჭმა ჩემოდანი მხარზე შეიგდო, ქალი კიბეებს შორის მოქცეულ რკინის ბადებიან ლიფტთან მიიყვანა და მთელი ხმითა და შემამფოთებელი გადაწყვეტილებით შეუდგა პუჩინის ერთ-

ერთი არიის შესრულებას. ახლადრესტავრირებული, ცხრასართულიანი სახლის ყოველ სართულზე სხვადასხვა სასტუმრო იყო მოწყობილი. სანამ ლიფტი ზემოთ მიიწვედა გრილ მარმარილოს კიბეებს შორის, სენიორა პრუდენსია ლინერომ თავი ქათმების გაღიაში ჩაკეტულად იგრძნო და მოეჩვენა, რომ კედლებს მიღმა, საკუთარ ოთახებში გამოკეტილ, დახეული წინდებით, ინტიმური ეჭვებითა და პირში დარჩენილი ბოყნის მჟავე გემოთი შეჭირვებულ ხალხს ზედავდა. მესამე სართულზე ლიფტი მკვეთრად გაჩერდა, ბიჭმა სიმღერა შეწყვიტა, ლიფტის კარი გაიღო და გალანტური ქესტით ანიშნა სენიორა პრუდენსია ლინეროს მოვედითო.

ფერადი ვიტრაჟებით დამშვენებულ ვესტიბულში დიდ ქოთნებში ჩარგული საჩრდილობელი მცენარეები ჩანდა, ხის დახლს უკან კი ახალგაზრდა ბიჭი იდგა, რომელიც სენიორა პრუდენსია ლინეროს დანახვისთანავე მოეწონა, რადგან მისი უმცროსი შვილიშვილივით კულულები ჰქონდა. მოეწონა ბრინჯაოს აბრაზე ამოტვიფრული სასტუმროს სახელწოდებაც, კარბოლის საპნის სუნნი, დაკიდებული გვიმრები, სიჩუმე და კედელზე მიხატული ოქროსფერი შროშანები. მაგრამ ლიფტიდან გამოსულს გული შეეკუმშა. მოსაცდელ სკამებზე ერთ რიგად ჩამწყკრივებულიყო მოკლემარჯ-ლიანი და სანდლებიანი ჩვიდმეტი ინგლისელი. ისე სიმეტრიულად ისხდნენ, გეგონებოდა ერთი კაცია სალონის მრავალრიცხოვან სარკეებში არეკლილიო. სენიორა პრუდენსია ლინერომ ისინი თვალის ერთი შევლებით შეაფვალერა და მაშინვე თვალში მოხვდა ვარდისფერ მუხლთა მწყკრივი, რამაც საყასბოში ჩამოკიდებული ღორის კანტები მოაგონა. ქალმა უკან დაიხია და ლიფტში დაბრუნდა.

სხვა სართულზე წავიდეთ. - თქვა.

- მხოლოდ ამ სასტუმროს აქვს

სასადილო, სენიორა, - აუხსნა ბიჭმა.

- არა უშავს, - უპასუხა ქალმა.

ბიჭმა თავი დაუქნია, ლიფტის კარი დაკეტა და მეხუთე სართულამდე არიის დარჩენილი ნაწილი შეასრულა. იქ ნაკლები სიმკაცრე იგრძნობოდა, პატრონი - ახალგაზრდა ქალი მარტივ ესპანურსაც ლაპარაკობდა და ვესტიბულშიც არავის ეძინა. სასტუმროს მართლაც არ ჰქონდა სასადილო, მაგრამ მეზობელ ტრაქტირთან იყვნენ შეთანხმებული, სადაც სასტუმროს ბინადართ შეღავათიან ფასებში ემსახურებოდნენ.

პატრონის მჭერმეტყველებითა და იმ ფაქტით მოხიბლულმა სენიორა პრუდენსია ლინერომ, რომ ვესტიბულში ვარდისფერუმბლებიანი ინგლისელები არ თვლემდნენ, გადაწყვიტა იქ გაეთია ერთი ღამე.

შუადღის ორ საათზე მის ოთახში, დახურული ქალუხების წყალობით ბინდუნდი და სასიამოვნო სიგრილე იდგა და სატირლად უცეთესი ადგილის მოძებნა არ შეიძლებოდა. მარტო დარჩენილმა სენიორა პრუდენსია ლინერომ დილის შემდეგ პირველად მოშარდა, ზედმეტი სითხისაგან გათავისუფლებულმა თავი უკეთ იგრძნო, ტანთ გაიხადა, მარცხენა მხარზე დაწვა ერთი კაცისათვის საკმაოდ ფართო და ცარიელ საწოლში და ახლა მეორე, ამგერად შეკავებული ცრემლების ჭავლი გადმოუშვა. პირველად დატოვა რიოაჩა. ის კი არა, კარგა ხანი იყო, საკუთარი სახლიდან არ გაედგა ფეხი, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც შვილები დაქორწინდნენ და სენიორა პრუდენსია ლინერო მარტო დარჩა ორ ფეხშიშველა ინდიელ მოსამსახურესთან ქმრის უმოძრაო სხეულის მოსავლელად. ქალმა ნახევარი ცხოვრება გაატარა ერთადერთი საყვარელი კაცის ნარჩენებთან, რომელიც 30 წელი უგრძნობლად იყო მიჯაჭვული ახალგაზრდული სიყვარულების მომსწრე ლოგინზე დაგებულ თხის ბეწვის ლეიბს.

გასულ ოქტომბერს ავადმყოფმა

მოულოდნელად გაახილა თვალი, გონზე მოსულმა გარშემომყოფნი იცნო და ფოტოგრაფი მოითხოვა. ფოტოგრაფი სასწრაფოდ მოიყვანეს მეზობელი პარკიდან, ვეება გრძელკისრიანი, მაგნიუმისა აპარატი. სურათების გადაღებას თვით ავადმყოფი ხელმძღვანელობდა. „ეს პრუდენსიას, ცხოვრებაში მონიჭებული სიყვარულისა და ბედნიერებისათვის“, - თქვა და პირველი სურათიც გადაიღეს მანგანუმის თვალისმომჭრელ „შუქზე“. ეს ჩემს საყვარელ ქალიშვილებს, პრუდენსიტას და ნატალიას“, „ესეც ჩემი საამაჟო, საყვარელი და დინჯი ვაჟებისათვის“... და ასე გააგრძელა სანამ ფოტოგრაფს ფირი არ გაუთავდა და სახლში არ წავიდა ახლის მოსატანად. დღის ორ საათზე, როცა ოთახში სუნთქვა ქირდა, კუთვნილი სურათის მისაღებად შეკრებილი ნათესავების, მეგობრების და ნაცნობების გარემოცვაში მოქცეულ ზეიბარს ნელ-ნელა ჩაუქრა სიცოცხლის ნიშან-წყალი და თითქოს სამყაროდან მიმავალი გემის მოაჯირთან დგასო, ყველას დაემშვიდობა ხელის სუსტი მოძრაობით.

ნათესავების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მისი სიკვდილი ქერივისთვის შვებად არ ქცეულა. პირიქით, ისე დამწუხრებული ჩანდა, რომ შეშფოთებული შვილები ერთად შეიკრიბნენ დედის დასამშვიდებლად. სწორედ მაშინ განაცხადა სენიორა პრუდენსია ლინერომ, რომ რომში წასვლა სურდა პაპის გასაცნობად.

- მარტო წავალ სან ფრანცისკოს ტანამაცემლში, - თქვა - ასე შევპირდი უფალს.

ერთადერთი სიამოვნება, რაც ქალს ქმრის საწოლთან გატარებული დღეებიდან შერჩა, გულიანად ტირილი იყო. გემზე ამას სააბაზანოში ჩაეკეტილი ახერხებდა, რადგან კაიუტაში მის გარდა კიდევ ორი მონაზონი მგზავრობდა. რიოაჩადან წამოსვლის შემდეგ მხოლოდ

ნეაპოლის სასტუმროს ოთახში მოიოხა გული და ალბათ მეორე დღემდე იტირებდა, რომში მიმავალი მატარებლის გასვლამდე, 7 საათზე კარზე სასტუმროს პატრონს რომ არ დაეკაკუნებინა და გაეფრთხილებინა, დროზე წასულიყო ტრაქტირში, თორემ უვახშმოდ დარჩებოდა.

ტრაქტირამდე მოსამსახურე ბიჭმა მიაცილა. ზღვიდან მაცოცხლებელი ნიაჟი უბერავდა. შეიდი საათის ფერმიხდილი მზის ქვეშ, პლაჟზე აქა-იქ კიდევ იწვნენ მობანავეები. სენიორა პრუდენსია ლინერო ბიჭს სიესტის ძილიდან ახალგამოღვიძებულ, ვიწრო, დაკლაკნილ ქუჩებში მიჰყვებოდა, სანამ დაჩრდილულ ტერასასთან არ აღმოჩნდნენ, მაგიდებზე გაშლილ თეთრ-წითელ უჯრულა გადასაფარებ-ლებზე მარინადის ქილებისაგან გადაკეთებული ქაღალდის ყვავილებიანი საყვავილებები ეწყო. ტრაქტირში მიმტანების გარდა არავინ ჩანდა. თუ არ ჩავთვლით კუთხეში მიმჯდარ ერთ ლატაკ მღვდელს, რომელიც პურს და ხახვს ლოღნიდა. შესვლისას ყველამ მიაქცია ყურადღება სენიორა პრუდენსია ლინეროს მონანიეს ტანსაცმელს, მაგრამ ქალი არ შეშფოთებულა. ხოლო როცა მის მაგიდას ლამაზი, ქერა ოფიციანტი გოგონა მიუახლოვდა, რომელიც სიმღერით წარმოსთქვამდა სიტყვებს, სენიორა პრუდენსია ლინეროს გული დაეთუთქა. ძალზე უნდა გასჭირვებოდა იტალიას ომის შემდეგ, რომ ასეთ გოგოს ტრაქტირში ემუშავა. ქალი კარგად გრძნობდა თავს ვაზის ტალავერის ქვეშ. სამზარეულოდან გამოჭრილმა დაფნაში ჩახრაკული ხორცის სუნმა კი დღის განმავლობაში მივიწყებული შიმშილის გრძნობა გაუღვივა და პირველად, დიდი ხნის მანძილზე, არ გასჩენია ტირილის სურვილი, გემრიელად მაინც ვერ შეჭამა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძლივს გააგებინა ლამაზ და მოთმინებით აღჭურვილ

ოფიციანტს რა უნდოდა, თანაც აღმოჩნდა, რომ აქ მხოლოდ შემწვარი მგალობელი ჩიტები ჰქონდათ. სწორედ ისეთი, თვითონ რომ ზრდიდა გალებში რიოაჩაში. კუთხეში მიმჯდარმა მღვდელმა, რომელმაც საბოლოოდ თარჯიმნობა ითავა, სცადა აეხსნა, რომ ევროპას ომის ჭრილობები ჯერაც არ მოეშუშებინა და ამიტომ შემწვარი მთის ჩიტებიც კი ღვთის წყალობად უნდა ჩათვალათ, მაგრამ ქალი არ დაეთანხმა.

- ჩემთვის იგივეა, საკუთარი შვილი რომ შევჭამო, - თქვა.

ამიტომ იძულებული გახდა ვერმიშელის წვნიანითა და მომწარო ღორის ქონში შემწვარი ყაბაყით დაკმაყოფილებულიყო, რასაც ქვასავით ხმელი პურის ნატეხი მიატანა. ვახშმობისას მღვდელი შეევედრა სამოწყალოდ ფინჯან ყავაზე დაეპატიებინა და გვერდით მიუჯდა. იუგოსლავი აღმოჩნდა, მაგრამ ბოლივიაში მისიონერად ნამყოფი მარტივ ესპანურს ლაპარაკობდა. სენიორა პრუდენსია ლინეროს მღვდელი უხეში ხელებითა და ჭუჭყიანი, დამსკდარი ფრჩხილებით ჩვეულებრივ მოკვდავად მოეჩვენა. ხახვის მყალი სუნის კი, ჩანდა მის ერთ-ერთ თვისებად ქცეულიყო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მღვდელი ღვთის სამსახურში იდგა და სახლიდან იმ სიშორეზე მასზე უკეთ ვერვინ გაუგებდა.

დინჯად მიირთმევდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ ნელ-ნელა გავსებულ ტრაქტირში ავარდნილ საჩინბოს სუნს. სენიორა პრუდენსია ლინეროს უკვე ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა იტალიაზე: არ მოსწონდა, არა იმიტომ, რომ კაცები, ცოტა არ იყოს, თავხედურად იქცეოდნენ, რაც საკმარისი მიზეზი გახლავთ, არც იმიტომ, რომ მგალობელ ჩიტებს ჰამდნენ, რაც უკვე მეტისმეტი იყო, არამედ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში დამხრჩვლებს წყალში ტოვებდნენ.

მღვდელმა, რომელმაც ყავის გარდა

ერთი ჭიქა გრაპაც მოატანინა სენიორა პრუდენსია ლინეროს ანგარიშზე, სცადა გაერკვია ქალი ვითარებაში. აქ ომის დროს სპეციალური სამსახური დაუარსებიათ, რომელსაც ნეაპოლის წყლებში მოტივტივე მრავალრიცხოვან დამხვრეველთა აკრეფა, ვინაობის დადგენა და ნაკურთხი მიწისთვის მიბარება ევალა.

- საუკუნეების მანძილზე, - დაასვენა მღვდელმა, - იტალიელები მიხვდნენ, რომ ერთხელ ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე და ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა. ამიტომაც გახდნენ ანგარიშიანები და მოუსვენარნი, სამაგიეროდ სისასტიკისგანაც გათავისუფლდნენ.

- გემიც კი არ გაუჩერებიათ, - თქვა ქალმა.

- სამაგიეროდ ნავსადგურის უფროსობას აცნობებდნენ რადიოთი, - აუხსნა მღვდელმა, - გვამი, ალბათ უკვე ამოიღეს და მიწას მიაბარეს.

საუბარმა ორივეს შეუცვალა განწყობილება. სენიორა პრუდენსია ლინერომ ჭამა დაამთავრა და შეამჩნია, რომ ყველა მაგიდა გავსებულიყო. მის ირგვლივ თითქმის შიშველი ტურისტები ჭამდნენ უხმოდ, რომელთა შორის შეყვარებული წყვილებიც ერივნენ. ისინი ჭამის ნაცვლად ერთმანეთს კოცნიდნენ. ტერასის სიღრმეში, დახლის ახლო-მახლოს, უბნის კაცები კამათელს აგორებდნენ და უფერულ ღვინოს სვამდნენ. სენიორა პრუდენსია ლინერო მიხვდა, რომ ამ არასასურველ ქვეყანაში ერთადერთი მიზეზი აჩერებდა.

- როგორ ფიქრობთ, ძალიან ძნელი იქნება პაპის ნახვა? - ჰკითხა მღვდელს, რომელმაც უპასუხა, რომ ზაფხულში ამაზე იოლი არაფერი იყო. პაპი შვებულებას კასტელგანდოლფოში ატარებდა და ოთხშაბათობით მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ პილიგრიმებს იღებდა. შესვლაც მეტისმეტი იაფი იყო - სულ რაღაც ოცი ლირა.

- აღსარების თქმაში რამდენს

გამომართმევს? დაინტერესდა ქალი.

- რომის პაპი აღსარებას არავისაგან იღებს, - თქვა შეშფოთებულმა მღვდელმა, - თუ არ ჩავთვლით მეფეებს.

- არ მესმის, რატომ უნდა უთხრას უარი ამისფორიდან ჩამოსულ საბრალო ქალს - თქვა სენიორა პრუდენსია ლინერომ.

- ზოგჯერ მეფეებიც კი გარდაცვლილან აღსარების მოლოდინში, - აუწყა მღვდელმა, - მაგრამ მითხარით: ასეთი რა ცოდვა გაწევთ, რომ ამხელა გზას არ შეუშინდით პაპისთვის აღსარების სათქმელად.

სენიორა პრუდენსია ლინერო წამით დაფიქრდა და მღვდელმა პირველად შეამჩნია მის სახეზე ღიმილი.

- ღმერთო ჩემო, თქვა ქალმა, - კარგი, ნახვასაც ვიკმარებ, - და გულიდან ამოხეთქილი ჩურჩულით დაასრულა, - ეს მთელი ჩემი ცხოვრების ოცნება იყო!

სინამდვილეში, შეშინებულსა და დანაღვლიანებულს ერთადერთი სურვილი შერჩენოდა, შეძლებისდაგვარად სწრაფად გასცლოდა მარტო ამ ადგილს კი არა, საერთოდ იტალიას. მღვდელმა, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ ამ უცნაურ ქალს მეტს ვერაფერს გამორჩებოდა და სხვა მაგიდას მიუჯდა სამოწყალოდ ფინჯანი ყავის სათხოვნელად.

ტრაქტირიდან გამოსულ სენიორა პრუდენსია ლინეროს ქალაქი გადასხვაფერებული დახვდა. ქალი გააოცა საღამოს ცხრა საათის მზემ და შეაშინა ცელქი ნიაფი გამოცოცხლებულ ქუჩებს მოდებულმა ხმაურიანმა ბრბომ. ყოველ ნაბიჯზე მოტოციკლთა გამაყრუებელი ტკაცუნა ისმოდა, რომლებსაც უპერანგო კაცები მართავდნენ, უკან ლამაზი ცოლები მოესვათ და ძლივს იკვლევდნენ გზას. სახელდახელოდ მოწყობით დახლებზე აკოლიკებულ საზამთროსა და იქვე ჩამოკიდებულ ბურგაკის ნაჭრებს შორის.

ყველგან საზეიმო სული ტრიალებდა, მაგრამ სენიორა პრუდენსია ლინეროს უბედურების შეგრძნება დაეუფლა,

ყველაფერთან ერთად გზაც აებნა. მოულოდნელად ერთ ვიწრო ქუჩაბანდში აღმოჩნდა, რომლის ერთნაირი, წითელი ფარნებით განათებული სახლების ზღრუბლზე გამოფენილი, მოწყვნილი ქალების დანახვაზე შიშით გააქრეოლა. თანაც ერთი კარგად ჩაცმული, ოქროსბეჭდიანი და ჰალსტუხში ბრილიანტის ქინძისთავგაყრილი კაცი გამოეკიდა და რამდენიმე კვარტალი ჯერ იტალიურად ელაპარაკებოდა რაღაცას, შემდეგ ინგლისურად და ფრანგულად. პასუხი რომ ვერ მიიღო, ჯიბიდან ღია ბარათი ამოიღო და ქალს აჩვენა. სენიორა პრუდენსია ლინერომ სურათს თვალი შეავლო და მოეჩვენა, რომ ჯოჯოხეთში ჩაადგეს.

თავგაბაზნებული გაეცალა იქაურობას და მხოლოდ მაშინ ჩაუდგა გული საგულეში, ქუჩის ბოლოს რიოაჩას ნავსადგურის დამპალი მოლუსკების სუნი რომ ეცა და ზღვა დაინახა. უკაცრიელი პლაჟის გასწვრივ ჩამწყრივებული ფერადი სასტუმროებიც იცნო, სამგლოვიარო კატაფალკის მსგავსი ტაქსებიც და უკიდევანო ცაზე ბრილიანტისფერად აციაგებული ერთადერთი ვარსკვლავიც. ნავსადგურში გემბანგაჩირაღდებული უზარმაზარი გემი იდგა, სწორედ ის, რომლითაც ჩამოვიდა და ქალი მიხვდა, რომ მასთან აღარაფერი აკავშირებდა. მოსახვევში მარცხნივ შეუხვია, მაგრამ ნაბიჯიც ვერ წადგა წინ, რადგან იქაურობა ცნობისმოყვარეებითა და პოლიციელებით იყო სავსე. მისი სასტუმროს წინ სასწრაფო დახმარების მანქანები ჩამწყრივებულიყო.

ცნობისმოყვარეთა მხრებს ზემოდან სენიორა პრუდენსია ლინერომ ინგლისელი ტურისტები დაინახა. ისინი სათითაოდ გამოჰქონდათ საკაცეებით, სადაც უმოძრაოდ და ღირსეულად ესვენენ, და ისევ სარკეში არეკლილებს ჰვადენენ ერთნაირი საღამოს ტანსაცმლით ყველას

ფლანელის შარვალი, დიაგონალურ ზოლებიანი ჰალსტუხი და მკერდის ჯიბეზე ამოქარგული თრინითის კოლეჯის ლერბიანი მუქი პიჯაკი ემოსა. აივანზე გამოფენილი მეზობლები და ქუჩაში შეკრებილი ცნობისმოყვარეები ხმამაღლა ითვლიდნენ ინგლისელებს. ჩვიდმეტნი იყვნენ. ისინი ორ-ორად მოათავსეს სასწრაფო დახმარების მანქანებში და სირენის კივილით გაუყენეს გზას.

გაოგნებული სენიორა პრუდენსია ლინერო სხვადასხვა სართულის სასტუმროთა, განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე მოზინადრებებთან ერთად შევიდა ლიფტში. ტურისტები ყველა სართულზე ჩადიოდნენ, მესამის გარდა, სადაც ყველაფერი ღია და განათებული იყო, მაგრამ არც დახლს უკან ჩანდა ვინმე, არც ვესტიბულის სავარძლებში, სადაც სენიორა პრუდენსია ლინერომ დილით ვარდისფერ მუხლებიანი ჩვიდმეტი მთვლემარე ინგლისელი იხილა. მეხუთე სართულის სასტუმროს მფლობელი ქალი გატაცებით ყვებოდა უბედურების ამბავს.

- ყველა მკვდარია, - მოახსენა სენიორა პრუდენსია ლინეროს, - ლოკოკინების წვნიანით მოიწამლენ ვაზშაშზე, ლოკოკინა აგვისტოში! წარმოგიდგენიათ?!

შემდეგ ქალს თავისი ოთახის გასაღები მისცა და ახლა სხვა კლიენტს მიუბრუნდა. „ჩვენ სასადილო არ გვაქვს, ამიტომაც ღამე დაწოლილი კაცი დილით ცოცხალი იღვიძებს“, არატრატდა თავის დიალექტზე. სატირლად გამზადებულმა სენიორა პრუდენსია ლინერომ ოთახი საიმედოდ ჩაკეტა, კარს საწერი მაგიდა, სავარძელი და თავის ჩემოდანი მიადგა, თითქოს ამ ბარიკადებით სურდა გაემიჯნა თავი ქვეყნისაგან, სადაც ერთდროულად ამდენი რამ ხდებოდა. შემდეგ ქვრივის სამოსი ჩაიცვა, საწოლზე პირადმა დაწვა და ჩვიდმეტი ლოცვა წარმოთქვა მოწამლულ ინგლისელთა სულების დასამშვიდებლად.

ესპანურიდან თარგმნა
თეა გვახალიაძე

არტურ რამბო

ართხალ ჯოჯოხეთში

ბოღვახი I

გიჟი ქალწული

ჯოჯოხეთური მეუღლე

ჯოჯოხეთიდან ერთი ქალის აღსარებას მივუვდეთ ყური;

„ჩემო მეუღლე, ღვთაებრივო! უფალო ჩემო, ნუ უკუაგდებთ აღსარებას ყველაზე უფრო სევდიანი თქვენი მსახურის. დაღუპული ვარ, გაბეზრებული და ბიწიერი. რაა ცხოვრება!

ო, მაპატიეთ, ზეციერო ჩემო ბატონო, ო, მაპატიეთ! აჰ! მაპატიეთ! ცრემლის წვიმა! რამდენი ცრემლი იქნება კიდეც, მოგვიანებით, მქონდეს იმედი!

მოგვიანებით ჩემი მეუღლის, ღვთიურ ბატონის შეცნობას შევძლებ. ამ ქვეყანაზე დავიბადე მისი მორჩილი, მაგრამ ამჟამად სხვას შეუძლია, გამასილაქოს!

ქვეყნიერების ფსკერზე ვაგდივარ! ო, მეგობრებო!.. არა, არ არის მეგობარი... ბოღვაც, წამებაც არ ყოფილა არასდროს მსგავსი... პირუტყვობა.

აჰ, ვიტანჯები, ვყვირი სიმწრისგან, ჩემი წამება ნამდვილია, თუმცა ყოველის ნება დამრთეს, რაც აღსაესა უსაზიზღრესი გულების ზიზღით.

ბოლოს და ბოლოს, ვალიაროთ, რაც სათქმელია. ეს გამორიცხავს შემდეგისთვის განმეორებებს, ისეთივე უღიმღამოს და უმნიშვნელოს!

მე მხევალი ვარ ჯოჯოხეთური მეუღლისა, ვინაც დაღუპა გიჟი ქალწულნი. ის, უქვეყლად დემონია, არც აჩრდილია, არც - ფანტომი, მაგრამ მე, ვინაც მთლად დაკვარგე გონიერება, ვინც ამ სოფელში შეეჩვენდი და გარდავიცვალე, - არ დამღუპავენ. როგორ აღწერდით, ნეტავი, ამას! აღარც მე ვიცი ლაპარაკი. ვგლოვობ, ცრემლებს ვღვრი და მეშინია. ცოტა სიგრილე, უფალო ჩემო, თუკი ინებებთ, თუკი ნამდვილად ამას ინებებთ.

ქვრივი გახლავართ, ქვრივი ვიყავი... და, მართალია, ოდესღაც ფრიად სერიოზულიც, მაგრამ იმისთვის, რომ ჩონჩხად ვიქცე, არ გაეჩენილვარ!.. იგი ბავშვს ჰგავდა... მისმა ნატიფმა იღუმალებამ გადამაცდინა, მასთან ყოფნისთვის გადავივიწყე ყველაფერი, რაც ევალემა. კაცის ნაშიერს. რაა ცხოვრება! ნაღდი ცხოვრება არ არსებობს. ამ ქვეყანაზე არ ვიმყოფებით. იქით მივდივარ, სადაც ის მიდის. ეს საჭიროა. იგი კი ხშირად მიჯავრდება მე - საბრალო სულს. ბოროტი სული! - ჰო, დემონია, თქვენც გესმით კარგად - კაცი არ არის.

ის ასე ამბობს: „არ მიყვარს ქალი. აღმოვაჩინოთ სიყვარული უნდა თავიდან. ეს ვაგრძელება დასაწყისი იხილეთ "ლიტერატურული აჭარა", №2, 1999 წელი

ყველამ იცის. ქალებს რა ძალუძთ, გარდა იმისა, თავის დაზღვევა რომ მოისურვონ, ხოლო გული და მშვენიერება გვერდით გადასდონ... და რჩება მხოლოდ ზიზღის სიცივე, დღეისათვის ქორწინება საზრდოობს რითაც. მხოლოდ ის ქალი მომივა თვალში, ვისაც სახეზე ბედნიერების უჩანს ნათელი, და ახლობლადაც მას გავიხიდი, ვინც თავიდანვე გიზგიზებდა მოუთოკავი გრძნობიერებით, როგორც კოკონი“. ვუსმენ ამ კაცს და სისაძაგლისგან ვძერწავ დიდებას, სისასტიკისგან – მომზიბვლელობას.

იგი აგრძელებს: „მე შორეული ტომისა ვარ, სკანდინავიელ წინაპართა შთამომავალი. ისინი ფერდებს ისერავდნენ, რომ სისხლი ესვათ, მე კი სხეულზე გავიკეთებ დანით ნაჭდეებს, მოვისვირინებ. ვეცდები, გაეზღე უსახური, როგორც მონღოლი. შენ დაინახავ, როგორ ვიყვლებ შუა ქუჩებში. მსურს ვიყო გიჟი ცოფმორეული. არ დამანახო არასოდეს სამკაულები. მე ვიზოხებდი ხალიჩაზე, თავს დავიკბენდი და სიმდიდრესაც ვისურვებდი სისხლისაგან დალაქავებულს... არ ვიმუშავებ არასოდეს...“ რამდენჯერ ღამით მისი ღემონი ჩამბლუჯავდა რა, დავგორდებოდი და ჩვენ ვიბრძოდი! ხშირად კი იგი გაღეშილი დამხვდებოდა ხან ქუჩებში, ხანაც სახლებში და სასიკვდილოდ შეძრწუნებას ჩემსას ცდილობდა – „უეჭველია, მომკვებენ კისერს და ეს იქნება შესაზიზღი“. ო, ის დღეები, როცა ღამობდა ბოროტმოქმედის იერით ევლო!

ხოლო ხანდახან რბილ კილოზე ლაპარაკობდა სიკვდილზე და მის თანამდეგ სინანულებზე, უბედობაზე, ქეშმარიტად რაიც არსებობს, მტანჯველ შრომაზე, გამგზავრებებზე, გულებს რომ ფლეთენ და ბუნაგებში, სადაც ვთვრებოდი, იგი ტიროდა, სილატაკისგან ცხოველად ქმნილი, რომ ყურადღება მიექცია გარშემომყოფთა. ღამის ქუჩებში წამოყრიდა ზეზე გაღეშილი. ო, მან იცოდა სიბრალული მსგავსად ბოროტი დედიკოსი ბავშვებისადმი. ვიდოდა იმგვარ სათნოებით, ვით ქალიშვილი უწლოვანი კატეხიზმოსკენ. ყველა სფეროში განათლებულად მოჰქონდა თავი: კომერციაში, ხელოვნებაში, მედიცინაში. მე მივყვებოდი. საჭირო იყო!

დეკორაციას, რომელსაც იგი გონებაში შემოიკრებდა, კარგად ვხედავდი: ტანსაცმელს, ზეწარს, დგამ-ავეჯსაც კი... ვესმარებოდი ყოველი ღონით, ვხედავდი, რასაც ვხეობდა, რასაც თავისთვის ისურვებდა წარმოსახვაში. როს დაიპყრობდა მოდუნებულ გონებას ჩემსას, შორს მივყვებოდი უცნაურსა და გაუგებარ მოქმედებებში, ავსა თუ კარგში. სულს მიმწარებდა, რაც ვიცოდი: მე ვერასოდეს შევალწევდი მის სამყაროში. რამდენჯერ ღამით, როცა ეძინა, მისი ძვირფასი სხეულის გვერდით, ფხიზლად ვიყავი, რომ მივხვდარიყავ, ასე ძალიან რისთვის ცდილობდა, რეალობიდან თავის დაღწევას. ო, არასოდეს ძეს კაცისას არ ჰქონია მსგავსი სურვილი. მისთვის უვნებლად ვიძიებდი ხალხს თუ უქმნიდა საფრთხეს რეალურს. იქნებ მიზეზი იდუმალი კიდევაც ჰქონდა, რომ შეეცვალა თავისი ყოფა, მაგრამ, ო, არა, ის მხოლოდ ეძებს, არას აშავებს – თავს ვპასუხობდი... და საბოლოოდ გულმოწყალებამ მისმა მომწესხა. პატიმარი ვარ. არ ექნებოდა არცერთ სულიერს ასეთი ძალა – სასოწარკვეთის – სწორედ იმისთვის, უსასოობა რომ აეტანა, ამ კაცისაგან მოწონებული, მისგან დაცული რომ ყოფილიყო. გარდა ამისა, წარმოსახვითაც ვერ ვხედავდი მას სხვასთან ერთად: ხედავენ მხოლოდ თავის ანგელოზს, არასდროს – სხვისას. ასე მგონია... და გბინადრობდი მის სულში ისე, ვითარცა დაცლილ სასახლეში, რომ არ მენახა უფრო ნაკლებად კეთილშობილნი.

აი, რაც არის. ვაგლახ! აღარ შემეძლო უიმისობა, მაგრამ ის თავად რას ელოდა ჩემი დუნე და უფერული არსებობისგან? ის ვერ მაქცევდა უკეთესად, თუ არ მომკლავდა! ბეჩავის წყნით მითქვამს რამდენჯერ: „მე შენი მესმის“. ის მხრებს იჩეჩდა.

ასე მუდამდღე ახლდებოდა ჩემი ვარამი და დღიდან დღემდე ვიზნეოდი უფრო ძალიან საკუთარ თვალშიც და იმათ თვალშიც, ვინც ჩემს დანახვას მოისურვებდა, თუ არ დამსჯიდნენ არად ჩადგებით. სულ უფრო მეტად მშვიდდებოდა მისი სიკეთე. ზეცად ავყავი კეთილმოსურნე მოხვეწნას მისას, ბავით შეხებას, ბინდიან ცაში, შევდიოდი და ვისურვებდი სადაც დარჩენას ყრუ-მუნჯად, ბრმად და უბადრუკად. მე ამას უკვე ვეჩვეოდი. ასე მეგონა, ჩვენ ვიყავით ლალი ბავშვები, ვინც თავი იხსნა მოსაწყენი სამოთხისაგან. ერთუროს ვერწყმოდით, ვიწვოდით ერთად აალებულნი... და გამთანგველი ალერსის შემდეგ მეუბნებოდა: „რა უცნაური იქნება შენთვის, როცა უეცრად აღარ ვიქნები, აღარ იქნება, რითაც იცხოვრე - კისერზე აღარ მოგეხვევა ჩემი მკლავები და ველარც ჩემს გულს დაიგულე მყუდრო სავანედ, არც ბაგეებით შეგეხები უკვე თვალებზე, რადგან ერთხელაც შორს ჩემი წასვლა შეიქმნება გარდაუვალი. შემდეგ სხვებს უნდა დაგეხმარო: ვალა ჩემი, სასიამოვნოც რომ არ იყოს... ძვირფასო სულო...“

და მყისვე ვგრძნობდი მისი წასვლის საშინელებას, მესზმოდა რეტი და როგორც ნადავლს ძირს მიმათრევდა უსაზარლესი შავი წყდილი: ეს სიკვდილია. და გამოვითხოვდი დაპირებებს, რომ არასოდეს მიმატოვებდა. მომისმენია რაიც მრავალჯერ... ჰმ, დანაპირები საყვარლისა ჰაერზე თქმული, სწორედ ისევე, ვით ჩემგან თქმული: „მე შენი მესმის“.

აჰ! არასოდეს ვეჭვიანობდი. ასე მეგონა, არ დამტოვებდა. რას გავხდებოდი? არ გააჩნია განათლება, არც არასოდეს იმუშავებს. მთვარეულივით სურს, რომ იცხოვროს. მხოლოდ სიკეთით, გულმოწყალებით რისი უფლება ექნებოდა სინამდვილეში ამა სოფლისა? წუთით ვივიწყებ შეწყალებას, რამაც შემიპყრო: ის დამიბრუნებს დაკარგულ ძალას, ვიმოგზაურებთ და ვინადირებთ უკაცრიელ მიდამოებში, უზრუნველად დაგვეძინება უცხო ქალაქთა ქვაფენილებზე. გავიძებნისას, თუ ამა სოფლის კანონ-წყისი გამოიცვალა, მაღლი მის ძალას ზებუნებრივს, - ო, ეს ქვეყანა კვლავ ძველებური დარჩება და მაცლის ოცნებებს, სიხარულებს, უდარდლობას. ისე ვიტანჯე, სამაგიეროდ თუ მაჩუქებდი თავგადასავლით სავსე ცხოვრებას, დარჩენილს მხოლოდ ბავშვთა წიგნებში? არ შეუძლია. იდეალს მისას მე არ ვიცნობ. მირჩია, მჭონდეს სინანული და სასოება: და მეც ბრმად უნდა დავუჯერო. საუბრობს ღმერთთან? იქნებ უფლისთვის მიმემართა! უღრმეს უფსკრულში ჩავვარდი და აღარ ძალმიძს ლოცვა-ვედრება.

თავისი სევდა რომც განემარტა, განა მას უფრო გავიგებდი, ვიდრე დაცინვებს? იგი თავს მესზმის და საათები გაჰყავს ლანძღვაში, რომ შემარცხვინოს ყველაფრის გამო, რასაც შევეხე და მირისხლება, თუკი ვიტირე.

- ხედავ ამ ჭაბუკს, ელეგანტურს, მყუდრო და ლამაზ სახლში შემავალს: დუვალი ჰქვია, ან არმანი, ან მორისი, ანაც დუფური... ან... რა ვიცი, კიდევ... ქალს ეს ბოროტი იდიოტი ერთგულად უყვარს: ჰოდა, მოკვდა და ახლა, ალბათ, წმინდანისვით ცაში ბინადრობს. დავილუბები შენგან ისევე, როგორც ის ქალი. მოწყალე გულთა ხვედრი ეს არი. ვაგლახ! იმ დღეებს, როს ყველა კაცი თვისი ბოდვების სათამაშო ეგონა მხოლოდ: ის იცინოდა ამაზრზენად, ძალიან დიდხანს - შემდეგ კი ისევ

ყაწვილ დედას ან უფროს დას ემსგავსებოდა. ნაკლებ ველური რომ ყოფილიყო, გადავრჩებოდით! მაგრამ თვით სიტკბოც მისგან სასიკვდილოა. ვემორჩილები.

აჰ, მე გიყი ვარ!

ერთხელაც იგი, შესაძლოა, შთამბეჭდავად გაუჩინარდეს, მაგრამ ვიცოდე საჭიროა, როდის აპირებს ზეცაში ასვლას, რომ მიძინებას საყვარლისა, თვალი შევავლო!

სასაცილოა ეს საზრუნავი!"

ბოღვაჲი II

ზმნის აღქმისა

ახლა ჩემზეც ვთქვათ - ამბავი ერთი სიგიჟისა. საკმაოდ დიდხანს ვიჩემებდი ყველა პეიზაჟს ამქვეყნიურს, სასაცილოდაც მეჩვენებოდა დიდებულება ფერწერისა, თანამედროვე პოეზიისა.

უფრო მზიბლავდა იდიოტების ნახატები კარების თავზე, მორთულობებზე, ბალაგანების ფარდის ტილოზე, გაბრდღვიალებულ ფირნიშებზე; მიუღებელი ლიტერატურა, საეკლესიო ლათინური, უწიგნური მოთხრობები ეროტიკაზე, წინაპართა რომანები, ჯადო ზღაპრები, წიგნები ბავშვთა, ხავსმოდებული ოპერები, სულელური მისამღერები და რიტმებიც კი მიამიტური.

მეზმანებოდა ჯვაროსანთა გალაშქრებანი, მოგზაურობა ჯერაც უცნობი აღმოჩენისთვის, რესპუბლიკები უწარსულო, რელიგიურ ომთა ხანძარი უკვე ჩამქრალი, ზნეობრივი ვარდატეხები, რასებისა და კონტინენტების ცვალებადობა: ფიქრს ვეძლეოდი მთელი არსებით.

გამოვიგონე ფერი ხმოვანთა **ა** შავი იყო, **ჰ** კი თეთრი, და **ი** წითელი, **ო** ცისფერი, **უ** კიდეც მწვანე. გამოვიცანი თანხმოვნების ფორმაც და ქღერაც. და ინსტინქტური რიტმების ფონზე თავს ვიტყუებდი ყოველ ცისმარე, რომ მივაგენი გულმზურვალეებით ხელმისაწვდომად პოეტურ ზმნასაც. ხოლო მის თარგმნას ვინახავდი მერმისისათვის.

თავდაპირველად ეს ჰგავდა ვარჯიშს - ვწერდი ღუმელზე, ღამეებზე, აღვწერდი უთქმელს, თავბრუსხვევას ვაფიქსირებდი.

ჩიტებისაგან, ნახირისგან, სოფლებისგან შორს,
ნეტა რას ვსვამდი მუხლმოყრილი მანანის ბუჩქთან,
როს გარს მეხვია ნედლი თხილის ტყის შარიშური,
როს ნაშუადღევს გრილი ნისლი მწვანედ ჩამუქდა.

და რა შემეძლო დამელია უაზის პირთან -
უტყვი თელები, დახშული ცა, მდელი შიშველი,
ჩემი ქოხისგან მოშორებით, გოგრის ბოთლითა,
რა ოქროსფერი დასალევი ოფლად გამღვრელი.

ატირებული ვუცქერდი ოქროს, რადგან ვერ ვსვამდი.

ზაფხულის დილას, საათზე ოთხის, როცა საყვარლებს ჯერ კიდევ სძინავთ, ჭალებს წარმტაცი სუნით აიტანს ნაზიმიმარი საოამოს ორთქლი.

ვრცელ მინდორში კი, იქითა მხარეს,
ჰესპერიდების იდუმალ მზეზე
დურგლები უკვე არიან ზეზე,
იკაპიწებენ ოფლიან მკლავებს.

და დაზავებულ უდაბნოში ასე ჩუმები,
ისინი ხისგან თლიან პანელებს,
სადაც ქალაქი ლამაზ ქუჩებით
ცათა შეცდომის ნახატს გვაჩვენებს.

ძველ ბაბილონელ მეფეთაგან რაც ერთმა შექმნა, ამ სანდომიან მუშაკებსაც ზომ შეუძლიათ, ტურფა ვენერა, შეფარებული იქნებ დაეხსნა, მათი სულები კურთხეულია.

ჰოი, მწყემსების დედოფალო,
მიეც არაყი ბეჭით მუშახელს,
ზღვაში ჩასვლამდე მშვიდად იცადონ
და მალე მოგა მსხნელი შუადღეც.

აღქიმიდაში ჩემი ზმნისა ბევრი რამ არის ძველმანთაგან პოეზიისა.

მე შევეჩვიე მარტივ ხილვებს: ცხადად ვხედავდი ქარხნის ადგილას აღმართულ მეჩეთს და ანგელოზთა შექმნილ სკოლას დაფის დამკვერელთა და ციურ გზებზე მიმავალ ეტლებს, დარბაზს ტბის ფსკერზე, ურჩხულებსა და იდუმალებებს. ვოდევილებს დასახელება თვალითა წინაშე აღმართავდა საშინელებას.

მცირე ხნის შემდეგ ჯაღოსნურ ხილვებს ეხსნიდი სიტყვათა მოჩვენებებით.

ბოლოს და ბოლოს სულში ვიპოვე ეს დაწყებული არეულობა. ვიყავ უქნარა, მძიმე ციების სამსხვერპლოზე შეეწატროდი ნეტარებას პირუტყვისა - მუხლუხებისა

- სწორედ ეს არის უმწიკვლოება სამოთხის კართა: თხუნელებისა - ლეთარგია უბიწოების!

მეწამლებოდა ხასიათი. ვთხზავდი რომანებს ქვეყნიერების დასაღწეხად.

ყველაზე მაღალი კოჟის სიმღერა

ო, მოვიდოდეს ჟამი ვნებისა,
გატაცებისა,
თუ ამდენი თმენისაგან
დასვენება მელირსა.

შიშიც, ვაებაც
ზეცისკენ გაფრინდა,
წყურვით სიშმაგმ
ძარღვები დაბინდა.

ო, მოვიდოდეს ჟამი ვნებისა,
გატაცებისა!

ველი კვლავ იზრდება
დასაღწეხელი,
ისევ ყვავილდება
ლიქნი - საკმეველი.

ბზინვარებას დიდი ზარის
მოსდებია ბუზანკალი.
ო, მოვიდოდეს ჟამი ვნებისა,
გატაცებისა!

მე მოვიხიბლე უდაბნოთი, გადახრუკული წალკოტებით, ფერგადასული დუქნებით და ოდნავ შემთბარი სასმელებითაც. მივლასლასებდი აქოთებულ შესახვევებში, თვალდახუჭული მზეს ვეძლეოდი - ცეცხლის გამგებელს.

„ჰე, გენერალო, თუ შენი ციხის დაშლილ ქონგურზე ერთი ქვემეხი მაინც შემორჩა, მაშ, დავგიშინე გამოუმხარი მიწის ბელტები ბრწყინვალეებაში მოკაშკაშე მალაზიათა! დიდებულების დარბაზებში! ქალაქს აცლაპე თავისი მტვერი, ჟანგი მოადე მილსადენებს, ბუდუარები გაახვიე ლალისფერსა და დამბუგველ დენთში...“

ო! მთვრალი ქინქლი სამიკიტნოთა ფეხსალავებში, საროს მიჯნური, გავსებულია რითაც მზის სხივი!

შიშნა

თუკი ჯერაც ვგრძნობ რაიმეს გემოს,
მხოლოდ ქვისა და მიწის,
ამიერიდან უნდა ვიკვებო
რკინით, კლდითა და სივრცით.

კვლავ მომეახლა ძველი შიმშილი,
ჰა, საძოვრებად მიაგებეთ ბგერის ველები,
რომ ამოქაჩონ მხიარული საწამლავი სარეველების.
დაღეჭეთ ახლა ქვის ნამსხვრევები,
ეკლესიათა ძველი ლოდები,
ნაშთი უძველეს წყალდიდობების,
პურის თავთავი რუხი ველების.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ფრანგულიდან თარგმანა
მარინა მითაიშვილმა



3000 - ქართული სახელმწიფო - 3000

ალექსანდრე გოზრონიძე

იაკობ გოგებაშვილი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული მოძრაობის შესახებ

იაკობ გოგებაშვილი როცა თავისი მოღვაწეობის პროგრამულ მიმართებაზე ლაპარაკობდა, პირდაპირ მიუთითებდა, რომ მას „ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ერთხელაც არაფერი უთქვამს ისეთი, რაც არ შეესაბამებოდა ეროვნულ მიმართულებას, პროგრამას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4. გვ. 326). მართლაც იშვიათად თუ იპოვით მის სტატიას, მოთხრობას, თუ პუბლიცისტურ ნაშრომს, რომ ქართული ეროვნული სულით არ იყოს გაჟღენთილი. „ჩვენი წერილები ეხება თითქმის ყველა საარსო საკითხს ქართველი ხალხის არსებობისაო“ (იქვე) წერდა იაკობი. იაკობს არ სწამს ისეთი მიმართულება, მოძრაობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეროვნულ ამოცანებთან: ამიტომ იყო მან ეჭვი შეიტანა სოციალიზმის თეორიაშიც. ყური მიეუგდრთ, რას წერდა იგი: „სოციალიზმი, თავის-თავად ჩინებული პრობლემა, მოწყვეტილი ნაციონალიზმისა და ეროვნებისაგან დიდს ვნებას მიაყენებს კაცობრიობას, ერების გადაგვარებას შეუწყობს ხელსა, ინდივიდუუმების თავისებურებას დაბლა დასწევს, შეასუსტებს და კაცობრიობას დაამსგავსებს ერთ-ფერს და ერთ-გვარს უშველებელ ნაპირსა, რომელშიც საერთო კუჭი მაძღრობაზე დამყარდება საერთო ერთ-ფერი უხალისო ცხოვრება, უფერული არსებობა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4. გვ. 928). სოციალიზმის იდეები იაკობ გოგებაშვილთან მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულ პრობლემებს. „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმი კი კაცობრიობას დაამსგავსებს გრანდიოზულს, ბედნიერს ხორავს, რომლის ყოველი წევრი, ყოველი ერი თავისებური ხმით გაამდიდრებს და დაამშვენებს საზოგადო ჰარმონიას“. (იქვე).

იაკობ გოგებაშვილისა და 60-იანი წლების ყველა ქართველი მოღვაწის პროგრამა იფარგლებოდა უმთავრესად თვითმმართველობის, ავტონომიის, დედაენაზე ხალხის განათლების, ქართული ტერიტორიის შენარჩუნების, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის და ქართული სახელმწიფოებრიობის სხვა აქტუალური საკითხებით ამასთან ერთად მათ ჰქონდათ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალ-ეკონომიკური გაუმჯობესების პროგრამაც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უფრო მეტ მნიშვნელობას ეროვნული საკითხების გადაწყვეტას უთმობდნენ. აი როგორ ხსნიდა ი. გოგებაშვილი ამ გარემოებას: „ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო ვიდრე ეკონომიკური, ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გეტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური. ჭონებით ჩვენი გლეხკაცობა უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლეხობას, მაგრამ აბა შეადარეთ ჩვენი ენის, ლიტერატურის, ჩვენის მეცნიერების და სხვა ეროვნულ ძალთა უფლებანი რუსეთისას და თქვენ მათ შორის დაინახავთ განუზომელ მანძილსა“. იაკობის აზრით, იმ „განუზომელი მანძილის“ მოსასპობად აუცილებელი იყო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დამოუკიდებლობის

მოპოვება.

ასეთი რწმენით გამსჭვალული ი. გოგებაშვილი ყოველ ღონისძიებას მიმართავდა, რომ გამოვლენილიყო და განვითარებულიყო ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია, დაერაზმა იგი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამიტომ იყო, რომ იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის მთელ მანძილზე ყველა მის ნაწერსა და პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის პირველ პლანზე ერი და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. შეიძლება ითქვას, რომ წმინდა პედაგოგიურ საკითხსაც იაკობი ამ უმთავრესი პრობლემის შუქზე წყვეტდა. მისი აზრით, ყოველი ერის ძალ-ღონე უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნული, მამულიშვილური გრძნობის გაღვივება-გაღონიერებაზე. „სადაც ეს ცენტრალური გრძნობა სუსტია, – წერდა იაკობი, – იქ ხალხიც უძლურია და იმყოფება, ასე ვთქვათ, თუჯის მდგომარეობაში, რომელიც უბრალო დარტყმითაც კი ტყდება, სადაც ეს ცენტრალური გრძნობა მეფობს, ხალხი ძლიერს ერთეულს წარმოადგენს და გავს რკინას, რომელიც ცემისაგან ფოლადდება, აი რა მოსაზრების ძალით მე ყოველ ძალას ვხმარობდი, რომ მამულიშვილური გრძნობა გამეძლიერებინა, ამეღორძინებინა, განმეხიზნებინა ქართველთა შორის კავკასიონის ქედიდან დაწყებული სომხეთის საზღვრამდე და დაღესტნის მთებიდან შავ ზღვამდე“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 473).

ქართველი ერის კონსოლიდაციის, ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობის საქმეში იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა დედაენის განვითარებას, სკოლებსა და ოჯახებში მის დამკვიდრებას. „ერის განვითარება, – წერდა იაკობი, – პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე... თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმით, – ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 11).

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ მშობლიურ ენას მოწყვეტილი ადამიანის განვითარება ერთი საფეხურით უკან დაეჭანება. ეს იყო დიდი მასწავლებლის გენიალური მიხვედრა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში მთლიანად დასტურდება, უკვე ალიარებენ დედაენის კავშირს გენეტიკასთან.

ამიტომ იაკობ გოგებაშვილი ცამდე მართალი იყო, როცა წერდა: „აჭარლებმა ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად და დახეთ, რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და ზნეობით არიან შემკულნი“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 230.) კიდევ მეტი, აჭარის შემდგომი წინსვლისა და აღორძინების მთავარ ფაქტორად გოგებაშვილს მიაჩნია მშობლიური ენის – ქართული ენის დამკვიდრება-განვითარება. იგი წერდა: „ჩვენს სახელმწიფოს შემოუერთდა ვეებერთელა ნაწილი საქართველოსი, მთლიანად გამაჰმადიანებული, სადაც მტკიცე კავშირის დანერგვა შეიძლება მხოლოდ ქართული ენის შემწეობით, რომელიც არის ერთადერთი ძაფი, რაზედაც ჰკიდია მისი კავშირი ჩვენს სახელმწიფოსთან“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. 1. გვ. 194).

თავის განთქმულ ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ იაკობ გოგებაშვილს ასეთი აზრი აქვს განვითარებული (ზედმეტი არ იქნება ვრცლად მოვიყვანოთ ეს ამონაწერი) „... იყო თურმე ერთი გმირი, სახელად ანთეოზი, შვილი დედამიწისა. იგი იყო უძლეველი იმის გამო, რომ მშობელი დედა-მიწისაგან იგი დაკავშირებული იყო ან ჯდომით, ან დგომით და ან წოლით, განუწყვეტლივ აზდიოდა სხეულში დიდი ძალა და ღონე. ბოლოს შეხვდა ანთეოზს ჰერაკლი, გმირთაგან გმირი. გაჩნდა საშინელი ბრძოლა. ჰერაკლიმ არა ერთხელ წააქცია მიწაზედ ანთეოზი, მაგრამ შეეხებოდა თუ

არა თავის მშობელს ტანით, ანთეოზი ერთი ორად და სამად ღონიერდებოდა, ერთს წუთს წამოვარდებოდა ფეხზედ და უფრო მხნედ ებრძოდა ჰერაკლისა. ბრძოლა ბოლოს და ბოლოს უთუოდ ჰერაკლის დამარცხებით დამთავრდებოდა, მაგრამ, დახეთ ანთეოზის იღბალს, მისმა მოწინააღმდეგემ შენიშნა, რომ ანთეოზის უძლეველობა დედა-მიწის კავშირისაგან წარმოსდგება, მობლუჯა, მოაშორა დედა-მიწასა, ჰაერში აიყვანა და იქ გააჩერა. მოშორებული დედა-მიწისა, ანთეოზი დასუსტდა, დაუძლურდა და შეიქმნა მსხვერპლი ჰერაკლისა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 327). ამის საფუძველზე იაკობი აკეთებს გამაფრთხილებელ დასკვნას: ანთეოზივით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდა და ყოველი ადამიანი, კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზედ, ხოლო მასავით სუსტდება და ილუპება, როდესაც იგი შორდება იმ ნიადაგს და სწყვეტავს მასთან გამაცხოველებელ კავშირს“ (იქვე).

ქართველი ხალხის ეროვნული ძალის გამოღვიძება-განვითარებისათვის ი. გოგებაშვილს აუცილებლად მიაჩნდა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წარსულის ღრმად ცოდნა. მას კარგად ესმოდა, რომ წარსულის გააზრების გარეშე ადამიანი ვერც ამწყვდის გაერკვევა და ვერც მომავლის განვითარების პერსპექტივებს წარმოიდგენს. ისე როგორც ილია ჭავჭავაძეს, იაკობსაც ისტორიის დაფიქსება მიუტევებელ ცოდვად მიაჩნია და თუ ილიამ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა, ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად დასახა საქართველოს გმირული ისტორიის მეცნიერული შესწავლა, იაკობმა უკვე კონკრეტულ ღონისძიებებს მიმართა ამ დიადი იდეის განსახორციელებლად – ხელი მიჰყო მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევებისა და ისტორიული მოთხრობების, ჟურნალ-გაზეთებსა და ცალკე წიგნებად გამოქვეყნებას, ქართველი ხალხის გმირული წარსულის პოპულარიზაციას ცარიზმის შავბნელი რეაქციის პერიოდში, როდესაც საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სწავლებაც კი ნებადართული არ იყო სკოლებში, გოგებაშვილს მრავლად შეჰქონდა თავის „დედაენასა“ და „ბუნების კარში“ ისტორიული მოთხრობები და ცალკეული ეპიზოდები საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიიდან, რითაც ქართველ ახალგაზრდობას აცნობდა წარსულს, უნერგავდა მის სიყვარულს, არკვედა თუ წარსულის ცოდნა როგორ გამოეყენებინა შავბნელი აწყობის წინააღმდეგ და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ ერის ისტორიის გადმოცემას მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა კი არ უნდა ჰქონდეს, ის ამავე დროს, აღზრდის, ეროვნული შეგნების გაღვივების მძლავრი იარაღიცაა. „მასწავლებლებსა და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ სამშობლოს ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება არა აქვს ნიშნად, დიდი ხანია ნათქვამია, რომ ისტორია მოძღვარია ერისაო, მოძღვრებას ისტორიული მოთხრობანი მაშინ გაუწყვენ მოსწავლეთა, როცა ისინი გარკვევით და ნათლად დაუხატავენ მათ თვალწინ, თუ რა უშლიდა და უმართავდა ხელს ჩვენს ერს წარსულში, რით მალღებოდა და ძალღონით იგებოდა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 6, გვ. 639) – წერდა იაკობი.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ცარიზმმა გადაუდებელ ამოცანად დაისახა ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი კულტურისა და კულტურული ძალების საბოლოოდ განადგურება. ალექსანდრე III ბიუროკრატიული რუსეთის იმპერიის ეს ამოცანები იქითკენ იყო მიმართული, რომ საქართველო საბოლოოდ გაეთქვიფათ და შეედუღებინათ იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან. საქართველოს მთავარმართებელმა, ცნობილმა შავრაზმელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა

ოფიციალურად აკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარება, საგანგებო ღონისძიებები გაატარა, რათა აფხაზეთი, სამეგრელო და სვანეთი ჩამოეშორებინა ქართული კულტურის სფეროდან. ამ შავბნელ საქმიანობაში ღონდუკოვ-კორსაკოვს გვერდს უმშვენებდნენ ეგზარხორსი პავლე, სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდევსკი და ცარიზმის მრავალი სხვა შავრაზმელი მოხელე.

თავის პრაქტიკული საქმიანობითა და ისტორიული ნარკვევებით, თუ მოთხრობებით იაკობ გოგებაშვილი მედგრად ებრძოდა შავრაზმელებს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მალულ თუ მხილებულ მტრებს. მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევებში, ისტორიულ მოთხრობებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში ი. გოგებაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა რუსეთ-საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის ისტორიის საკითხებს.

იაკობი ვერ ურიგდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგავს. იგი თვლიდა, რომ არც ისე დასუსტებული იყო საქართველო, რომ მას დამოუკიდებლობა ნებაყოფლობით დაეთმო. მას მოჰყავს ერთი სომეხი მწერლის სიტყვები, რომელიც აღნიშნავს: „წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო იყო ძლიერი სახელმწიფო და მას ემორჩილებოდნენ და ხარკს აძლევდნენ განჯისა, ყარაბაღისა და ერევნის ხანები“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 352).

იაკობი თვლიდა, რომ თვით ალა-მაჰმად-ხანი ვერ გადარჩებოდა დამარცხებას ქართველებისაგან და იქნება ცოცხალი ველარ გასულიყო ჩვენის ქვეყნისაგან, თუ ერეკლე ხელზედ არ დაეხვია გუდოვიჩის მოშველიების იმედს, არ ელაღატა მისთვის საკუთარ შვილებს, რომელთაც ჯარების მოშველიება სამეფოს სხვადასხვა კუთხეებიდან არ მოინდომეს და ააოხრებინეს თბილისი, მშვენიერად გამაგრებული და 30-ის ზარბაზნით დაცული“. (იქვე, გვ. 351).

ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ საქართველოს ტრაგედიამ არ ააღელვოს. ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ თუ საქართველო ერთიანი იქნებოდა, იგი გაუძლებდა ყოველ განსაცდელს, „მთელი საქართველო, ყოველი მისი კუთხე XVIII საუკუნის დამლევს ჰგრძნობდა ერთობის აუცილებელ საჭიროებას, წერს იაკობი, მის ღიდ სარგებლობას და გულით და სულით მოწადინებული იყო შეედგინა ერთიანი სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებიდან დაწყებული, ვიდრე შავი ზღვის კიდეებამდის“, (ი. გოგებაშვილი თხზ. ტ. 1, გვ. 344) მაგრამ „მეფე ერეკლემ ქვეყნის საუბედუროთ და თავის ღიდების დასამცირებლად, უკანასკნელ წლებში თითქმის სრულიად დაჰკარგა უწინდელი წინდახედულობა, სამაგალითო ვაჟაკობა, ნათელი გონება, შეუპოვარი მხნეობა, მიეცა თავისი გვარის წვრილმანი ინტერესების ძებნას, და უმეტესად იმაზედ ზრუნავდა, რომ დაეკმაყოფილებინა ეგოისტური მოთხოვნილებანი თავისი არეული და განხეთქილებითი სავეს სახლობისა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 349).

იაკობ გოგებაშვილი ბრალს დებს დედოფალ დარეჯანსაც სახელმწიფო საქმეებში ჩარევის გამო. „დაუყოლებელი, შეუჯერებელი წინააღმდეგობა საქართველოს აღმოუჩინა დედოფალმა დარეჯანმა, რომელიც ეშმაკობაში დახელოვნებული იყო, მაგრამ ნამდვილ ჭკუას და მამულის სიყვარულს მოკლებული. საუბედუროდ ქვეყნისა დარეჯანს ღიდი გავლენა ჰქონდა ბოლოს ხანებში ერეკლეზედ და სახელმწიფო ღიდ საქმეებშიდაც თავის ნებაზედ ატარებდა მას“ (იქვე) იაკობი მკაცრად, მაგრამ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ერეკლე, შემკული მრავლითა სამაგალითო სამხედრო თვისებითა და სახელგანთქმული ვაჟაკურ ხმლის მღელვარებითა, ჩვენდა საუბედუროდ...

მოკლებული იყო პოლიტიკურ შორსგამჭვრეტელობას“. (იქვე).

ვერ ვიტყვით, თუ რამდენად შეესაბამება დიდი პედაგოგის შენიშვნები ისტორიულ სინამდვილეს, ეს უფრო მეტად საქართველოს ისტორიის მკვლევართა საქმეა, მაგრამ ის უდაოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით გამოწვეულ გულისტკივილს ჭეშმარიტი მამულიშვილი ვერ ფარავდა და ამ შენიშვნებში ბევრი ისეთი რამ ჟონავს, რომელსაც სადღეისო მნიშვნელობაც გააჩნია. იაკობი მომხრეა, რომ ქვეყნის ბედი ერთმართველურად არ იყოს გადაწყვეტილი, რომ სახელმწიფო საქმეში პირადული არ უნდა გაერიოს. „თვითონ ხალხმა, თვითონ ერმა იგრძნო ერთობის საჭიროება და მეფისაგან მოითხოვა ერთ მთავრობის დაფუძნება. მაგრამ მეფემ უარი თქვა იმაზედ, რასაც სხვა გვირგვინოსანი მხოლოდ ხანგრძლივი სისხლის ღვრით მოეწოდნენ ხოლმე“. (იქვე) სწორედ ამან ათქმევინა, აღნიშნავს იაკობი, ნიკოლოზ ბარათაშვილს მწარე სიტყვები: „მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულის კვეთებას და უთრგუნვიდე თავისუფლებას? შენ ერმან მოგვცა პირველ ღირსება, რათა დაიცვა ყოფა-ცხოვრება და რად ივიწყებ, რომე მარადის მეფის გულის-თქმა ერსა ეკუთვნის? (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 517).

რა კარგი იქნებოდა, დიდი ილიას თქმისა არ იყოს „ისტორიის შემცვლელნი და შემავსებელნი ხანდახან უკან მოიხედავდნენ“. როგორ გამოადგებოდათ ეს შეგონება თანამედროვე სახელმწიფოების ლიდერებსაც. იაკობი ისტორიულ წარსულს რომ აიდეალებს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ რეალურ სინამდვილეს ვერ ხედავდა და მომავალი არ სწამდა. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ისტორია აწმყოსა და მომავლის სამსახურში ჰქონდა მას ჩაყნებული, ამაზე ნათლად მიუთითებს მისი სახელმძღვანელოები და საბავშვო მოთხრობები, მაგრამ მართლ ამით არ იფარგლებოდა, იგი მარჯვედ იყენებდა პუბლიცისტიკასაც. იაკობი მიუთითებს, რომ ჩვენს ბედში იყო ჩეხებიც, მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის შტო ეროვნული სიტყვიერებისა, რომელსაც ამისთანა გაჭირვების დროს შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს. მე მოგახსენებთ ეროვნულ პუბლიცისტიკაზე.

„პუბლიცისტებად გადაიქცნენ კალმოსნებიც, მასწავლებლებიც, საზოგადო მოღვაწენიც, მღვდლებიც, ქალნიცა და კაცნიც, გადაიქცნენ არა მართო ბეჭდური წერილებით, არამედ ცოცხალი სიტყვით. ამ თავისებურმა პუბლიცისტობამ გამოაფხიზლა ჩეხელები, აუხილა თვალები, სისუსტე ღონეთ გადაუქცია, გულგრილობა მხურვალე მამულიშვილობად, სასოწარკვეთილობა შეცვალა იმედზე, სიცოცხლისა და წარმატების გზაზე დააყენა ერიც, რომელიც მომაკვდავს ჰგავდა...“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 517).

გოგებაშვილი რომ მართალია, ამას დღევანდლობაც ადასტურებს. ჩვენი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში უდიდეს როლს ასრულებს პუბლიცისტიკა, როგორც წერილობითი, ისე ტელეგადაცემით, ამიტომაც ყველა მოუთმენლად ელოდება ნიჭიერი ჩანაფიქრით დატვირთული გაზეთების „ლიტერატურული საქართველოს“, „აჭარის“, „აღორძინების“ და სხვათა მიღებას, ჟ. „ლიტერატურულ აჭარა“-ს, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებას, რადიო გადაცემებს. მაგრამ უშუალოდ ხალხში გასვლა, ცოცხალი, მჭერმეტყველური სიტყვით, ცოტა არ იყოს მოიკოჭლებს, არადა როგორ ცხოველ ინტერესს იჩენს ჩვენი მოსახლეობა მწერლის, ლექტორის სიტყვისადმი.

იაკობ გოგებაშვილის ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის კონცეფციის

ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მისი ოპტიმისტური ხასიათი უნდა დავასახელოთ. იაკობს ღრმად სწამდა სამშობლოს ეროვნული აღორძინებისათვის გაშლილი მოძრაობის მომავალი, ამისათვის ის უხვად იშველიებდა მაგალითებს ევროპის ქვეყნების ისტორიიდან. განსაკუთრებით დიდ შეფასებას აძლევდა ჩეხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებას.

გარდაცვალებიდან რამდენიმე თვით ადრე, 1912 წელს იაკობ გოგებაშვილი წერდა: „100 წლის წინათ სლავიანთა ქვეყანა ჩეხია ისეთივე დაცემულობას განიცდიდა, როგორც იტანჯება ეხლა ჩვენი ბედგრული სამშობლო, ხსნა არსაიდან ჩანდა. სასოწარკვეთილება თითქმის მთლიანად გამეფებული იყო მთელს ჩეხიაში ყველა წოდებაში. ამ შემხუთავს ატმოსფეროში უცებ გაისმა მამულიშვილების ძლიერი ხმა: ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშიაო. საკმარისია უბრალო რამ: ყველა ჩეხმა ფიცი დასდოს თავის წინაშე, რომ იგი გახდება შეუპოვარი აღმასრულებელი თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობისა და ახლო მომავალში ამას მოჰყვება შედეგად აღდგომა, აღორძინება და თავისუფლება ჩვენის, ახლა მიწასთან გასწორებული, ქვეყნისა... თუ ქართველობაც ამავე გზას დაადგება, ხატად და კერპად იწამებს მოვალეობას ქვეყნისა წინაშე და ამ მოვალეობას მხნედ და შეუპოვრად ემსახურება, ჩვენი დაცემული სამშობლოც წამოდგება ზეზე, წელში გაიმართება, წარმატებისა და წინსვლის გზას მტკიცედ დაადგება და ნათელი მომავალიც მას გაუღიმებს...“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 417).

ერის წინსვლის მთავარ ბუჩქად დიდ პედაგოგს, თავისი მსოფლმხედველობითი მრწამსის შესაბამისად ხალხის განათლება, მომავალი თაობის აღზრდა მიაჩნდა. იაკობი ამაყობდა იმით, რომ ქართველი ახალგაზრდობა დიდ მონღომებას იჩენდა სწავლაში „მთელი დედამიწის ზურგზედ ვერ მოძებნით იმისთანა კუთხეს, სადაც ხალხს ჰქონდეს იმაზედ მომეტებული წადილი სწავლისა და ცოდნისა, როგორც არსებობს საქართველოში, რუს ისე არ უყვარს თავისი სანატრელი ვოდკა, ნემეცს - პივო, ფრანკუზს - შაფანსკი, იტალიელს - ოპერა, ინგლისელს - ბიგშტექსი, ოსმალელს - ყავა და ჩინელს ბანგი, როგორც ქართველთ სწყურიათ სწავლა. მათ შორის სწავლის სურვილი ისეთი ძლიერია, რომ მიაღწევს ვნების ხარისხამდინ“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 199).

გვითხულობთ ამ სიტყვებს და უნებლიეთ ჩაფიქრდებით: ახლა რა ღმერთი გაგვიწყრა? რატომ აქცია ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზურგი ჭეშმარიტ სწავლას? ეს კითხვა პასუხს მოითხოვს. დიდი იაკობი გვაფრთხილებდა: „ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზაზე რაზმი მძლავრისა და მრავლის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლასა და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის. ეს ჭეშმარიტება უნდა ყოველ ჟამს თვალწინ გვედგას და აღვიძებდეს ჩვენში მხნეობას და ენერგიას საფუძვლიანი განათლების გაძლიერებისათვის საქართველოს შვილთა შორის“. ის, რაზედაც გული ტკიოდა დიდ პედაგოგს, სამწუხაროდ, დღესაც პრობლემად რჩება. ერს არ უკაფავს გზას „რაზმი მძლავრისა და მრავლის ინტელიგენციისა“ (იქვე, გვ. 198).

ჩვენ ხელთ უნდა ავითაცოთ იაკობ გოგებაშვილის მიერ ჩამოყალიბებული დებულება: „ადამიანის ღირსება განიზომება მხოლოდ გონებრივი სიმაღლით, ზნეობრივი სისპეტაკით და იმ სიკეთით, რომელსაც თესავს იგი თავისი მოღვაწეობით“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 5, გვ. 171).

იაკობ გოგებაშვილი აღზრდას განიხილავდა როგორც დიდი სახელმწიფოებრივი

და ეროვნული მნიშვნელობის მოვლენას, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებაში გადამწყვეტი ფუნქცია აქვს დაკისრებული. იგი მოზარდ თაობას ერის მომავლად თვლიდა, ამიტომ მისი აზრით, ზრუნვა სკოლაზე, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებოდა, ნიშნავს ხალხის, ერის მომავალზე ზრუნვას. მისი აზრით, ქართველი ხალხის მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მამულიშვილი ეყოლება მას. იგი საქართველოს სინამდვილეში აღზრდის ძირითად ნიშნად მიიჩნევდა: „ახალი ტიპის ქართველების“ აღზრდას, ე.ი. ისეთი თაობის აღზრდას, რომელიც აღტყურვითი იქნებოდა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მრავალმხრივი განათლებით, თაობისა, რომელსაც სიცოცხლის დაუშურებლად უნდა ებრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნების შენარჩუნების, მშობლიური ენისა და ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

„ახალი ტიპის ქართველისათვის“ ი. გოგებაშვილი აუცილებლად თვლიდა ისეთ ცოდნას და ჩვევებს, რომლებიც გაუადვილებდა მას „ბუნების ძალთა მოხმარებას“ და, ამასთან ერთად, მზად იქნებოდა, ხალხისათვის საბედნიერო და სასარგებლო სოციალური ცვლილებებისათვის საბრძოლველად. ამ ამოცანის შესრულებას იგი აკისრებდა ახალი ტიპის სკოლას, რომელიც, „საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უფსებს მაღალის ადამიანური გრძნობებით. ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისის თავისს იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორციით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 182-183).

ასეთი ფართო პროფილით აღზრდილ ადამიანებზე ამყარებდა იაკობი სამშობლოს მომავლის იმედს, ამ ადამიანებს ანდობდა იგი ცხოვრებაში ახალი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას, ახალი მიმართულების შეტანას ცხოვრებაში და სწორედ ისინი იქნებიან ვალდებული „ახალი ხანა დაუყენოს ჩვენს სამშობლოს“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 182-183)

იაკობი გადაჭრით ილაშქრებდა განათლების არსებული სისტემის წინააღმდეგ და აღნიშნავდა, რომ ქართველ ხალხს სულ სხვანაირი ცოდნა და განათლება ესაჭიროება. „სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა მოამზადოს ერთი მხრივ ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრივ სოციალურ სანატრელ ცვლილებებისათვის“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 87). იაკობი იქვე ხაზს უსვამს, რომ ეს მომზადება უნდა შეეხოს მთელ ერს, მთელ ხალხში უნდა მოვფინოთ განათლება და არა მის მცირე ნაწილში. ასე გაბედულად და რადიკალურად აღზრდა-განათლების არსებული სისტემის წინააღმდეგ იაკობის არც ერთ თანამედროვეს არ გაულაშქრია. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ეს სტრიქონები იწერებოდა მეფის საცენზურო პირობებში.

ამრიგად, იაკობი აღზრდის მიზნად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებას გულისხმობდა, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი კი, უწინარეს ყოვლისა, შეიარაღებული უნდა იყოს რეალური ცოდნით, ვინაიდან, მისი აზრით, ადამიანი ფასდება გონებრივი სიმაღლით, ზნეობრივი სისპეტაკითა და სიკეთით, რომელსაც საკუთარი მოღვაწეობით თესავს. განათლების შინაარსი, მისი აზრით, უნდა პასუხობდეს ცხოვრებისათვის მომზადების ამოცანებს. სკოლაში შესასწავლი საგნების პროგრამებში შეტანილი უნდა იყოს ცოდნის აუცილებელი ნიმუშები და არა მეცნიერების მოძველებული დოქტრინები და ცხოვრებაში გამოუსადეგარი ცნობები.

ი. გოგებაშვილი მხარს უჭერდა რეალური განათლების თეორიას და პირდაპირ აცხადებდა: „მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა. იგი მიმაჩნია ყველა ერისათვის უფრო ნაყოფიერ სისტემად, მეტადრე ქართველებისათვის“. (იქვე ტ. 2, გვ. 248). რეალური განათლების სასარგებლოდ კლასიკური განათლების ხელაღებით უარყოფა, მართალია, არ იყო მართებული, მაგრამ იმ სიტუაციაში, როცა ცხოვრებისათვის მომზადების პრინციპი უგულვებელყოფილი იყო, იაკობის გალაშქრებას კლასიკური ანუ ფორმალური განათლების სისტემის წინააღმდეგ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. იაკობი წმინდა ეროვნული ინტერესებიდან გამოდიოდა. ამით იგი სახალხო მეურნეობაში მომუშავე ეროვნული კადრების მომზადების საკითხს აყენებდა. თუ ქართველი ხალხი თვითონ არ ისწავლის ბუნებრივი სიმდიდრეების მოვლასა და მათ სარგებლობას, მას სხვა ეროვნების მცოდნე ხალხი იკისრებს და ხელიდან გამოგვაცლის მიწა-წყალს, მიწა-წყლის დაკარგვას კი ერის გაქრობა მოყვებაო, ამბობდა იგი. მისი აზრით „მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება-ისე ერი აღუშვება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 294). ასეთია ი. გოგებაშვილის მიერ რეალური განათლების ლოგიკური დასაბუთება.

ი. გოგებაშვილს სასარგებლო შეხედულება აქვს გამოთქმული ზოგადი და სპეციალური განათლების ურთიერთობის საკითხებზე, იგი იზიარებდა პედაგოგიკის მსოფლიო კლასიკოსების (კომენსკი, უშინსკი და სხვა) შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ სპეციალურ განათლებას წინ უნდა უძღოდეს ზოგადი განათლება. იგი მართებულად შენიშნავდა, რომ ნებისმიერ სპეციალობის სრულყოფილად დაუფლება შეუძლებელია ზოგად განათლებაზე დაფუძნების გარეშე, რადგან ზოგადი განათლებაა ადამიანის მრავალმხრივი ნიჭისა და უნარის გამოვლენებისა და განვითარების მართებული გზა. ამ ამოსავალი დებულებით ხელმძღვანელობდა დიდი პედაგოგი, როცა ასაბუთებდა სასოფლო-სამეურნეო სკოლის სასწავლო გეგმასა და საერთოდ ამ სკოლებში ახალგაზრდობის მომზადების სისტემას. მართალია, სწავლის ხანგრძლივობისა და ცოდნის მოცულობის განსაზღვრისას ვიწრო უტილიტარული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა (მისი აზრით დიდხანს სწავლა ხარჯებს გაზრდისო, თანაც მას ეჩქარებოდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადება), მაგრამ იმ დროისათვის ეს იყო საკითხი ყველაზე რაციონალური გადაწყვეტა.

იაკობის ყველა სახელმძღვანელო თუ საკითხავი წიგნი, მის მიერ დაწერილი ყოველი მოთხრობა, თუ სტატია გონებრივი თუ ზნეობრივი აღზრდის ერთ პროცესად შეერთების, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხორციელების მიზანს ემსახურებოდა. მას კარგად ესმოდა ზნეობრივი აღზრდის ადგილი და მნიშვნელობა აღზრდის საერთო სისტემაში. მისი აზრით, „პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობებით აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა“. (იქვე, ტ. 6, გვ. 761). სკოლისა და სასწავლებლის ძირითად მოვალეობად იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, მოზარდ თაობაში აღეზარდა „გამჭირაზი ჭკუა, ღრმა გრძნობა, მტკიცე ხასიათი, ერთი სიტყვით კაცური კაცობა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 204). ცნება „კაცური კაცობა“, რომელსაც ხშირად მიმართავდა დიდი ილია, იაკობს სხვა სამოციანელთა მსგავსად, ფართო გაგებით ესმოდა, აქ იგი გულისხმობდა ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანისათვის საჭირო ყველა დადებით თვისებას. კერძოდ, აქ იგულისხმებოდა საზოგადოების, ხალხის, ისტორიის წინაშე მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიტყვისა და საქმის

ერთიანობა, გულწრფელობა და ალაღმართლობა, ერთგულება და თავდადება, ხალხის მიერ მოყვასის სიყვარული და პატივისცემა. იაკობი ვერ იტანდა დაბალ ზნეობრივ დონეზე მყოფ დიპლომატებს. ასეთ ადამიანებს იაკობი საზოგადოებისათვის საშიშ, გამოუსადეგარ პიროვნებად თვლიდა. „ჩვენი განათლებულნი, დიპლომებით დაჭილდოებულნი, არამც თუ მაღალს ადამიანობას ვერ დიკვეხნის, რაც ყველგან და ყოველთვის ყოფილა აუცილებელი ნაყოფი ქვეშარიტი განათლებისა, არამედ პირუტყვულს სულმდაბლობას იჩენენ, და სამარცხვინო ვიწრო ეგოისტობით, ბინძური თავმოყვარეობით აკვირვებენ ყველას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4. გვ. 275). მან კარგად იცოდა, რომ სწავლებას და განათლებას შეეძლო ადამიანის მაღალი ზმნის კაცად გადაქცევა, მაგრამ ამავე დროს ისიც იცოდა, რომ სწავლება და განათლება ავტომატურად ვერ გადაწყვეტს ზნეობრივი აღზრდის ამოცანას. სწავლების პროცესში აღზრდის განხორციელება, იაკობის აზრით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაეფუძნება სწავლება „განმაცხოვრებელ ნიადაგზე“, რომელსაც ეროვნული ფაქტორები შეადგენენ: „ენა, მწერლობა, ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია, ყოფა-ცხოვრება, რომლიდგანაც გამოდინა მოწაფეები და უნდა დაუბრუნდნენ სწავლის დასრულების შემდეგ ღვაწლიანი ცხოვრებისათვის, ნაყოფიერი არსებობისათვის“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 270).

ასე ჩამოაყალიბა იაკობმა მაღალზნეობრივი, მამულიშვილური გრძნობებით აღჭურვილი „ახალი ტიპის ქართველთა“ აღზრდის პროგრამა. იაკობ გოგებაშვილის პატრიოტიზმი გამთბარი იყო ინტერნაციონალიზმის ხალასი გრძნობით. ქართველ ხალხს იგი ბუნებით ინტერნაციონალისტად თვლიდა და ამის საბუთად იმას ასახელებდა, რომ საქართველოში სხვა ერის წარმომადგენლებიც ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლშიო. იგი საქართველოს თვლის ერთადერთ ქვეყანად, სადაც არ განუტლიათ შევიწროება ებრაელებს, რომლებიც ყველა სხვა ქვეყანაში რბევა-აწიოკებას განიცდიდნენ.

იაკობ გოგებაშვილს ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის რეალურ გზად ესახებოდა საქართველოს კუთხეების ერთიანობა, სეპარატიზმისა და პროვინციალიზმის დაძლევა, ამიტომ მთელი მისი მოღვაწეობა ეროვნული ერთობისა და შეკავშირებისაკენ იყო მიმართული, განცალკავება საქართველოს კუთხეებისა, იაკობის აზრით, – ნამდვილი შხამია ჩვენი ერისათვის, ერთობა კი უებარი წამალი... ჩვენი ერის წარმატება და აყვავება ყოვლად შეუძლებელია ნაციონალურის ერთიანობის გარეშე, ხოლო ამ ერთიანობას ასუსტებს და ვნებს ამაჟამად ჭერ განხეთქილება... და მერე პროვინციალიზმი, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენში ახლაც არ გამქრალა“. (ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, თბილისი, 1912, გვ. 17).

1909 წელს იაკობ გოგებაშვილი წერილში „პრინციპულობა დროების მესვეურისა“ სწერდა: „ვიცავდი უმთავრესად: თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედაენაზე, ქართული ეკლესიის განთავისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის (ალბათ მიწის – ა.გ.) გადასვლას ქართველის გლეხების ხელში და სხვა. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე, როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედულობით, ერთნაირი მიმართულებით და შინაარსით, და ვერც ერთი ცილისმწამებელი ვერ მინახავს ჩემს ძველსა და ახალს ნაწერებში თუნდაც მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას“. „მე გამოვედი საზოგადო ასპარეზზე – განაგრძობს იაკობი – შემუშავებული პროგრამის ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მიღალატნია არც ერთხელ, არას დროსა“.

მაგრამ ხალხთა კეთილდღეობის მოპოვებისათვის იაკობი ყოველგვარი რევოლუციის და სისხლისღვრის წინააღმდეგი იყო, იგი იზიარებდა „მსოფლიო ევოლუციის საყოველთაო განვითარების თეორიას“, რომლის მიხედვითაც „მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მსვლელობას მარტივიდან რთულისაკენ, მონობიდან თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, ბიწიერებიდან სათნოებისაკენ, უმეცრებიდან სიბრძნისაკენ, მხეცობიდან ადამიანობისაკენ, ტანჯვიდან ლხენისაკენ, ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ. ეს მსვლელობა უსრულიდან სრულისაკენ არის ფრიად ნელი, ზშირად ტორტმანებს, შეფერხდება ზოლმე, ხან კვალსაც აუქცევს, მაგრამ ამასთან იგი არის შეუპოვარი და მიმართულებას, გზას მას ვერაფერი დააკარგვინებს“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 282).

თუ ღრმად ჩაუვკვირდებით, არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ დიდი პედაგოგის მოსაზრებას. ე. ი. იაკობს, ემყარებოდა რა ევოლუციონისტურ მსოფლმხედველობას, მტკიცედ სჯეროდა მომავლის; იცოდა, რომ განვითარება მოდის აღმავალი, სპირალური ხაზით, არავის და არაფერს არ ძალუძს თავის განვითარების გზას აცდინოს ისტორია, თუმცა შეუძლია შეაფერხოს და დააბრკოლოს. განა ასე არ მოხდა; არ შეაფერხეს საქართველოს დემოკრატიული განვითარება 1921 წლიდან 70 წლის განმავლობაში?

სხვა სამოციანელებთან ერთად, იაკობი იმასაც ითვალისწინებდა, თუ როგორი წესწყობილება, მმართველობის რა ფორმა უნდა ყოფილიყო საქართველოში, რომ ხალხს შვებით ამოესუნთქა, არ ყოფილიყო სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. იაკობი აუცილებლად თვლიდა საქართველოში დემოკრატიული წესწყობილების დამყარებას ფედერაციის პრინციპებზე. აი, რას წერდა იგი: „სახელმწიფოს ძირითადი საკონსტიტუციო კანონები, ცენტრალურ პარლამენტში (ე. ი. რუსეთში –ა.გ.) დადგენილი, სავალდებულო იქნებიან ჩვენთვისაც. საერთო იქნება: ჯარი, ფლოტი, ფინანსების ნაწილი, ტამოჟნია, საგარეო პოლიტიკა, საერთო ვალიცა და ზოგი სხვა საქმეცა. თვით საქართველოს მიენიჭება საკუთარი კანონმდებლობითი დაწესებულება, ადგილობრივი პარლამენტი, რომელიც არჩეული იქნება საყოველთაო, პირდაპირი, საზოგადო და ფარულის კენჭის ყრით, ეს ადგილობრივი პარლამენტი შეიმუშავებს, დაადგენს და გამოსცემს ყოველგვარ კანონს შესახებ საქართველოსა. სკოლა გვექნება ქართული, ქართული იქნება აგრეთვე ადმინისტრაცია და სამმართველო; ჩვენს ეკლესიას მიენიჭება სრული ავტოკეფალია, საკუთარი კათალიკოსი. ერთი სიტყვით, შინაური მმართველობა იქნება სავსებით ქართული“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 327.)

იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მის თანამოაზრეთა საქართველოს დემოკრატიული ავტონომიის შესახებ თავისთავად პროგრესული იყო. იმ პერიოდში მეტის მოთხოვნა ალბათ არარეალური იქნებოდა. ამიტომ წერდა იაკობი მის ავტობიოგრაფიულ სტატიაში: „ცაში წეროების დევნას ვერიდებოდიო“. ამასთან ჩვენი აზრით, იაკობის შეხედულება საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ ღღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და შეიძლება გავავრცელოთ საქართველოს ფარგლებში, რამეთუ საქართველო უკვე დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. აქედან გამომდინარე ახლებურად უნდა მივუდგეთ ცენტრისა და ავტონომიების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. ავტონომიების სტატუსი უნდა გაიზარდოს, მათ უნდა გააჩნდეთ თავისი სახელმწიფოებრივი მოწყობა საქართველოს ფარგლებში, ისე რომ, როგორც ი. გოგებაშვილი წერს „სახელმწიფოს ძირითადი საკონსტიტუციო კანონები, ცენტრალურ პარლამენტში დადგენილი, სავალდებულო იქნება ავტონომიებისთვისაც.

„საერთო იქნება ჭარი, ფლოტი, ფინანსების ნაწილი, ტამოქნა, საგარეო პოლიტიკა, საერთო ვალუტა და ზოგი სხვა საქმეცა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 57).

კარგად დაეუკვირდეთ! „ფინანსების ნაწილი“. აი, ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ იყოს, ცენტრისა და ავტონომიის ურთიერთობა ამჟამად, აღარ გაჭიანურდებოდა თბოელექტროსადგურის მშენებლობა ბათუმში, რომელზეც აგერ უკვე 4 წელია იბრძვის აჭარის ხელისუფლება. მაშასადამე, საქირაო ავტონომიის სტატუსის გაზრდა, მისთვის მეტი უფლებების მინიჭება და ქვეყნის საქმეც უფრო სწრაფად წაიწვეს წინ. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ რაც მეტი უფლებებით აღჭურავთ აჭარის ავტონომიას, უკეთ მოვაწყობთ მის სახელმწიფოებრიობას, მით უფრო დაჩქარდება საქართველოს ტერიტორიის გამთლიანების პრობლემის გადაწყვეტაც, რამეთუ მაგალითის, ნიმუშის ჩვენებას დიდი ზემოქმედების ძალა აქვს“. (ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა აკადემიკოს როინ მეტრეველის წერილმა „იაკობ გოგებაშვილი და ისტორია“ იხ. ე. „სკოლა და ცხოვრება“. 1-3 1996 წ.).

მოვუსმინოთ ისევ იაკობს: „ავტონომიის პრინციპებზე მოწყობილი ქვეყანა სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რომელიც აქვს ცალკე თვითმდგომარე სახელმწიფოსა, და იმავე დროს მოშორებულია ბევრს იმ ზრუნვას, მოუსვენრობას, ნაკლსა, რომელსაც თავიდან ვერ იცილებს ვერც ერთი თვითმდგომარე სახელმწიფო, ამის გამო ავტონომიურ ნაწილს, ერთეულს, მეტი თავისუფალი დრო და შეძლება აქვს თავისი კულტურული ზრდა ააღორძინოს, დააჩქაროს“. (იქვე).

იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების შესახებ რომ მოვიმარჯვეთ, ეს შემთხვევითი როდია, რამეთუ მისი პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იაკობი ვიწრო პედაგოგიური შეხედულებებით არ იყო შემოფარგლული პოლიტიკასა და დიპლომატიკაში, ისტორიის საკითხებშიც საკმაოდ საფუძვლიანად ერკვეოდა და გაბედულად გამოთქვამდა თავის შეხედულებებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის, სახელმწიფოს შიგნით კონსტიტუციური მოწყობის, მშვიდობის, ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის და სხვა საკითხებზე“. (იქვე, გვ. 57.)

იაკობი უაღრესად ინტერნაციონალისტი იყო. იგი წერდა: „ადამიანი ყველა ადამიანს უნდა უყურებდეს განურჩევლად წარმოშობისა და ეროვნებისა, როგორც თანასწორ ძმებს და უღირსად თვლიდეს და ზიზღით ეპყრობოდეს მდაბალი ინსტიქტებით შეპყრობილ იმ ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ ადამიანთა ეროვნული განსხვავებით და შუღლს და მტრობას სთესენ მათ შორის“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 145).

იაკობი წინააღმდეგი იყო ყოველგვარ ჩაგვრისა და დემოკრატიულ მმართველობას უჭერდა მხარს. იგი ფიქრობდა, რომ დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს თითოეულმა ხალხმა, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედის, მოახდინოს თვითგამორკვევა, მაგრამ აუცილებელი არ არის ცალკე გამოყოფა. შეიძლება ზოგს უცნაურიც მოეჩვენოს, მაგრამ იაკობი იმ აზრსაც ანვითარებდა, რომ ისტორიის მსგელობამ აუცილებელი გახადა, იყოს საქართველო განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური საკუთარი ენით, კულტურით თუ თვითმმართველობით“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 327). ეს იმას არ ნიშნავს, რომ იაკობს მოსწონდა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა, პირიქით, თავის შრომაში „რანი ვიყავით გუშინ“ იგი კიდევ აკრიტიკებს ერეკლე მეორეს საქართველოს რუსეთთან შეერთებისათვის და სხვა სამოციანელებთან ერთად იგი საქართველოს

დამოუკიდებლობას მოითხოვდა. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იაკობი ყოველთვის ნათლად აღნიშნავდა ორი რუსეთის - ერთი მხრივ, მეფის, მემამულეების, მათი რეაქციონური იდეოლოგიების მემარჯვენე რუსეთის და მეორე მხრივ, მშრომელი ხალხის, ჩერნიშევსკის და უშინსკის მემარცხენე რუსეთის არსებობას. იგი ყოველთვის გამოჰყოფდა დიდ რუს ხალხს რუსი რეაქციონერებისაგან. მაგალითად როცა 1877 წელს, რუსმა შოვინისტმა სუვორინმა მორიგი ლაშქრობა მოაწყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ, იაკობი წერდა: „ასეთი გამოლაშქრებანი მძიმე ფიქრს აღძრავდა ჩვენში, რომ არ იყოს საყოველთაო მტკიცე რწმენა, რომ რუსი ხალხის საღ გონებას საერთო არაფერი აქვს განსაზღვრული ყიდის ზოგიერთ რუს ლიტერატორთან, გამსჭვალულნი რომ არიან ველური რასობრივი განკერძოებულობით და ცდილობენ ეს საზიზღარი თვისება ჩაუნერგონ თავიანთ მკითხველებს“. (ი. გოგებაშვილი, ტ. 1, გვ. 81).

ი. გოგებაშვილი დიდ რუს ხალხს და მის პროგრესულ ძალებს თვლიდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მთავარ მოკავშირედ. „ეროადერთი ძალა, - წერდა იგი, რომელსაც შეუძლია მხარი მოგვცეს, ნამდვილი სამსახური გაგვიწიოს და ჩვენს არსებობა-წარმატებას ხელი შეუწყოს, არის პროგრესული მარცხენა რუსეთი“. (ი. გოგებაშვილი, ტ. 4, გვ. 473).

იაკობი შემდეგ ისეთ აზრს ანვითარებს, თითქოს ჩვენს დროში ცხოვრობდეს და ჩვენს დღევანდლობას აანალიზებდეს. აი, მისი სიტყვებიც: მემარცხენე რუსეთი, იაკობის აზრით, ებრძოდა „იმ სისტემას, რომლითაც ერთი ერი ფიქრობს მეორე ერის აღმოფხვრას“; იაკობი წინასწარმეტყველებდა: „რუსეთის მომავალი მემარცხენე დემოკრატიის ხელში იქნება და რაკი რუსეთის ყველა ჭირი ჩვენც გვედება, ჩვენს სენადაც იქცევა ხოლმე, ამის გამო მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივცეთ, როცა იგი ცდილობს აიცილნოს თავიდან რომელიმე სენი, რომელიმე უკუღმართი წესწყობილებათ“ (იქვე) ასე იყო. ახლაც ასე გრძელდება.

იაკობი თავის პუბლიცისტურ წერილებსა და სხვა შრომებში ეროვნულ საკითხებთან ერთად სოციალურსაც განიხილავდა. იგი წერდა: „კარგი რამ გახლავთ ეროვნულის პრინციპის დამყარება ყოველს სფეროში, მაგრამ მართო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებული არა, იმოდენივე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურს ცვლილებაზედ, ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუკეთესებაზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედაც ეროვნულ უფლებათა აღდგენას კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ... მეორე მხრივ, ეკონომიურად აყვავება ქვეყნისა ზდება შეურყეველს ბურჟაღ ეროვნულის აღორძინებისა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 259). ამასთან დაკავშირებით, იაკობს შთამბეჭდავი მაგალითი მოჰყავს: „ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ირლანდიელი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება ჰყვოდა, ეს იმიტომ, რომ მისი კეთილდღეობის ქვაკუთხედი იყო გლეხობის სრული უფლება მიწა-წყალზედ. მთელი მამულ-დედული ირლანდიას ეკუთვნოდა, მის მშრომელ ხალხს“ (იქვე). იაკობის ოცნების აღსრულების შესაძლებლობა მხოლოდ ახლა, მე-20 ს. მიწურულს შეიქმნა, როცა დაიწყო მატერიალურ ღირებულებათა პრივატიზაცია. იაკობი ვერ ეგუებოდა საზოგადოების ისეთ დიფერენციაციას, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ზედმეტად მდიდარია, მეორე კი უღარიბესი. ამიტომ იგი წერდა: „კაცობრიობა ვერასგზით ვერ ელირსება კეთილდღეობას და ნორმალურს კულტურულს განვითარებას, ვიდრე ძირიანად არ შეიცვლება აწინდელი წესწყობილება, რომლის წყალობით გამეფებულია

ისეთი უდიდესი ნივთიერი უთანასწორობა, რომ ერთი მხარე ჰყარს სიმდიდრისაგან და მეორე სიღატაკისაგან..." (ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ. ტ. 2, გვ. 442).

იაკობი წერს: „პირადად მთელს ჩვენს სიცოცხლეში გულწრფელნი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა და ყოველგვარი ბატონობა გვძულდა და ვეწინააღმდეგებოდით მას: გვძულდა ბატონობა თავადაზნაურობისა, ბიუროკრატიის, ბურჟუაზიის... მშრომელი ხალხის სრულ განთავისუფლებას კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და რაც კი შეგვეძლო, ვეხმარებოდით; ჯერ ისევ ოცდახუთი წლის წინათ, სახელდობრ 1881 წელს, აპრილის თვეში გაზეთ „დროებაში“ ჩვენ დავესტამბეთ ორი მოწინავე წერილი, სადაც გავატარეთ ის აზრი, რომ ვიდრე მიწა საფსებით არ გადავა მხვნელმთესველთა ხელში, ზაოდები და ფაბრიკები მუშათა ხელში, კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილდღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლება“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 186).

სოციალური გარდაქმნის პრობლემების განხილვისას იაკობი ევოლუციური განვითარების გზას, მეთოდს ემხრობოდა. იგი ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგი იყო. მაგალითად, იაკობი წინააღმდეგია წოდებრივი საფეხურისა, მაგრამ ხალხთა ფიზიკურ განადგურებას არ ემხრობა. აი რას წერს იგი: „ყოველი ძალმომრეობა, ყოველი ტერორისტული აქტი, გარდა გაფიცვისა და ბოიკოტისა, აქ არამც თუ არ აჩქარებს ამ ცვლილების და ლიკვიდაციის განხორციელებას, არამედ შეაჩერებს და დააგვიანებს“. (იქვე, გვ. 185).

დღესაც აქტიურად ჟღერს იაკობის მოწოდება: „პროგრესისა და საყოველთაო კეთილდღეობის გზით სვლა შეიძლება მხოლოდ თანდათანობით, ნახტომების, ძალადობისა და რყევათა გარეშე, მშვიდობიანი ორგანული რეფორმების საშუალებით“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 313).

ასეთი შეხედულების გამოთქმისათვის მაშინდელი პრესის ფურცლებზე იაკობის მიმართ გაისმა კრიტიკა, მათრახს იქნევს რევოლუციონერების წინააღმდეგო, მაგრამ იაკობმა მისი გამოსვლა ასე დაასაბუთა: „თუ აქ მათრახია მოქმედი, იგი დამიზნებული უნდა იყოს სრულიად სხვა მხარის წინააღმდეგ. რევოლუციონერებს კი მათრახს როგორ ვაკადრებდი, როდესაც ისინი თავგანწირულნი იბრძვიან, იტანჯებიან და იხოებიან თავისი იდეალების განსახორციელებლად, თუმცა მე პირადად არც წინათ ვყოფილვარ რევოლუციონერი და არც ახლა ვარ, მაგრამ დიდს პატივს ვცემდი ყველას, ვინც კი გულწრფელად და თავგამოდებით ემსახურებოდა საუკეთესო მომავალს ერისას, თუნდა სარევოლუციო გზითა. მე გახლდით და ახლაც ვარ წმინდა ევოლუციონისტი, სისტემატური რეფორმების მონატრული, მიმდევარი და მქადაგებელი... მეც იმ აზრისა ვარ, რომ პედაგოგიური პრინციპი თანდათანობით განვითარებისა საუკეთესო მეთოდია ხალხის პოლიტიკური აღზრდისათვის, მის ამადლებისათვის, კეთილდღეობისათვის“. (იქვე, გვ. 321).

იაკობ გოგებაშვილი დემოკრატიულ მოძრაობას ემხრობოდა და ფილოსოფიური მრწამსით ევოლუციონისტი იყო. დიდ პედაგოგს ღრმად სჯეროდა ქართული ეროვნული მოძრაობის, მას მიჰყვოდა, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გაუფრთხილდეთ ქართულ ტერიტორიებს და მშობლიურ დედა ენას. დიდი მამუმილიშვილის აზრით „მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი ილუბება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“. (ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ. ტ. 2, გვ. 277).

ი. გოგებაშვილი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ მეფის რუსეთი ახშობდა და

ახლაც ახშობს იმპერიაში შემაღალი ერების ბრძოლას, მათ სწრაფვას ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის ცენტრალური პარლამენტის დეპუტატთა რეტროგადების მთელი პლევად (სუვორინი, კრუშჩევიანები, მესჩერსკები, კატკოვები და სხვ). იაკობის სამართლიანი მტკიცებით, გაიძახოდა და გაიძახის „ძირს პატარა ერის ავტონომია“, „ძირს დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა“, რასაც ცარიზმი სეპარატიზმად“, დიდი რუსეთისაგან „განდგომად“ თვლიდა (სამწუხაროდ ასეთი ფაქტი ჩვენს დროშიც აღინიშნება, მარტო ჩეჩნეთის მაგალითი რად ღირს!).

რუსეთის პარლამენტარული მმართველობის მესვეურები, ი. გოგებაშვილის შეხედულებით, ნაციონალური ეგოიზმით, მცირე ერების ავტონომიის შეუწყნარებლობით ხასიათდება. მაგრამ გოგებაშვილი კარგად წვდებოდა და ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხის მიერ ერის სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობის იდეა სამართლიანი მოთხოვნააო. იაკობის აზრით „ავტონომია არა თუ სეპარატიზმს არ მოასწავებს, არამედ ძირფესვიანად სთხრის და სპობს სეპარატიზმს. სეპარატიზმი არის პირმშო შვილი ცენტრალიზაციისა, რომელიც სულს უზუთავს ეროვნებას და სულ იმას ანატრებს, როდის იქნება ამ ჩემს მტარვალ სახელმწიფოს თავი დავაღწიო და ცალკე ვიცხოვროვო. ავტონომია კი ხალხს ანიჭებს შინაურს თავისებურებას და უკვლევს ფართო გზას კულტურული განვითარებისათვის, პროგრესის დაუბრკოლებლივ წინამსვლელობისათვის, ავსებს ხალხის გულს მაღლობით ამ სიკეთის მომნიჭებელ სახელმწიფოსადმი, შეურყევლად ჰხდის პოლიტიკურს კავშირს, ერთობასაცა“. (იქვე, გვ. 437).

მეფის რუსეთში და გარკვეულწილად შემდეგაც, უხეშად ირღვეოდა მცირე ერებისადმი დამოუკიდებლობის მორალურ-სამართლებრივი პრინციპი. ეს აშკარად ჩანდა მშობლიური ენისადმი მეფის მოხელეების დამოკიდებულებაში. მაგალითად, საქართველოში განსაკუთრებული სიმკაცრითა და სიძულვილით ებრძოდნენ დედა ენას, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას, ამიტომ იაკობის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მშობლიურ ენაზე, როგორც სწავლების ერთადერთ იარაღზე, ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დაწყებითი ცნობების გადაცემა ბავშვებისათვის, ცხადია, თითქმის შეუძლებელი შეიქმნა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 157).

ამ თავისი ნათელი მრწამსისა და დიდი მოვალეობის შესახებ მშობლიური ერისა და ხალხის წინაშე, იაკობ გოგებაშვილს სიცოცხლის ბოლო ხანებშიც არ უღალატია. მოწინააღმდეგეებთან პოლემიკის დროს სტატიაში „ანტიპედაგოგიური ჭიუტობა „კოლხიდის“ პედაგოგისა“, იგი გადაჭრით აცხადებდა, რომ „ამ ვეებერთელა ხნის განმავლობაში ჩვენ არც ერთხელ არ ჩავვიდენია ისა, რასაც ორჭოფობა, მანასეობა, ორგულობა ჰქვია. რას ვიცავდით და რას ვთხოულობდით სახელდობრ? ვიცავდით და ვთხოულობდით ხალხის განათლებას დედა-ენაზე ყველა სახალხო სკოლაში, ქართული ენის აღდგენას ყველა საშუალო სასწავლებელში და მისი სავალდებულო, საშტატო საგნის დადებით, ფართო თვითმმართველობას ჩვენი ქვეყნისათვის და სრულს ავტონომიას... ორსავე ენაზე („ივერია“, „Возрождение“) ვთხოულობდით ეროვნულის ეკლესიის აღდგენას, აგრეთვე ორსავე ენაზე, ვჰადავებდით ტერიტორიის შერჩენას და მისი დაკარგულის ნაწილის დაბრუნებას, ერთი სიტყვით, ყველას, რაც კი საჭიროა ჩვენის ერის არსებობის დასაცავად, მის თავისებურების გასაფურჩქნავად, მისი კულტურის განსავითარებლად, ასაღორძინებლად“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, თბილისი, 1955, გვ. 449).

იაკობ გოგებაშვილს მძიმე სენიც სტანჯავდა, საქართველოს ბედიც აწუხებდა და

მაინც ენერგიის დაუზოგავად იბრძოდა, თავისი მრწამსისა და პრინციპებისათვის არასდროს უღალატნია. ამიტომ იყო მეფის სატრაპები განუწყვეტლივ სდევნიდნენ მას, და იგი სისტემატიური საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ჭერ კიდე 1873 წლის 9 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალ თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობას აცნობებდა, რომ იაკობ გოგებაშვილი და მასთან ერთად მომუშავე ცნობილი ქართველი პედაგოგები: გიორგი იოსელიანი, ალექსანდრე ტურაშვილი, ნიკო და კონსტანტინე ცხადაძეები მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებას ეკუთვნიანო¹. (საქ. ცსა, ფონდი 440, ანაწ. 1, საქ. 4080).

ასე დევნიდნენ ცოცხალ აზრს და მის ნაყოფს: წერილს, სტატიას, მოთხრობას, ლექსს, სამეცნიერო ნარკვევს, კრებულს, სახელმძღვანელოს, თუ იგი ხალხის განათლებისა და აღზრდის დიდ კეთილშობილურ საქმისადმი იყო მიმართული. ამ დევნასა და შევიწროებაში კი განსაკრებელი ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო, როგორც პოლიტიკურად არააქტილსაიმედო, მესამე მუხლის ძალით სამსახურიდან გათავისუფლებული იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური და სახალხო განმანათლებელ-პედაგოგიური მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, როგორც იგი აღნიშნავს თავის „პატარა საიდუმლოებაში“, – „ბიუროკრატის მან იოტისოდენაც არაფერი დაუთმო, პედაგოგიურს პრინციპებს სისტემატურად და შეუპოვრად იცავდა მრავალი წლის განმავლობაში, საკმარისი სახსარი ცხოვრებისა სწორე გზით მოიპოვა და სრული დამოუკიდებლობით მოქმედებდა, ცხოვრობდა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 417).

ამასთან იაკობ გოგებაშვილს თავისი მოღვაწეობის მანძილზე ყველაზე აუტანელ პირობებს მეფის ცენზურა და მისი უსულგულო მოხელეები უქმნიდნენ. ამის უტყუარი მაგალითები მრავლად მოიპოვება მეფის ცენზურის ფონდებში შემორჩენილი აკრძალული ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილებისა და სტატიების სახით. მაგალითად, გოგებაშვილმა დაურიღებლად ანხილა ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი ზახაროვი, რომელიც ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში ქართველი მოსწავლეებისათვის მშობლიური ენის სწავლების საჭიროებას უარყოფდა. „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ ცენზურის მიერ შემცირებულად, ცალკეული ძალზე მნიშვნელოვანი ადგილების შეკვეცით დაიბეჭდა. ნაშრომის ავტორისეულმა ხელნაწერმა, რომელიც მის ფონდშია დაცული, შესაძლებელი გახადა წერილის სრული სახით აღდგენა, იგი გაცილებით ვრცელია, ვიდრე ცენზურაში გატარებული და გაზეთში დაბეჭდილი ტექსტი.

1878 წელს ი. გოგებაშვილმა რუსულად დაწერა სტატია სათაურით „იძულებითი განმარტება“ (სემინარიის საქმეთა ვამო), რომელშიც გაკრიტიკებულია „მთელ ამიერკავკასიაში არსებული ერთადერთი საშუალო სასულიერო სასწავლებლის დაქვეითებული, უნუგეშო მდგომარეობა. ამ სტატიით ი. გოგებაშვილი მოითხოვდა სასწავლებლის მუშაობის ძირეულ გარდაქმნას.

იმ დროის სასწავლო პროგრამის მიხედვით თბილისის სასულიერო სემინარიაში იდევნებოდა ქართული ენის სწავლება. ი. გოგებაშვილი მოითხოვდა: „დაუბრუნდით თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს არსებობდა თბილისის სემინარიაში, წინანდებურად სათანადო ადგილი დაუთმეთ ქართულ ელემენტს, სამართლიანი დამოკიდებულება ერთი და იმავე სახელმწიფოს, ერთი და იმავე ეკლესიის წევრთა შორის და მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ სემინარიის

მიერ გამოშვებული კურსები იქნება მრავალრიცხოვანი და მომზადების მხრივ მომწიფებული“.

ი. გოგებაშვილის მიერ წამოჭრილი საკითხების განხორციელება დიამეტრიულად ეწინააღმდეგებოდა სემინარიის ხელმძღვანელობის რუსიფიკატორულ სასწავლო-საგანმანათლებლო პოლიტიკას. ამიტომაც მძიმე საცენზურო პირობების გამო აღნიშნულ სტატიას დღის სინათლე არ უნახავს, თავის სიცოცხლეში ავტორმა ვერ შეძლო მისი გამოქვეყნება. იგი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაიბეჭდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დასაბეჭდად მომზადებულ იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურ-პედაგოგიური ხასიათის მრავალ სტატიას ატყვია კავკასიის საცენზურო კომიტეტის მსახვრალი ხელი და ჩვენს დრომდე დამახინჯებული, „ნაჭრილობები“ სახით მოაღწია.

1979 წელს ჟურნალ „ივერიის“ იანვრის ნომერში ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თანავტორობით დაბეჭდილი „შინაური მიმოხილვა“ ცენზურის მიერ მხოლოდ განახევრებული, შიგდაშიგ ამოგდებული ადგილებით გამოქვეყნდა. ამ „შინაური მიმოხილვის“ მთლიანად იაკობ გოგებაშვილისათვის მიკუთვნებით შესანიშნავმა მეცნიერმა, პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი თავზიაშვილმა უნებლიე შეცდომა დაუშვა. შემდგომმა ლიტერატურულმა კვლევა-ძიებამ საგვებით დაადასტურა, რომ მისი პირველი, ძირითადი ნაწილი, უდავოდ, ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის.

საცენზურო კომიტეტის დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, რომ ცნობილი ცენზორი ლუკა ისარლიშვილი, ჩვენს სამარცხვინოდ, ყველაზე მეტად შემავიწროებელ პირობებს უქმნიდა იაკობ გოგებაშვილს. იგი „ბუნების კარსა“ და სხვა სახელმძღვანელოებში სასტიკად კრძალავდა გეოგრაფიული სინამდვილის გამომხატველი ტერმინის „საქართველოს“ ხსენებას. ამ მხრივაც ლუკა „გადინა“ (აკაკის გამოთქმა) თავისი თვითნებობით მთელი რიგ უსიამოვნო გარემოებასა და დაბრკოლებებს უქმნიდნენ იაკობ გოგებაშვილს. (ი. გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები), „საისტორიო მოამბე“, 1950, №5. ცალკე გამოცემა 1951, გვ. 69-70).

იაკობ გოგებაშვილმა 1894 წლის ზაფხულში ვარიანელის ხელმოწერით „ივერიაში“ დასაბეჭდად გაამზადა წერილი „საარაკო სიბრმავე“, რომელიც სამ ნაწილად უნდა გამოქვეყნებულიყო. იგი ეხებოდა დასავლეთ საქართველოს სოფლებში სკოლების გახსნისა და სწავლა-განათლების საჭირობოროტო საკითხებს. ქართული ენისა და ეროვნული სკოლის თავგამოდებულ მოამაგეს ი. გოგებაშვილს სასარგებლოდ მიაჩნდა მხოლოდ ისეთი სასოფლო სკოლები, რომლებშიც „კანონით, პროგრამით დადგენილია ქართული ენის სწავლება, ქართული ენის ხმარება საგნების ახსნის დროსა, საღმრთო სჯულის სწავლება დედა-ენაზედ მთელის კურსის განმავლობაში“, ხოლო ე.წ. ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი წარმოადგენს ანტიქართულ სკოლას და სოფლის ქართული სკოლების ნაცვლად მათი შემოღება წააგავს „წვიმისაგან გადასარჩენად აღიდებულს მდინარეს მიეცეს“. მეტი უვიცობა და სიბრმავე კიდევ იქნება!“ - აკეთებს ჭეშმარიტ დასკვნას დიდი პედაგოგი.

საცენზურო კომიტეტს არ მოეწონა ქართული ეროვნული სკოლის ინტერესების დაცვა, წერილის პუბლიცისტური სიმძაფრე და ი. გოგებაშვილის ხსენებული წერილი დასაწყისიდანვე აკრძალა. (საქ. ცსსა, ფონდი 480, ანაწ. 3, საქ. 165, ფურც. 48.) მაგრამ იაკობ გოგებაშვილი თანმიმდევრობით და შეუპოვრად, ერთხელ აკრძალული მასალების სახეცვლილებით შემდეგში მაინც ახერხებდა მათ გამოქვეყნებას. ამ

შემთხვევაშიც მან შეძლო, რომ „საარაკო სიბრმავე“ შეცვლილი სათაურით - „ხალხთა განათლების შესახებ“ - ნაცნობის „ფსევდონიმით 1895 წლის ქურნალ „მომამბეში“ მთლიანად დაებეჭდა.

თუ სიმართლის თვალთ გაგვინჯავთ საგანს - წერდა ი. გოგებაშვილი, ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, რომ დედამიწის ზურგზედ იქნებ მეორე ხალხი არ არსებობდეს, რომელსაც იმდენი წყურვილი ჰქონდეს სწავლისა, როგორც აქვს იმერ ქართველს. გაზვიადებული არ იქნება ვსთქვათ, რომ ბევრს იმერს წიგნის ცოდნა იმდენადვე წყურვიან, როგორც ცხელის უდაბნოს მწყურვალს ირემს ცივის წყაროს დაწაფება“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2., 1954, გვ. 423-463, იგივე, ახალი სათაურით „ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“ ვარიანტის ხელმოწერით იხ. ტ. 4, 1955, გვ. 8-18). აქვეა სწორედ ცნობილი ხატოვანი შედარება ი. გოგებაშვილის: - ისე რუს არ უყვარს თავისი სანატრელი ვოდკა, ფრანცუზებს შამპანური, ბავარიელს - პივა, ინგლისელს ბივშტექსი, ოსმალს ყავა და ჩინელს ბანგი, როგორც ქართველს უყვარს წიგნიო.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ საქართველოში, განსაკუთრებით მის განაპირა მხარეებში - აჭარის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭისა და სხვა სკოლებში - ქართული ენის დევნის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდა მოწინავე ქართული საზოგადოება ილიას, აკაკისა და იაკობის მეთაურობით. ამასთან სამოციანელები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ქართველთა გათვითცნობიერებისათვის, დედაენაზე სწავლის მნიშვნელობის ყოველმხრივ გააზრება - გაგებისათვის.

ამასთან ერთად იგი ფიზიკლად აღევნებდა თვალყურს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და თავის კალამს ნაყოფიერად იყენებდა პუბლიცისტიკაშიც.

თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“-ს პირველი ტომის წინასიტყვაში ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „ჩვენს წერილებში ბევრია იმისთანა, რომელშიც შერეული შინაარსისა, და თუ ერთი მხრივ პუბლიცისტური ხასიათი აქვს... ვგონებ, რომ უფრო სახალისოა ერთისა და რამდენისამე პედაგოგიურის წერილის გადაკითხვის შემდეგ წაკითხულ იქმნას რამდენიმე პუბლიცისტური წერილი, ვიდრე ჭერ ყველა პედაგოგიური წერილი გადაკითხოთ და მერე ყველა პუბლიცისტური. მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვაობა ამ შემთხვევაშიც უფრო სახალისოდ ჰქდის ადამიანის ვარჯიშობასა და შრომას, ვიდრე გაბმული ერთფერობა“.

იაკობ გოგებაშვილი როცა ასეთ საყურადღებო აზრს ანვითარებდა, მხედველობაში ჰქონდა 1866 წლიდან 1910 წლამდე შესრულებული ნაწერები. მეორე ტომში, ი. გოგებაშვილი წერდა, მასში „იქნება მოქცეული ერთი მხრივ იმისთანა სტატიები, დაწერილი ორმოცისა და მეტის წლის განმავლობაში, რომელთაც ნაკლები კავშირი აქვთ ჩვენს აწინდელს გაჭირვებულს ცხოვრებასთან და უფრო ისტორიული მხრივ არიან ყურადღების ღირსნი, მეორე მხრივ იმისთანანი, რომელთაც დღის ნათელი უნდა იხილონ, ქვეყნის სასიკეთოდ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეხლანდელი ავადმყოფური რეჟიმი პირს იზამს საღი რეჟიმისაკენ“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 325-326).

იაკობ გოგებაშვილის ზემოთ მოტანილ სიტყვებში გამოსჭვივის მისი მოკრძალებულობა, ასეთი იყო იგი ბუნებით. რაც შეეხება დიდი პედაგოგის პედაგოგიურ-ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, იგი საოცრად ეხმიანება ჩვენს დღევანდლობას, ხელს უწყობს ქვეყნის გამოყვანას კრიზისიდან, ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენისათვის ხალხის გონივრულ შემართებას, განათლებისა და აღზრდის სისტემის რაციონალურად მოწყობას. თვით იაკობი, ამავე წინასიტყვაობაში წერდა:

ჩვენ წერილები ეხება თითქმის ყოველს საარსო საკითხს ქართველი ხალხის არსებობისას.

„პირველი საკითხი გახლავთ, წერდა იაკობი, ტერიტორიის შერჩენა, ტერიტორიის ხელიდან გამოცლა და დაკარგვა ყველა უბედურებას აღემატება, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელიც ცხოვრობს მარტო მხენელ-მთესველობით. ტერიტორიის დაკარგვა საფრთხით უდრის ამისთანა ერის ამოფხვრასა... ამ საკითხს ჩვენ ვეხებით სხვა-და-სხვა დროის წერილებში თუნდა ათჯერ. შემდეგს წერილებშიაც ხშირად შეხვდებით დასახელებას იმისთანა ღონისძიებისა, რომლის წყალობით შეიძლება არა მარტო შერჩენა ახლანდელის შემცირებული ტერიტორიისა, არამედ ხელიდან წასულის დაბრუნებაც“.

მეორე მთავარი საკითხი გახლავთ ხალხის განათლების მოწყობა ჩვენში. სახალხო სკოლა, წმინდა პედაგოგიურს ფეხზე დაყენებული, ჩვენს ერს გონებასაც გაუნათლებს და გაუმდიდრებს ცოდნით, ზნეობასაც მალლა ასწავს, დოვლათის შეძენასაც გაუადვილებს, და ტერიტორიასაც შეინარჩუნებს...

მესამე მთავარი საკითხი არის ეროვნულის მიმართულების მნიშვნელობა ხალხის არსებობისა და წარმატებისათვის. ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოველად შეუძლებელია ეროვნულის პრინციპის გარეშე. თვით კერძო ადამიანი მხოლოდ მაშინ იმოსება შესაბამისი ძალ-ღონით, როდესაც იგი აღიზრდება ისე, როგორც მოითხოვს მისი თავისებური აგებულება - ფიზიკური და ფსიქიკური. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას მთელს ერზე. ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთს მაგალითსა, რომ ერს ელაღატნოს თავისი ეროვნებისათვის, და არ გახრწნილიყო, არ აღმოფხვრილიყო. ჩვენდა სავალალოდ, ქართველობას ძლიერ ნაკლებად ესმის ეროვნულის პრინციპების მნიშვნელობა და ხშირად ღალატობს მას და ამითი ამზადებს შავ-ბნელს მომავალსა“.

(ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 327).

თავის თხზულებაში იაკობი საკმაო ადგილს უთმობდა რელიგიის საკითხებსაც. აი რას წერს იგი: „ჩვენ ვთხოულობთ, სხვათა შორის, რომ საღმრთო სჯულს ქართველებს ასწავლიდნენ თავის დედა-ენაზე, როგორც სხვებს ასწავლიან, რადგანაც სარწმუნოება, როგორც გრძნობის სფერო, მხოლოდ მაშინ მოქმედებს ადამიანზე, როდესაც იგი ღვიძლი ენის საშუალებით გადაეცემა მას, ამასთანავე ვთხოულობთ, რომ საღმრთო სჯულის გაკვეთილებზე ისწავლებოდეს უმეტესად სახარება, რომელიც ეხლა დავიწყებულია, და ბავშვებს არ უეცებდნენ თავს მისტიკური ახსნით იმ კლერიკალურის წეს-რიგებისა, რომელსაც არავითარი ეთიკური გავლენა არა აქვს ადამიანის ზნეობაზე, - იმდენად არავითარი, რომ ამ წესების ერთგული მიმდევარი ხშირად ანთებს სანთელს ეკლესიაში და ევედრება ღმერთს - ხელი მოუშვაროს მას მოწადინებულის ქურდობასა და მკვლელობაში.“

... წინააღმდეგ ამისა, სახარების სწავლით ღრმად გამსჭვალული მორწმუნე ყოველთვის წარმოადგენს უმწიკვლო ადამიანის მეტად სიმპატიურს ტიპსა, რომელიც თავის გარშემო დაუღალავად ჰფენს სიკეთესა და მადლსა“.

თავის სტატიაში „მცირე მოხსენება“ იაკობი კვლავ უბრუნდება მისი თხზულებების გამოცემის საკითხს და აღნიშნავს, რომ „ჩვენს საპედაგოგო წერილებში აგრეთვე ვეხებით, თუ რა მდგომარეობაში იყო ხალხის განათლება ძველს საქართველოში, როდესაც იგი შეადგენდა ცალკე სახელმწიფოსა; მაგრამ ვეხებით მოკლედ, საზოგადოდ და არა ვრცლად და დაწვრილებით. განვითარებული გაფუჩიკნილი და დაწვრილებითი

ცნობები კი ფრიად საჭირონი არიან, მეტადრე ახლანდელს მომენტში. ამ შრომის შესრულება და ცალკე წიგნად გამოცემა ყველაზე უკეთესად, ავტორიტეტულად შეუძლიან ჩვენს „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარე ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი საქმეში ჩახედული პედაგოგიც არის და მიმჩნეული ისტორიკოსიცაა. ამ შრომის შესრულებაში დიდს დახმარებას გაუწივენ, სხვათა შორის, წერილები ბ-ნი ცომაიასი, დაბეჭდილნი ჟურნალს „განათლებაში“-ში ამ სათაურით: „სწავლა-აღზრდის საქმე ძველს საქართველოში“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 331, აღსანიშნავია, რომ ნაშრომი „სწავლა აღზრდის საქმე ძველს საქართველოში“ პირველად პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა სამსონ ცომაიამ შეასრულა მესამე კურსზე და წაიკითხა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე).

იაკობის შრომებიდან უმეტესობა პედაგოგიური ხასიათის ნაწარმოებია, მაგრამ მათს უმრავლესობაში აღძრულია მეცნიერული, ეროვნული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ისტორიული, ფილოსოფიური ხასიათის პრობლემები, რომელიც ეფუძნება ავტორის მწყობრ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. იაკობი თვითონვე წერდა: ჩვენ წერილებში ბევრია იმისთანა, რომელიც შერეული შინაარსისაა, და თუ ერთი მხრივ პედაგოგიურია, მეორე მხრივ პუბლიცისტური ხასიათი აქვს... ჩვენი წერილები ეხება თითქმის ყველა საარსებო საკითხს ქართველი ხალხის არსებობისა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 326). ამ „საარსებო“ საკითხებად იაკობს მიაჩნდა: ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიის შენარჩუნების, დედაენის უფლების, ხალხის განათლების მოწყობის და ხალხის არსებობისა და წარმატებისათვის, ეროვნული მიმართულების მნიშვნელობის საკითხები - ასეთი იყო მისი სოციალ-პოლიტიკური კრედო. იგი წერდა: „ჩემი მოღვაწეობის მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ერთხელაც არაფერი მითქვამს ისეთი, რაც სასტიკად არ შეესაბამებოდა ეროვნულს მიმართულებასა და პროგრამას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 450).

როგორც უკვე ითქვა, იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა რუსეთ-საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის საკითხებს. რუსეთთან საქართველოს შეერთებას იხილავდა არა ცალმხრივად - რუსული ან ქართული გაგებით, არამედ ამ ფაქტს თვლიდა პროგრესულ მოვლენად. ამასთან, იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აგებულიყო ნამდვილი დემოკრატიის და სამართლიანობის საფუძველზე. „წარსული საუკუნის დასაწყისში საქართველო შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ იგი დარჩენილიყო ავტონომიურ ნაწილად საერთო სახელმწიფოსათვის და ჰქონოდა სრული შინაური თვითმმართველობა, ნაციონალური თავისუფლება და ყოფილიყო თავისი თავის ბატონი“. (იქვე, გვ. 450).

მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პირობა რუსეთმა დაარღვია და საქართველო ფაქტიურად აღმოჩნდა კოლონიური უღლის ქვეშ. ცხადია ასეთ მდგომარეობას დიდი მამულიშვილი ვერ ურიგდებოდა და მოითხოვდა: „დროა, დიდი ხანია დროა ბოლო მოეღოს ამ ფრიად სათაკილო და დამამხობელ ჩვენს მდგომარეობასა, დროა მონურს ლაჩრობას ზურგი შევაქციოთ და ადამიანური უნარი გამოვიჩინოთ, დროა, ყველამ თავის წრეში უკანონო დაბრკელება ითაკილოს, შეებრძოლოს მას და აღადგინოს თავისი ადამიანური ღირსება. დროა, გავაჩალოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ყოველის ჩვენის დათრგუნულის უფლებისა... გავაჩალოთ არა მარტო ჩვენს ენაზედ, არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიაც; გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა

დაწინაურებულს დასს რუსეთისას, დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის“. (იქვე, გვ. 57).

იაკობ გოგებაშვილს სჯეროდა რუსეთის პროგრესულ-დემოკრატიული ძალების, ამიტომ იგი წერდა: „მე ხაზს ვუსვამდი ქართველების პოლიტიკურს ერთობას რუსეთთან, ვამბობდი და ვწერდი: პოლიტიკური სეპარატიზმი ქართველთა შორის დიოგენის ფარნითაც ვერ მოიძებნება მეტქი“. ეს უარყოფა პოლიტიკური სეპარატიზმისა, შესაბამისი სინამდვილისა, აი რა მხრივაც იყო საჭირო: ჩვენი ერის მომავალი ბედი ბევრად დამოკიდებულია პროგრესულის რუსეთის თანაგრძნობაზე, სიმპათიაზე. ამ სიმპათიას არყევდნენ და ასუსტებდნენ ცილისმწამებელნი და საჭირო იყო მათი გაცრუება, როცა ამას შემთხვევა მოითხოვდა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 451).

ი. გოგებაშვილი გვარიგებდა: „ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ... რომ ჩვენს ქვეყანას გულწრფელი პატივისცემელი არა ჰყავს არც კავკასიის საზღვრებში, არც მემარჯვენე რუსეთში და არც სხვაგან, ყველას ჩვენი აღმოფხვრა ენატრება, და ჩვენი ტურფა სამშობლოს დასაყუთრება. ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია მხარი მოგვცეს, ნამდვილი სამსახური გაგვიწიოს და ჩვენს არსებობა-წარმატებას ხელი შეუწყოს, არის პროგრესული მარცხენა რუსეთი“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 473).

ჩვენ მართლაც არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ბრძენი პედაგოგის დარიგება, რომელიც აბსოლუტურად სწორი იყო მაშინ, როცა იაკობი მოღვაწეობდა და შემძლია თამამად განაცხადო - იგი ახლაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას. ავიღოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ახლა, - ჩვენს დროში. ის ხომ აშკარად გამწვავებულია, სიტუაცია დაძაბულია, მაგრამ, ჩემი აზრით, გამოსავალი ისევ რუსეთის პროგრესული ძალების მხარდაჭერაში უნდა ვეძიოთ. ყურადღება მიაქციეთ რა განაცხადა 1997 წლის მარტის თვეში თბილისში ჩამოსულმა ყოფილმა რუსმა დისიდენტმა, სახელმწიფო დუმის დეპუტატმა სერგეი კოვალიოვმა: „მრცხენია იმ როლის გამო, რაც რუსეთმა შეასრულა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხთან ერთად ი. გოგებაშვილი მეცნიერულ ნარკვევებსა და პუბლიცისტურ წერილებში ყურადღებას იპყრობს მეორე - მეტად აქტუალური საკითხი - კავკასიის ხალხებთან, პირველ რიგში ამიერკავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების საკითხი.

როგორც არბოელი (ნ. ლომოური) წერს, კიევის სასულიერო აკადემიაში (როცა იქ ი. გოგებაშვილი სწავლობდა), „ჩინებულად იყო დაყენებული ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ისტორიის და სიტყვიერების ლექციების კითხვა, ყველა ამ ლექციას არა თუ ისმენდა (ი. გოგებაშვილი - ა.გ.), არამედ მათ შინაარსს მოკლედ წერდა თავისთვის. ამასაც არ სჯერდებოდა: დღედაღამ განუწყვეტლად ხელში ეჭირა სხვადასხვა თხზულებანი, და მათი შესწავლით ავსებდა ლექციების ნაკლსა. (იხ. კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, გვ. 9). საყურადღებოა ერთი გარემოება: ი. გოგებაშვილი თავის წერილში „ცოცხალი ტყუილი“ (1903 წ.). აღნიშნავდა, რომ მას „მაღალს სასწავლებელში მოუხსენია მთელი კურსი პედაგოგიისა, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიისა ერთად შეკავშირებული“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 464). იქვე დიდი პედაგოგი მიუთითებს, რომ „კარგა ხანს ყოფილა ჯერ მასწავლებლად დაბალ და საშუალო სასწავლებლებში და მერე ხელმძღვანელად მასწავლებლებისა“.

საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიაში სტუდენტობის დროს (1861-1863), კიევის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორთა ლექციებსაც ისმენდა, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების - ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის შრომებთან ერთად, გულდასმით სწავლობდა დარვინის, ჰუმბოლტის, ფობტის, სპენსერის, კანტის, ჰეგელის ნაწერებს და გამოჩენილ პედაგოგთა - კომენსკის, პესტალოცის, დისტერვეგის, განსაკუთრებით - კ. დ. უშინსკის, პიროგოვის და სხვათა მოძღვრებას.

ვ. ქაჯაია წერს: „ექვე არ შეიძლება შევიტანოთ იმაშიც, რომ ი. გოგებაშვილი იან ამოს კომენსკის შრომებსა და პედაგოგიურ მოძღვრებას პირველად გაეცნო „კიევის სასულიერო აკადემიის შრომების“ 1862 წლის იანვარ-თებერვლის ნომერში მოთავსებული ფრ. პალაცკის პედაგოგიურ თხზულებიდან „ერთი აუცილებლობის შესახებ“ (ერთი თავი), ხოლო უფრო საფუძვლიანად და დეტალურად შეისწავლა კომენსკის მოძღვრება ს. თ. მიროპოლსკის იმდროისათვის მეტად საყურადღებო ნაშრომით „Ян Амос Коменский и его значение в педагогике“, რომელიც გამოქვეყნდა „განათლების სამინისტროს ჟურნალში“ 1871 წლის მაის-ივნის-ივლისის ნომერებში, და, განსაკუთრებით, ცნობილ ჟურნალ „სემია ი შკოლა“-ს რედაქციის მიერ გამოცემული „დიდი დიდაქტიკის“ პირველი რუსული თარგმანის მეშვეობით, რომელიც შესრულებული იყო ბოგდანოვის მიერ ს. თ. მიროპოლსკის ხელმძღვანელობით და გამოიცა დასახელებული ჟურნალის დამატებად 1875-1877 წ.წ. (იხ. ვ. ქაჯაია, ი. ს. გოგებაშვილი და ი. ა. კომენსკი. საიუბილეო კრებული, 1960, გვ. 237).

ჟურნალ „განათლების“ მე-4 ნომერში (გვ. 206-211), რომელიც ი. გოგებაშვილმა ა. წერეთელს მიუძღვნა, იგი წერს: „ასი წლის წინათ სლავიანთა ქვეყანა ჩეხია ისეთსავე დაცემულობას განიცდიდა, როგორითაც იტანჯება ეხლა ჩვენი ბედკრული სამშობლო. ხსნა არსაიდან ჩანდა. სასოწარკვეთილება თითქმის მთლად გამეფებული იყო მთელს ჩეხიაში, ყველა წოდებაში. ამ შემხუთავს ატმოსფეროში უცებ გაისმა მამულიშვილების ძლიერი ხმა: ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშიაო. საკმარისია უბრალო რამ: ყველა ჩეხმა ფიცი დასდოს თავის წინაშე, რომ იგი გახდება შეუპოვარი აღმასრულებელი თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობისა, და ახლო მომავალში ამას მოჰყვება შედეგად აღდგომა, აღორძინება და თავისუფლება ჩვენის ახლა მიწასთან გასწორებულის ქვეყნისაო. ამ ხმამ ჰიმნოსტურის ძლიერებით იმოქმედა ჩეხელებზე. შესცვალა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გაამეფა მათ შორის სამოქალაქო მოვალეობა, ქვეყნის უერთგულესი სამსახური, და ნაყოფად ამას მოჰყვა ის, რომ ახლა ჩეხია უბედნიერესი ქვეყანაა სლავიანთა ერთა შორის და ბრწყინვალე მომავლის იმედით სავსე. თუ ქართველობაც ამავე გზას დაადგება, ხატად და კერპად იწამებს მოვალეობას ქვეყნის წინაშე და ამ მოვალეობას მხნედ და შეურყველად ემსახურება, ჩვენი დაცემული სამშობლო წარმოდგება ზეზე, წელში გაიმართება, წარმატებისა და წინსვლის გზას მტკიცედ დაადგება და ნათელი მომავალიც მას გაუღიმებს ისევე, როგორც უღიმის ჩეხიას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 417-418).

ი. გოგებაშვილი წერილში „უცნაური ბრალდება“ 1909 წელს წერდა: „მე გახლდით და ახლაც ვარ წმინდა ევოლუციონისტი, სისტემატური რეფორმების მონატრული, მიმდევარი და მქადაგებელი, როგორიც იყვნენ პედაგოგები ევროპისა: კომენიუსი, პესტალოცი, ჟაკოტო, დისტერვერგი და რუსეთში უნიჭიერესი პედაგოგი უშინსკი და სხვანი. ყველა ამ პედაგოგებთან ერთად, მეც იმ აზრისა ვარ, რომ

პედაგოგიური პრინციპი თანდათანობით განვითარებისა საუკეთესო მეთოდია ზალხის პოლიტიკური აღზრდისათვის, მისი ამაღლებისათვის, კეთილშობილებისათვის“. (იქვე, გვ. 321).

ი. გოგებაშვილი ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას, ალტრუიზმს აღიარებდა პედაგოგიური ნიჭისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითად პირობად, რამეთუ ეს თვისებები არის საფუძველი „ნამდვილი ადამიანური გრძნობისა“. იან ამოს კომენსკი, ი. გოგებაშვილის აზრით, იმიტომ არის დიდი პედაგოგი, რომ სწორედ ამ ადამიანური თვისებითაა აღჭურვილი. სტატიაში „ქართველთა სწავლ-განათლების ნიჭი“, რომელიც გაიგზავნა პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის, ი. გოგებაშვილი წერდა: ქართველთა ბუნებრივი პედაგოგიური ნიჭი მომდინარეობს ფრიად შესანიშნავი სათავედგან, ან უკეთ საძირკველიდან, ქართველთა სულიერი ორგანიზაცია ანუ აგებულება იმგვარია, რომ ივინი მოკლებულნი არიან ვიწრო ეროვნულ ინსტიქტს, გვარტომობის ცალმხრივობას, და აქვთ მიდრეკილება ფართო ადამიანობისადმი, რის გამო ხათრიჯამიანი განწყობილება ერთს მათს ძირითად თვისებას შეადგენს. ცნობილია რომ პედაგოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში და ვერც ერში, გარეშე ნამდვილი ადამიანურის გრძნობისა“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 226).

შემდეგ იქვე დიდი პედაგოგი აღნიშნავს: „თუ ბერძნები გაცილებით სჯობდნენ რომაელებს მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების საქმეში, ეს იმიტომ, რომ მათზე უფრო გაცილებით კაცთმოყვარენი იყვნენ. ძველი დროის უდიდესი პედაგოგი სოკრატი ამასთან უდიდესი ჰუმანისტი იყო. პედაგოგიკის მამამთავარი კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი კაცთმოყვარეობის, ალტრუიზმის მნათობნი იყვნენ, ეგოისტ კაცთა და ტომთა არ ძალუძთ პედაგოგის სფეროში შემოქმედებითი ძალა აღმოაჩინონ, ისეთი ფრიად რთული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორიც ადამიანის აღზრდა და სწავლებაა, ხელიდან გამოუვა მხოლოდ მათ, ვისაც ასულდგმულებს გულწრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, 1954 გვ. 226).

როცა ვეცნობით ი. გოგებაშვილის სქელტანიან თხზულებათა ტომებს, მის „შინაურ მიმოხილვას“, „ხე ნაყოფით იცნობება“, „ეროვნული სენის მიზეზი და წამალი“, „ბურჯი ეროვნებისა“, „როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიის სახალხო სკოლა“, „მუნჯი ბერძენი ქართულ სკოლაში მასწავლებლად“, „დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტი“, „დიდი ვარმის შესახებ“ და სხვა მრავალ წერილსა და მიმოხილვას, ღრმად ვრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაშე დგას ზალხის ჭირვარამის ღრმა მცოდნე და მისი წარმოშობის მიზეზში საფუძვლიანად ჩამწვდარი სწავლული, რომელიც ზალხის ბრძოლას სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული უფლებებისათვის ოსტატურად უკავშირებს დედანისა და მშობლიური სკოლისათვის ზრუნვას. იგი გვაფრთხილებს, რომ სოციალური და ეროვნული საკითხები მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული. „ეს ორი დედაბოძი ზალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძლევენ, ხელი-ხელს არიან გადაბმულნი და მათი დაცალკავება და გაყრა ხეირს არ დააყრის არც ცალკე პირსა და არც საზოგადოებრიობას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, გვ. 129-130).

იაკობ გოგებაშვილი ღრმად წვდებოდა პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებშიც, ფხიზლად იხედებოდა მის სამზარეულოში. თუ არაფერს ვიტყვით ისეთ დესპოტურ მონარქიაზე, როგორიც თვითმპყრობელურ რუსეთშია, სხვა სახელმწიფოებშიც,

რომლებიც ასე ამაყობენ დემოკრატიული პარლამენტარიზმით, იმის ცდაში არიან, რომ შეავიწროვონ, შებოჭონ შეასუსტონ, დაამცირონ და მიწასთან გაასწორონ პატარა ეროვნებანი, თითონ დაისაკუთრონ მათი სიკეთე, აიგონ სიმდიდრით - ამბობდა იაკობი. ამ დებულებას ურღვევი ფაქტებითა და მღელვარე პუბლიცისტური სტილით ასაბუთებდა ი. გოგებაშვილი 1905 წელს გამოქვეყნებულ წერილში „დიდი ვარმის შესახებ“. იგი წერდა: „ამ მხრივ ყოველი პარლამენტი მეტად სასარგებლო დაწესებულება მთავარი ერისათვის, გამოდის მავნედ სალაცხოდ (გოვორილინად, დობროლიუბოვისა არ იყოს). შეკავშირებულის (დამორჩილებულის - ა.გ.) მცირე ერებისათვის. სალაცხოდ, სადაც სადისტურად ამართლებენ მთავარი ერისწარმომადგენელთა მიერ მცირე ერების ძარცვა-გლეჯას, თავის ნაციონალურს რაზბინიკობას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 354).

იაკობ გოგებაშვილი, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, წარმოგვიდგენს დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაგვრა-შევიწროებას: პრუსიის პარლამენტი როგორ ავიწროებს პოლონელთა სკოლებს პოზნანში, საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტი - არაბთა სკოლებს ჩრდილო აფრიკაში, ყველამ იქნებ არც კი იცისო - მიუთითებს ი. გოგებაშვილი, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა, რომელიც ერთ დროს ძმობის, ერთობისა და თანასწორობის მედრომედ გამოდიოდა, ბრეტონელებსაც არ ინდობს, არ ინდობს თავის დასავლეთის მოქმედებაც კი, რომლებიც კულტურულ ენაზე ლაპარაკობენ, არ აძლევს მათ უფლებას დედაენაზე შემოიღონ სკოლაში სწავლება... ამერიკაშიც ვიხილავთ რესპუბლიკური კონგრესის საშინელ ეგოიზმს, რომელმაც მიწასთან გაასწორა და თითქმის აღმოფხვრა ადგილობრივი წითელკანიანი ხალხები, რომელნიც უსათუოდ თავისებურ წვლილს შეიტანდნენ კაცობრიობის კულტურის საღაროში სამართლიანად რომ მოქცეოდა მათ შეერთებული შტატების კონგრესი და მიეცა დაუბრკოლებელი განვითარების შესაძლებლობა... თუ ასეთი მდგომარეობაა ევროპასა და ამერიკაში და ასეთი „ნაყოფი“ მოაქვს პარლამენტს, აღნიშნავს იაკობი, „რა უნდა მოიტანოს მან თვითმპყრობელურ რუსეთში?... მხოლოდ ის, რომ პარლამენტი სულთამსუთავ მაჭლაჯუნასავით დააწვება პატარა ხალხებს, დააკანონებს ქვეშევრდომი ხალხების ტერიტორიაზე, მიწა-წყალზე გაბატონებული ერის ფარფაშს, აქცევს სკოლას თავისი პოლიტიკის გამტარებლად, უცხო, გაუგებარ ენაზე სწავლების წყალობით გონებას დაუწმობს, დაუსუსტებს არარუს ახალგაზრდობას, მხნეობას დაუჩაგრავს და დაუკარგავს მას“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 57).

ზემოთაღნიშნული სრულებით არ ნიშნავს წარსულისაკენ ნოსტალგიურ ხედვას. იაკობი თვითონვე აღნიშნავდა: „უწინდებული საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულს დროდა, რომლის დაბრუნება ისეთივე შეუძლებელია როგორც ჩავლილი წყლის უკუმოქცევა; ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენი პატრიოტების მოქმედებისა და ნატურისა, მიქცეული უნდა იყოს არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი“. რასაკვირველია, დასავლეთს იგი არსებული სახით როდი ღებულობდა, არამედ იმ მოწინავე ტენდენციებს გულისხმობდა, რაც დასავლეთის განვითარებას სოციალური თანასწორობის და დემოკრატიის გზაზე აყენებდა. იაკობი გრძნობდა, რომ დასავლეთი ცივილიზაციისაკენ იყო მიმართული, რომელიც თანდათან განვითარდებოდა და დიდ ისტორიულ როლს შეასრულებდა. ი. გოგებაშვილი რომ მართალი იყო, ეს საკვებით დაადასტურა ჩვენმა დღევანდლობამ.

მაგრამ იაკობს ჰქონდა ისეთი შეხედულებანიც, რომელიც სადავოა. 1905 წელს, მაგალითად, იგი წერდა: „ჩვენ, ქართველებმა კარგად ვიცოდით და ვიცით, რომ პატარა ერი ვართ, რომელსაც ცალკე სახელმწიფოს გაძღოლა და შენახვა მძიმე ტვირთად დაგვაწვება კისერზე“... მისი პოლიტიკური მრწამსი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო ავტონომიური ფედერაციის პრინციპის საფუძველზე შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში, ისე რომ მისი ეროვნული უფლებანი მთლიანად ყოფილიყო გარანტირებული“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 58).

თუ დღევანდელი გადასახედიდან შევაფასებთ იაკობის ამ მოსაზრებას, შეიძლება არ დავეთანხმოთ და აი რატომ: 1. საქართველოს წარსულში ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. 2. ახლაც ბევრია პატარა ერი, რომელსაც გააჩნია თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ იაკობ გოგებაშვილი გამოდიოდა საქართველოს მდგომარეობიდან მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა თითქმის ადაპტირებული ვიყავით რუსეთის იმპერიაში ყოფნას... გავიდა ხანი, რუსეთში დამყარდა საბჭოთა წყობილება და გავრცელდა მის იმპერიაში შემავალ ყველა რეგიონზე, აქაც მოხდა ჩვენი გარკვეული ადაპტირება - შეგუება დიდი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. გავიდა 70 წელი და დღეისა საბჭოთა კავშირი. მაგრამ ახლაც ბევრი ფიქრობს, რომ საერთო კავშირში ყოფნის გარეშე, დამოუკიდებლად არსებობა შეუძლებელი იქნება. ახლაც ამას ამბობს ბევრი, მიუხედავად იმისა ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ, ვართ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის, ევრო საბჭოს წევრი, გაერთიანებული ვართ სხვადასხვა საერთაშორისო კავშირებსა და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებში.

როგორც ჩანს, გოგებაშვილი არ ცდებოდა, იგი რეალობიდან გამოდიოდა. მაგრამ არის სხვა მიდგომა - შესაძლებლობიდან გამოსვლა. არსებობს თუ არა მოცემულ შესაძლებლობაში, რომ საქართველო იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო? - ნამდვილად არსებობს, ოღონდ გარკვეული პირობით. უნდა აღდგეს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული, სამხედრო კავშირები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან; როგორც მრავალმხრივი, ისე ორმხრივი კავშირები, ერთი სიტყვით, გარკვეული ზომით უნდა მოხდეს ინტეგრაცია, ასევე გაძლიერდეს კავშირები უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებთან, ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან, იაპონიასთან და ა.შ.



კრიტიკა, პუბლიცისტიკა

იური ბიბილიოფილი

სულიკო ჟღენტის კინოდრამატურგია

სულიკო ჟღენტის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. მისი სცენარის მიხედვით გადაღებულმა კინოფილმმა „ჯარისკაცის მამა“ დაიპყრო მსოფლიო კინომაყურებელი. ცნობილი კრიტიკოსი შოთა ქურიძე წერდა: „განსაკუთრებით სასიხარულოა დრამატურგ სულიკო ჟღენტის თვალსაჩინო გამარჯვება, მისი სცენარით შექმნილმა ფილმმა „ჯარისკაცის მამა“ მთელი მსოფლიო მოიარა - მას 108 ქვეყნის კინოთეატრებში უჩვენებდნენ. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ბათუმელი მწერლის ნაწარმოებმა ესოდენ დიდი წარმატება მოიპოვა“. (შოთა ქურიძე - მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში - ბათუმი, 1970 წ. გვ. 33).

სულიკო ჟღენტი დრამატურგიაში პროზიდან მოვიდა. 1958 წელს ბათუმში გამოიცა მისი მოთხრობების პირველი კრებული „ზღვისპირეთის საღამოები“, ხოლო 1962 წელს მოთხრობების მეორე კრებული „კიდევაც დაიზრდებიან“.

მოთხრობებში „ზღვისპირეთის საღამოები“ ზნეობის პრობლემებია გააზრებული სიყვარულის ფონზე. დედაქალაქიდან ზღვისპირეთის ერთ მშვენიერ დაბაში ორი ახალგაზრდა მხატვარი შემოქმედებითი მივლინებით ჩამოვიდა. ორივემ ერთდროულად გაიცნო ერთი ლამაზი ქალიშვილი. ორივეს ერთნაირად ჩაუვარდა გულში ნანული. ამის გამო მეგობრები ერთმანეთის მიმართ გულგრილნი გახდნენ. სიყვარულის გრძნობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეგობრობისა. შოთამ მეგობარს არ გაუშხილა ნანულისთან დაახლოებისა და სიყვარულში გამოცხადების ფაქტი. მწერალი დიდ ტოვებს კითხვას - ზნეობრივია თუ არა შოთას პოზიცია, ზნეობრივია თუ არა გულახდილობის ნაცვლად თავისთავში ჩაკეტვა, მეგობრობა მოითხოვს თუ არა გულახდილობას?..

დაახლოებით ანალოგიური პრობლემაა დასმული მოთხრობაში „ნათელა“. ნათელა ეჭიმა, რომელმაც უმკურნალო გეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს დომენტის, რომელსაც მშვენიერი ეჭიმი თავდავიწყებით შეუყვარდა, მაგრამ არ გაუშხილა მეგობრებს. „უცნაურობითა და იდუმალებით არის დახერგილი სიყვარულისაკენ მიმავალი გზები“ - აკეთებს ფილოსოფიურ დასკვნას მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი.

„ზღვის ეშმაკი“ ადამიანებს მშობრის დამოკიდებულებების მწვავე პრობლემებზე მიაქცევს მკითხველის ყურადღებას. ამბავი გემზე ხდება. ფოთიდან მარსელში მიმავალ გემზე ახალი ბოცმანი მიიღეს, რომელიც კაპიტანთან მუცელზე დახოხავდა, მეზღვაურებს კი მისგან სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული“. კოლექტივმა არ აპატიო ბოცმანს ასეთი უზნეობა და იგი ოდესის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალო გახდა.

მოთხრობაში „მოულოდნელი შეხვედრა“ მხილებულია ბიუროკრატია. კალისტრატე ჩახვადე ტიპიური ბიუროკრატია. მთელი დღე მხოლოდ პირად საზრუნავს აგვარებს, გარეგნულად კი საქმიო დატვირთული კაცის როლს თამაშობს. ამისათვის მწერალი საინტერესო დეტალებს არჩევს. მაგალითად, ტექნიკური მდივანი სხვების დასანახავად უფროსის კაბინეტის დაბამბულ კარს ისეთი სიფრთხილით აღებს, გეგონებათ - კარს იქით ჩიტები ჰყავთ დამწყვდეული და მათი გაფრენის ეშინიაო“.

მისაღებში კი მუდამ ხალხმრავლობაა, ელოდებიან უფროსთან მიღებას. მწერალი კიდევ ერთ საინტერესო დეტალზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას და კიდევ უფრო ღრმად გვახედებს კალისტრატე ჩახვადის მსგავსი ბიუროკრატიების მუშაობის მანკიერი სტილის არსში: „ჩახვადის მისაღებ ოთახში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე კვლავ საათობით ისხდნენ მოწყვნილი ადამიანები და მიღებას ელოდნენ. ვინ მოთვლის რამდენმა კაცმა გაიცნო ამ ოთახში ერთმანეთი! ქალაქში ისინი ახლაც ძველი ნაცნობებივით ხვდებიან ერთმანეთს და თითქმის ყოველი შეხვედრისას იმ საქმის დაბოლოების შესახებ ეკითხებიან ურთიერთს, რომელ საქმეზედაც ჩახვადესთან დადიოდნენ. უბრალო ნაცნობობის გარდა აქ მრავალ მეგობრობასაც ჩაეყარა საფუძველი. აი ახლაც, ის ახალგაზრდა ვაჟი და გოგონა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩახვადესთან რომ არიან გამოგზავნილნი, ამ ოთახში ერთი კვირის წინათ გაეცვენენ ერთმანეთს. ჩახვადე მათი სამუშაოზე დანიშნვისაგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებს და გადაწყვეტით არაფერს ეუბნება. ისინიც ყოველ დილით მოდიან აქ, საათობით სხედან ოთახის კუთხეში და ხმადაბალი, გულისთადი საუბარი აქვთ გამართული. ჩახვადესთან მიღებაზე მოსიარულენი, რომლებიც თავიანთ თავს სევდიანი ირონიით „ჩახვადის შტატიან მთხოვნელებს“ უწოდებენ, უნებლიე მოწმენი ხდებოდნენ იმ ევოლუციისა, რომელიც ამ ახალგაზრდა წყვილი ურთიერთობაში ხდებოდა. ერთ დღეს ქალიშვილმა მუხლებზე გაზეთი გაშალა, ზედ ორი ფუნთუშა, წვრილად დაჭრილი ლორი და ორი ვაშლი დაალაგა.

- ამ ამბავს ქორწილის სუნი ასდის - ხმადაბლა შენიშნა გამხდარ-გამხდარმა სათვალთანმა კაცმა და ჭამაში გართულ ქალიშვილისაკენ ღიმილით გაიხედა“.

მოთხრობაში სხვა პარალელური თემებიც იქცევს ჩვენს ყურადღებას. მათ შორის ყველაზე არსებითი არის ის, რომ ამქვეყნად არაფერი დაფარული არ არის. კალისტრატე ჩახვადის კაბინეტში ჩაწყობილი ბნელი საქმე, რომელიც ერთ-ერთი თანამშრომლის წინააღმდეგ არის მიმართული, ცნობილი ხდება კაბინეტში სარემონტო სამუშაოს მწარმოებელი მუშაკისათვის. იგი უნებლიე მოწმე ხდება კალისტრატე ჩახვადისა და ხელქვეით ალექსანდრეს შორის მოლაპარაკებისა ერთ-ერთი პატიოსანი ინსპექტორის წინააღმდეგ. ეს ახალგაზრდა მუშა უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, რომელიც ამხელს შემდეგ ყალთაბანდობებს.

„სისხლიანი ქორწილი“ აჭარაში დამპყრობთა შემოსევების ტრაგიკულ შედეგებს ასახავს და მკითხველს ზიზლით განაწყობს ძალადობის, ძალმომრეობის, სამშობლოზე თავდასხმელთა წინააღმდეგ.

სხვა ღირსებებით გამოირჩევა კრებული „კიდევაც დაიზრდებიან“, რომელშიც სამი საინტერესო მოთხრობაა მოთავსებული, „კიდევაც დაიზრდებიან“, „სიყვარულის ძალა“, და „თამაზის ნაამბობი“. მათ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ მათი სახით საუკეთესო ნიმუშები შესძინა მწერალმა ქართულ საბავშვო მწერლობას. საყოველთაოდ ცნობილია მაქსიმ გორკის დამოკიდებულება საბავშვო მწერლობისადმი. „დიდებისათვის“ დაწერილ მოთხრობებთან შედარებით საბავშვო ნაწარმოებები უკეთესად უნდა იყოს დაწერილი. ამ ნიშანს ატარებს კრებულში გამოქვეყნებული სამივე ნაწარმოები.

მოთხრობაში „კიდევაც დაიზრდებიან“ მწერალი ახალგაზრდა მკითხველებს პატრიოტული სულისკვეთებით ზრდის. ნაწარმოების თემად აღებულია ერაკლე მეფისდროინდელი საქართველო, თბილისში ალა მაჰმადხანის შემოსევა, კახელი დიდებულების ღალატი და სელიმ ხიმშიაშვილის უანგარო ერთგულება

დედასაქართველოს მიზნებისადმი.

მოთხრობა „სიყვარულის ძალა“ საუკეთესო ნიმუშია იმისა, როგორ შეიძლება გარდაქმნას ცხოვრების სწორ გზასაცდენილი ახალგაზრდა მშვენიერი ქალიშვილის სიყვარულმა. ეს პროცესი იმდენად საინტერესოდ არის წარმოსახული, რომ მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟთან ერთად მკითხველსაც შეუძლია თქვას: „ჩვენს თვალწინ ადამიანი იბადება“.

ფართო შემცვენებითი ღირებულებით გამოირჩევა მოთხრობა „თამაზის ნაამბობი“. მოსწავლე უყურადღებოდ არ უნდა ტოვებდეს სკოლაში შესასწავლ არც ერთ საგანს, მეტადრე გულმოდგინედ უნდა სწავლობდეს ენებს. ამაში კარგად რწმუნდება მკითხველი, როცა თამაზის ნაამბობის მიხედვით ეცნობა მატარებლიდან ჩამორჩენილი ახალგაზრდის ცხოვრების პირობებს უცხო გარემოში. თბილისიდან მოსკოვში მიმავალი ახალგაზრდები ჩამორჩნენ მატარებელს ყუბანის ერთ-ერთ სადგურში. მწერალი აღწერს ახალგაზრდების ფათერაკებით სავსე თავგადასავალს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ახალგაზრდას ყოველთვის უნდა ახსოვდეს სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობა. მოთხრობის პერსონაჟი ნოდარი ყუბანელ მოსწავლეებთან შრომაში ჩართულ თავის მეგობრებს შეახსენებს: „აქ ყველანი ჩვენ შემოგვცქერიან. ჩვენ სამს შეგვიძლია ამათ თვალში მთელი თბილისის, მთელი საქართველოს პიონერები ან ვასახელოთ, ან შევარცხენოთ“.

ეცნობით ამ სიუჟეტებს, სახეებს, ხასიათებს და სინანული გიპყრობთ, რომ სულიკო ჟღენტი ადრე ჩამოშორდა პროზას. ის, როგორც პროზაიკოსი, დიდი იმედის მომცემი იყო. მართალია, როგორც კინოდრამატურგმა, უნიკალური მხატვრული შესაძლებლობები გამოავლინა, ამის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ, მაგრამ პროზაიკოსი სულიკო ჟღენტი მაინც რჩება ცალკე თემად.

დღეს სულიკო ჟღენტს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ იცნობენ, როგორც აღიარებულ კინოდრამატურგს, პოპულარულ კინომოღვაწეს. მის კალამს ეკუთვნის კინოსცენარები „ჯარისკაცის მამა“, „ლიმილის ბიჭები“, „წუთისოფელი“, „ნერგები“, „რაიკომის მდივანი“, „ციმბირელი პაპა“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ და მრავალი სხვა.

სულიკო ჟღენტის შემოქმედების გასაღები მოცემულია ჟურნალ „Искусство кино“ – სათვის დაწერილ წერილში, რომელშიც დრამატურგი აღნიშნავს: „საკმარისი არ არის თანამედროვე ცხოვრების ხვეულების“ გულდასმით შესწავლა, არამედ საჭიროა როგორღაც ახლებურად ხატო. ხასიათები, ეძებო ახალი გზები გმირის ხასიათში შესაღწევად. თუმცა ძალიან ძნელია ახალი ფორმის, ახალი ხასიათის მიგნება. ძნელია არ გაიმეორო ესა თუ ის ბანალური სვლა, რომ თავგზა არ აგიბნეოს ტრადიციულმა სქემამ („Искусство кино“ №2, 1972). ამ სიტყვების ავტორმა გაბედულად დასძლია ტრადიციული სქემები და ნამდვილად მიაგნო გმირის ხასიათში ახალ თავისებურებებს, ახლებურად გაიაზრა ბევრი ტრადიციული თემა. პირველ რიგში კი იგი გამოვლინდა ჰუმანიზმის ახლებურ გააზრებაში. სულიკო ჟღენტის გმირების ჰუმანიზმი სიკეთისაკენ მისწრაფებაში ვლინდება. სრულიად ვეთანხმებით კრიტიკოს გივი ბოგუჯას შეფასებას იმის შესახებ, რომ „სულიკო ჟღენტის სტიქიაა ჰუმანურობის გამომჟღავნება, სიკეთის მთესველი ადამიანების იერსახის ხატვა“. („მართალი ცხოვრებისეული ფილმი – „საბჭოთა ხელოვნება“ №4, 1972).

სულიკო ჟღენტის, როგორც შემოქმედის, ჰუმანისტური სულისკვეთება სრული სახით გამოვლინდა კინომოთხრობაში „ჯარისკაცის მამა“.

აღიარებული ფაქტია, რომ მსოფლიო ომი მსოფლიო მეცნიერების, პოლიტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინტერესის საგანია. ამ საგანზე ფიქრსა და გარჯაში იხატება როგორც მეგრძოლ ხალხთა ეროვნული ინტერესები, ხასიათები, კულტურა და ტრადიციები, ისე ზოგადადამიანური ღირებულებები. აქედან გამომდინარე ქართულ კინოდრამატურგიაში უნდა ასახულიყო ქართული ხასიათები, კულტურა და ტრადიციები, რადგან ქართველმა ხალხმა, თავისი მოსახლეობის რაოდენობის ფონზე (საქართველოს მთელი მოსახლეობის 15% შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა) უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშიზმის დამარცხებაში. მიუხედავად ამისა, ომის დამთავრებიდან 30-ზე მეტი წლის მანძილზე ქართული კინოდრამატურგია არ იცნობდა კინოსცენარს, რომელშიც ღირსეულად იქნებოდა წარმოდგენილი როგორც ფაშისტური ჯოჯოხეთი, ისე მის წინააღმდეგ მეგრძოლი ქართული ხასიათი. ეს მისია იკისრა კინოდრამატურგმა სულიკო ჟღენტმა და წარმატებით გადაწყვიტა დღეს საყოველთაოდ აღიარებულ კინოსცენარში „ჯარისკაცის მამა“. ამ სცენარის მიხედვით გადაღებული კინოშედეგის მთავარი როლის შემსრულებელი სერგო ზაქარიაძე იგონებდა: „დიდხანს ვოცნებობდი კარგ სცენარზე, სადაც უბრალოდ როლს კი არ გავითამაშებდი, არამედ გმირის ცხოვრებით ვიცხოვრებდი, ვოცნებობდი სცენარზე; რომლის ავტორს უნარი ექნებოდა ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენის არსს... სცენარისტმა სულიკო ჟღენტმა მე და რეზო ჩხეიძეს ლიბრეტო გაგვაცნო. ლიბრეტო მოუთხრობდა კაცის ბედზე... რომელმაც შვილის ძებნაში, ჯარისკაცებთან ერთად, ომის გზა განვლო. თვალწინ წარმომიდგა ადამიანური ღირსეობით, იუმორითა და სევდით აღსავსე ამბავი“...

„ჯარისკაცის მამა“ სავიზიტო ბარათია არა მხოლოდ მისი ავტორის შემოქმედებისათვის, არამედ მეოცე საუკუნის ქართული კინოდრამატურგიისათვის საერთოდ. „ჯარისკაცის მამა“ მხარს უსწორებს თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიული და სოციალური ხასიათის კინოდრამატურგიას. დრამატურგის ინტერესი ხალხის ცხოვრებაზეა გადატანილი და წინა პლანზე ეროვნული ხასიათის სილიადა წამოწეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ჯარისკაცის მამის“ თემა დრამატურგმა რეალური ცხოვრებიდან აიღო. ის არ არის გამოგონილი. მის გმირებს ცხოვრებაში რეალური პროტოტიპები ჰყავს.

როგორც ცნობილია დრამატურგი სულიკო ჟღენტი ომის დროს იბრძოდა ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში. მასთან ერთად ფრონტის წინა ხაზზე უბრძოლია ბოლბისხეველ გლეხკაცს გიორგი მახარაშვილს. კინო რეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელმაც სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით მსოფლიოში სახელგანთქმული სრულმეტრაჟიანი კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“ გადაიღო, წერს: „რეალურად გიორგი მახარაშვილი ყოფილა დიდი ფიზიკური და სულიერი ძალის ხანდაზმული კაცი. ყველას უყვარდა თურმე ბატალიონში და ისიც მამობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა მეგრძოლებს, რომელთა უმრავლესობა შვილებად შეეფერებოდა. 1942 წლის გაზაფხულს ნოვოროსისკთან, სანგრებში მიძინებული ჯარისკაცები ალიონზე ლილინით ნათქვამ ქართულ სიმღერას გაუღვიძებია და მეგრძოლებს დაუნახავთ - ზიშტით მიწას როგორ ჩიჩქნიდა და ხორბალს როგორ თესდა ჯარისკაცი მახარაშვილი. გაკვირვებული შესცქეროდნენ თურმე მის საქმიანობას. „გაზაფხული მოდის, გაზაფხული“ - ჩაუდუღუნებია თავისთვის“. ამ ცხოვრებისეულ ფაქტებში, დასძენს რეჟისორი რეზო ჩხეიძე, - არის ხალხის სიმბოლური სახე, მისი ორგანული შეუთავსებლობა ომთან, სწრაფვა მშვიდობისა და შენებისაკენ. (ს. ჟღენტი. „ჯარისკაცის მამა“ - კინოსცენარი

გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი 1997 წ.)

„ჯარისკაცის მამის“ სცენარის მოკლე შინაარსის გადმოცემა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ამავე სახელწოდების ფილმს საქართველოს ყველა თაობა იცნობს. ვიდრე საზოგადოება იცხოვრებს ისტორიული მემკვიდრეობით, საზოგადოების ყოველი თაობა ინტერესით ნახავს კინოფილმს „ჯარისკაცის მამა“. მაგრამ მის თემასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უმადურობად მიგვაჩნია ომის შემდგომ წლებში დაბადებულთა კრიტიკული შენიშვნები იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველები იბრძოდნენ სხვისთვის; სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით ქართველები იბრძოდნენ საერთაშორისო ბოროტების წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომში რომ არ დამარცხებულიყო ფაშიზმი, ვინ იცის როგორი სახე ექნებოდა თანამედროვე მსოფლიოს. ეს არ იყო ომი მხოლოდ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, როგორც კომუნიზმის იდეოლოგიები აცხადებდნენ და შედეგებს სოციალიზმის სიცოცხლისუნარიანობის დასამტკიცებლად იმოწმებენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ანტიჰიტლერული კოალაციის წარმომადგენელი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფოები არ შეიძლებოდა სოციალიზმის გადასარჩენად შებოძონ ფაშისტურ გერმანიას. ფაშიზმი ანტიისტორიული მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის ანტიეროვნული მოვლენა იყო. მაშასადამე იგი ანტიქართული მოვლენაც იყო.

სულიკო ჟღენტის სცენარის მთავარი გმირი იბრძვის არა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, არამედ ცივილიზაციის საფრთხედ მოვლენილი ფაშიზმის წინააღმდეგ. ფაშიზმი ნერგავდა ხალხთა სიძულვილს, აქედან გამომდინარე რასისტული თეორიის კარნახით, მსოფლიოს ხალხების მიერ შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის სიძულვილს. ამიტომ იმ ომის ქართველი გმირები ჩვენი ეროვნული გმირები არიან, ხოლო სულიკო ჟღენტის ნაწარმოებს კი გააჩნია არა მხოლოდ მხატვრული, არამედ პრინციპული ხასიათის პოლიტიკური და ისტორიული ღირებულება.

სულიკო ჟღენტის კინოსცენარს მაღალი შეფასება მისცეს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ვლადიმერ ალფენიძე წერს: - „ომის თემაზე მრავალი მხატვრული შედეგრი შეიქმნა. ამიტომ ისე ადვილი როდია ამ თემაზე ორიგინალური ნაწარმოების შექმნა. სულიკო ჟღენტმა მაინც მიაგნო საკუთარ თემას, მხატვრული ხედვის, საკუთარი პოზიციის და კიდევ ერთი საინტერესო კინომოთხრობით გაამდიდრა ქართული მწერლობა“. ჩვენ საფუძვლით ვიზიარებთ ვლადიმერ ალფენიძის მიერ სცენარის უნარობრივი თავისებურების განსაზღვრასაც. „უანრობრივი თვალსაზრისით „ჯარისკაცის მამა“ სიტუაციითაა კომედიურა, სადაც კომიკური პირობითობა შერწყმულია ომის მკაცრ სინამდვილესთან“ - ვლადიმერ ალფენიძე, - „ჯარისკაცის მამა“ - „საქართველოს აგიტატორი“ №3, 1965 წ.)

საგულისხმოა და მწერლის სასახლოდ მიგვაჩნია ისიც, რომ გამომცემლობა „ხელოვნება“ 1977 წელს სწორედ სულიკო ჟღენტის კინოსცენარის „ჯარისკაცის მამის“ საფუძველზე შემოიღო სერია გამომცემებისა „ქართული კინოს შედეგები“ და სერიის პირველ გამოცემაში გამოქვეყნდა „ჯარისკაცის მამის“ სრული ტექსტი კინოკადრების ილუსტრირებით.

სულიკო ჟღენტმა მეორე მსოფლიო ომის თემას მიუძღვნა კიდევ ერთი საინტერესო კინოსცენარი „ლიმილის ბიჭები“, რომლის მიხედვით შემდეგ რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ გადაიღო ამავე სახელწოდების ფილმი, რომელიც დღესაც დიდი პოპულარობით

სარგებლობს მაყურებელთა შორის. კინოდრამატურგი ამ ნაწარმოებშიც აგრძელებს ხალხის ცხოვრების წილიდან მომდინარე სახე-ხასიათების ძერწვას. მეორე მსოფლიო ომი იყო სახალხო ომი და მასში საზოგადოების თითქმის ყველა ფენა - ქალი თუ ვაჟი, ჭაბუკი თუ ჭარმაგი ერთნაირი თავდადებით იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. „ლიმილის ბიჭების“ ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ ეს წარმოადგენს - მას არ ჰყავს ინდივიდუალური გმირი - ამ ომის გმირი ხალხია. მიუხედავად ამისა ნაწარმოების თითოეული პერსონაჟი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათია და მათი ერთობლიობა ქმნის საერთო ეროვნულ ხასიათს - იბრძოლოს უსამართლობის წინააღმდეგ, დაიცვას სიმშვიდე და თავისუფლება.

სულიკო ჟღენტის შემოქმედებაში სიკეთის სამსახური სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ასპექტებზე გაივლის. კინოსცენარში ფილმისათვის „წუთისოფელი“ დრამატურგი სიმართლეს ეუბნება თავის მკითხველსა და მაყურებელს. სიმართლე კი მწერალმა ცოცხალ მხატვრულ სახეებში უნდა უჩვენოს. ამ თვალსაზრისით დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს სულიკო ჟღენტი და მან კეთილსინდისიერად თქვა სიმართლე სოციალ-დემოკრატიული ძალებით წარმოდგენილი საქართველოსა და ბოლშევიკი რევოლუციონერების დაპირებების შესახებ. რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად ისტორიული ხასიათის სიძნელებები წარმოიქმნა საქართველოს ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოში. საქართველოში გამოჩნდებიან ხან გერმანელები, ხან ინგლისელები, ხანაც ამერიკელები, ყველა დახმარებას გვპირდება, მაგრამ უშედეგოდ. მშრომელი ხალხის გაჭირვება გრძელდება. გურული გლეხი სიპიტო (მანუჩარ შერვაშიძე) სიღონისთან დიალოგში ერთი წინადადებით ხატავს გლეხის უმწეო ცხოვრებას: „სიღარიბეს რა ვუთხრა, თვარა ნახევარი თხა რა საყოლია, მთელი თხა მაინც უნდა გაყვდეს“. დრამატურგი სამართლიანად ხატავს გლეხობას, როგორც გაურკვეველ მასას. გლეხი ადვილად ვერ დათმობს კერძო საკუთრებას. არც თმობს. თავშეკავებულად, მაგრამ სავსებით დამაჯერებლად, ხალხი უარყოფს კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბებას.

- დავითი - ლენინს თურმე ასე უთქვამს: მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებსო.

სიპიტო - ააშენა ღმერთმა.

იასონი - კი, კი, ნამდვილად კარგად უთქვამს.

თარხანი - მიწა კი, ბატონო გლეხებს, მარა... მოსავალი ვისია?... არ ვეთანხმები ამხანაგ ლენინს ზოგიერთ რამეში.

სიპიტო - რამდენიც არ უნდა იბუზღუნო, თარხან, იმ 18 ჯცევამ მიწას მაინც არ დაგიტოვებენ, ჩამოგართმევენ“.

აქ აშკარად იკითხება სიპიტოსთანა და მითუმეტეს თარხანისთანა გლეხების უნდობლობა და ეჭვი ბოლშევიკური პარტიის სოციალური პოლიტიკის მიმართ.

აქ გახსნილია ორპირი დამოკიდებულება სოციალური მოვლენებისადმი. თარხანს ხელს არ აძლევს მიწა რომ საზოგადო საკუთრებაში იყოს, რადგან თავისი ეკარგება, მაგრამ უმიწაწყალო გლეხებიც - დავითი, სიპიტო და იასონი ეჭვით უყურებენ იმას, რომ მათ ექნებათ მიწები.

მწერალი ერთგულად იცავს სიმართლის თქმის პრინციპს. იგი ემყარება მიწისადმი გლეხის განსაკუთრებულ სიყვარულს. ამ სიყვარულს გლეხის მეექვსე გრძნობასაც უწოდებენ. ეს იდეა ასე იკითხება ამ მოკლე დიალოგშიც:

„იულონი - მე ვერ წამოვალ

ბეგლარი - შენ გგონია, გაპატიებენ ბოლშევიკები?

იულიონი - ვიცი, არ გაპატიებენ, მაგრამ ასე მირჩევნია. მიწა ჩემია.

ბეგლარი - შენი მიწა ბოლშევიკებმა წაიღეს, აღარ დაგიბრუნებენ.

იულიონი - მე რომ მეყოფა იმდენს არ დამამადლიან“.

სულიკო ჟღენტის შემოქმედების თვალსაჩინო წარმატებაზე მეტყველებს კინომოთხრობა „ნერგები“, დრამატურგი უაღრესად ფართო თვალსაზრისით ასახავს ცხოვრებას, მისადმი პიროვნების დამოკიდებულებას, საერთოდ ადამიანის ცხოვრების საზრისს.

როგორც ცნობილია, ხალხში გავრცელებულია გამოთქმა „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს“. მწერალი უარყოფს ამ სიტყვებით გადმოცემულ იდეას და თვლის, რომ ეს არ შეიძლება იყოს გონიერი კაცის მიერ ცხოვრების გამოცდილებით ნათქვამი სიტყვა.

ეს იდეა ლუკასა და მეურმეს შორის ამ დიალოგში ამ სახით არის გადმოცემული:

„- კაცო, ხეჭექურის ნერგებისათვის ამისშორეზე წაისვლება? აგერ, აი, რაიონის სანერგეში ფრანგულას ნერგებია, დარგე და ორ წელიწადში ნაყოფს იძლევა.

- ნაყოფს თუ არა, უხარშავი კარტოფილივითაა ის შენი ფრანგულა.

- დამზადების პუნქტში ორ აბაზს იძლევიან კილოში... ხეჭექურები თორმეტი წლის შემდეგ ისხამს პირველ ნაყოფს, ხომ?... ორ კაკალ მსხალს თორმეტი წელიწადი ვუცადო?

- რატომ ხართ მაინც ასე სულწასულები, სად გეჩქარებათ... ყველაფერი რომ დღესვე გინდათ, ამ წუთში, ახლავე...

- ჭკვიანი კაცის ნათქვამია, დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო.

- ვაი, უტვინოს ნათქვამია მაგ. მაგისათვის რომ დაეჭვებინათ, ახლა აღარც კვერცხი იქნებოდა და აღარც ქათამი.

ფილმში სიყვარულის უბერებლობის ლამაზი იდეაც წამოაყენა დრამატურგმა. ერთ-ერთ ეპიზოდში, ეს ქუთაისში ხდება, მოხუცი ლუკა სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე იმ ადგილთან შეჩერდება, სადაც ახალგაზრდობის წლები აქვს გატარებული, ახსენდება ციცინოსადმი სიყვარული. კარგად შენიშნავს კრიტიკოსი ოთარ ეგაძე: ამ ეპიზოდში ლუკას პირადი სამყაროს ახალი მხარე გაიხსნა. იგი მოხუცი ბაბუაა, მაგრამ შვილიშვილთან როდი რჩება გულჩახვეული. დაე, დარჩეს განდობილი მისი ფაქიზი გრძნობები. რაა ამაში საძრახისი... სიყვარული არ ბერდება“.

- ბაბუა, რომელი უფრო ლამაზი იყო - ციციно თუ ასპაზია?

- რას ბუუტურობ, ბიჭო, შენ. ციცინოსავით ქალი ქვეყანაზე არ დაიარებოდა.

- უბადლო ყოფილა.

- უბადლო იყო, აბა.

უბადლოების რწმენამ მოხუცობამდე შემოუნახა ლუკას ციცინოს სახელი.

იგი მას ახლაც ფიქრით ეძებს. ორმოცდაათი წელიწადი არ უნახავს, მაგრამ უეცრად მატარებლის ვაგონში მოესმა მისი ხმა, სახელი კი არა, მხოლოდ ხმა, ციცინოს ნამდვილი ხმა, უთქმელადაც გაიგონა მისი სახელი, შეუხედავად დაინახა მისი სახე. ხმა მოესმა და იგრძნო, რომ ციციно იყო.

კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა „ნერგების“ ავტორის მწერლურ ნიჭს, ხოლო ნაწარმოები შეაფასა, როგორც „ფართო სუნთქვის პუმანური“ ნაწარმოები. (ოთარ ეგაძე - ბრძნული ფილმი სიკეთე-მშვიდობაზე - ე. „საბჭოთა ხელოვნება“ №8, 1973 წ.).

ოთარ ეგაძემ თავის ვრცელ კრიტიკულ ნაშრომში არაერთი საინტერესო კითხვა დასვა, რომელთა სწორი გააზრება სწორედ კინოდრამატურგის მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს. ერთ-ერთი ასეთი მწვავე კითხვა ლუკას ხასიათს შეეხება. არის თუ არა ლუკა ჩვენი დროის დადებითი გმირი? კრიტიკოსი ოთარ ეგაძის დასაბუთებით, რა თქმა უნდა, ლუკა ჩვენი დროის დადებითი გმირია. ზოგიერთს ჰგონია, - შენიშნავს კრიტიკოსი, - თითქოს ძნელია მოინახოს ჩვენში ასეთი დადებითი გმირი, რომელიც ხვალაც ყველასათვის დადებითი დარჩება“. აბსურდია, განა ლუკა ბაბუა თავისი შვილიშვილის, თავისი ქვების, თავისი სამშობლოს, თვით გარე სამყაროსადმი თავისი საკაცობრიო დამოკიდებულებით მისაბამ, დადებითი გმირის თვისებებს არ ავლენს? მართალია იგი მექანიზირებული სანერგეს მთავარი მებაღე არაა, მაგრამ მისი სელექციური ხალხური სიბრძნე და უნარი იმავე ფასად არა ღირს? დიდი თანამედროვეს პორტრეტი პატარა, შეუმჩნეველ მოღვაწეთა მოქმედებაშიც მოინახება და მთავარია შეგვწოდეს მათი დანახვისა და მხატვრულად ასახვის სურვილი და უნარი“ (იქვე).

ნაწარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთავარი იდეის უკეთ გათვალსაზირობისათვის მხატვრული დეტალების შერჩევისა და დამუშავების ოსტატობა. მაგალითად.

- განა უფრო დრამატული არ იქნებოდა ნაწარმოების ფინალი სამხედრო-სატვირთო მანქანის მაგიერ, ბავშვებით ან ღიღებით სავსე ავტობუსი რომ ეჩვენებინა?
- კრიტიკოსი ოთარ ეგაძე პასუხობს:

- ვფიქრობთ, პირიქით, დრამატიზმი შემცირდებოდა, რადგან ცოცხალი ბავშვებისათვის უსულო ნერგების გაწირვა თავდადება აღარაა, თუმცა გარეგნულად შესაძლოა ეფექტურადაც კი მოეჩვენოს ვინმეს, რაკი ბაბუა ნერგებივით ბავშვებს უბრალო ნერგებს შესწირავდა, მაგრამ ამაში რაა განსაკუთრებული? განა ყველა ასე არ მოიქცეოდა?

არც მგზავრებით სავსე ავტობუსი მოგვცემდა დიდ დრამატიზმს, რადგან ასეთ სიტუაციაშიც არ დასჭირდებოდა ლუკას შვილებივით ძვირფასი ნერგების გამეტება. ავტობუსის 30 მგზავრი ერთის ხელის წაკვრით ამოაგდებდა ლაფში ჩაფლულ თავის ცარიელ ავტობუსს.

ისევე მარტოხელა სახელმწიფო საბარგო ავტომანქანა უნდა გამოეყენებინა ავტორს. ერთი ავტომანქანის გადაჩეხვით სახელმწიფო იმ ძალის მორალურ და მატერიალურ ზარალს ვერ ნახავს, რაც ნახა ლუკამ ძნელად ნაშოვნი ნერგების დაკარგვით. ამასთან ლუკა გულმართალი და წმინდა, ვალმოხდილი და პატრიოტი დარჩა სახელმწიფოს წინაშე. ესაა აუანაზღაურებელი მორალურ-მატერიალური ღირსება, იგი ფასდაუდებელია, - არც რაიმე უწყისით გაიცემა და ანაზღაურდება.

- ხომ არაა ნაჩვენები მძღოლის უაღამიანობა? - კრიტიკოსის აზრით:

- არა! მძღოლსაც თავისი ფილოსოფია ამოქმედებს. რა იცოდა მან რა გასწირა ლუკამ. არც უყურებდა იგი. მხოლოდ აქსელერატორის ქშიტინი ესმოდა და ბორბლების სრიალი აფიქრებდა. ვერც მეორე მძღოლის კურტკის დაფლეთვას ხედავდა და ვერც ნერგების მსხვერვა-მტვრევას ამჩნევდა... ამასთან, საბარგო ავტომანქანის მძღოლი, შესაძლოა ისეთივეა, როგორც ქაფიანიძისეული მეურმე და ამიტომ ისიც კარგია, რომ სამშვილობოზე გასულმა - „მადლობა“ მაინც გადმოუგდო ფიზიკურად დაღლილ, მაგრამ სულიერად ამაღლებულ ლუკას.

სულიკო ულენტის შემოქმედებაში ცალკე დგას რევოლუციური თემატიკის პრობლემა. ვინ იყო რევოლუციონერი, რა ადგილი უჭირავს მას ხალხის და ქვეყნის

ისტორიაში? ამ კითხვაზე მწერალი საგნებით გარკვეულ პასუხს იძლევა ცნობილი პედაგოგის ნესტორ კალანდარიშვილის ცხოვრების მაგალითზე შექმნილ კინოსცენარში „ციმბირელი პაპა“. ნესტორ კალანდარიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და პოლიტიკური ვითარების გამო გახდა რევოლუციონერი. იგი ხალხის ინტერესების ერთგულებამ გახადა რევოლუციონერი და ხალხმავე შეარქვა სიყვარულით მას „ციმბირელი პაპა“. სწორად შენიშნავს კინოკრიტიკოსი პროფესორი გიორგი დოლიძე: „ხალხის მიერ შერქმეულ სახელში არის რაღაც კანონზომიერება, განსაკუთრებული მაგიური ძალა იმ დიდი სიყვარულისა, რასაც ავლენდა ხალხი ჩვენი სახელოვანი თანამემამულის მიმართ“. (გიორგი დოლიძე-ფილმი სამოქალაქო ომის გმირზე - ე. „საბჭოთა ხელოვნება“ №1, 1975 წ.)

ფილმი „ციმბირელი პაპა“ განეკუთვნება ისტორიულ-რევოლუციურ ჟანრს. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, დრამატურგმა სულიკო ჟღენტმა ეროვნული სამშობლოს გრძნობა უფრო დაინახა თავის გმირში და პირველ რიგში სწორედ ქართველი მოღვაწის სახე - ხასიათს სთავაზობს მაყურებელს. ეს იდეა ასეა გამოხატული ფილმში - ნესტორ კალანდარიშვილი ემზადება საქართველოში დასაბრუნებლად. ეს არის ფილმის დერიტა. მაგრამ გარემოებათა გამო ამ სურვილის აღსრულებას ვერ ახერხებს გმირი. ხან ახალი აჯანყების ჩაქრობას ავალბენ, ხან კოლჩაკის შემოჭრის გამო საპასუხო ბრძოლებია ჩასატარებელი. ბოლოს ირკუტსკის ჯარების მთავარსარდლად დანიშნეს და ცხადია სხვა ამოცანები ისახება მის წინაშე, მაგრამ ქართველს მოსვენებას არ აძლევს საქართველოზე ფიქრი. ეს არის ფილმის იდეა.

კინოკრიტიკოსი გიორგი დოლიძე კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოთქვამს ფილმის, როგორც ბიოგრაფიული ფილმის ჟანრული თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვენ არ ვკამათობთ, მაგრამ ფილმის ეროვნული სულისკვეთების გამო, ალბათ, აუცილებლად უნდა დასმულიყო კითხვა როგორ შეეცაება ნესტორ კალანდარიშვილი საქართველოში მენშევიკურ მთავრობის არსებობას?

სულიკო ჟღენტის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კინომოთხრობას „რაიკომის მდივანი“, რომლის სრული ტექსტი ქუთნალ „ქოროხის“ 1980 წლის სამ ნომერში გამოქვეყნდა გაგრძელებით.

სულერთია რას ვუწოდებთ ამ სიუჟეტს, იგი სახალხო საქმისათვის თავდადებული კაცის სახე-ხასიათს ხატავს. ასეთი ადამიანები სჭირდება საზოგადოებას ყოველ დროში, განვითარების ყველა ეტაპზე. ისინი პატრონის სულისკვეთებით ეკიდებიან რაიონის, ქალაქის, სოფლის, მთლიანად სახელმწიფოს ინტერესებს.

სწორედ პატრონის სულისკვეთებით ეკიდება გიორგი თორელი ვაიოს მიწების ათვისების საქმეს. რაიონის მიწების მხოლოდ მეექვსედია გამოყენებული საგარეულებად და ვაიოს თვალუწვდენელი ველები კი აუთვისებელია, არადა ისტორიას და ხალხურ თქმულებებს თუ დავუჯერებთ, საქართველოს მთავარი ზერები ვაიოს ველებზე ყოფილა გაშენებული, მერე შემოსულ მტრებს აუჩივიათ ეს მსხმოიარე ვენახი და ქართველ კაცს რომ დაუნახავს, იმოდენა ხმით დაუძახია „ვაიო“, რომ გაღმა-გამოღმა სოფლებში გაუგონიათ.

კინოდრამატურგი სულიკო ჟღენტის მხატვრულ-ფილოსოფიური კონცეფციის მიხედვით ხელმძღვანელი ეროვნული მოღვაწე უნდა იყოს, ის ისტორიის განცდის ნიჭით უნდა იყოს მადლმოსილი. მან უნდა იცოდეს, საიდან მოდის მისი კუთხე, მისი ქვეყანა. გიორგი თორელი ხელმძღვანელად არჩევის მეორე დღესვე ისტორიულ ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ვაზის ისტორიულ ჯიშებს მოინახულებს და პირველი იდეა-

ისტორიული სოფლის აღდგენის იდეა წამოაყენა ხელმძღვანელმა, ხოლო როცა რაიონის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები დადგა დღის წესრიგში, თორელმა ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე თქვა: ჩვენი რაიონის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას უნდა მიეცეს ერთი მთავარი, მე ვიტყვი, სტრატეგიული მიმართულება. ჩემი ღრმა რწმენით, ეს უნდა იყოს ვაზის კულტურა. „აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ გიორგი თორელის სახით 80-იანი წლების დასაწყისში სულიკო ჟღენტმა ეროვნული სულისკვედების მატარებელი ხელმძღვანელის მოთხოვნის იდეით გაბედული კორექტივი შეიტანა ქვეყანაში გაბატონებული კომუნისტურ იდეოლოგიაში, რომლის მიხედვით ხელმძღვანელის მთავარ ღირსებად მხოლოდ კლასობრივი ინტერესების გამახვილებელი გრძნობა ითვლებოდა.

სამართლიანად შენიშნავს კრიტიკოსი ნოდარ გურბანიძე გიორგი თორელის მხატვრული სახის ამ თავისებურებების შესახებ: „გიორგი თორელი ბავშვობიდანვე წყაროს მძებნელი... განახლების მოთავე ზდებდა... იგი შვილია... ამ ქართულ მიწისა, ქართული ბუნებისა, ბავშვობიდანვე მისი მესაიდუმლე, მისი ხმების და იდეური მელიორიების გამგები და ამიტომაც მთელი მისი შრომა, ბრძოლა-ვაიოს გადახრუკული ველების ასაღორძინებლად აღიქმება არა მხოლოდ როგორც დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა, არამედ როგორც დიდი ზრუნვა ეროვნული ქრილობის განსაკუთრებლად“. ნოდარ გურბანიძე - გამარჯვება - ე. „დროშა“ №1, 1981 წ.)

გიორგი თორელის ხასიათის ეროვნულ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას კრიტიკოსი მანანა ვარდანაშვილი წერილში „ყოვლისა მისთვის ჰხელოვნობდეს“ (ე. „ცისკარი“ №5, 1981 წ.)

„გიორგი თორელი თავის თავში დროის ყველა კატეგორიას მოიცავს, იგი წარსულიცაა, აწმყოც და მომავალიც. იგი ერთიანია, როგორც ერის ისტორია, საესე სისხლითა და მახვილით, დაცემითა და გამარჯვებით.

თუ გვირის პირადი ბედი ერის, საზოგადოების ბედს ემთხვევა, თუ იგი გაიგივებულია ხალხის სულიერ მოძრაობასა და ინტერესებთან, ასეთ დროს გვირს ყოველგვარი მოქმედება ისტორიულ ფაქტად იქცევა ხოლმე და განზოგადებულ ხასიათს ღებულობს.


გიორგი თორელი წარმოშობით მესხია, იგი ამ მიწაზე დაიბადა, მისთვის აქ ყოველი ქვა მშობლიური და ძვირფასია, როდესაც თორელი გადაწყვეტს ამ მიწას სიცოცხლე დაუბრუნოს, მის გადაწყვეტილებაში პირადი ბიოგრაფიაც მონაწილეობს. ეს გადაწყვეტილება პირადულიცაა და ამავე დროს ჭეშმარიტად ეროვნული, პატრიოტული და ემთხვევა საერთო სახელმწიფო ინტერესებს“.

სულიკო ჟღენტის შემოქმედებიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე კინომოთხრობა და სცენარი გავიხილეთ. მაგრამ იგი გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, რომლის მონოგრაფიული შესწავლა უახლესი პერიოდის ამოცანად გვესახება.



გ. თოთიბაძე

ნინო ანანიაშვილი



კოვი მიქელაძე

ფანჯარა

თბა სუჭუბა

“ეშმაკის ბორბალი”

გურამ ფანჯიკიძის ვრცელი რომანი „ეშმაკის ბორბალი“ რთული, მრავალპლანური, მძაფრი სიუჟეტის ნაწარმოებია, მოიცავს პერიოდს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მისი დაცემის წინააღმდეგ. ეს ის დროა, როცა პოლიტიკური ტერორი ჰუმანურობისა და დემოკრატიის ნიღბით ბატონობდა ზნეობრივ კანონებზე.

„ეშმაკის ბორბალი“ უპირატესად ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის რომანია. იგი ერთი ოჯახის ოთხი თაობის ისტორიის მომცველია, 30-იანი წლების რეპრესიების დროიდან დღევანდლობამდე მოტანილი გრძელი სისხლ-ცრემლიანი ისტორიისა.

მწერალმა „ეშმაკის ბორბალით“ ქართულ მწერლობას მნიშვნელოვანი და საინტერესო რომანი შესძინა. სოციალური და ისტორიული ჟანრის რომანებისაგან განსხვავებით რომანის პერსონაჟები გამორჩეული სახასიათო თვისებებით და აზროვნების წესით ხასიათდებიან. ამ სახის რომანის გმირების მხატვრულ ბიოგრაფიებს აღმზრდელობითიდან ერთად შემეცნებითი ფუნქციაც ენიჭება.

რომანის სათაურის სწორად გააზრება საერთოდაც პრინციპული საკითხია, მით უფრო ამგვარი მეტაფორული სათაურისა. ცხადია, რაც ეშმაკისეულია, იგი არ ემორჩილება ღვთისა და კაცის ნება-სურვილს, ბორბალი კი გამუდმებული მოძრაობის სიმბოლოა. მაგრამ რას ნიშნავს იგი როგორც მეტაფორა? არჩილ სულაქაურმა მასში ცხოვრების მარადიული წრებრუნვის იდეა ამოიკითხა. ვფიქრობთ, წყარო მეტაფორის – „ეშმაკის ბორბალი“ – უნდა იყოს ამ რომანისათვის ეპიგრაფად შერჩეული ეკლესიასტეს სიტყვები: „რაც ყოფილა იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“. ეშმაკის ბორბალი წარმოუდგენელია ცოდვების გარეშე, ისევე როგორც ძნელი დასაჯერებელია მოიძებნოს კომპრომისი სიკეთესა და ბოროტებას, სიმატლეს და სიცრუეს, ბნელსა და ნათელს შორის.

ავტორი ცენტრალური სახე-პერსონაჟის წარმოჩინებას მისი პანაშვიდის საათიდან იწყებს. მაინც ვინ არის არჩილ გორდელი? – რეპრესირებული ოჯახის შვილი. ბებია მარიამ ბერძენიშვილი, განათლების განყოფილების გამგე, სპეციალობით ფილოლოგი, 53 წლისა სრულიად უდანაშაულოდ მოწყვდიეს საქმიანობას და თავის ძმასთან, მაიორ ვარლამ ბერძენიშვილთან ერთად გადასახლებაში გაგზავნეს. იქნებ მისი ძმა იყო დანაშაუდ? – მთელი დანაშაული ის იყო, რომ ვარლამს კარგი ბინა ჰქონდა, რომელიც ბერიას საყვარელი ქალისათვის სჭირდებოდა საჩუქრად. ვარლამის მოლაღატეობის შეთითხნილი ბრალდების გასამაგრებლად და – მარიამიც მიაყოლეს.

ბაბუას – გვარდიის პოლკოვნიკს არჩილ გორდელს, რომელიც იმ საბედისწერო დროს საქართველოში არ მსახურობდა, სტალინის ფანტიკურად მოყვარულსა და თავის მხრივ რკინის ეპოქის მშენებელს, ბევრი არ უძიებია ცოლის დანაშაულზე, ერთი სიტყვით მან ნდობა გამოუცხადა პარტიას.

მამა არჩილ გორდელისა – ლევანი ახალგაზრდა ნიჭიერი ფიზიკოსი იყო, რთულ

პრობლემებს შექიდებული. ომის გამოცხადებისთანავე უბრძანა მამამ, მოხალისედ წასულიყო ფრონტზე. ლევანი არაა რკინის ეპოქის მეხოტბე. გაბუდულად უპასუხა მამას: - სამშობლოსათვის წავალ ფრონტზე, სტალინისათვის ნამდვილად არაო. წავიდა, მოწყდა დიდ საქმეს. წავიდა კიდეც იმისათვის, როგორც მოგვიანებით ნაწამებმა, სხეულდასახიჩრებულმა და სიკვდილჩასახლებულმა, შეიღს უთხრა: - წავედი, რათა შენი სიმშვიდე დამეცვა, ბაბუაშენის ავტორიტეტი და ჩემი მოხალისედ წასვლით „ხალხის მტრის“ სახელი გადამეფარაო. შესანიშნავად იცის ლევანმა მწარე სინამდვილე:

„- მაშინ ყველას დაგვიჭერდნენ, ბაბუასაც, მეც, დედაშენსაც, შენ გაგიფრთხილდი, სრულიად უპატრონოდ დამრჩებოდი. მოლაღატე ოჯახის შეიღს ახლოს ნათესავიც არ გაგეკარებოდა. თუ ცოცხალი გადარჩებოდი, სადმე უპატრონოთა სახლში შეგაგდებდნენ. გვარსაც დაგავიწყებდნენ და ეროვნებასაც“. ეს უკვე არჩილ გორდელის ბავშვობის დროინდელი ეპოქის გასაგებად საკმაოდ დიდი შტრიხია.

არჩილი ნიჭიერი, ინტერესიანი, ინტელექტუალური და თვალსაჩინო ახალგაზრდა დადგა. მას არაფერი აკლდა გარდა მამის ხელისა. ჩრდილს რაც აყენებდა ისიც კარგად იცოდა და ფხიზლობდა. როცა ცხოვრების არენაზე გამოსასვლელად ემზადებოდა, საკუთარ თავს უთხრა: „მე ცხოვრება მინდა, დიდი ცხოვრება. ნიჭი არ მაკლია, შრომის უნარი და შესახედაობა, ჯერ ბებიამეძმა, შემდეგ მამამეძმა დიდი ცხოვრებიდან თუ მეტად არა სანახევროდ მაინც გადამიკეტეს გზა... მთავარია თავი მოვთოკო და წყნარად ვიყო, სადმე გადახურულში მივდგე, რომ ქარიშხალმა გადაიაროს“. ეს, 1952 წლის ერთ-ერთ დღეს თქვა სტუდენტმა გორდელმა, როცა საკუთარი თვლით დაინახა თავისი მეზობლის ჭელიძების ოჯახის აწრიალება. როცა მეგობარი სოსო ხომერიკი მოიჭრა და არჩილს რჩეული ქალიშვილის მანანა შელიას გადასახლება აუწყა - არჩილს გულწრფელად უყვარდა მანანა, მაგრამ ისე იყო მიზნებული რეპრესიით, რომ საყვარელი ქალიშვილის გამოსამშვიდობებლად ფეხის გადადგმაც ვერ მოახერხა. სამაგიეროდ ეს სოსო ხომერიკმა შეძლო. ადამიანური სისუსტე გამოავლინა არჩილმა და ამის შემდეგ მთელი ცხოვრება სოსო ხომერიკს ეჯობებოდა. არაფრით შეიძლება იმის თქმა, რომ მანანა შელია არ უყვარდა. მთელი ცხოვრების მანძილზე, ცხოვრების უკანასკნელ წუთშიც კი, ყოველ მოქმედებაზე, ყოველ „საკვანძო დღეს“ გაუელვებდა შელიას ლამაზი, ჭკვიანი თვალები და ჩურჩულით წარმოთქვამდა: „ნეტავ რას იტყვის მანანა შელია“. გულნატკენი ხშირად იტყოდა: „ჩვენი ცხოვრების გადამწყვეტი დღეები საქსოვ ჩხირებსა ჰგავს, რომელზეც ჩვენი ცხოვრება იქსოვებაო“. სამწუხაროდ, ცხოვრების ჩხირებმა ცუდად მოქსოვეს არჩილის ცხოვრება.

ინტელექტუალური გმირი თავის მოსაზრებებს მეცნიერების უკანასკნელი მონაპოვრებით ასაბუთებს და მეგობრობაზე ასე მსჯელობს: „როდესაც სინათლის ნაწილაკი აღმოაჩინეს, დიდხანს ფიქრობდნენ და სამართლიანადაც, რომ იგი ნაწილაკი იყო, მაგრამ გავიდა დრო და დადასტურდა მისი ტალღურობაც. იგი ორსახოვანი აღმოჩნდა. დიახ, სინათლის ნაწილაკი ერთდროულად მეგობარიცაა ჩვენი და მტერიც. მეგობარი მტერი ყველა მტერზე უარესია“.

პოლიტიკური ტერორის ბატონობამ დაამახინჯა ადამიანის ზნეობრივი სამყარო, სულში ჩაუნერგა შიში და გააორა მისი ცნობიერება. შინაგანი ცენზორის კარნახით გაატარა მთელი სიცოცხლე უფროსმა გორდელმა - გვარდიის პოლკოვნიკმა. ზოლო როცა შეიცვალა ვითარება და დაიწყო ძველ ღირებულებათა გადაფასება, პოლკოვნიკმა გორდელმა საკუთარი ცხოვრების დამსხვრევა დაინახა და თვითმკვლელობით დაამთავრა

სიცოცხლე, სულიერ სიკვდილს ფიზიკური სიკვდილი ამჯობინა. გ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, რომ ცხოვრება რთულია, მაგრამ ადამიანი კიდევ უფრო რთულია თავის დამოკიდებულებებში საკუთარ თავთან.

ვალერიან კობახიძე არჩილისათვის ის პიროვნება იყო, ვინც ბნელ ცხოვრებაში ნათელი სხივი აანთო, ხელი გაუწოდა, ფეხზე დააყენა, ნდობა გამოუცხადა, შეიყვარა კიდევ. არჩილი სათანადო ინტერვალების დაცვით წინ მიდიოდა. ყურადღებით ეკიდებოდა საკუთარ თავსაც. მოზღვავებულ ენერგიას გრძნობდა. ზოგჯერ ღმერთისადმი კრიტიკული მიდგომის უნართაც გამოიჩინებოდა. კარგად იცოდა, რომ „უმწეო კაცი, ყველაზე დიდი ჰუმანისტია, მაგრამ თუ კი ხელთ ძალაუფლება იგდო, სიამოვნებით გამოიყენებს სხვის დასაჩაგრავად“. ალბათ, ამ მოსაზრების ჩამოყალიბებაში ნაწილობრივ პირადი გამოცდილებაც ეხმარებოდა. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ მის კეთილისმყოფელს, ღირსეულ მამულიშვილს, დიდ მეცნიერსა და საუკეთესო მოქალაქეს ოცდაორი წლის შემდეგ ოპოზიციაში ჩაუდგებოდა, უკადრის იკადრებდა და მერე რისთვის, იმისთვის, რომ თურმე პირველი მდივნისათვის ესიამოვნებინა, მხარი დაეჭირა, ამ პირველს კიდევ რუსეთის დიდი იმპერიის მპყრობელისათვის. ასე ინასკვებოდა ჯაჭვური რგოლი.

ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალმა ბევრს უცვალა ნირი და ამ ბევრთა შორის მეტ-ნაკლებად ყველას მოედვა ჩირქი. არჩილიც მიეჩვია ცოტ-ცოტაობით იერარქიულ საფეხურზე ცოცვას. შესახედაობა, განათლება, ტაქტი, თანამდებობა ხელს უწყობდა. გადაწყვიტა ცოლი შეერთო. შეერთო კიდევ აკადემიკოს დავით ნაკაშიძის ერთა ქალი ლონდა, ხელოვნებათმცოდნე, მომხიბვლელი ქალიშვილი. რჩეულმა უღალატა, სიცოცხლე გაუმწარა, თვითმკვლელობამდე მიიყვანა არჩილ გორდელი. არჩილი უაღრესად ამაყი და პატივმოყვარეა. ამიტომ მოსალოდნელი თითქოს არ იყო ცოლის ღალატი აეტანა, მის ჭერქვეშ ეცხოვრა, მაგრამ კარიერის სიყვარულმა, „ხალხი რას იტყვის“ კომპლექსმა დაათმობინა. კაბინეტში გაიტანა საწოლი და ამით დაამთავრა თავისი პროტესტი. უფარგისი ცოლის დანდობითა და წყალობით ლამის შვილიც წაუვიდა ხელიდან. შვილის წინაშე თავს უსაზღვროდ დამნაშავედ გრძნობდა, ვერც დედას ასიამოვნა. საცხოვრებლად ნაკაშიძეებთან დარჩა, ესეც მისი ადამიანური სისუსტეა. თუმცა, დათმომ მიაშურა ბეზიას სახლს, მაგრამ ეს მას შემდეგ მოხდა, როცა დედის უღირსი საქციელი გაიცნობიერა.

რომანში დამაჯერებლადაა წარმოდგენილი 1956 წლის 9 მარტის მოვლენები, რომლის ერთ-ერთი მონაწილე თვით მწერალი გახლდათ. სწორედ ამიტომაც ეს ბატალური სცენები ასე დამაჯერებელი, ასე სახიერი.

ფატალური წინაგანგებულების ჯაჭვის ორი რგოლია გია მიქელაძის მკვლელობა და არჩილ გორდელის თვითმკვლელობა, პირველი – აბსურდული გაუგებრობა, მეორე – ფსიქოლოგიური კანონზომიერება: ერთი და იგივე ჩიხიდან გამოსვლის ორი გზა. მაგრამ არჩილ გორდელი თუ ნებით უარყოფს თავისი ცხოვრების გზას და თვითონვე წვავს თავისი ცხოვრების წიგნს, ნებაყოფლობით სიკვდილს არჩევს, ახალგაზრდა თაობა დაუძლეველი ფსიქოლოგიური კომპლექსების მსხვერპლი ხდება, ერთსა და იმავე დროს, მსხვერპლიცაა და მკვლელიც. გია მიქელაძის მკვლელობის ეპიზოდი მარტო იმით კი არ არის შემზარავი და დამაფიქრებელი, რომ ავტორი ამას საგანგებო მხატვრული საშუალებით მოგვითხრობს, უფრო იმით, რომ ამ ამბავში დღევანდელი ჩვენი საზოგადოების სურათია ნაჩვენები, თანაც ნაჩვენებია ზუსტად, შეულამაზებლად, უშუალოდ. სამართლიანად აღნიშნავს კრიტიკოსი

გურამ გვერდწითელი:

„რომანის გმირები არ ქმნიან მოვლენებს, პირიქით ისინი თვით იცვლებიან ისტორიული მოვლენების გავლენებით... სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმები ის მაგნიტური ველია, რომელიც ამსხვრევს და უწყალოდ აქუცმაცებს ადამიანთა ბედსა და სულებს“.

„ეშმაკის ბორბალს“ ჩვენ არ განვიხილავთ, როგორც რეალური თე... მკვლელობის დასაბუთება - გამართლება. მწერალი მკითხველს შთააგონებს უარესად მაღალზნეობრივ პრინციპს: ჩვენი შეცდომებისა და უზნეობის მიზეზი და სათავე ჩვენსავე თავში უნდა ვეძიოთ. არჩილ გორდეშმა საკუთარ თავში აღმოაჩინა საკუთარი შეცდომებისა და უზნეობის მიზეზი და სათავე. დავით გორდელი კი დაზღვეულია ამ ტრაგიკული დასასრულისაგან. იმიტომ, რომ მშობლების მაგალითზე იგი გმობს უზნეო კომპრომისებს, არ მიდის უზნეო გარიგებაზე და მამასადამე, მის ცხოვრებას პერსპექტივა გააჩნია. დავით გორდელის სახის შექმნით მწერალი გვარწმუნებს, რომ სიცოცხლე ღირს იმისათვის, რომ ლამაზად, ზნეობრივად იცხოვრო.

გურამ ფანჯიკიძის „ეშმაკის ბორბალს“ საგაც უწოდეს. მართლაც, იგი თვალწინ გადაგვიშლის გორდეშების ოჯახის ცხოვრების ვრცელ და რთულ პანორამას. რომანში თითოეულ თაობას ცხოვრების საზრისზე საკუთარი კონცეფცია აქვს. რომანის მთავარ გმირს არჩილ გორდეშს მძიმე გარემოში უზდება ცხოვრება, მას კი დინების წინააღმდეგ სვლა არ შეუძლია. იგი ყოველნაირ, უმძიმეს კომპრომისზე მიდის. მწერალი, ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური რომანის ქანრის შესაბამისად სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს გმირის ფსიქიკაში გარდატეხის საშუალებით გვამცნობს და გვიხსნის. მხოლოდ ასე ხდება გასაგები, თუ როგორ შეეძლო ისეთ კონფორმისტს, როგორიც არჩილ გორდეშია, თავი მოეკლა.

ეშმაკის ბორბალი ღღესაც ტრიალებს, მაგრამ მთავარია ამ ცხოვრებაში არ დამარცხდე საკუთარ სინდისთან.

თამაზ ჭილაძე

მარადიული სიჭაბუკე



გიორგი ლეონიძის ამქვეყნიური გარეგნული ხატი, მხოლოდ და მხოლოდ, ბედნიერებასა და წარმატებას ასხივებდა. ამასთანავე, ეს ბედნიერება თითქოს დედის მუცლიდან გამოჰყვაო, იმდენად ლეონიძისეული იყო, მისი ისეთივე თვისება, როგორც სიამაყე, გულუხვობა, ანდა სიმამაცე.

მაგრამ იყო კი ნამდვილად ბედნიერი?

დღეს სიმართლეს მხოლოდ მისი ლექსები თუ გაგვიმხელენ. თუმცა აშკარაა, რომ გულმოდგინედ ცდილობდა, ლექსში არ გაეჟონა ნებისმიერ პირად ტკივილს, მაგრამ მისი ერთი მეგობრის, ასევე შესანიშნავი ქართველი პოეტისა არ იყოს, ლექსი ზოგჯერ თვითონ გვწერს ზოლზე და ეს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დიდი სიმართლეა. მართალია ლექსი ჩვენი სულის ტყუპისცალია, სინამდვილეში ჩვენ მოკვდავები ვართ, ის კი მარადისობას ეკუთვნის. ლეონიძის ნათქვამია: „უკვდავების დღეს მხოლოდ ლექსები დაესწრებიან“-ო.

ამ აზოვან, ლამაზ, ცხოვრებისაგან თითქოს განებივრებულ, თაყვანისმცემლებითა და მლიქვნელებით გარშემორტყმულ ადამიანს, რა თქმა უნდა, ბევრი რამის დამალვა შეეძლო და, ალბათ, დამალა კიდევ, ოღონდ ერთი რამ კი ვერაფრით დაგვიმალა - საოცრად ეშინოდა სიკვდილის. უფრო მეტიც, თითქოს ელოდებოდა კიდევ. ბოლო წლებში ნამდვილად ნაცვლად, ზელში გამჟღავნებით პლასტმასის სიგარეტი ეჭირა, რომელსაც ვითომ წევდა... ვითომ... და ეს „ვითომ“ იყო სწორედ, გაცილებით მეტ ვნების რამ აყენებდა, თუ გნებავთ, მეტ ტკივილსაც, ვიდრე ნამდვილ სიგარეტს, ან კიკა ლეონოს შეეძლო მიეყენებინა.

არაფინ იცის, როგორ ცხოვრობდა გიორგი ლეონიძე, თვით მახლობლებმაც კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათ, რადგან თუ ვინმეს უშალავდა ტკივილს, ვინმეს უფრთხილდებოდა და ფიქრშიაც გამჟღავნებით ეფერებოდა, ეს მისი ოჯახი იყო, ერთადერთი საიმედო თავშესაფარი.

არაფინ იცის, რად უღირდა „ხომალდის ნიჩაბივით მძიმე“ კალმის ხელში ალება, თუმცა არაღებაც მისაფიცა ალბათ სიკვდილის ტოლფასი იყო. მიუსეს ლექსის მენიზბესავით, ისიც ჯაჭვით იყო მიბმული „ნიჩაბს“, განგებისგან სამუდამოდ მის მონად განმწესებული

ამ შემთხვევაში, შეიძლება ის ფაქტიც გაგვეხსენებინა, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, წინა საუკუნის მწერლობის მსგავსად, იქმნებოდა ოკუპაციის ჯოჯოხეთურ პირობებში.

აუტანელია ნიღაბი, რომელსაც სახეზე არა - სულზე იფარებ...

„რა ლექსი გინდა, ჩემო დროება,

გამაგებინე, რა ლექსი გინდა,

რომ არ მომეცი მე მყუდროება,

არც წყალი მასვი მე გცნოწმინდა.

რად დამიგრიხე ხორხზე საბმელი
და ფრთაში წყლული რად გამიჩინე;
რად აკვლევინე კაენს აბელი,
რომ ერთი ძმაც კი არ შემარჩინე!"

რა არის ეს, თუ არა „სოფლის სამღერავი“, გაწამებულ ქართველ პოეტებს უნებურად რომ ამოხდებოდათ ზოლმე!

ქართველი პოეტები ბედისწერის უხილავი თოკით თითქოს ერთმანეთზე არიან გადაბმულები.

მე არ მინახავს და არც გამიგია დაღზინებული ქართველი მწერალი...

თუკი საერთოდ შესაძლებელია ბიოგრაფიულ საბუთად ლექსის წარმოდგენა, ამისთვის ალბათ ყველაზე მეტად „ოლე“ გამოდგება - ახალი ქართული პოეზიის მარგალიტი. თვითონაც „ნამეხარი“ იყო „სიმარტოვის შხამით“ შიგნიდან გამომწვარი. სიმარტოვეს კი თავისი ქვეყანა აქვს და ამ სიმარტოვის ნისლში დანთქმულ სამყაროში თითქოს მწუხრის ზარის ამოკენსა გვიწევს მეგზურობას და გულის ჩხვლეტასავით ვგრძნობთ პოეტის მიერ შენიღბულ ტკივილიან სიტყვას.

მისი ყველაზე დიდი ტკივილი მაინც საქართველოა, მის მიერ სალოცავ ხატად ქცეული. „გამოვეარდები, ხარ თუ აღარა!“ ო, სულისშემძვრელი, რა ნაცნობი, რა მახლობელი ამოძახილია ყველა ქართველისათვის ეს ფრაზა - მარადიული, თითქმის გენეტიკური შიში გაქრობისა და ასევე მარადიული ელდა გადარჩენისა. ამიტომაცაა მის ლექსებში ამდენი, ჩვენი ღამის გამთენებელი, მამულიშვილის სახელი. აი, ასეთი მნათობების მიერ დატოვებულ კვალზე, როგორც წყალში ჩაყრილ ქვებზე, გადადიოდა ჩვენი ზალბი არყოფნის ნაპირიდან სიცოცხლის ნაპირზე. ეს იყო ქართული მისტერია, რამდენადაც ჩვენი გადარჩენა მხოლოდ სასწაულს თუ მიეწერება.

აკაკი წერეთელს, რომელიც მისთვის გამორჩეული მნათობია, „ნახევარდმერთია“, კი მიმართავს:

„შენ გვიანდერძე სამშობლო
და მისი დახსნის იმედი!“

ეს ზომ მხოლოდ უბედური ქვეყნის შვილს შეუძლია თქვას, რომელსაც ერთადერთი მაცოცხლებელი რამ შერჩენია - იმედი!

მის ლექსებში ჩვენი ტანჯული საქართველო გულში ტირის, პირზე ღიმილმიხატული...

მთასავით უცვებ ჩამოინგრა, ჩამოიშალა. „ჩემი პატარა სხეული დაღალა ამ დიდმა ცხოვრებამ“-ო, ამბობენ „ვენეციელ ვაჟარაში“. დიდი ცხოვრებით ცხოვრობდა, ორმაგი ცხოვრებით. ერთი, ყელას დასანახად, ყველას თვალწინ, მზით გაბრწყინებულ მდინარესავით, ღალად მიედინებოდა, მეორე კი ალბათ სასოწარკვეთისა და სინანულის ანწყუბებზე ჩამოფლეთილი, მისი სულის ყველაზე შეუღწეველ მღვიმეში სისხლისგან იცლებოდა.

წიწეთის აგარაკის აივანზე შიშველი იწვა. ზედ ცაცხვის ტოტები ეყარა. ცაცხვის ტოტებით უნიავებდნენ, უფრობობდნენ სიცხეს მაზლობლები და ეს სურათი სამუდამოდ ჩამრჩა მახსოვრობაში, როგორც დიადი აქტი მშობლიურ სტიქიასთან, მიწასთან, დაბრუნებისა, მიწისავე პაწაწინა ბაიარლების ფრიალ-ფრიალით.

მიწიდან იყო ამოზრდილი, ცხოვრებიდან და რადგან მიწასა და ცხოვრებას უკიდურესი სიცხადე უყვართ, შეიძლება გეფიქრა, იდუმალის განცდა მისთვის უცხო იყო, არადა, მასაც ფრთები დაანათლა უფალმა, ერთადერთმა, ვინც ფრთების

ნამდვილი ფასი იცის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის კი ეს უცნაური საჩუქარი განგებისა ტანჯვა-წამების მეტს არაფერს ნიშნავს და არც მთლად უსაფუძვლოდ. ფრთოსანი პოეტის გარდა, ვინ შესძლებდა გრიგალისა და სინაზის დაწყვილებას, ვინ ეტყოდა ქალს ასეთ დიად სიტყვებს: „შენ სილამაზის ნაზო გრიგალო“-ო, მხოლოდ ფრთოსანს შეუძლია შემაჩნიოს „სულის ფრთა“, რომელიც დააქროლებს სიტყვას სულისავე უკიდევანო სივრცეში, „სულის ფრთით“ ამოვდივართ დავიწყებისა და ამოვების უფსკრულებიდან, „სულის ფრთა“ გვინარჩუნებს წონასწორობას ადამიანური სიშლეგისა და დაუნდობლობის ოკეანის თავზე, „სულის ფრთა“ გვაძლებინებს სიმარტოვის უკუენთში, „სულის ფრთის“ ოდნავი მიკარებიტაც კი ჩნდება ქვეყნად ღედის დაკრეფილი იეები, „ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი“, „სოფლის სუფთა ღრუბელი“, გარსკვალავი, ცას „კამეჩის თვალღვით“ რომ ანათებს, „დილა, რომელსაც ნისკარტით ეზიდებიან ჩიტები“, „სულის ფრთის“ შეხებით გვევლინება „სევდის უფალი“ - უცნაური ხატი, უცნაური მეტაფორა, ლექსის წიაღიდან უეცრად ამონათებული, ასოციაციების ბრჭყვიალა მძივებით დახუნძლული და გამდიდრებული. ყველაფერი ეს სიტყვად გარდაქმნილი, სიტყვაში გაყუჩებული ფიქრი, მონატრება, სევდა თუ სიხარულია, დაჭერილია სულის უცნაური თრთოლვა, როდესაც საგანთა ინკარანცია, გაადამიანება ხდება, ადამიანის ზმა კი ცოცხალი არსების დანიშნულებას იძენს. ასეთი, თითისწვერებზე წამომართული, ცოცხალი სიტყვებით იქმნება ახალი, „სხვა თვალზე დანახული ქვეყანა“ - „მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი“, ცეცხლში კი არა - მზეში გამომწვარი თიხა, თონის, ქვევრის, ხელადის მეტაფორად ქცეული საგნობრიობა, თუნდაც, კახეთის კერამიკული სილამაზე. და აი, უცებ, მოულოდნელად:

„ამოითეთრა კაცკასიონმა...

ციგომბორიდან კახეთს დავყურებ,

თითქოს თავს ოქრო გადამაყარეს.

გარ თეთრ ვაშლის ქვეშ ვაღვიძებული.

ალაზნის ეგლი - ხიზოიის ცელი,

კახეთის მთები... მოდი, მომკალი!

შენ მეძახოდი, თუ შრაღლებდნენ

ალვის ხეები წინანდალსა?

...

„შორს ალავერდის გელი მიცურავს“...

„სიკაბუჯე და ლექსი ერთია“ - ო. თქვა პოეტმა, ანუ ჭაბუკი ხარ იქამდე, ვიდრე შენი სული, შემოქმედებითი ძალისხმევა უერთდება ღვთაებრივი სიტყვის შუქს და ამ იღუმთალი ნაერთიდან იბადება ახალი სამყარო, ახალი სინამდვილე, შენი ქვეყანა.

ყველა ნამდვილი პოეტი, ელინთა ღმერთივით, ჭაბუკია, ანუ მარადიული ჭაბუკი. ბერძნებს, მგონი, მოხუცი ღმერთი არც ჰყოლიათ. ვან იტყვის, თუნდაც ზევსზე, მოხუციაო! ლეონიძის ზოგიერთი ლექსი, მართლაც, მარადიული სიკაბუჯის შუქით ელვარებს. რომელი ერთი გავიხსენო, აი, თუნდაც, „ნინოწმინდის ღამე“, სადაც სიკაბუჯის ვნება, „გაზაფხულის ღელვანი“ აღიდებულ მდინარესავით გადმოდის ნაპირზე და გაზაფხულს რძის სუნი ასდის. ასეთივე უცნაური ძალის, უცნაური თვისების ლექსია „ყოფილის პაემანი“. მართლაც, რაღაც გამოუცნობი ძალა ბრუნავს შიგ, დიდი ენერგიითაა დამუხტული მისი დინამიკა. ლექსში ისეთივე სიცოცხლისმიერი სივიწროვეა, როგორც ქვირთობისას ორაგულების ქარავანში - სიტყვა სიტყვაზე, სიტყვა სიტყვიდან, სიტყვა სიტყვისთვის. არ შეიძლება არ ირწმუნო სიტყვის

ცხოველყოფილი ძლევა მოსილება. თითქოს შუქს აფრქვევს, ანათებს, დიდი ვნების თანაზიარსა გზდის, უნებურ თანამონაწილედ გაქცევს იმ დიადი ჭიდილისა, იმ ბრძოლისა, ანდა თავგანწირვისა, რითაც ასე დრამატული და თვალწარმტაცია ადამიანთა ცხოვრება, მიუხედავად გარდუვალი საბედისწერო შედეგებისა. ცხოვრებას მსხვერპლი უყვარს. ვინც ცხოვრობს, ამისთვის ყოველ წამს მზად უნდა იყოს. ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლდება და თითქოს პირველად იმართება სიყვარულის დრამის დიდებული სპექტაკლი. ყორღანებიდან გაფრენილ ჩიტს შევყავართ იმ სივრცეში, სადაც ბედისწერისაგან დაწყვილებული სიყვარული და სიკვდილი გაშმაგებულნი დაეძებენ ერთი-მეორეს, უერთმანეთოდ ძალადაკარგულნი, ხოლო ერთმანეთით გაძლიერებულნი და მშვენიერნი, რათა ერთმანეთში ჩაინთქან და ერთმანეთშივე აღმოცენდნენ, აღსდგნენ პირველყოფილი სილამაზით. და აი, ათასი წლის სიცოცხლით გაწამებულები თუ დაბრძენებულები ვხვდებით, თურმე დრო საერთოდ არ არსებობს, ჩვენს მიერვე გამოგონილ ამ საფრთხივლას ჩვენვე მივუჩინეთ სამყოფელი ჩვენი არსების წიაღში და ისიც, სანთლის პატრუქივით, შიგნიდან აღნობს და აშოკლებს ჩვენს წუთისოფელს...

როდესაც ლეონიძე კითხულობდა ამ ლექსს, თითქოს სიყვარულით გახლეჩილი გულის კარდიოგრაფიას გვაცნობდა, საგულედან ამოვარდნილი გულისცემას გვასმენინებდა. ინტონაციური მიმიკრიისა და ხმის ყოვლისშემძლეობით, თითქოს ერთმანეთში იყო ჩახლართული, ჩაწნული, გათქვეფილი, აგანგაშებული ნალარისა თუ უცნაურად აწრიალებული დოლის ბაგუნი. ამ დროს პოეტის ცისფერი თვალებიდან თითქოს სხვა ადამიანი გვიცქერდა, გვზვერავდა, გვამოწმებდა, შეგვგრენოდა თუ არა, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ ამ ქვეყნად ყველაზე დიდებული, უფრო მეტიც – გამაღამიანებელი გრძნობის – სიყვარულის ამბის მოსმენის უნარი, ანუ რამდენად ერთ ადამიანები.

და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის იყო, ეს ყველაფერი ჩვენს თავს გადახდენილი გვეგონა, ჩვენს უკანასკნელ სიტყვებს ვხურჩულებდით თითქოს: „მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას, ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები, როგორც საძროხე ქებას ოზშივარი, ქართლის ხეობებს ასდის ნისლები“. ჩვენივე სიამაყე და თავგანწირვა გვაკრთობდა და გვაღლეებდა და სადღაც, ტრიალ მინდორში, ჩვენც ავცქეროდით ხოხობივით ჭრელი ცის ნაგლეჯს, რომელიც ნელ-ნელა, სუდარასავით, გვეფინებოდა მკერდზე და ჩვენ ვგრძნობდით სიმარტოვის ტრაგიკულ ღირსებას, ვგრძნობდით, რომ, ბოლოს და ბოლოს, დიდი სიყვარულიც სიმარტოვეა.

ადამიანს ღმერთისაგან აქვს მინიჭებული უნარი გაითავისოს ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც კი მეორე ადამიანს შეუქმნია. ეს არის თითქოს სულთა შორის შუქის ვადანაწილების დიადი აქტი, ადამიანთა მოღვმის ერთნაირობის აღმნიშვნელი. ერთმა დიდმა ამერიკელმა პოეტმა თქვა, დამფერფლავდა ეს მზე, ჩემშიაც რომ არ იყოს ასეთივე მზეო. ყველა ადამიანში არის ასეთი მზე და პოეზიის სიდიადე სწორედ ის არის, ამ მზეს რომ აღმოგვაჩენინებს ჩვენს არსებაში, დაგვარწმუნებს, რომ განურჩევლად ყველა ადამიანი შემოქმედი, ანუ არა მარტო „მოაზროვნე“, არამედ მეოცნებე „ლერწამიცაა“.

დიდი პოეტები ალბათ იმიტომაც გვევლინებიან, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ჩვენივე საკუთარი ღირსება და ჭეშმარიტი დანიშნულება გვაგრძნობინონ, თუნდაც, ერთი წამით...

ფრიდონ ხალვაში

გოგლას სუფრა



აი, ამ მთას გოგლას გორა დაარქვითო, დღეს დაბადებული ქართველის სადღეგრძელო, - გოგლაური, დალიეთო, ეს გოგლას სუფრააო, - გვეტყოდა ხშირად ბატონი გიორგი.

გამახსენდება მასთან შეხვედრები. ერთ ლექსში დავიჩივლე: „როცა ძალიან დაგიახლოვდი, ასე ძალიან შორს რად წახვედი?“..

1952 წელს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტში გიორგი ლეონიძესთან შეხვედრის მერე, მე ახალი სახელით მოვევლინე ქვეყანას, აი, როგორ მოხდა ეს.

იმხანად, „მნათობში“, რომელსაც ირაკლი აბაშიძე რედაქტორობდა, ერთი ჩემი პატარა პოემა იბეჭდებოდა. ანაწყოების ანაბეჭდები მივიტანე, ბატონ გიორგის მივახარე. „ხემიდ ხალვაში“ წაიკითხა. ფურცელი მაგიდაზე დადო. რაღაცა არ მოეწონა.

ამ დროს ოთახში სხვა მწერლები შემოვიდნენ.

- ხემიდი!.. ხომ ვიცით სულთან ხამიდის დროს რაც დამართნია საქართველოს? ქართველ პოეტს ასეთი სახელი?.. - თქვა და შემოსულებისაკენ მიბრუნდა.

- მერე, თქვენ აგერ ბრძანდებით, ბატონო გიორგი, იყავით ჩემი ნათლია, - გავეპასუხე.

ადგა, ფანჯარაში გაიხედა. რამდენიმე ძველი სახელი ახსენა. შემოსულთაგან ერთ-ერთმა მოულოდნელად, ფრიდონიო, - შესთავაზა. ბატონი გიორგი დაეთანხმა. სახელი ფრიდონი მოეწონა. ვეფხისტყაოსნის ფრიდონი ზღვისპირის მეფე იყო. მეგობრობა, მასპინძლობა იცოდაო. შენც ჩვენი ზღვისპირეთი უნდა ჩაიბარო. საშენო სახელიაო. მაშ, ამ პოემას დაეწეროს ფრიდონი, - ბრძანა ლეონიძემ და ასეც მოხდა.

გიორგი ლეონიძის ერთ ჩამობრძანებას გავიხსენებ ბათუმში.

გოგლას გიორგი შატბერაშვილი და გიორგი ციციშვილი ახლდნენ. „ინტურისტში“ ევრეთწოდებული „სტალინის ლუქსი“ მოგვცეს. იშვიათი მზიანი დარი იდგა. ჩაის შემდეგ ბულვარში და ზღვისპირას გავლა მოისურვეს. სადილი ოთხი საათისაკენ გადავწიეთ. მე შინ მივირბინე. საქმეები კარგად რომ წარმართულიყო, ამისათვის მთავარი ღვინო იყო. ივარგებდა თუ არა ჩემი სოფლის ცოლიკაური ქართლ-კახეთის ამ ღომებთან გამოსაჩენად? აი, ამაზე ფიქრი მაწვალებდა, მივედი, თავი მოვხსენი, ოღნავ გადმოვათქეშე ჭიქაში ღვინო და მოვსვი. თითქოს არა უშავდა, კახური არ იყო, მაგრამ მგონი სირცხვილს არ გვაქმევს-მეთქი, ვირწმუნე და ჩემს ვიწრო დარბაზში სუფრის განწყობის და მისი „ტერიტორიული მთლიანობის“ მოგვარებას შევუდექი.

და, ბოლოს, მოვიდნენ. ჩემი ნათლული სადაო, უმაღლე იკითხა.

ბატონი გიორგი ჩემი ვაჟიშვილის ნათლიაც იყო. ზაზა დედამ მიუყვანა. დაიხარა და ეამბორა ბავშვს. აი, როგორ გახდა ბატონი გიორგი ლეონიძე ჩემი ვაჟიშვილის ნათლია.

მოსკოვში ვსწავლობდი. 1957-ის მაისი იყო. ყოველდღე შინიდან ახალ ამბავს

ველოდი. შვილი უნდა დაბადებულიყო. ორი გოგოს შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ვაჟი მინდოდა. ერთ დილით, ლექციაზე ყოფნისას, კანცელარიის მდივანმა დეპეშა შემოაფრიალა. ხალვაში, ხალვაშიო, გაიძახოდა. მივეგებე, გამოვგლიჯე. გავშალე. ბიჭის დაბადებას მილოცავდნენ.

იმხანად სასტუმრო „სოვეტსკაიას“ დარბაზში მწერალთა საკავშირო პლენუმი მიდიოდა. იქ ხომ ქართველი მწერლებიც არიან. ჩემთვის მთავარი იყო გიორგი ლეონიძე. თბილისში ყოფნისას მასთან წამომცდა, მესამე შვილს ველი-მეთქი. გოგლა მაშინ დამპირდა, ნათლია მე ვიქნები. და აი, ასეთი ბედნიერი დამთხვევა.

მოვნახე ბათუმელი გრიშა ჭორბენაძე, იმჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, დავურეკე მიშა ქელივიძეს და ხსენებულ სასტუმროსთან შევიყარენით.

მორიგი სხდომაც დამთავრებულიყო. ზემოდან ჩამოწვარადინებულ კიბეს მივაჩერდით. ღინჭი მუსაიფით ჩამოდიოდნენ მაშინდელი საბჭოთა „კლასიკოსები“. გამოჩნდა ბატონი გიორგიც. შევეგებეთ. მაშინვე მივახარე, ვაჟი შვილი შემეძინა და ნათლიობას ხარტ დაპირებული-მეთქი. შუბლზე მაკოცა. რესტორანს თვალი მოავლო. ვუთხარი - ბატონო გიორგი, ჩამოვჯდეთ და თქვენი თამადობით დავილოცოთ. სახელი მინდა, ბატონო გიორგი, უნდა ახლავე ვუდეპეშო, მიცდიან.

- ჰო, სახელი.. - ჩაფიქრდა - ზაზა დავარქვათ, ძველია, ქართულია, ზაზა! ა? მოგწონთ? ფანასკერტელი ზაზაც ხომ იქაურია...

ავდექი, გასასვლელში პატარა მაგიდას ქალი უჯდა, შინ გასაგზავნი ღებეშა შევადგინე.

მორიგი სხდომა ბატონმა გიორგიმ, ჩვენი ხატრით გააცდინა. ტიხონოვი, ბაჟანი, სიმონოვი შემოიერთა, მაგრამ მალე ისინი სხდომაზე წავიდნენ. გოგლამ კი თვალი ჩაგვიკრა, მაგათ აწესრიგონ საბჭოთა ლიტერატურა, ჩვენ, აგერ, უფრო სერიოზულ საქმეს მივხედოთ...

დაისხა, ასწია და თქვა თავისებური მაღლით ამალღებული სადღეგრძელო, დაცალა, თუმცა ღვინო არ მოეწონა. მაგრამ, რაც არის, წავაო და გააგრძელა.

;; ;

დიახ, მისი სტუმრობის დღეს, ბათუმში, ჩემს სახლში სინათლე და ყვავილი გადაეფინა თითქოს ყველაფერს. სუფრაზე სიტყვის ბაშუსტიობა გენიალურად ეხერხებოდა. ჭამაში კი, წარმოიდგინეთ, ვერ იყო ისეთი, როგორც ერთი შეხედვით გეგონებოდა. ბარაქიანობა მოსწონდა სუფრაზე. ბათუმით მოხიბლული იყო. თუმცა ჩვენი ზღვისპირული მარადმწვანე ხეები, პალმა, მაგნოლია, ქართულ ხეებად არ მიაჩნდა. შემოდგომაზე ფოთოლი თუ არ ჩამოდის ძირს, გაზაფხულის მოსვლას რით გაიგებო.

- ნათლიმამ, მოდი, მომიჩქეი გვერდით. ამ ოჯახში თამადობა ხომ მეკუთვნის? - მომმართა. ნათლულის, ზაზას სადღეგრძელოთი დაიწყო.

იმ დღეს, ჩემთან, ოჯახში რომ ვისხედით, გოგლა ისე გაშინაურდა, ყოველ წვრილმანზე თუ რამ დასჭირდებოდა, ხომ „გვაქვსო“, იკითხავდა.

საუბარში ბევრჯერ შეხებია ძველ თუ ახალ ქართულ მწერლობას, სიტყვის, ლექსის მაღლს. ჩვენი ეროვნული მთლიანობის ფაქიზ ნიუანსებს, ამ მთლიანობის გამაგრების და დაცვის საჭიროებას. დიდი სიყვარულით, პატივით, მოწიწებით ახსენებდა გულოლა კაიკაციშვილს, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებს.

მოიგონა გასულ წელს თავის იუბილეზე, თბილისში, აჭარის სახელით, ჩვენი მისალმება. კახელებიც დამიმარცხეს იმ სალამოსო, ღიმლით აღიარებდა.

მახსოვს, იმ იუბილეზე გამგზავრების წინა დღეებში მართლაც ბევრი ვიფიქრეთ, რა ვაჩუქოთ პოეტსო. დამიძახეს ხელმძღვანელებმა, ბევრი რამ ჩამომითვალეს, მათ შორის, ძვირად ღირებული რამეებიც. მე ვთქვი, - ბატონ გიორგის - რამე უბრალო, ძველი, ჩვენებური უფრო ესიამოვნება მეთქი. ბოლოს თოფი „მაჭახელა“ ვახსენე. წავალ სოფელ-სოფელ ვივლი, სადმე ვიპოვი მაგ კაჟიან ფილინთას და ვაჩუქებ-მეთქი. აჰ, მაგი რა გამოსაჩენია ამოდენა საზოგადოებაში, თავი მოგვეჭრება, სირცხვილი იქნებაო, ბრძანა ოლქკომის მდივანმა, როცა უფროსები ველარაფრით დავარწმუნე, განვაცხადე, მაჭახელას წავიღებ თუ საჩუქარი ივარგებს, თქვენგან იყოს, თუ არა, ჩემგან იქნება-მეთქი.

ვპოვე ერთი დაძველებული მაჭახელა, გავაფაქიზე და კონდახზე ვერცხლის პატარა ფირფიტა მივაკერევინე წარწერით - „გიორგი ლეონიძეს. დიდო პოეტო, აქარელი ამ თოფით იცავდა საქართველოს“.

ოპერის თეატრი ხალხს ვერ იტევდა. კულისებში ვიდექი, ვლეღავდი, აი, გამომაცხადეს, გვერდით მედღა მხარბეჭიანი ბიჭი, ერგელი ლეონიძე. ჩავიფიქრე, თოფი მისი ხელით გადამეცა პოეტისათვის. სცენაზე გასვლის წინ, ჩვენებურ ლეონიძის ბიჭს ვუჩუქრე, მე რომ სიტყვას დავასრულებ, თოფი გამოიტანე-მეთქი.

ლეონიძე მიეგება, დაიხარა, ჯერ ნათესავს შუბლზე აკოცა, მერე მაჭახელას კონდახზე ემთხვია და წარწერა თავადვე ხმამაღლა წაიკითხა. დარბაზი ფეხზე წამოდგა. ოვაციას ბოლო არ უჩანდა. გოგლას თვალზე კურცხალი უციმციმებდა.

ახლა ჩემს სახლში, სუფრასთან, ბატონი გიორგი ცდილობს ძველებურად იბობოქროს და ამით გვაგრძნობინოს, რომ აქ ყოფნით ბედნიერია. თუმცა, ეტყობა, წინანდებური ველარაა. მის მძლავრ სხეულს რალაც სენი შეეპარა და ეს ჩანჩქერივით მოხეტიალი კაცი, ერთობ მოტყდა, ფხა მოუბლაგვდა.

სტალინის პიროვნებისადმი ატეხილმა ხმაურმა, რის გამოც იჩქმალეობდა პოეტის ბევრი ბრწყინვალე ლირიკული შედეგრი, გული ატკინა.

ასეთ პირობებში, სუსტი ნებისყოფის პოეტი ჩაქრებოდა. ლეონიძემ კი ამას ვაჟკაცურად გაუძლო. არა თუ წაიქცა, არც შეტორტმანებულა. თავისთავში ახალ-ახალი ძალების თავმოყრა დაიწყო, და ორ-სამ წელიწადში საკუთარ მემკვიდრეობას ახალი, მისეული მადლითა და ნიჭიერებით განათებული პოეტური ნაწარმოებები შემატა. ასეთი იყო ლეონიძის ახალი ფილოსოფიური პოეტური წიგნი „მუხის ფოთოლი“. მალე ამას მოჰყვა უშუალოდ, სისადავით, სიწრფელითა და სიტყვის უზადო ხელოვნებით ნაოსტატარი პროზა „ნატვრის ხე“.

მაგონდება, 1964 წლის შემოდგომაზე ჰანოიში ყოფნა. ვიეტნამელ მწერალთა კავშირში შეხვედრაზე მიმიჯვანეს. რადგან ქართველი ლიტერატორი თავისთან მარტოდმარტო დამივლეს, მრავალი შეკითხვა მომცეს. ერთმა მკითხა: როგორ გრძნობს ახლა თავს პოეტი გიორგი ლეონიძე. რას აკეთებს, დარჩა თუ არა რაიმე ისეთი, რითაც კვლავ მაღალ მწერლობაში იქნება? ხომ არ განიცდის დევნასო და სხვა. ვუპასუხე, ლეონიძეს, ყოველთვის, გარდა სტალინისადმი მიძღვნილისა, ბევრი პირველხარისხოვანი სხვა ლექსი ჰქონდა. ახლა კი, მოკლე დროში, მან ახალი დიდებული წიგნები შექმნა-მეთქი. ამასთან, იმის თქმაც გაუბედე, რომ მომავალში სტალინისადმი მიძღვნილი ლეონიძისეული ნიჭიერი სტრიქონები არ დაკარგავენ თავის მხატვრულ ღირებულებას-მეთქი.

ჩემს ბინაში კი, გოგლას სუფრა, თანდათან ეშში შევიდა. ცოლიკაური მაინც არ დაუჩაგრავს, - აი, ესაა სწორედ მესხური ლეონო, აქებდა.

სუფრის მიწურულს ბატონ გიორგის ვთხოვე, ზვალ, ბათუმის თეატრში, თავის საღამოზე „მაჭახელას“ ამბავი არ დავიწყო. აქაურებს ძალიან ასიამოვნებთ, იმ თოფის ამბავს თუ გაიხსენებთ-მეთქი. ერთი სადღეგრძელოს შემდეგ წამოდგა, გამიხმო, ყურში მიჩურჩულა, ქალაღი მომიტანეო. საძინებელში შევედიო. კედელზე ნაჩუქარი გობელენი შენიშნა. ძველი ესპანური თუ მაგრიტანული მოტივი იყო ასახული. ქალწულნი პატარა შადრევანს ცეკვით გარს უვლიან. გოგლამ ეშმაკურად შემომხედა, თვალი ჩამიკრა, მართლა თათარი ხარ, ამდენი ცოლი გყოლიაო. იქვე ჩამოჯდა, რვეული მუხლზე დაიდო, ფიქრს მიეცა. მარტო დავტოვე. რამდენიმე წუთში მალლა აწეული ფურცლის ფრიალით სუფრასთან დაბრუნდა. შენი დავალება შევასრულეო, მითხრა და თავის ბუხუნა ხმით ჩაიკითხა:

„აჰა თოფისა მსროლელი
 არა ყოფილა ლაჩარად,
 თავისუფლების წყურვილის
 მეტი მას არა დარჩა რა!..
 ამაყად ბრწყინავს ბათუმი, -
 მტერს პირში ბურთი ჩასჩარა,
 თამარის ღიმი კვლავ ჰყავის,
 დღემდისაც აღარ დამჟენარა!
 შვილივარ, განა მოსული,
 შორიდან გადმონატარად?
 შენს სიყვარულს და ტრფიალსა
 გულში ვიწურავ მაჭარად,
 გული ხარ საქართველოსი,
 მესხეთო,
 ჩემო აჭარა!..

* * *

ერთხელ მკითხა, ხომ არ მოხერხდება აქაურ ჩემს ნათესაებს შეხვედო. (ერგელ ლეონიძეებს გულისხმობდა) ხომ არ გაუჭირდებათ ჩვენი მიღებაო. ფული აგერა მაქვს, გაგატან, ნუ გაამხელ სხვასთან და ლეონიძეებს გადაეცი, იქნებ უჭირთ, სუფრა მოამზადონო. დავარწმუნე, ასეთ რამეს ისირცხვილებენ, მაგი არ აკადროთ-მეთქი.

როგორც წესი, ჯერ რაიკოსმ შევუთანხმე, ყველაფერი უხმაუროდ მომზადდა. სათამადო კაციც წინასწარ შევარჩიეთ. ეს ბეჭირ ხალვაში იყო, ქალაქის თავი, ჯმუხი, სიტყვაბარაქიანი, თანაც კოლორიტული, ჩვენებური. ბეჭირი სიამოვნებით დათანხმდა. ულვაშები შეიჩიქნა, და მთელი სერიოზულობით მკითხა, ლექსები რომ ვერ ვთქვა, ამფრად გამოვდგებიო? დავარწმუნე, სწორედ მაგნაირი თამალობა მოსწონს გოგლას-მეთქი. და, მანქანების ესკორტი ერგეში, ლეონიძეების უბანს მიუახლოვდა.

მთელი ჯოჯოელი ლეონიძეები გარეთ გამოფენილიყვნენ. მეწინავეებს კოცნა-ხვევით მიესალმა ბატონი გიორგი. ჩვენ ყველანი შავშეთელები ვართო., უხსნიდა თავისიანებს. ერთი ჯილაგისა ვართ, ერთი ფესვიდან ვიზარდეთო. წაბლის ხის ახალ ოდაში მიიწვიეს დიდი სტუმარი. დარბაზში გაშლილ სუფრას დინჯად მიუახლოვდა, გადაათვალიერა, ესიამოვნა. ამ დროს ბეჭირი, საქმიანად, მონდომებით და სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობით ათვალიერებდა ადგილებს. სად მომიწევს სათამადოდ დაჯდომაო. ოდნავ მგონი ლელავდა. ასე რომ, ბეჭირი უკვე თავის როლში შესვლას

აპირებდა. ლეონიძე კი ლაღად, დარბაისლურად, მტკიცედ მიუახლოვდა სუფრის სათავეს. მერე, ზღვად შემოსულ ნათესავებს და ყველა იქ მყოფს რაღაცნაირი სიამაყით გადახედა, სასმური მაღლა აღმართა და წარმოთქვა: - ლეონიძეებო! სამასი წელიწადია მე თქვენ დაგეძებთ და, აი, დღეს ძლივს შეგხვდით. მე ახლა ჩემს სახლში ვარ და თამალობასაც ვერავის დავუთმობ!

ოვაციამ სერები გადაირბინა. მთელმა სოფელმა იგუგუნა თითქოს, ეჭო ხეგებიდან უკანვე მობრუნდა, ფანჯრებს მოასკდა. საყვედურიანი თვალები შემომანათა ბეჭირმა. რაღა უნდა მექნა, ბოდიში მოვუხადე. გაგებუმრე, - დღეს უმუშევრად დამრჩი-მეთქი, თანავუგრძნობდი. გოგლა კი ისეთი ბედნიერი და მხიარული მერე აღარ მინახავს.

* * *

ლეონიძეებიდან დაბრუნებულები, შეღამებულზე, კახაბრის მინდორში შევედქით. ბატონი გიორგი წინა მანქანაში ბეჭირთან ერთად იყო. დაღლილს ალბათ სუფთა ჰაერი მოუნდა. ყველანი გაჩერდნენ. ყველანი გამოვიშალენით. შემოდგომის ნელთბილი, სურნელოვან ფოთლებში გაწურული ზღვაური უბერავდა, გულებს, სახეებს ეალერსებდა, ეკვალბატების მოგრძო ვერცხლისფერ ფოთლებს აშრილებდა და ჩრდილებზაფენილ, ქოროხის ხეობისკენ მიქროლავდა.

ბატონი გიორგი, ეკვალბატით თეთრი, მაღალი, იდგა და სევდანარევი ღიმილით საამოდ ისუნთქავდა კახაბრის ჰაერს. ისევ ტანაყრილ ეკვალბატზე ეჭირა თვალი. რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ეტყობოდა, ეხატებოდა, ბოლოს მომწონს ეს ხეებო, თქვა, მაგრამ მათი წელიწადის დროთა უგრძნობლობა არ მიყვარსო.

- კახაბერი რაიზა ჰქვია, ნეტაი ამ მინდორს, ბატონო გიორგი? - ჰკითხა ბეჭირ ხალვაშმა. აქეთობას სწორედ ბეჭირს ჩაუჯდა მანქანაში პოეტი. ალბათ, თამალობა წავართვი და ამით მაინც მივეფერებო.

ბეჭირის კითხვა ესიამოვნა. იქ ნამშობს მე ასე მოვეყვებოდი: ბევრ კახაბერს ვიცნობთ საქართველოს ისტორიაში. გურული, რაჭველი, ქართლელი. ეს კახაბერი კი, ჩანს, ლეგენდის კახაბერიაო. იგი თამარის სასახლესთან ახლოს იყო. ბრძენკაცი იყო, თამარის აღზრდაშიც ამაგი ჰქონდა. როცა დიდი ერთიანი საქართველოს ჯარი ლაზეთისა და ქოროხის სათავეს შემოსამტკიცებლად მიდიოდა, წინ ის კახაბერი მიუძღოდა. დევური ტანისა და მკლავის ბატონი ყოფილა. წელზე ვეება ხმალიც ერტყა თურმე. სწორედ იმ კახაბერმა, ქოროხის სათავესთან, საქართველოს საზღვრის ნიშნად, მიწაში თავისი ხმალი ჩაასო და მომხდურები გააფრთხილა. აი, ეს არის საქართველოს საზღვარი. მას ვინც ფეხს გადმოაბიჯებს, ხმალი იქნება მისი ხვედრიო.

იქიდან დაბრუნებულს ამ ველზე ბანაკი გაუშლია, და, მერე, ხალხს აქაურობისათვის იმ ლეგენდარული გმირის სახელი, კახაბერი დაურქმევია.

* * *

შემდეგი შემოდგომაც ბათუმში გაატარა ლეონიძემ. საოცარი ის იყო, როგორც კი გიორგი ლეონიძე გამოჩნდებოდა, ბათუმის მულამ წვიმიანი, მოლუშული ცა ჩადრებს მოიხდიდა, ცქრილა სახეს გამოაჩენდა.

იგი ოჯახის მთელი შემადგენლობით გვეწვია, მეუღლე, ორი დაოჯახებული ქალიშვილი და უკვე წამოზრდილი მათი ვაჟიშვილები, ჩვენი „ინტურისტის“ ორ ნომერში მოთავსდნენ.

იმხანად ბატონი გიორგი უკვე ხშირად შეუძლოდ იყო. ღვინო თითქმის

ეკრძალებოდა. მაინც შეეხვეწეთ და ერთ დღეს სუფრასთან დასაჯდომად დავიყოლიეთ. სხვაგვარ შეხვედრას ვერ შეძლებდა. მისი საუბრის ზიბლი კი ყველამ ვიცოდით. იმ დღეს თამაზ ჩხენკელი და სარგის ცაიშვილიც შემოგვიერთდნენ. ვიცოდი, თევზი უყვარდა, ამიტომ შევუკვეთეთ „ასეტრინა“. ისეთ ადგილას ინება აივანზე დაჯდომა, შინაურებს მოპირდაპირე აივნიდან ეთვალეირებინათ. თავიდანვე გაგვაფრთხილა, თქვენ დალიეთ, ჩემთვის არ შეიძლებაო. როგორც იქნა, გვადირსეს შემწვარი თევზი, მაგრამ ისეთი ციკუნა ნაჭრებად, რომ თითო ლუკმად ძლივს კმაროდა.

აგდეჭი, რესტორნის სამზარეულოში შევედი, შეფს ვთხოვე, ბიჭო, ამხელა პოეტი სტუმრადია, თევზი ცოტა უფრო მოზრდილ ნაჭრებად შეგვიწვი-მეთქი. რა ვქნა, ბატონო, „პორციას“ რაც ეკუთვნის, იმხელვანად დაჭრილიყო. საწყობში ჩავიბრინე. იქ ერთი ნაცნობი მოხუცი მეგულებოდა, ნაფრონტალი, გულუბრი კაცი.

ვუთხარი, ასეა საქმე და ერთი მთლიანი „ასეტრინა“ მინდა, რაც დაჯდება გადავიხდი-მეთქი. უმაღლეს გააღო მაცივარი, მოზრდილი, ათკილოიანი თევზი გამოიღო და გამომიწოდა, ეს ჩვენგან პოეტსო.

მუსაიფი გაგვიგრძელდა. გოგლა სახსე ჭიქას აიღებდა, სადღეგრძელოს იტყოდა, ტუჩზე მიიღებდა და უკანვე დადგამდა. თითებში ცეცხლმოუკიდებელი სიგარეტი ეჭირა. იმასაც ღვინიან ჭიქასავით, მხოლოდ დაწყოსავდა, ვითომ გააბოლებდა. ბოლოს სიგარეტი გვერდით მიაგდო, ჭიქა აიღო, სადღეგრძელო თქვა და გამოცალა. ისე იჯდა, გაღმა აივნიდან მეუღლეს და ქალიშვილები მხოლოდ ფეხზე გადადებულ ფეხს თუ ხედავდნენ. მეორე ჭიქაც რომ დაცალა, ეშმაკურად ჩაიღმა და მიგვეითათა, გაღმიდან ჩემი „კაგებე“ ამ ფეხის მხიარულ თამაშს ხედავს და სჯერათ, არ ვსვამო.

* * *

თბილისში ჩასულს თუ დამინახავდა, ბატონი გიორგი ყოველთვის ცდილობდა თავისი დიდი მასპინძლობა გამოეჩინა.

იმ დღეს შემთხვევით გამოჩნდა მაჩაბელზე. მწერალთა სახლის შესასვლელთან ვიდექით რამდენიმე კაცი. მოგვესალმა, მე ხელი მომხვია, კიბე რომ აათავა, მწერალთა კავშირის თანამშრომელი ქალები შემოესივნენ. სკამზე ჩამოჯდა, ზემოთ, კავშირის მაშინდელ უფროსებთან აღარ გამოჩნდა. ერთს დაავალა, ადი ზემოთ, სტუმარია, რუსი, „ლიტგაზეტადან“, ჩამომიყვანეო. ყურში ჩამიბუბუნა, წადი, იმ კუთხეში ჩემი მანქანაა, ჩავექი. მალე მოვალო. ბატონო გიორგი, ამ საღამოს მატარებელზე მივდივარ-მეთქი. მატარებელი გირჩენია ლეონიძესთან ყოფნასო, - წყნით მკითხა.

იმ რუსის გვარი არ მახსოვს, „ლიტგაზეტას“ რედაქტორის ახლადდანიშნული მოადგილეო, გიორგის სიტყვებით, გამორჩეულად ნიჭიერი, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე და დამფასებელი. ენა ჩვენი ზომ არ იცის-მეთქი, ვკითხე.

-ჰმ! - გაიკვირვა ბატონმა გიორგიმ, - შენ ნამეტანს ითხოვ ამათგან.

საღღაც ავლაბრის ძველუბანში, რომელიღაც წვრილი, დაკლავნილი ქუჩით შევედი და (მანქანა არ შეეტია) ნიკა, ნიკაო, თავისი ბუხუნა ხმით მიაძახა გოგლამ. სარკმელში, ლეჩაქიანი ქალის სახემ გაიღვია, მერე კარი გაიღო და კარგა ზორბა ტანის კახელი გლეჯი გამოვიდა. ნარმის საზაფხულო ფართხუნა შარვალი დაბალკლიან შინნაქსოვ წინდებში ჰქონდა ჩატანებული. ფეხზე აწკენტილი ძველებური წაღები ეცვა. თავზეც, რაღა თქმა უნდა, კახური ქუდი ეხურა. ხშირი, უხეში თმა ქუდიდან ბუჯგებად გამოშვრილიყო. ნიკამ ბრტყელი ქამარი შეისწორა, საიდანღაც შარვლის

ღრმა ჯიბიდან გაცვეთილი ვეება კლიტე ამოაძრო, სარდაფში ჩასასვლელის კარი გააღო და ჩაგვიძღვა.

ეტყობოდა, ძალიან გაეხარდა გიორგის მობრძანება. იმხელა კაცი სულ ბავშვებით ფუსფუსებდა, თან, - სად გადაიკარგეო, გოგლას საყვდურობდა.

- ჩამაიტანე ეგ ლავაში, ბიჭოვ! - გასძახა გოგლამ თავის შოფერს. მალე ქერში გამოჭრილი სარკველი გაიღო. იქიდან ბაწარგამობმული კალათი ჩამოუშვეს. კალათიდან ნელი ოხშივარი ამოდიოდა. ნიკამ ხელი წაატანა კალათს. მოხარშული ნახევარი ინდაური და გუდის ყველი მუხის კასრის მინდორზე დააღაგა. ეგრეთწოდებული ჩაის გათლილი ჭიქებიც ჩამოარია მასპინძელმა და ხელების სრესით გოგლას მიუბრუნდა. ჰკითხა, რომელი გაეხსნა, ჩემი თუ შენიო. ჩემი სტუმართან ჩემი მაიტაო. დაავალა გოგლამ. იქით, კუთხეში, ასე ხუთასლიტრიანი კასრი იდგა. ნიკამ კედლის ლაშკა ანთო და იმ კასრის დიდ რუხ მუცელზე ამოტვიფრული ასოები გამოჩნდა - „გოგლასი ვარ“.

ქერა რუსი აღტაცებული აკვირდებოდა ყველაფერს - ჩტო ზა ბოჩკა ტაკაია? - შემეკითხა ჩუმაღ. - ჩტო ტამ ტაკოე ნაპისანო? როგორ გინდა უთარგმნო ზუსტად „გოგლასი ვარ“? მაინც, იქიდან, აქედან ბევრი ვუტრიალე, მრავალი ჩემთვის ხელმისაწვდომი რუსული სიტყვა მოვსინჯე, მივუყენე, და ბოლოს დაახლოებით რაღაც მიმსგავსებული გამოვიყვანე, ვუთხარი:

- ნაპისანო ტამ ტაკ: „ია (ზნაჩიტ ბოჩკა) პრინაღლეჟუ გოგლე“

- ა, კტო ტაკოი გოგლა? - გამომკრა ხელი სახელოზე.

- გოგლა ეტო სამ გიორგი ნიკოლაევიჩ ლეონიძე! - განვუმარტე და ქარვისფრად გაესებულ გრაფინს, ქათის თეთრი ძეწკვი რომ ეხვია თავზე, თვალი დავადევნე. სტუმარმა რუსმა თავისით მიუჩოჩა ჭიქა ნიკას. მერე, ღვინო ჭიქაში რომ ჩაუსხეს, არ დაელოდა სადღეგრძელოს. მაშინვე გადაჰკრა. მოწრუბა, ეგვძრიელა, ისევ მიიღო ჭიქა და ძირამდე დაცალა. გოგლას არ მოეწონა (სადღეგრძელო უთქმელად რომ დალია), კახურ ლავაშს ყური მოახია და თამადაობასაც შეუდგა.

მე და ნიკას ბოდიში მოგვიხადა, სტუმრის ხატრით რუსულად ვიტყვიო. ბარაქიანი, ლონიერი რუსულით დაახვავა სადღეგრძელოები.

იქ ნათქვამ-გაგონილის აღდგენა მიჭირს, მაგრამ ერთა დაახლოებით ასე იყო.

იმ მუხის ზეს გაუმარჯოს და მისი ფოთლის შრიალს, ჯერ ფიცრად, მერე კასრად რომ იქცა და აგერ ახლა ჩემი ღვინით ავსებული დგას... მეგობრები ლექსის ბჭკარში ჩაწყობილ სიტყვებით უნდა ერთმანეთს აზრს და სილამაზეს მატებდნენ... ერთს გამოაკლებ, ლექსი წახდება. გაუმარჯოს მეგობრობას!..

გაიხსენა წასული პოეტი ძმაკაცები...

პატივით მოიგონა ტიციანი, პაოლო. გაიხსენა, როგორ შემოეღაბა ერთხელ თბილისის დუქანში მთვრალი ესენინი. როგორ აღიზიანებდა ზოგჯერ მაიაკოვსკი, ფრთხილად, ძუნწად თქვა „დიდ ჯადოქარ გალაქტიონზე“. გრიშაშვილი, სიმონი ახალდაკრძალულნი იყვნენ. ხელისუფლნი გაამტყუნა მთაწმინდის ასე ხარჯვაში. არ გვაპატიებს ისტორიაო. ბოლოს, მახსოვს, საოცარი სიტბოთი რუსულ-ქართულად ილაპარაკა ფიროსმანზე. მას მგონი თბილისის ფერების პოეტი უწოდა. მეც დღეს ფიროსმანს დავეძებ თბილისის გაუქმებულ-წაბილწულ სარდაფებშიო. იმ ნათქვამთა გაელენით, ამეკვიატა სიტყვა ფიროსმანი - ფერთმგოსანი... გვიანობამდე დავრჩით ნიკას სარდაფში. დაუვიწყარია ეს ყველაფერი. რაც იყო იმ დღეს, იყო ნამდვილი გოგლა.

* * *

მაგრამ, ახლა მართლაც გოგლას უკანასკნელი სუფრა უნდა გავიხსენო. მძიმე ავადმყოფი პოეტი რიგის ქუჩაზე თავის ბინაში მოვინახულე. მორიდებით დაგრეკე, კარი ღიასახლისმა გაძლიო. ჩურჩულთით გამაფრთხილა, ძინავსო. მაშინ, აღარ შევაწუხებ-მეთქი, გავიფიქრე. ამ დროს დიდფარდებიანი ბინის ბინდებიდან მისი ნაცნობი ბუბუნა ხმა მომეყურა. ვინ არის, მომიყვანეო. დამინახა, ესიამოვნა, ცალი ხელი დამიჭნია, ახლო მოდიო, მოვეხვიე. მომიგეჭი, ჩემო ნათლიმამაო. როგორაა ჩემი ნათლული, როგორ გეყავს ოჯახი, - მკითხა. ჩემი ხელი თავის ცხელ ხელში ეჭირა კაიხანს. დიდრონი, ძვალმსხვილი, უკვე გაცრეცილი თითები მეფერებოდნენ. მერე სამზარეულოდან რაღაც რაკუნი გაიგონა. გასძახა, მაგიდა არ გინდათ, აქ მოიტანეთ ახლოსო. ხის ძველ ტაბურეტს თეთრი გადააფარეს, ყველი, პური, ინდაურის მოხარშული ფერდი, ერთი ჭიქა და ბოთლი დადგეს. ჭიქა უკანვე გაატანა, უთხრა, ის, ილიას ნაქონი რომაა, მომიტანეთო.

ნიგვზის ხისაგან გამოთლილი ფეხიანი სასმელი ბატონმა გიორგიმ ხელში დაიჭირა. მითხრა, ამით ყველას არ ვასმევ ღვინოს, ჯანზე როცა ვიყავი, ამით სადღეგრძელოს, თვითონ ავწევდიო. ახლა ვეღარ ვიკარებ, ჰოდა, დაიჭი ახლა, ჩაისხი, ვისაუბროთ, სადღეგრძელოს მე ვიტყვი, შენ დალიე, - მითხრა და შევნიშნე, თვალები ოდნავ შეუწითლდა.

მატარებლის ბილეთი მაშინაც ჯიბეში მედო. ერთ საათში სადგურისაკენ უნდა გავემგზავრებულიყავი, მაგრამ ამის გამხელა აღარ ღირდა. ეტყობოდა დიდ პოეტს საუბარი უნდოდა. ძვირფასი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი. ამაზე უარის თქმას როგორ გავბედავდი. ავიღე „ილიას სასმური“, ვაკოცე. მერე ღვინო ჩავასხი, და დაველოდე. მთელი შენია, თავად თქვიო, მითხრა. ბატონი გიორგი დავლოცე. მომავალ ზაფხულს ათუთში, ჩვენთან ახალი შეხვედრები ეუფსურვე, ამას რომ ვამბობდი, თვალები მიხუჭა, საღღაც შორს წაიდა ფიქრებით.

კურთხეული მხარის შვილი ხარო, მითხრა, დიდი ქართული კურთხეა შენი მშობელი მიწაო. ჭირგამოვლილი და უკვდავია ეგ მხარე. იქ, ჩემიანებს რომ შევხვდები, გული სხვანაირად ამიძგერდა, ერთხელ კიდევ ვიგრძენიო, - მეც ძველი შავშეთელი ვარ. ჩვენ, ლეონიძენი, ყველანი იქიდან ვართ, ის ჩვენი ალაგები, ჩვენი წინაპრების მიწა-წყალი იქით, გადაღმა დარჩაო. ჩვენი დაკარგული დიდებული ტაძრები და ციხეთა ჩამონაშალი ქვები მეძახიანო. არ იქნა, ვეღარ მოვესწარი, ვერ მოვინახულე იქაურობაო... ისე დავბერდი, ვერ ვინახულე ტბეთი, შატბერდი“ - გაიწკრიალა ყურში პოეტის სტრიქონებმა. თქვა წინაპრებისა, თქვა „აჭარელი ძმებისა“, თქვა დედა ენისა, თქვა ოჯახებისა, დამლოცა მე...

ვალი გაწვეს საჭარტველოსიო, მითხრა. სამასი წლის ვალი გაქვს გადასახდელიო. შემომხედა. თითქოს შევებრალე, - დასაღეფზე გეუბნებიო. ღვინო ხომ აგიკრძალეს სამასი წლის განმავლობაში, ახლა უნდა ივარგოო. გამიღიმა და თვალი ისევ მილულა.

აჭარა და ის ჩვენი მშობლიური, მაგრამ დაკარგული გადაღმერთი ცრემლია ჩვენი, ტკივილი და მოურჩენელი ჭრილობაო. ამისი დავიწყება სიტყვის მუშაყისათვის არ იქნება. სიტყვა, თუ იგი სულის ძირებიდან ამოგეზრდება, თავად მოგთხოვს მაამბობინე ეს დარდებიანი სათქმელი საჭარტველოსიო.

რადგან ერის ტანჯვიანი სიტყვის სამსახურში ჩაიყენე თავი, უნდა ერისავე

სატკივარების სათქმელად და მოსარჩენად ამუშაო ეგ სიტყვა. როგორაა? - „მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა, ზიხანის ციხედ ვიყავ ქცეული და შენი სიტყვის გადასარჩენად იღეწებოდა ჩემი სხეული“... ასეა, არა? აი, ეს შენია. უნდა იგრძნო და იცოდე, რაა შენი სათქმელი და რა არა. არის ისეთი რამეც, შეიძლება ლამაზად გამოთქვა, მაგრამ არავინ დაგიჯეროს. აი, ის კი, შენ როცა სთქვი, ყველამ დაგიჯერა, იმიტომ, რომ იგი შენი იყო.

გვყვანან პოეტები ტაშისმხვეტელებიც... პოეტს ერთი ლექსი მაინც უნდა ჰქონდეს, ნამდვილი, საკუთარი, გამორჩეული. სხვა დანარჩენი ეპატიება...

- დაისხი ახლა, ადლეგრძელე ქართული ლექსი. იცი? - ენა ლექსმა შეინახა თქვენში. ხალხური ლექსი ხალხის გულში იფესვებოდა, ყვავილობდა, ლექსში ჩამჯდარი სიტყვა გამძლეა... დალიე, ზომ ზედავ, რას მოვესწარი, მე, გოგლა, კახურ ღვინოს ვუყურებ და ერთი წვეთიც ტუჩებზე ვერ მიმიკარებია. დაილოცე. ჩემს მაგიერ დალიე... ოდნავ გახელილ თვალებში სევდის ნისლები ბრუნავდნენ.



განათლება

რეკავზ ნაკაშიძე

მაღალკვალიფიციური კადრები ქვეყნის აღორძინების გარანტიაა

ქვეყნის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამ და ახალ სამეურნეო პოლიტიკაზე გადასვლამ მეურნეობის ყველა დარგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების წინაშე დააყენა. მართვის ახალ ეკონომიკურ ბერკეტებზე გადართვა ადვილი არ აღმოჩნდა. ეკონომიკური სიდუხჭირისა და მოჭარბებული მუშახელის პირობებში ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშათა მომზადებისათვის არავის ეცალა, არც საამისო სახსრები მოეძებნებოდათ. აღნიშნულის ფონზე აშკარა გახდა, რომ პროფესიულ სასწავლებლებში მიმდინარე გარდაქმნებს სასურველი განვითარება არ მოჰყვებოდა. არსებულ პირობებში არც უნდა გვქონოდა ამის იმედი, რადგანაც არც ერთი საგანმანათლებლო სტრუქტურა ისე არაა მიბმული ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, როგორც დაწყებითი პროფესიული განათლების სისტემა.

ახალგაზრდა სახელმწიფო რთული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ნგრევისა და დაცემის პროცესი ყველა სფეროს მწვავედ შეეხო: გაჩერდა და გაიძარცვა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოები, სოფლად მოიშალა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მეცხოველეობის ფერმები. ამას დაემატა ძმათა მკვლელობა, ლტოლვილთა უდიდესი ნაკადი. ქვეყანა მოიცვა უმუშევრობამ და სიღატაკემ.

სამწუხაროდ, შესუსტდა და შეილახა ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციები. ექვშვემ აღმოჩნდა შრომისმოყვარეობის, სიბეჯითის, ცოდნისადმი სწრაფვის, პროფესიონალიზმის, ხარისხისათვის ბრძოლის, სახელისა და პატიოსნების, პრესტიჟის დაცვის ინტერესები. ლამის წალეკა ბაზარი საზღვარგარეთულმა დაბალი ხარისხის, ეკოლოგიურად საეჭვო და ფალსიფიცირებულმა პროდუქციამ.

გულახდილად უნდა ვადიაროთ, რომ ამ რთულ პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ეროვნული მეურნეობის კრიზისი გამოიწვია პროფესიული განათლებისადმი აშკარა უყურადღებობამ და შეუფასებლობამაც, სახელმწიფოს მხრიდან სუსტმა მხარდაჭერამ, რამაც დასცა ქართული პროფესიული განათლების ადრინდელი ავტორიტეტი, გააუფასურა და დააყენა იგი, რისი ლოგიკური გაგრძელება არის ის, რომ თვით საზოგადოებაში შეილახა პროფესიონალიზმის მნიშვნელობა და ინტერესი. შენედა სასწავლებლებისადმი ინტერესი.

ერთ დროს მდიდარი და ძლიერი პროფესიული სასწავლებლებიც ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დადგნენ. ვითარებამ აიძულა სასწავლებლების კოლექტივები მუშაობის სტილის გარდაქმნის გზები და გადარჩენის საშუალებები ეძებნათ. სამწუხაროდ ბევრმა ვერ გაართვა თავი დროის მოთხოვნებს და თვითლიკვიდაციაში მივიდა. ასე დაიკარგა ათეულობით სასწავლებელი და გამოცდილი სპეციალისტი, რის გამოც ბევრი აგროსამრეწველო რაიონი და სამეურნეო დარგი საკუთარი სასწავლებლის გარეშე დარჩა. თუ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში 180-ზე მეტი სასწავლებელი

ფუნქციონირებდა, მიმდინარე წლისათვის მათი რიცხვი 86-მდე დავიდა. ასევე კატასტროფიულად იკლო მოსწავლეთა რაოდენობამ. მათი რიცხვი სამჯერ, ხოლო შესასწავლი პროფესიების რაოდენობა 326 ერთეულით შემცირდა, იყო 368, დარჩა 42.

აშკარაა სასწავლებლები მრავალრიცხოვანი სიძნელეების წინაშე მართონი აღმოჩნდნენ. აღნიშნულის ფონზე, არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბევრად უკეთ გვაქვს საქმე. სრული დატვირთვით მუშაობენ სასწავლებლები.

სასწავლებლების კოლექტივები ტრადიციებს არ ღალატობენ და ქვეყანაში მოწინავე პოზიციებს კიდევაც ინარჩუნებენ. განიცდიან დროის შესაბამის მოდერნიზაციას, გარდაქმნას, რასაც კოლექტივების მდიდარი და შინაარსიანი მუშაობის გამოცდილებასთან ერთად დიდად ხელს უწყობს რეგიონში შექმნილი აღმშენებლობითი პროცესები, სტაბილურობა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის ატმოსფერო, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი, პროფტექანათლების დიდი მოამაგე და ორგანიზატორი ბატონი ასლან აბაშიძე, სკოლებისა და სასწავლებლებისადმი მისი ყურადღებისა და ზრუნვის პასუხად პედკოლექტივები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბევრი სიძნელისა და დაბრკოლების მიუხედავად ახალი დროის მოთხოვნებზე როგორმე აუწყონ ფეხი.

თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისათვის შეუჩვევლი ადამიანების ცხოვრება რთული შეიქმნა, ძნელი აღმოჩნდა მომავლის პროგნოზირება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს და ამძაფრებს მდგომარეობას. ადამიანთა უმეტესობას უჭირს საკუთარი ადგილის პოვნა, პროფესიის, საქმიანობის არჩევა. ცხოვრებაში მომგებიანი პოზიციის დაჭერა დღეს თავის გადარჩენას, ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას უკავშირდება და იგი უპირველესად პროფესიონალიზმზე გადის.

ქვეყანა დღეს თუ ხვალ აღმავლობის გზას დაადგება, არ შეიძლება არ მოჰყვეს მას მოსახლეობის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური აქტიუზაცია, ეროვნული მეურნეობის აღორძინებისა და გარდაქმნის პროცესების სასურველი მიმართულებით განვითარება. აქამდე განხორციელდა და ახლაც ბევრგან მიმდინარეობს მუშაობა საწარმოთა ტექნიკური გადართობის, სიახლეთა დანერგვისათვის. ცხოვრების ყველა სფეროში ფეხს იკიდებს და ყველგან უნდა განხორციელდეს საყოველთაო კომპიუტერიზაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიის დანერგვა. სხვანაირად ქვეყანა მსოფლიო განვითარების პროცესებს მხარს ვერ აუბამს.

განვითარებასა და სიახლეთა დანერგვის პროცესებს თან სდევს ზოგიერთი პროფესიის მიმართ მოთხოვნათა შემცირება, ან სრულიად გაქრობა, ამასთან წარმოიშობა ახალი, პროგრესიული, თვისობრივად უფრო რთული სამართავი შრომითი პროცესები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ ზოგად და პროფესიულ მომზადებას საჭიროებენ. თავის დროზე თუ არ ვიზრუნებთ შესაბამისი სპეციალისტების მომზადებისა და მათი სწავლა-განათლებისათვის, წარმატებებზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნება.

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ეროვნული მეურნეობის აღმავლობისათვის სამომავლო გეგმის დასახვა, ახალი სამუშაო ძალის თანამედროვე მომზადების გარეშე წარმოუდგენელი იქნება, რასაც დღეს სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს ბოლო პერიოდში შექმნილი უამრავი უმაღლესი სასწავლებელი რომანტიული პროფესიებით, რომლებიც ძირითადად მაღალი რანგის სპეციალისტების



აღზრდით არიან დაკავებულნი.

ქვეყანა თუ დროზე არ იზრუნებს მუშათა კვალიფიციური ცვლის აღზრდაზე, რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძნობთ სპეციალისტების დეფიციტს, რომელთაც შეეძლებათ კვალდაკვალ მიჰყვნენ ცხოვრების დინებას, წარმატებით გამოიყენონ წარსულის მდიდარი გამოცდილება და ახლით გაამდიდრონ იგი. მხოლოდ ამგვარად მომზადებულ სპეციალისტებზე ბევრად იქნება დამოკიდებული ეროვნული შემოსავლის ზრდა, ქვეყნის სიმდიდრე და სიძლიერე.

ყოველივე ეს ამაღლებს პროფესიული განათლების სფეროს მნიშვნელობას, რადგანაც საშინაო და საგარეო ბაზრის დღევანდელი არათანაბარი კონკურენცია პირველ რიგში სწორედ მისგან მოითხოვს კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელ მაღალგანვითარებულ სპეციალისტთა მომზადებას. მით უფრო იმ პირობებში, როცა მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები ორიენტირებული იქნება ეროვნული მეურნეობის გარდაქმნისა და აღორძინების პროცესებზე, მსოფლიოში დანერგილ სამეურნეო სიახლეებზე.

წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სწორედ სკოლებმა და პროფესიულმა სასწავლებლებმა უნდა შეასრულონ მორგანიზებელი და მასტიმულირებელი როლი ქვეყნად სამეურნეო პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების, საბაზრო ურთიერთობებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურების შესწავლის, დანერგვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

საბაზრო ეკონომიკის ჩვენთვის უჩვეულო პირობებში, გაძნელდა სკოლებისა და სასწავლებლების სამეურნეო მექანიზმის მართვა, შრომის ბაზარი კი ორიენტირებულია სწავლებისა და ცოდნის ხარისხის მაღალ დონეზე. ეს კი მოითხოვს შესაბამისად დამუშავებულ ახალ პროგრამებს, ახალ სახელმძღვანელოებს. კლას-კაბინეტების, სასწავლო-სახელოსნოების აღჭურვას თანამედროვე ტექნიკითა და საშუალებებით. ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ კარგი და ხარისხიანი განათლება საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება გახლავთ.

არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სკოლებსა და სასწავლებლებს ტოვებს ბევრი საუკეთესო სპეციალისტი, საწარმოო სწავლების ოსტატი. მათ აშინებთ ინფლაციის ახალი ტალღა, აწუხებთ ისედაც მწირი და თვეობით დაგვიანებული ხელფასების მიუღებლობა, მათი გაუფასურება.

არასახარბიელო პერსპექტივები შეიქმნა მოზარდი თაობის სრულყოფილი სწავლა-განათლების ხელშემწყობი პირობების შენარჩუნებისათვის, გაუჭირდა მოსახლეობის ფართო მასებს, განსაკუთრებით მრავალშვილიან და მზრუნველობამოკლებულ ოჯახებს. ბევრ მათგანს ხელი არ მიუწვდება მოსწავლეთა ფორმების, სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთების შესაძენად, გაიღონ მოსწავლეთა კვების, სწავლების ხარჯები და ა.შ. სწავლის ქირამ ათასობით მოზარდი და ახალგაზრდა სკოლას და სასწავლებელს ჩამოაშორა. აქაც საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანას ვბაძავთ, უფროსკლასელები და სტუდენტები თავად გამოიმუშავენ ფულსო, მართლაც ასეა, მაგრამ იქ შრომისა და მატერიალური უზრუნველყოფის ისეთი პირობებია, ჩვენთან მაღალი გამოიმუშავების მუშაკებსაც კი შეშურდებათ. ამიტომ აქ ანალოგია არ გამოდგება.

სპეციალისტთა გაანგარიშებით, სკოლებისა და სასწავლებლების კურსდამთავრებულთა 70 პროცენტს უჭირს სამუშაოს შოვნა. დამაფიქრებელი პრობლემაა, რომ რიგი ოჯახების უმწეო მდგომარეობა ბევრ მოზარდს აიძულებს მე-8, მე-7 და უფრო დაბალი კლასებიდანაც მიატოვონ სწავლა და სრულიად

მოუშაბდებელნი ქუჩაში გავიდნენ საშოვარზე.

შრომითი ჩვევების, შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის გარეშე, მძიმეა ამ კატეგორიის მოზარდთა ზედრი. მათ ყველაზე ნაკლები შანსი გააჩნიათ სამუშაოს შოვნისა. ისინი სრულიად ვერ, ან ნაკლებად იცნობენ შრომის სოციალური დაცვის და სხვა საკანონმდებლო აქტებსა და დებულებებს, სამუშაოს მოძებნის, ხელშეკრულების გაფორმების წესებსა და ა.შ.

ასეთ დროს დუმილი და ამ სასწავლებლების როლის სათანადოდ შეფუთვადობა დანაშაულის ტოლფასად მიგვაჩნია, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლადამთავრებულთა თუ განთესილთა ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე დატოვება, უმუშევრობა, დანაშაული და სხვა მისთანები ქვეყანას უდიდესი ზარალის ფასად უჯდება, სასწავლებლების გარდაქმნა და გამრავლება პირიქით-უდავოდ საჭირო და აუცილებელია. ისინი დინამიურად, გეგმაზომიერად უნდა ვითარდებოდნენ. ამ პროცესების სათანადოდ რეგულირებაზე, ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს საქართველოს ტერიტორიული მოუწყობლობა, დარგთაშორისო კავშირების სისუსტე, ერთიანი მეთოდური მიდგომისა თუ პოზიციის არქონა და სხვა მისთანები.

რა რიგ ეხმაურება დღევანდებლობას დიდი ილიას სიტყვები: „საქმე ის არ არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალობო სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარი ჩვენი წინსვლის, საქმის ხელახლად გამობრუნებისათვის და ჩვენი ღონე-მიღეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის.

... ამ დიდ სამაგალითო საქმეს, თითქმის არარაობით დაწყებულს, ეგრე საჭიროს ჩვენი ქვეყნისათვის ნუთუ ბოლო უნდა მოეღოს ჩვენი გულგრილობითა, გაუტანლობითა, გულშეუმატკივრობითა. ცოდვაა, ცოდვა, რომ ეს მნიშვნელოვნად მიმავალი საქმე ამ სასარცხვინო დღეში ჩავადგოთ, ცოდვაა ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის წინაშე“.

სპეციალისტთა პროგნოზებზე დაყრდნობით მალე ქვეყანაში მკვეთრად გაიზრდება კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნილება. ახალი საწარმოების შექმნა, არსებულის გარდაქმნა და გადაიარაღება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, და ბოლოს თაობათა ცვლა, არა მარტო ახალი ტიპის კვალიფიციური მუშახელის მომზადებაზე, არამედ არსებულის კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზეც გაზრდის მოთხოვნილებას.

წარმოების მომსახურე კადრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ბალანსირების გარეშე წინ ვერ წავალთ. კონკურენციას გაუძლებს ის, ვისაც მაღალი კვალიფიკაცია ექნება და ხარისხიან პროდუქციას აწარმოებს. საზღვარგარეთ კარგად გაეგებათ, რომ ყველა რეფორმის საფუძველთა-საფუძველი განათლებაა და სწორედ მისგან იწყებენ საქმეს.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებებს თუ თვალს გადავავლებთ, იქ სადაც ადრე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა პროფესიულ განათლებას, ახლა მდგომარეობა რადიკალურად იცვლება მის სასარგებლოდ. ყველგან იზრდება თანამედროვე მუშისადმი კვალიფიციური მოთხოვნები, ისეთების მიმართ, რომელთაც შეეძლებათ უახლოეს ტექნიკასთან და ტექნოლოგიასთან ურთიერთობა, სიახლეების სწრაფი ათვისება, იქნებიან მობილურნი, ადვილად შევლენ კონტაქტებში სხვა ადამიანებთან, წამოჭრილ პრობლემებს გადაწყვეტენ წარმატებით.



პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის კლასიკურ მაგალითებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან ერთად, ამჟამად აშშ გვიჩვენებს. წარსულში, აქ თუ ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფესიული სასწავლებლების საჭიროებას, 90-იან წლებში უკვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების უზრუნველსაყოფად ხელისუფლების დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო საშუალო სკოლების, ადგილობრივი კოლეჯებისა და ტექნიკური უნივერსიტეტების რაოდენობა ქვეყანაში 26 ათასს აღწევს. პარალელურად კიდევ უამრავი ამგვარი ტიპის კერძო სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს. სტატია - „ამერიკა ფიქრობს მომავალზე“ - ჟურნალი პროფესიულ-ტექნიკური განათლება რუსულ ენაზე, 1990 წ. №9 გვ. 76).

ისინი ცდილობენ საქმისადმი ჭეშმარიტი მიდგომით განახორციელონ პროფესიული განათლების თანმიმდევრობა და უწყვეტობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა კატეგორიის მომავალი სპეციალისტის სრულყოფილი აკადემიური დატვირთვა უცხო ენისა და კომპიუტერული ტექნიკის აუცილებელი ცოდნით.

ამერიკელ სპეციალისტთა მტკიცებით პროფესიული განათლების განვითარება მრეწველობას „ოქროს მთებს“ უქადის. ამ ქვეყნის შრომის ბიუროს სტატისტიკურ პროგნოზებზე დაყრდნობით 1990 წლიდან მოყოლებული 2000 წლისათვის მუშური კვალიფიკაციის კადრებზე მოთხოვნების ზრდა 38 პროცენტით ივარაუდებოდა, რაც ყველაზე დიდ მაჩვენებელს შეადგენს სხვა პროფესიულ ჯგუფებთან მიმართებაში.

ავტომატიზაციასა და რობოტიზაციაზე გადასვლა კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნებს შემოქმედებითად მოაზროვნე პროფესიონალებზე, რომელთაც შეეძლება თავი გაართვან პრობლემათა ფართო სპექტრის გადაწყვეტას. მაგალითად, ავტომატური და რობოტული დანადგარების დამონტაჟება-გამართვით, მათი მუშაობისადმი კონტროლით დამთავრებული, საჭიროების შემთხვევაში, წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამების ოპერატიული შეცვლითა და გადაიარაღებით. ესაა სწორედ მუშათა ის კატეგორია, რომელთაც იმისათვის უხდინან, რომ ფიქრობენ და აზროვნებენ ახლებურად, პროგრესულად, რომელთაც ექსტრემალურ პირობებში შეეძლება მიიღონ ერთდერითი სწორი და ლოგიკური გადაწყვეტილება.

ესწრაფვიან რა საზღვარგარეთული კომპანიები საკუთარი საწარმოები უზრუნველყონ საუკეთესოდ მომზადებული პროფესიული კადრებით, მკიდრო თანამშრომლობაში შედიან ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებებთან, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გამდიდრებაში, პროგრამების შემუშავებაში, ურიცხვან ფულს, უსასყიდლოდ გადასცემენ უახლეს სასწავლო ინვენტარს, ავლენენ საუკეთესო სპეციალისტებს მასწავლებლებად და დამრიგებლებად მათთან სამუშაოდ.

პროფესიული განათლებისადმი სულ უფრო მზარდ ინტერესს ამჟღავნებენ განვითარებადი ქვეყნები, ხოლო განვითარებული ქვეყნები სხვა ქვეყნებშიც არ ერიდებიან ამ მიზნით კაპიტალდბანდებებს. მაგალითად, იაპონურმა ფირმა „ტოტამი“, განსაზღვრა რა თავისი საწარმოო საქმიანობისათვის აშშ-ში 1995 წლისათვის საჭირო შეიქმნებოდა 7000 ახალი მექანიკოსი, ამერიკის 55 პროფტექნიკურ სასწავლებელს და კოლეჯს შეუკვეთა საჭირო კადრები, რისთვისაც გამოუყო მათ დიდძალი სახსრები, სხვადასხვა სახის დაზგა-დანადგარები, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, მოსწავლეთათვის სტიპენდიები, სხვა დახმარებები. (ამერიკა ფიქრობს მომავალზე“ - ჟურნალი „პროფესიულ-ტექნიკური განათლება“, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1990 წ. №9, გვ. 77).

მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მუშა-კადრების მომზადებას ამ ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკურ, უდიდეს სოციალურ მნიშვნელობასაც ანიჭებენ, რათა მოზარდები არ მოწყდნენ სკოლას, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებას, პროფესიის გარეშე, სოციალურად დაუცველი, გამოუცდელი ახალგაზრდა ადამიანი არ გავიდეს საზოგადოებრივ ასპარეზზე. მით უმეტეს, აღნიშნულის ფონზე თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან ახლა არასრული თუ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი არ აგრძელებს ან ვერ აგრძელებს სწავლას, საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო საყურადღებოა, ასეთებს სამწუხაროდ მეორე ხარისხიდანთა კატეგორიას მიაკუთვნებენ, რაც მათში სხვა არასახარბიელო პროცესებთან ერთად გარკვეულ ფსიქოლოგიურ ტრამვასაც იწვევს. ბევრი კიდევაც თავს ანებებს სწავლა-განათლებაზე ფიქრს, ურიგდება ზვედრს და ძნელად რომ ჰპოვოს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში, იყოს კმაყოფილი. ხარისხიანი პროფესიული განათლება კი საუკეთესო პერსპექტივას უქმნის მომავალ მოქალაქეს, სტიმულს აძლევს არ მოწყდეს სასწავლო პროცესს, მითუმეტეს, თუ სწავლების პროცესი საინტერესო და მიმზიდველია, ხოლო პროფესია პრესტიჟული და დასაფასებელია საზოგადოებაში. აღნიშნული საგრძნობლად ამცირებს მოსწავლეთა განთესვასაც და პრესპექტივაშიც ზრდის შრომითი მოწყობის მაჩვენებლებს.

ჩვენ ისეთი მდიდრები როდი ვართ, იათფასიანი განათლება გვაძლევდეს ხელს. ბუნებრივია ქვეყნის რესურსების ეკონომიკური და ყაირათიანი ხარჯვა დღეს ყველასათვის ერთნაირადაა აუცილებელი, მაგრამ განათლების ხარჯზე გაკეთებული ეკონომია დაუშვებელია. გაგიგონიათ ალბათ, ძუნწი ორმაგად იხდისო.

იმედებს გვისახავდა ქვეყნის განვითარების სოციალური პროგრამები, მაგრამ მათ სასურველი სახე ვერა და ვერ მიიღეს მთლიანი ქვეყნის მასშტაბით. ახლა ცხადზე უცხადესი ზღედა, რომ ეკონომიკურ კრიზისებს თავს ვერ დავალწევთ, თუ არ ავამოქმედებთ საკუთარ ბერკეტებს, არ ავამუშავებთ გაჩერებულ ფაბრიკა-ქარხნებს, არ აღვადგენთ მეურნეობებს და არ ვიზრუნებთ მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადებაზე. არადა, მუშახელის დიდმა ნაწილმა დაკარგა სამუშაო. ასიათასობით ადამიანმა თავის გადასარჩენად მისთვის უჩვეულო, ან შემთხვევით საქმიანობას მიჰყო ხელი, იათ მუშახელად იქცა, ან კიდევ ბედის საძიებლად საზღვარგარეთს მიაშურა.

საკუთრივ ბევრს ვერაფერს ვქმნით და მხოლოდ სხვისი მოიმედე მომხმარებლის პოზიციებზე დარჩენა არ გვაწყობს. ლამის ჩვენმა მუშახელმა წესიერი საქმიანობისა და ნამდვილი შრომის ფასი დაივიწყა, დაჰკარგა ინტერესი ცოდნის ამაღლებისა და განახლებისათვის. საზღვარგარეთული ტექნიკის დასანერგად, ან მწყობრიდან გამოსული აგრეგატის შესარემონტებლად ხშირად საზღვარგარეთიდან ძვირადღირებული სპეციალისტების შემოყვანა გვიჩდება და რა ფასად უჯდება იგი სახელმწიფოს ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

ქვეყანას უდიდესი პოტენციალი გააჩნია იმისათვის, რომ იგი იქცეს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ მსოფლიოში, რისი საწინდარიცაა მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობა, მრავალფეროვანი მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მშრომისმოყვარე ადამიანები, რომლებსაც უნდა ვასწავლოთ მათი რაციონალური და ეფექტური გამოყენება, ეკონომიკური აზროვნება, საქმის წარმატებით კეთება, მაღალი პროფესიონალიზმი.

დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის



ნათლად წარმოჩნდება ქვეყანაში მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის პროფესიული კადრების მომზადების აუცილებლობა: სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი თუ სხვა დარგები. ავიღოთ თუნდაც ნავთობსადენის ტერმინალის, ტრანსკავკასიური დერეფნის, რკინიგზის ხაზების ახალი მშენებლობები, უამრავი პროფესიის ადამიანებს საჭიროებენ, აქედან გამომდინარე დიდია პროფესიული სასწავლებლების გამართული მუშაობის საჭიროება.

მათ საყურადღებოდ, ვისაც ეს ეხება, უნდა ვთქვათ, რომ ეროვნული ბიუჯეტის განსაზღვრისას განათლების სფეროს ასიგნირებას განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. ეს არის ინვესტირების ის ფორმა, რომელიც ქვეყნის მომავალს უყრის საფუძველს. ზოლო, თავის მხრივ, თვით განათლების სფეროს ყველა დარგი აუცილებელ სახელმწიფოებრივ ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებს. თავიანთი მნიშვნელობითა და დანიშნულებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად, განუზომლად დიდად გვესახება პროფესიული სასწავლებლების როლი. მათი მუშაობის გაუმჯობესების გარეშე ვერ შევქმნით მყარ საფუძველს ვერც განათლებული ადამიანის ჩამოყალიბების, ვერც ახალი წარმოების მუშაკის, ვერც მაღალი კვალიფიკაციის უმაღლესი განათლების კადრების მომზადების წინა პირობების უზრუნველყოფასა და მათი ინტელექტუალური პოტენციალის ზრდის პერსპექტივებს.

სასწავლებელთა უმეტესობაში წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, მდიდარი ტრადიციები და მუშაობის შემოქმედებითი ატმოსფერო დროის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიონალების მომზადების იმედს გვატებს. ოპტიმიზმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ აქ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შეიძლება ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ასათვისებელი სამუშაოები.

თუ ისტორიას გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ პროფესიულმა განათლებამ ქვეყანაში რთული და საკმაოდ შინაარსიანი გზა გაიარა, დაწყებული საფაბრიკო სკოლებიდან, დამთავრებული ტექნიკური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებით. კურსდამთავრებულთა უმეტესობა საკმაოდ პროდუქტიულად, მონდომებით მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებში. მათი პროფესიული მომზადება ასე თუ ისე აკმაყოფილებდა მაშინ არსებულ მოთხოვნებს. სასწავლებლების დაფინანსებისა და მოსწავლეთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხები გადაწყვეტილი იყო სახელმწიფოს მიერ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ უფასო იყო მოსწავლეთა სწავლა, ჩაცმა-დახურვა და კვება, საცხოვრებელითა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობებით მათი უზრუნველყოფა. სპეციალობის დაუფლების გარანტია, სამუშაოზე მოწყობა და სხვა შეღავათები საკმაოდ შესაძლებლობებს ქმნიდა ახალგაზრდებზე, განსაკუთრებით ობოლ, ზედამხედველობას მოკლებულ და გაჭირვებული ოჯახების მოზარდებზე ზრუნვისათვის.

სასწავლებლების ფუნქციონირებისა და განვითარების ამჟამინდელი დაბალი დონე, რაზედაც ზემოთ ნაწილობრივ საუბარი გვქონდა, ძირითადად სისტემის მწირი დაფინანსებით აიხსნება. სწორედ განათლების ევროპული ფონდისა და სხვა ქვეყნების შესაბამისი სამსახურების (გერმანია, საფრანგეთი, აშშ) გამოცდილება გვიდასტურებს, რომ სასწავლებლების დაფინანსების ეფექტურ ფორმას სამი წყარო შეადგენს: სახელმწიფო, ადგილობრივი-მუნიციპალური და საკუთარი შემოსავლები. სამწუხაროა, მაგრამ ფინანსური რესურსების ფორმირების ეს წყაროები ამ ეტაპზე ჩვენში ძალზედ უმნიშვნელოდ ამოქმედდა.

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიმდინარე

პროცესები, წარმოების ძირითად საშუალებებზე საკუთრების ახალი ფორმების, მართვისა და შრომითი ურთიერთობის განსხვავებული წესების დანერგვა პრაქტიკულად უცხო და ძნელი განსახორციელებელი გახდა. ეს პრობლემები კარგად გაეგებათ მსოფლიო საგანმანათლებლო ორგანიზაციებს და ცდილობენ სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინონ განვითარებად ქვეყნებს, ეწყობა სპეციალური თათბირები, სემინარები. ევროპის ქვეყნების, დსთ-სა და მონღოლეთის პროფესიული განათლების, დასაქმების სამსახურების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ევროპის განათლების ფონდის შტაბბინაში. ქ. ტურინსა და ქ. ბერლინში 1998 წელს ჩატარებულ თათბირ-სემინარში ამ სტრატეგიების ავტორიც მონაწილეობდა. ასეთი შეხვედრები გამოცდილებათა გაზიარების, დაახლოებისა და მეთოდურ დახმარებათა თვალსაზრისით მეტად სასარგებლო და ხელსაყრელი გახლავთ.

მაშინ, როცა რიგი საერთაშორისო და ევროპული საგანმანათლებლო ორგანიზაციების, „ტასისი“-ს და სხვა საერთაშორისო ბანკების მიერ ხდება სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სფეროების სოლიდური თანხებით დაფინანსება, სინანულით უნდა დავსძინოთ, რომ მსგავსი რამ საქართველოს დაწყებითი პროფესიული განათლების მისამართით ჯერჯერობით არ ჩანს, იგი დღემდე სიტყვიერ რჩევა- დარიგებებსა და მეთოდურ დახმარებებს არ გასცილებია.

უკანასკნელ წლებში ქვეყანამ საზღვარგარეთიდან დახმარების სახით მილიონობით დოლარი მიიღო, აქედან ახალი ტიპის პროფესიული კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ გადამზადებისათვის ერთი ცენტრიც არ აღმოჩნდა გათვალისწინებული.

ასევე დასაანია, რომ გრანტული დაფინანსების სისტემაში დაწყებითი პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი პროექტები რატომღაც ვერ ჰპოვებენ დაინტერესებას. ჩვენ ხელთა გვაქვს მრავალი საინტერესო პროექტი: დავიწყებული რიგი ეროვნული პროფესიების აღდგენის, მათი განვითარებისა და ფუნქციონირების, ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდის და სხვა თემებზე, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო გვიჭირს მათი რეალიზება.

„პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“ - ეს ბრძნული გამონათქვამი პროფესიული კადრების მომზადების თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა. მასში საინტერესოა პირველ რიგში ის, თუ რაოდენ დიდი აღიარება, დაფასება და ავტორიტეტი გააჩნია თავისი საქმის ნამდვილ ოსტატს, შემდეგ ის, ვის შეუძლია მოამზადოს ასეთი კადრები და საბოლოოდ მთავარია ის, რომ პროფესიული კადრების მომზადებისათვის ზრუნვის პასუხისმგებლობა მხოლოდ კომპეტენტურ სპეციალისტთა პრეროგატივა უნდა იყოს და არა შემთხვევით პირებს ჩავუვდეთ ხელში, რისი შედეგებიც სახეზე გვაქვს.

მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება, მომავალი მოგებით დაინტერესება წარმოებითი პროცესების მთელი ციკლის სტიმულირების საწინდარია, მის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას კი სამართლიანად წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. თანამედროვე მზარდი ტექნოლოგიური პროცესების განვითარება უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას საჭიროებს. მოთხოვნის ზრდის კვალობაზე სასწავლებლის მუშაკები, საწარმოთა ხელმძღვანელები, წვრილი მესაკუთრეები ერთნაირად დაინტერესებული ხდებიან კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საბოლოო შედეგებით, რაც აუცილებელს ხდის ერთმანეთს შევეუთანხმოთ საწარმოო პროცესების ინტერესები და კადრების მომზადების პერსპექტივები. სკოლა და სასწავლებლები, ცოდნა და განათლება, სამართლიანად გვევლინება ქვეყნის ამალორძინებელ და მასტიმულირებელ ფუნქციის მატარებლად.

არაა დასაძალი, დღევანდელი ცხოვრებისეული სიძნელეებისა თუ სხვა უამრავი.

მიზეზების გამო, ახალგაზრდა ადამიანთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი საკმარისი ცოდნით ვერ გამოდის სკოლიდან. საჭიროა, სწორედ ასეთების მიმართ გამოვიჩინოთ განსაკუთრებული ზრუნვა. სწავლებისა და შრომის ნორმალურ პროცესებში ჩაბმით მათ უნდა მივცეთ შანსი საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებისათვის. პროფესიული განათლების კანონი იცავს მოზარდს არაკვალიფიციური შრომითი ცხოვრების დაწყებისაგან, უმუშევრობის საფრთხისაგან, მრავალი უხერხულობისაგან. 18 წლამდე ახალგაზრდას შეუძლია უფასოდ დაეუფლოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პროფესიას. ასევე პერსპექტიულია ტექნიკური და რიგი მასიური პროფესიებით სკოლადამთავრებულ გოგონათა კონტიგენტის დაინტერესება, რითაც ფართო შესაძლებლობები ექმნებათ სამუშაო ადგილების მიღებისათვის.

სასკოლო რეფორმას ქვეყნის ერთიანი რეფორმისა და სოციალური გარდაქმნებისაგან დამოუკიდებლად ვერ განვიხილავთ. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს დღეს სიძნელები და გადაუჭრელი პრობლემები ბლომად გააჩნიათ. ასევე ამოუწურავი აქვთ რეზერვები და შესაძლებლობანი. სასწავლებლის კოლექტივებთან ერთად საჭირო იქნება ქვეყნის ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და მეწარმეების ერთიანი ძალისხმევა ამ სფეროს კრიზისიდან გამოსაყვანად. რეფორმის მიზნებსა და ამოცანებს თეორიული და პრაქტიკული განმტკიცება სჭირდება. თუ იგი მის სუბიექტად არ იქნება დაყვანილი, ვისთვისაც ზორციელდება, მაშინ ის სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემოსვლის კვალობაზე სპეციალისტთა კვალიფიციური მომზადება წინმსწრებ ხასიათს უნდა ატარებდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი სპეციალისტი არა მარტო საფუძვლიანი ცოდნით შევიაარალოთ, არამედ მივცეთ ცოდნის სისტემატური შევსების, გამდიდრებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი და ჩვევები.

სამწუხაროდ, ქართველი ახალგაზრდების მიერ მიღებული პროფესიული კვალიფიკაციის სერთიფიკატი ჯერჯერობით თავისი შინაარსითა და დონით ვერ შეედრება მოწინავე ქვეყნების მიერ შემუშავებულ სტანდარტებს, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია ამ სისტემის ავტორიტეტისა და სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით.

დასავლეთში ამჟამად მიმდინარეობს სკოლებს შორის მკაცრი კონკურენცია. ეს პროცესი ახლა ჩვენშიც დაიწყო. რასაც შედეგად ახალგაზრდობის ხარისხიანი სწავლება და ცოდნის მაღალი დონე უნდა მოჰყვას.

სამწუხაროა, რომ პროფესიული განათლების რეფორმის საინფორმაციო უზრუნველყოფას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული მიმდინარე პროცესებზე, საჭიროა მიმდინარე მუშაობის პროპაგანდა, პოპულარიზაცია, პერსპექტივების გაცნობა. იშვიათობად იქცა სპეციალური სატელევიზიო გადაცემები, ჟურნალ-გაზეთებში სამეცნიერო-კვლევითი სტატიების გამოქვეყნება. არადა ძალზედ საჭიროა განათლების ამ სფეროში მეცნიერულ კვლევა-ძიებათა გაფართოება, სიახლეების გაბედულად დანერგვა. არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია, ახალგაზრდებს შევუქმნათ პროფესიული განათლების მიღების სურვილი და მის ცხოვრებაში გამოყენების ხელსაყრელი გარემო.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობის მხოლოდ რამოდენიმე წელს ვითვლით. ვფიქრობთ ეროვნული მეურნეობის აღორძინებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების კვალობაზე პროფესიული განათლება კვლავ შეიძენს სასურველ მასშტაბებს. სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დღეს ტარდება და გარკვეულ მიმართულებას ღებულობს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება და ვიმედოვნებთ შედეგიც აუცილებლად იქნება.

შინაარსი

„ლიტერატურული აჭარა“, №2
2000 წელი

პროზა. პოეზია

1. რევზ მიშველაძე - ნოველები	3
2. ვახტანგ ჯავახაძე - ლექსები	21
3. ზურაბ ფირცხალაიშვილი - ლექსები	26
4. ანა დუნდუა - ნოველა	31
5. იზა ოსეფაიშვილი - ლექსები	35
6. გივი აროშიძე - ლექსები	36
7. შოთა ანანიძე - ლექსები	38

თარგმანი

8. გაბრიელ გარსია მარკესი - ჰეიდმეტი მოწამლული ინგლისელი (თარგმნა თეა გვასალიამ)	40
9. არტურ რემბო - ერთხელ ჯოჯოხეთში (თარგმნა მარინა მითაიშვილმა)	48

3000 - ქართული სახელწოდებო - 3000

10. ალექსანდრე გობრონიძე - იაკობ გოგებაშვილი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული მოძრაობის შესახებ	55
---	----

კრიტიკა. პუბლიცისტიკა

11. იური ბიბილეიშვილი - სულიკო ქლენტის კინოდრამატურგია	79
12. თეა ხუჭუა - „ეშმაკის ბორბალი“	89

100 - გიორგი ლეონიძე - 100

13. თამაზ ჭილაძე - მარადიული სიჭაბუკე	93
14. ფრიდონ ხალვაში - გოგლას სუფრა	97

განათლება

15. რევზ ნაკაშიძე - მაღალკვალიფიციური კადრები ქვეყნის აღორძინების გარანტია	106
---	-----

კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კობახიძე

ოპერატორი – მანანა ჩაველეშვილი

კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 14. 02. 2000.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 02, 03. 2000.

ქაღალდის ზომა 70X108 1/16.

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,25.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,5.

პირობითი საღებავგატარება 14,75.

შეკვეთის № 19.

ტირაჟი 300.

ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამბა"-ში
დ. თავდადებულის ქ. №16



ქართული
ენების ინსტიტუტი

სტ. 219/2

საქართველო

თბილისი

№ 26 ინდექსი 78118